675-ი
1979

ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4 · 1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца.

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (*რედაქტორის მოადგილე*), რ. კიკნაძე (*რედაქტორის მოადგილე*), გ. მელიქიშვილი (*რედაქტორი*), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 Телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.1.80; შეკვ. 3043; ანაწყობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 18.9; საღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15.3; უე 07216; ტირაჟი 1400
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

თ. ულენტი, კოლმეურნე გლეხობის ადგილი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სოციალისტურ სტრუქტურაში 5

ნ. ნამორაძე, ევროპის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქართული საზოგადოებრივი აზრი გაზეთ „დროების“ მიეხედვით 11

ვ. გურული, პინსკის პარტიზანული ბრიგადის საბრძოლო გზა 26

ჯ. შარაშენიძე, დღიური რაციონის საკითხისათვის ურის III დინასტიის ეპოქაში . 39

მ. სურგულაძე, ქართული ისტორიული საბუთების დიპლომატიკური შესწავლის საკითხისათვის 55

ა. კალანდაძე, ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან 63

ცნობები და შენიშვნები

მ. ხაცურიანი, გარე სამუშაოზე გასვლა და მისი როლი საქართველოს გლეხთა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში (1804 — 1905 წწ.) 81

ი. გვინეტაძე, ახალციხის საქალაქო თვითმმართველობა 1876 — 1917 წწ. 91

ა. ხარაძე, ი. ქართველიშვილი, XVIII ს-ის I მეოთხედის ქვემო ქართლის მოსახლეობის რეტროსპექტიული კარტოგრაფირება 105

თ. იველაშვილი, ნიშნობის წესები სამცხე-ჯავახეთში 114

ც. ღუბაგერიძე, რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ XIII—XIV სს ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით 125

ა. წერეთელი, ახჩიის ველის ყორღანული სამაროვანი არტაანის მტკვრის აუზში . 134

ჯ. რუხაძე, ხალხური რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში . . . 152

კუბლიკაციები

ნ. ყანჩაველი, ერეკლე II-ის ორი წერილი ნურსალ-ბეგთან 156

დისკუსია და განხილვა

მ. ლორთქიფანიძე, ნ. ნაკაშიძე, კვლავ ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნის შესახებ 164

ბ. ჯამბურია, ბატონყმობის საკითხისათვის 172

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. მაისურაძე, ფრანგი მკვლევარი ქართული ხალხური მუსიკის შესახებ . . . 189

ი. რაპოპორტი, მ. ი. ჯანდიერი, გ. ი. ლეჟავა, ხალხური კოშკური არქიტექტურა . 201

ქრონიკა და ინფორმაცია

ბ. მარსაგიშვილი, ქართველ და სომეხ ხელოვნების ისტორიკოსთა გაერთიანებული კონფერენცია 203

ქართული საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

ვ. ჩანტლაძე, გრიგოლ ნათაძე — ეკონომიკური ისტორიის მკვლევარი . . . 205

ლ. იოსელიანი, ალექსანდრე წერეთელი (დაბადების 90 წლისთავის გამო) . . 210

ბ. მარგიანი, ჯ. ოდიშელი, ნათელა როდონაია (ნეკროლოგი) 215

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Т. ЖГЕНТИ, Место колхозного крестьянства в социальной структуре развитого социалистического общества 5
Н. НАМОРАДЗЕ, Вопросы новой истории на страницах газеты «Дроэба» . . . 11
В. ГУРУЛИ, Боевой путь Пинской партизанской бригады 26
Дж. ШАРАШЕНИДЗЕ, К вопросу о дневном рационе в эпоху III династии Ура 39
М. СУРГУЛАДЗЕ, К вопросу о дипломатическом изучении грузинских исторических актов 55
К. КАЛАНДАДЗЕ, Поселения каменного века из Мелоури 63

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. ХЕЦУРИАНИ, Отхожие промыслы и их роль в социально-экономической жизни крестьян в Грузии (1804—1905 гг) 81
Ю. ГВЕНЕТАДЗЕ, Ахалцихское городское самоуправление в 1876—1917 гг. . 91
К. ХАРАДЗЕ, И. КАРТВЕЛИШВИЛИ, Ретроспективное картографирование населения Квемо (Нижней) Картли I четверти XVIII в. 105
Т. ИВЕЛАШВИЛИ, Обычаи помолвки в Самцхе-Джавахети 114
Ц. ГВАБЕРИДЗЕ, Несколько нумизматических терминов по грузинским письменным источникам XIII—XIV вв. 125
А. ЦЕРЕТЕЛИ, Курганный могильник Ахчиа в бассейне Артаанской Куры . . 134
Дж. РУХАДЗЕ, Народные религиозные представления в Западной Грузии . . 152

ПУБЛИКАЦИЯ

Н. КАНЧАВЕЛИ, Два письма Ираклия II Магомеду Нурцал-хану . . . 156

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

М. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Н. НАКАШИДЗЕ, Еще раз о русском переводе грузинских исторических источников 164
Г. ДЖАМБУРИЯ, К вопросу о крепостном праве 172

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. МАЙСУРАДЗЕ, Французский исследователь о грузинской народной музыке . 189
П. РАППОПОРТ, Джандиери М. И., Лежава Г. И., Народная башенная архитектура 201

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Г. МАРСАГИШВИЛИ, Объединенная конференция грузинских и армянских историков искусства 203

ДЕЯТЕЛИ ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

В. ЧАНТЛАДЗЕ, Григол Натадзе — исследователь экономической истории . 205
Л. ИОСЕЛИАНИ, А. И. Церетели (К 90-летию со дня рождения) 210
Г. МАРГИАНИ, Дж. ОДИШЕЛИ, Н. С. Родоная (некролог) 215

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე რ ი ლ ე ბ ი

თინათინ ქლენტი

კოლმეურნე გლეხობის ადგილი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში

საწარმოო ძალების მძლავრმა განვითარებამ და წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფამ, გამოიწვია არსებითი სოციალური ძვრები, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააჩქარეს ქალაქსა და სოფელს, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის განსხვავების პროცესი. ეს გამოიხატა საკოლმეურნეო კოოპერაციული და სახელმწიფო საკუთრების ფორმების შემდგომ დაახლოებაში, სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ცვლილებებში, კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში.

ობიექტური კანონების მოქმედებისა და მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინების შედეგად, პარტიამ განსაზღვრა და წარმატებით ახორციელებს ფართო სოციალურ პროგრამას მიმართულს იქითკენ, რომ „ხელი შეუწყოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის დაახლოებას, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავებების თანდათან აღმოფხვრას. ეს უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი უბანია“[1].

კოლმეურნე გლეხობა, ისევე როგორც მუშათა კლასი, საბჭოთა საზოგადოების ძირითადი კლასი და ვითარდება მისთვის დამახასიათებელი კანონებით. კოლმეურნე გლეხობის ძირითადი ტენდენციაა მუშათა კლასთან დაახლოება და მათ შორის განსხვავებათა თანდათანობითი დაძლევა.

კოლმეურნე გლეხობის სოციალურ სახესა და სტრუქტურაში ღრმა რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები იჩენს თავს, უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის გართულებაში, რაც გამოწვეულია წარმოების მექანიზაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე შრომის განაწილებით.

დღეისათვის კოლმეურნე გლეხობის შიდაკლასობრივ სტრუქტურაში შედის ოთხი ძირითადი სოციალურ-პროფესიული ჯგუფი:

პირველი ჯგუფი — საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ორგანიზატორები. მათი რაოდენობა კოლმეურნეობებში კლებულობს კოლმეურნეობების რიცხვის შემცირებასთან ერთად, მაგრამ ამ ჯგუფის როლი, მისი ხვედრითი წონა, საკოლმეურნეო ცხოვრებასა და კოლმეურნეთა შორის კი არ მცირდება, არამედ იზრდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირთა მოსვლა ბრიგადირებად და ფერმის გამგეებად. ამჟამად თითქმის ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აქვს სპეციალური განათლება.

[1] სკკპ XXIV კრების მასალები, თბ., 1971, გვ. 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ჯგუფი — სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კოლმეურნეები, რომლებიც ჩაბმული არიან კვალიფიციურ მექანიზებულ სოფლისმეურნეობრივ შრომაში. ამ ჯგუფს მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის ყველა მექანიზატორი. ჯგუფი იზრდება სწრაფად და წამყვანი ადგილი უკავია გლეხობის სოციალურ-პროფესიულ სტრუქტურაში. ამავე ჯგუფში შედიან კვალიფიციური მუშაკები (მშენებლები, ზეინკლები, ხარატები, ელექტრიკოსები, მემანქანეები, მძღოლები და სხვ.), რომლებიც დაკავებული არიან მექანიზებული არასასოფლო-სამეურნეო შრომით.

მესამე ჯგუფი — კოლმეურნეები, რომლებიც ჩაბმული არიან ნაკლებ კვალიფიციურ ფიზიკურ შრომაში, მაგრამ აქვთ მუდმივი სამუშაო ადგილი, პროფესიული მომზადება და სპეციალობა.

მეოთხე ჯგუფი — არაკვალიფიციურ შრომაში ჩაბმული კოლმეურნეები, მათ არა აქვთ პროფესიული მომზადება და სპეციალობა, ესენი არიან სხვადასხვა სამუშაოს შემსრულებელი მუშები. მათი რიცხვი თანდათან კლებულობს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან სოციალურ-პროფესიულ ჯგუფს შეადგენს.

სამეურნეობათაშორისო კოოპერაციასთან, სადაც მონაწილეობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩნდება სოფლის მეურნეობის მუშაკების ახალი ფენა, რომელთა სოციალურ მდგომარეობასა და შრომაში შეთავსებული მუშისა და კოლმეურნის თვისებები. მათ შორის არიან როგორც კოლმეურნეობის წევრები — მეპაიეები, ისე მუშები, რომლებიც არ არიან კოლმეურნეობის წევრები. სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჯგუფის ეს ახალი სოციალური კატეგორია გაიზრდება და განვითარდება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაღრმავდება სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია.

კოლმეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის შემადგენლობაში მკვეთრად გამოხატულ სოციალურ-პროფესიული ჯგუფების გაჩენამ წარმოქმნა სხვადასხვა თვალსაზრისი გლეხობის როგორც კლასის სოციალური საზღვრების შესახებ.

პირველი ორი ჯგუფი განსხვავდება „კოლმეურნე გლეხობისაგან“ და მიუხედავად საკუთრებისადმი დამოკიდებულების ერთნაირი ხასიათისა, მეეკუთვნება შესაბამისად როგორც ინტელიგენციას, ასევე მთლიანად მოსამსახურეებს.

შიდაკლასობრივი დიფერენციაცია შლის გარეგნულ კლასობრივ საზღვრებს, გამოყოფს კოლმეურნე გლეხობისაგან ყველა მეტ-ნაკლებად პროგრესულ ფენებს და ტოვებს მის შემადგენლობაში მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც დაკავებული არიან არაკვალიფიციური სოფლისმეურნეობრივი, ფიზიკური შრომით. ყველა ჯგუფი გამოიყოფა გლეხობისაგან და შრომის ხასიათის მიხედვით ერწყმის სხვა სოციალურ ფენებს. გლეხობა, ფართო გაგებით, ისპობა, ანდა მეტად ვიწროვდება და იფარგლება თავის საზღვრებში.

კლასის ზღვარი არ შეიძლება შემოიფარგლოს ერთი რომელიმე ნიშნის — საკუთრების, შრომის და ა. შ. ხასიათის მიხედვით, ლენინის ცნობილ განმარტებაში მითითებული კლასის სხვა ნიშნების გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, ეს არის კლასის ადგილი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მისი როლი შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და მის განკარგულებაში არსებული საზოგადოებრივი დოვლათისა და მისი განაწილების წესები. ამ ნიშნების მიხედვით არ შეიძლება გლეხობის, როგორც კლასის შემადგენლობიდან გამორიცხოს არც ერთი მექანიზატორი, „არც მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შა-კოლმეურნეები“ და არც კოლმეურნე-მოსამსახურეები. ყველა ესენი არიან საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების სუბიექტები, რომლებიც განუყოფლად არიან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და ორგანულად იჭრებიან შიდასაკოლმეურნეო-წარმოებრივი ურთიერთობის სისტემაში. მათი ადგილი შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში განისაზღვრება არა მხოლოდ ინდუსტრიული ხასიათით, არამედ პირდაპირი კავშირითაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, სახელდობრ, კოოპერაციულ-პროფესიულ ჯგუფებს შორის აბსოლუტური ზღვარი არ შეიძლება გაიდოს. ეს ზღვარი იწლება სოფლის მეურნეობაში სულ უფრო ფართოდ მოქმედი შრომის ცვლილებების კანონისა და ახალი ტექნიკის საფუძველზე მისი უნივერსალიზაციის შედეგად.

საკოლმეურნეო კოოპერაციულ საკუთრებას ახასიათებს საწარმოო საშუალებათა განსაზოგადების ბევრად დაბალი დონე. ეს უეჭველია ავიწროებს იმ ჩარჩოებს, რომელთა შორის მეცდენდება კოლმეურნის როლი წარმოების საზოგადოებრივ განვითარებაში: წარმოების სტრუქტურის განსაზღვრაში, მის დაგეგმვაში, ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოებასა და ა. შ. ამ სხვაობის დაძლევა მიმდინარეობს საკოლმეურნეო-კოოპერაციული და სახელმწიფო საკუთრების ფორმების დაახლოებით კონცენტრაციისა და განსაზოგადების დონის ნივთობრივი შინაარსისა და მასშტაბების მიხედვით. მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი ხვედრითი წონა ქვეყნის ნაციონალურ დოვლათში. ძირფესვიანად შეიცვალა საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ნივთობრივი გამოხატულება. ის სულ უფრო იდენტური ხდება სახელმწიფო საკუთრების (მანქანები, ტექნიკა, ენერგიისა და მასალების სახეები) შინაარსისა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წარმოებისა და საკუთრების კონცენტრაციის პროცესი.

ფართო განვითარებას პოულობს საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაცია და მის საფუძველზე იზრდება საკოლმეურნეობათაშორისო საკუთრება. ყოველწლიურად ფართოვდება შერეული სახელმწიფო-კოოპერაციული საკუთრების ობიექტების ქსელი. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოების საქმეში — მტკიცდება, რომ როგორც მუშებს, ასევე კოლმეურნეებს ძალისა და რბილში გაუჯდათ წარმოების პროცესში ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება საკუთრებისადმი, შრომისადმი.

ჯერ კიდევ შემორჩენილია კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსაგან ტექნიკის შესყიდვისა და გაყიდვის, კრედიტის, პროდუქციის შესყიდვის, სახელმწიფოს მიერ დაგეგმვისა და ა. შ. სპეციფიკა და, სახელმწიფო სექტორისაგან განსხვავებით, ყალიბდება სამეურნეობათაშორისო კავშირები. კოლმეურნეობებში შინაგანი საწარმოო და სამეურნეო საკითხების პრინციპები, სახელმწიფო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, ეთანაწყობა როგორც კოოპერატივის ჯგუფურ საკუთრებას, ასევე შრომის ხასიათს. მიუხედავად კოლმეურნეობის შემოსავალზე ქვეყნის განვითარების საერთო დონის დიდი გავლენისა. ნაციონალური შემოსავლის და ქვეყნის საზოგადოებრივი ფონდების ზრდის, კოლმეურნეთა მათი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სათანადო კოლმეურნეობის შემოსავლით, რაც დამოკიდებულია ბევრ ადგილობრივ ეკონომიკურ და ბუნებრივ ფაქტორებზე. ეს განსხვავება ახლაც არის შენარჩუნებული, როდესაც კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება გარანტირებული გახდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე სოციალური განვითარების დამახასიათებელ თვისებად ითვლება ქვეყნის სოფლის მოსახლეობის რიცხობრივი შემცირება და მისი ხვედრითი წონის დაქვეითება. ეს ბუნებრივი და პროგრესული პროცესი მიმდინარეობს ისეთი ობიექტური ფაქტორების მოქმედებით, როგორიცაა მრეწველობისა და სხვა სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება, რომელიც მოითხოვს ახალ კადრებს, სოფლის მეურნეობაში მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე მუშახელის ნაწილის გამოთავისუფლებას.

იზრდება მოსახლეობის მოძრაობა, რომელსაც შეუძლია დაამყაროს თანაფარდობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნილებასა და სამუშაო ძალას შორის წარმოების განლაგებასა და სამუშაო რესურსებს შორის გაფართოვოს კვალიფიციური კადრების მომზადების ბაზა, ხელი შეუწყოს სოციალისტური პრინციპის — ყველას შეძლებისდაგვარად უფრო მთლიან განხორციელებას, რაც წარმოადგენს განათლებისა და კულტურის ზრდის პირობას. „მოსახლეობის ასეთი მოძრაობის გამოუწვეველად შეუძლებელია მისი განვითარება“[2], — წერდა ვ. ი. ლენინი.

ურბანიზაციის პროცესი გაგრძელდება შემდგომში. სასოფლო-სამეურნეო დასახლების ოპტიმალური რაოდენობა ყველა ეტაპზე განისაზღვრება სოფლის ცხოვრების ყველა სფეროში სამუშაო რესურსების მოთხოვნილების მიხედვით და საერთოდ სახალხო-სამეურნეო პროპორციით.

კოლმეურნე გლეხობის რიცხვი მცირდება როგორც ურბანიზაციის, ასევე კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად ნაწილობრივი გარდაქმნის შედეგად.

მიგრაციის პროცესი მიმდინარეობს არათანაბრად ქალაქებსა და ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. ზოგჯერ მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იწვევს არასასურველ შედეგებს. ეს აიხსნება ძირითადად მრავალი სხვადასხვა მიზეზით. მაგრამ ამაგან მთავარი იმალება შრომის შინაარსში, ხასიათსა და შრომის ორგანიზაციაში. კოლმეურნეები ქალაქში მიგრაციის არანაკლებ მნიშვნელოვან მოტივად ასახელებენ შრომის ცუდ ორგანიზაციას: დიდი სეზონურობა, რაც გვლენას ახდენს შემოსავალზე, არანორმირებული სამუშაო დღე, ცვლების არარსებობა და ა. შ. ამიტომ სოფლად ამ საკითხების მოგვარება მექანიზატორებისა და მეცხოველეებისათვის, დამხმარე საწარმოებისა და სარეწავების განვითარება, ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა, შვებულების გრაფიკის მკაცრად დაცვა, სეზონებს შორის მექანიზატორთა რაციონალური გამოყენება არის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური ამოცანა.

კოლმეურნეები უკმაყოფილნი არიან ანაზღაურებით. რის გამოც კოლმეურნეობები ხშირად ვერ იძლევა სტიმულს ახალგაზრდა კადრების შენარჩუნებისათვის. მუშაობის სტაჟის გამო დამატებითი გასამრჯელო მექანიზატორებს ეძლევათ სამი წლის მუშაობის შემდეგ. მაშინ, როდესაც ძირითადად კადრების დენაღდობა ხდება სწორედ პირველი სამი წლის განმავლობაში. ახალგაზრდობის შენარჩუნებას ხელს არ უწყობს აგრეთვე თანრიგების მიკუთვნების სისტემა. მცოდნე და კარგი მონაცემების ახალგაზრდა წარმოებაში თანრიგს

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 3, გამოც. მეოთხე, თბ., 1948, გვ. 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულობს მხოლოდ ოთხი წლის მუშაობის შემდეგ. უფროს თაობას კი სტატუსი და გამოცდილების მიუხედავად, არ ეძლევა თანრიგი დაბალი განათლების გამო.

სოფლიდან ქალაქში წასვლისათვის სერიოზულ მიზეზად კოლმეურნეები ასახელებენ უპერსპექტივობას კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების დარგში, როგორც თავისთვის, ასევე ოჯახის წევრებისათვის, საკმაო როლს თამაშობს კოლექტივში „ფსიქოლოგიური კლიმატი". საკმარისია ითქვას, რომ ყოველმა მეშვიდე კოლმეურნემ უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა ადმინისტრაციის უყურადღებობა. ცნობილია რომ, იქ, სადაც ადამიანსადმი იგრძნობა ყურადღება, ეხმარებიან მშენებლობაში, სწავლაში, ყოფაცხოვრების კეთილმოწყობაში, ზრუნავენ სულიერ ინტერესებსა და თითოეულის მოთხოვნილებაზე, ჯანმრთელი ატმოსფეროა შექმნილი შეჯიბრებაში, კრიტიკასა და თვითკრიტიკაში, იქ ერთნაირი პირობების შემთხვევაში. სოფლიდან ქალაქში წასვლა შესამჩნევად კლებულობს. მიგრაციის პროცესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეხოვრებთა შემცირება, უწინარეს ყოვლისა, ხდება სწორედ შრომისუნარიან ასაკში.

არანაკლებ დამახასიათებელი პროცესია „სოფლის დაბერება", რომელიც მისი შემდგომი გაფართოების შემთხვევაში კიდევ უფრო შეამცირებს შობადობას და შექმნის სიძნელეს ახალი ტექნიკის თვისებასა და გამოყენებაში. შრომით რესურსებზე შესამჩნევ გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის უფრო განათლებული და მომზადებული ნაწილის დენადობა. მიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგია, კადრების დენადობა, რაც საკმაოდ ფართო ხასიათს ღებულობს.

წარმოიშვა არსებითი განხეთქილება წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასა და მათი მომსახურებისათვის კადრების მომზადების ტემპებს შორის. ამიტომ ახლავე იგრძნობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზატორთა მწვავე ნაკლებობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ღებულობენ სპეციალურ ღონისძიებებს მიგრაციის არასასურველი შედეგების დასაძლევად. მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა სოფლის სკოლის გაძლიერებას. თანამედროვე სოფელში საშუალო სკოლას თვალსაჩინო ადგილი უკავია. მისი მუშაობის დონით განისაზღვრება სოფლის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება.

სკკპ ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამუშაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", მიღებული 1973 წლის 2 ივლისს და სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სსრკ სახალხო განათლების მდგომარეობის და საერთო-საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ", მიღებული 1973 წლის 19 ივლისს, გვისახავენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სისტემის სრულყოფისა და სწავლების დონის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებებს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ განსაზღვრეს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი შემოქმედების ძირითადი მიმართულება. კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა უფროსკლასელების შრომით აღზრდას, სრულყოფას, მოწინავე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდილების ფართოდ დანერგვას. ბუნებრივია, რომ პირველ ყოვლისა, სოფლის სკოლაში იგი მიმართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში. მექანიზატორებისა და სხვა მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებაში ძირითადი როლი ეკისრებათ სასოფლო-პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც შეიქმნა 1953 წელს.

1975 წელს სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პარტიის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, ადგილებზე მუშაობის აქტივიზირება მთავარი პირობაა არა მარტო ეკონომიკურ-სამრეწველო ამოცანებისა, არამედ დიდი სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ნამორაძე

ევროპის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქართული საზოგადოებრივი აზრი გაზეთ „დროების“ მიხედვით[1]

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ, მატერიალური დოვლათის წარმოშობის ახალმა წესმა განაპირობა ახალი იდეოლოგიის, ახალი მსოფლმხედველობის წარმოქმნა. სწორედ ამ ახალი, მოწინავე იდეოლოგიის მატარებელი იყო გაზეთი „დროება“ და მის ირგვლივ შემოკრებილი ქართველი ინტელიგენცია.

გაზეთმა „დროებამ“, რომელიც გამოხატავდა მოწინავე საზოგადოებრივი ძალების ეროვნულ და სოციალურ ინტერესებს, დიდი როლი შეასრულა XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან თავის ირგვლივ შეამჟიდროვა პროგრესულად მოაზროვნე ლიტერატორები და პუბლიცისტები: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, დ. მიქელაძე, პ. უმიკაშვილი, ალ. ცაგარელი, ვახ. თულაშვილი და სხვები. გაზეთი იბრძოდა რეაქციული თავადაზნაურული იდეოლოგიის და ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ. „დროება“ სისტემატურად აშუქებდა საქართველოს მუშების და გლეხების მდგომარეობას, სოციალური კლასების ცხოვრებას. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართველი მწერლების ნაწარმოებები, თარგმანები რუსულიდან და უცხო ენებიდან, წერილები საქართველოს მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების საკითხებზე. გაზეთი „დროება“ ქართველ საზოგადოებას აცნობდა სოციალიზმის წინამორბედების — ფურიეს, ოუენის, სენ-სიმონის იდეებს. მათ თხზულებებს. გაზეთი გამოდიოდა კავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დროშით.

ქართველი სამოციანელები საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის მჭიდრო კავშირს მომძე კავკასიელი ხალხების და, რაც მთავარია, რუსი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ცარიზმის დამხობას და დემოკრატიული რუსეთის შექმნას, მათი რწმენით, მოჰყვებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალი პატარა ერების ეროვნული საკითხის გადაჭრა. ასეთი ღრმა რწმენის დამადასტურებელია აკაკის მოხდენილი გამოთქმა: „გაუმარჯოს განახლებულ რუსეთს და მასთან ერთად ამ პატარა საქართველოს...“[2].

---

[1] პირველი ქართული „პოლიტიკური და ლიტერატურული“ გაზეთი „დროება“ (1866—1885 წწ.) გამოდიოდა 1866 წ. 4 მარტიდან 1875 წ. 4 იანვრამდე — კვირაში ერთხელ; 1875 წ. 4 იანვრიდან 1877 წ. 1 ივნისამდე — კვირაში სამჯერ; ხოლო 1877 წ. 1 ივნისიდან 1885 წ. 15 სექტემბრამდე—ყოველდღიურად. გაზეთის რედაქტორები: გ. წერეთელი (1866—1869 წ.); ს. მესხი (1869—1873 წწ., 1874—1879 წწ. და 1882—1883 წწ.); კ. ლორთქიფანიძე (1873—1874 წწ.), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—1881 წწ.); ი. მაჩაბელი (1883—1885 წწ.). „დროებას“ გამოსცემდნენ: სტ. მელიქიშვილი (1866—1883 წწ.) და გ. ქორთველიშვილი (1883—1885 წწ.); А. Абрамишвили, Грузинская периодика 1819—1917, Тб., 1968, გვ. 39).

[2] ვახ. „თემი“, 1914, № 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1871-1873 წწ. გაზეთ „დროებას“ თან ერთოდა სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, რომელმაც ასევე დიდი როლი შეასრულა სამოციანელთა იდეების პოპულარიზაციის საქმეში.

გაზეთ „დროების“ უდიდესი დამსახურებაა ის, რომ 70-იანი წლებიდან მის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მასალა კ. მარქსის და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვის, ბ. ბელინსკის და სხვათა შესახებ. რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ გამოჩენილმა მოღვაწეებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართველ სამოციანელთა შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

გაზეთ „დროებას“ პროგრესული იდეების გავრცელებისათვის მეფის მთავრობა სისტემატურად დევნიდა. ცენზურა მას ძალზე ზღუდავდა. ცენზურის სიმკაცრე განსაკუთრებით იგრძნობოდა 80-იანი წლების დასაწყისიდან, ხოლო 1885 წლის 15 სექტემბერს, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, გაზეთმა „დროებამ“ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

„დროების“ რედაქტორი ს. მესხი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იბრძოდა გაზეთის დამოუკიდებლობისათვის, სრულყოფისათვის. ს. მესხის პირველი ბიოგრაფი პეტრე უმიკაშვილი დიდ შეფასებას აძლევს ამ დაუშრეტელი ენერგიის მქონე ადამიანის უანგარო, თავგანწირულ შრომას ქართული გაზეთის კეთილდღეობისათვის. მოგვყავს ზოგიერთი ფაქტი ს. მესხის ბრძოლისა გაზეთის დამოუკიდებლობისათვის.

«... თავდაპირველად, როდესაც საცენზურო კომიტეტი «დროების» პროგრამას ამტკიცებდა, რედაქციას ნება მისცეს მიმდინარე პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ოფიციალური რუსული გაზეთებით, როგორც იყო «Русский инвалид», «Северная почта», «Кавказ»-ი და პოლიტიკური ხასიათის მასალა მხოლოდ ამ ორგანოებიდან გადმოებეჭდა ყოველგვარი განმარტებისა და კომენტარების გარეშე... 70-იანი წლების დასაწყისში საცენზურო კომიტეტმა ზემოხსენებული დადგენილება შესცვალა და «დროების» უფლება მისცა პოლიტიკური ხასიათის მასალა ამოეღო მხოლოდ «Правительственный вестник»-იდან»[3] ამ უკანასკნელიდან ამოკრებილი მასალა გაზეთ «დროების» მკითხველს ვერ შეუქმნიდა სრულ წარმოდგენას რუსეთის და ევროპის პოლიტიკის საკითხებზე. ვერ გაარკვევდა მათ არსსა და მნიშვნელობაში. ამიტომ .... 1870 წლის ოქტომბერში ს. სესხმა მოხსენებითი ბარათით მიმართა საცენზურო კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელს შეეცვალა დადგენილი წესი და ნება მიეცა «დროების» რედაქტორისათვის თავისუფლად შეერჩია ცნობები საზღვარგარეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ და ამავე დროს მიეცა ამ ცნობების ახსნა-განმარტება»[4]. აღძრული საკითხი გაზეთის სასარგებლოდ გადაწყდა. ს. მესხის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ გაზეთი კორესპონდენციებს იღებდა არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საკუთარი კორესპონდენტების მეშვეობით, არამედ რუსეთის და საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქებიდანაც, იმ მეგობრების და სტუდენტების დახმარებით, რომლებიც იქ სწავლობდნენ. «1874 წელს სერგეიმ და სტეფანე მელიქიშვილმა მთავრმართველსა და კავკასიის საცენზურო კომიტეტს «დროების» პროგრამის გაფართოება და გადიდება სთხოვეს. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ მათი თხოვნა დაკმაყოფილა, მაგრამ «დროებას» რომ ევროპის ქალაქებში საკუთა-

[3] ი. ბოცვაძე, ს. მესხი და 70—80-იანი წლების ქართული პრესა, თბ., 1968, გვ. 19.
[4] იქვე, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კორესპონდენტები ჰყოლოდა და მათი წერილები ებეჭდა პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, ეს მთავარმართებელმა და ცენზურამ დაუშვებლად ცნეს[5]. რამდენიმე ხნის შემდეგ დართეს ნება მხოლოდ გარკეული შეზღუდვით.

გაზეთ „დროებას“ ჰქონდა სპეციალური განყოფილება ე. წ. „პოლიტიკა“, სადაც მიმოხილული იყო მიმდინარე პოლიტიკის ე. ი. თანამედროვე საერთაშორისო ისტორიის საკითხები. ამით გაზეთს საშუალება ეძლეოდა ქართველი მკითხველი მსოფლიო ცხოვრების ფერხულში ჩაება.

XIX საუკუნის ქართულ გაზეთებში მოცემულია, როგორც დიდძალი ფაქტობრივი მასალა ახალი ისტორიის შესახებ, ასევე ისტორიული კონცეფციები ევროპაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. ასე ჩაეყარა საფუძველი XIX ს-ის ქართული გაზეთებისა და, კერძოდ, „დროების“ ფურცლებზე ევროპის ახალი ისტორიის ქართულ წყაროთმცოდნეობას და ისტორიოგრაფიას.

როდესაც გაზეთი „დროება“ ქართველ მკითხველს აცნობდა მსოფლიოში მიმდინარე საერთო ისტორიულ მოვლენებს, ამით საზოგადოების გარკვეული მიმართულებით აღზრდას ემსახურებოდა.

ხალხის ცხოვრებაში ისტორიული გამოცდილების თუ გაკვეთილების დიდი როლი შესანიშნავად ესმოდათ ი. ჭავჭავაძეს, ეკა ფშაველას, გ. წერეთელს, ს. მესხს და სხვებს. „ისტორია იმითაა დიდი, — წერდა ილია, — რომ ვვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორც უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება, სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლო არას გამოვიტანთ“[6]. „ესენი, — წერდა ს. მესხი, როცა მიუთითებდა გამოჩენილ მამულიშვილთა ცხოვრების აღწერის მნიშვნელობაზე, — მთელი კაცობრიობის ოსტატები, მასწავლებელნი არიან. ესენი გვასწავლიან და თავის ცხოვრებით გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ებრძოდეს ყოველი კაცი სხვადასხვა დამჩაგველ ძალებს, როგორ უნდა სცდილობდეს აღამიანნი საუკეთესო ცხოვრების მიღწევას. ესენი გვასწავლიან საზოგადო კეთილდღეობისათვის თავის კერძო კეთილდღეობისა და ხანდახან ცხოვრების შეწირვასაც“[7].

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ სამოციანელები პრესის ფურცლებზე დიდი სახელმწიფოების (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია) ისტორიის გვერდით ქართველ მკითხველს მოუთხრობდნენ ჩაგრული ერების — ირლანდიელების, ბერძნების, ბულგარელების, პოლონელების ყოფისა და ბრძოლის შესახებ. გაზეთი „დროება“ გარკვეული მიზანდასახულობით აშუქებდა ევროპის ჩაგრულ ხალხთა მოძრაობას და ამ მასალაზე მებრძოლი სულისკვეთებით იზრდებოდა ქართული საზოგადოება.

ქართველი განმანათლებლები, რომლებიც მოკლებული იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების თავისუფლად ქადაგების საშუალებას ხშირად მიმართავდნენ ალეგორიებს, ეზოპეს ენას და ამით ახერხებდნენ ცენზორთა შეცდომაში შეყვანას. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:“ „... ეზოპური-წყეული ეზოპური — ენით, რომლის ხმარებასაც აიძულებდა ცარიზმი ყველა რეგოლუციონერს, როდესაც ისინი „ლეგალური“ ნაწარმოების დასაწერად კა-

---

[5] ო. კასრაძე, ცხოვრება სერგეი მესხისა, თბ., 1963, გვ. 109.

[6] ი. ჭავჭავაძე, ოროდე სიტყვა „შუშლილი“-ს თარგმანზედა, თბ., 1953, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 12.

[7] ს. მესხი, დიდი კაცები, თბ., 1963, თხზულებანი, ტ. II, გვ. 21—22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამს ჰკიდებდნენ ხელს"[8]. ეს ხერხი ქართველ სამოციანელებს საშუალებას აძლევდა უფრო თავისუფლად ემსჯელთათ მათთვის საინტერესო მოვლენებზე, გამოქომაგებოდნენ ყველა დაჩაგრულ ხალხს, მხარი დაეჭირათ მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის და გაეიდეალებინათ ხალხისა და სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანები. უცხოური ამბების ასახვისადმი ადგილობრივი ცენზურა ნაკლებ სიმკაცრეს იჩენდა.

გაზეთ „დროების" ფურცლებზე საკმაოდ ფართოდ და საფუძვლიანად იყო გაშუქებული ევროპის ახალი ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: საფრანგეთ-პრუსიის ომი, პარიზის კომუნა, გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, ირლანდიის საკითხი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქართველ განმანათლებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიც იყო ევროპის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. აქედან გამომდინარე, ამ ნაშრომის მიზანია იტალიის გაერთიანებისა და ირლანდის საკითხზე არსებული ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, მისი დადებითი და ჩრდილოვანი მხარეების გამოვლენა.

იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მოძრაობა ე. წ. რისორჯიმენტო, რომელსაც ჯუზეპე მაძინი და ჯუზეპე გარიბალდი ხელმძღვანელობდნენ, იმდროინდელი ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ცხადია, ასეთი აქტუალური პრობლემა უყურადღებოდ არ დარჩებოდა ისეთ მოწინავე გაზეთს, როგორიც იყო „დროება".

XIX ს-ის 60-იანი წლები და მისი მომდევნო ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში აღინიშნებოდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით, ხოლო გაზეთი „დროება", ამ მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი იდეურ-პოლიტიკური მეფეროში იყო. გაზეთის რედაქტორის, ცნობილ ქართველ მოაზროვნესა და პუბლიცისტს, ს. მესხს არ შეეძლო იტალიის პროგრესულ მოძრაობასა და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის არ დაენახა იდეური თუ სოციალური ნათესაობა. ამიტომ გაზეთი „დროება" დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იტალიელი ხალხის ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის, გაერთიანებისათვის, საერო ხელისუფლებისა და რესპუბლიკისათვის.

გაზეთ „დროების" პოლიტიკურ განყოფილებაში არაერთხელ დაბეჭდილა მასალები იტალიის თანამედროვე ისტორიიდან. გაზეთმა თავის ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმო იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მთელი არსებით მიესალმა მას და გაბედულად უთანაგრძნო. „დროება" აღტაცებული იყო იტალიელ პატრიოტთა მიერ ამ ბრძოლაში გამოვლენილი გმირობით და თავდადებით. გაზეთი, იტალიას ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებასა და ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ ქცევას უსურ-

[8] ვ. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, გამოცემა მეოთხე, 1951, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდა და ამასთანავე გაერთიანებაში ჰეგემონის როლს „სავოიის სახლს“ ე. ი. პიემონტს ანიჭებდა. აი რას წერდა „დროება“: „... გერმანიას და იტალიას ერთი და იგივე საქმე აქვთ — საქმე ნაციონალობისა (ხალხობისა) და თავისუფლებისა. გერმანიამ უნდა მიჰბაძოს იტალიას, რომელიც დაუღონებლივ სავოიის სახლს (იტალიის საკაროლო სახლი) მიენდო. რა დანიშნულებაც ამ სახლს იტალიაში აქვს, იგივე დანიშნულება პრუსიას აქვს გერმანიაში“[9]. გაზეთი როცა მოითხოვდა გერმანიას იტალიისათვის მიებაძა, ამით იგი მკითხველებს მიანიშნებდა, რომ ეს სამაგალითო უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისათვისაც. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უზუსტობა: მართალია, გერმანიას და იტალიას ერთი საერთო მიზანი ჰქონდათ — ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ იტალიისაგან განსხვავებით, გერმანიის თავისუფლებას არავინ არ შეხებია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენს წინაპრებს სწორად ესმოდათ სავოიის და პრუსიის დიდი როლი, თავიანთი ქვეყნების გაერთიანების საქმეში.

გაზეთმა „დროებამ“ მართებულად აღნიშნა, რომ ავსტრია, რომელსაც ხელთ ეპყრა იტალიის ნაწილი, მის განმათავისუფლებელ და გამაერთიანებელ მოძრაობას აფერხებდა. 1866 წელს გაზეთმა მოათავსა იტალიურ გაზეთ „ოპინიონიდან“ ამოღებული ცნობა:“... ღაბსბურგის სახლის (ავსტრიის სახელმწიფო სახლი) პოლიტიკა უეშველად თავისუფლების წინააღმდეგი უნდა დარჩეს“[10], და თვითონაც დასძინა: „ავსტრია ეწინააღმდეგებოდა ამას, რასაც ევროპის საჭიროება მოითხოვდა: „იმას უნდოდა, რომ არც იტალიაში და არც გერმანიაში ერთობა არ ყოფილიყო“[11].

ვენეციასა და რომის ოლქებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიისათვის, ამაზე მიუთითებს გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული ცნობა სათაურით „მოქმედების პარტიის მიტინგი ნეაპოლის ქალაქში“. მოგვაქვს ნაწყვეტი ბერად ყოფილი ვინმე პანტალეოს სიტყვიდან: „... თუ თქვენ თავისუფალნი ხართ, ძლიერნი ხართ... ჩვენ ფინანსი კი არ გვაკლია, ჩვენ ორი დიდი რამ გვაკლია: არა გვაქვს რომი, არა გვაქვს ვენეცია... ორი მხსნელი გვყავს ჩვენ: ჯუზეპე (იოსებ) გარიბალდი და ჯუზეპე მაძინი... რა პროტოკოლია, რომ ჩვენი დაკავება შეეძლოს! მე უცხადებ ფრანციას, რომ რომს და ვენეციას ვიშოვნით“[12].

გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე ზემოაღნიშნულის გამოქვეყნებით სრულიად სამართლიანად უსვამდა ხაზს, რომ იტალიის გაერთიანებას ავსტრიასთან ერთად ხელს უშლიდა აგრეთვე საფრანგეთი. ნაპოლეონ III არ მოსწონდა ხალხთა მოძძრაობის მძლავრი ტალღა, რომელიც ლომბარდიის გათავისუფლებამ გამოიწვია. მას საერთოდ არ უნდოდა არც იტალიის და არც გერმანიის გაერთიანება (იტალიის და გერმანიის გაერთიანების გამო უკმაყოფილება იგრძნობა XIX ს-ის 80-90-იანი წლების ფრანგულ ისტორიოგრაფიაში), თუმცა სიტყვით ამის მომხრე იყო. ნაპოლეონის პოლიტიკაზე ასეთივე აზრისაა გარიბალდი, გამოჩენილი იტალიელი პატრიოტი. მისი შეხედულება გადმოგვცა შოტლანდიელმა მეკ-ტირმა. ამის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა გაზეთმა „დროებამ“: „... იტალიელები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ რომიდან განდევნონ ფრან-

---

[9] გაზ. „დროება“, 1866, № 4.
[10] იქვე, № 14.
[11] იქვე, № 21.
[12] იქვე, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გების ჯარი... გარიბალდი ნაპოლეონს თვლის იტალიის ნამდვილ მფლობელად... გარიბალდის აზრით, ვენეციის გათავისუფლება ავსტრიის უღლისაგან ძნელი საქმე იყო, მაგრამ შესაძლებელი, თუ ნაპოლეონი არ შეუშლიდა ხელს“[13]. ეს ასეც იყო: ნაპოლეონმა ავსტრიელებთან გარიგების შედეგად იტალიელებს მხოლოდ ლომბარდია დაუბრუნა, ვენეცია კი ავსტრიას დაუტოვა, სამაგიეროდ ნაპოლეონს არ მორიდებია საკოიისა და ნიცას მითვისება. დ. მიქელაძემ კარგად შენიშნა, რომ ნაპოლეონმა იტალიისათვის ლომბარდიის დაბრუნებაში ქრთამი აიღო.

1866 წლის ავსტრია-პრუსიის ომში იტალია პრუსიის მხარეზე იყო. იტალიელების ამ მხარდაჭერის მიზეზის შესახებ „დროებამ“ ქართველ ხალხს დაწერილებთ მოუთხრო. 1866 წლის გაზეთში მოთავსებულია ცნობა იტალიის მზადებაზე ავსტრია-პრუსიის მოსალოდნელ ომში მონაწილეობის მისაღებად და იტალიელთა განწყობაზე: „... ყველას ესმის, რომ ახლა მოდის იმისთანა დრო, როდესაც მთელი იტალიის ხალხი უნდა შეერთდეს და იტალიის ერსებობა საბოლოოთ უნდა დამტკიცდეს. არავის არ ეშინია მსხვერპლისა, რომელიც თავის მამულს უნდა შესწიროს და თითოეული მათგანი მზათ არის შესწიროს ის, რასაც სამშობლო მხარის სარგებლობა მოითხოვს“[14].

გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა იმ საყოველთაო აღტაცებას, რომელმაც მოიცვა იტალიელი ხალხი. მათი მონაწილეობის სურვილი ავსტრია-პრუსიის მოსალოდნელ ომში იმდენად დიდი იყო, რამდენადაც დიდი იყო იტალიის გაერთიანების სურვილი. 1866 წლის ნოემბერში[15] მოტანილია ფაქტები, თუ რა დიდი ენთუზიაზმით ეწერებოდნენ იტალიელები მოხალისეებად, მათი სოციალური წარმშობისდა მიუხედავად. სამშობლოს კეთილდღეობისათვის იტალიელი ხალხის ასეთი საერთო თავდადება სამაგალითო უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის მომავალ ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ, რუს ხალხთან ერთად.

ავსტრია-პრუსიის ომის წინ საფრანგეთი კვლავ დაუახლოვდა იტალიას, რათა მისი ყურადღება ჩამოეცალინა რომის დაკავებაზე მუდმივი ფიქრისაგან. ნაპოლეონ III გამოთქვა მზადყოფნა გაეკადვილებინა იტალიელებისათვის ვენეციის დაბრუნება. ამ მიზნის მისაღწევად მას ავსტრიისათვის ომი არ გამოუცხადებია, მხოლოდ ხელი შეუწყო იტალიის დაახლოვებას პრუსიასთან[16]. ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ გაზეთმა „დროებამ“ შეამჩნია ნაპოლეონ III-ის ეს დიპლომატიური ნაბიჯი. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ შეამჩნია, რადგან 1866 წ. ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია ნაპოლეონის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრის დრუენ-დე-ლუისადმი, სადაც ნათქვამია: „... ჩვენ გვინდა, რომ ავსტრიამ შესაფერის სამაგიეროში დაუთმოს იტალიას ვენეცია“...[17].

დადგა მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი — იტალია ავსტრიასთან ომში ჩაება. ამ ფაქტს იტალიის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეეგება. ის, რომ ავსტრიის წინააღმდეგ იტალიელების ბრძოლა სამართლიანი იყო, ხოლო ამ ომის მიზანი — წმიდათაწმიდა, რომელსაც გამარჯვება უნდა მოჰყოლოდა, ამა-

---

[13] გაზ. „დროება“, 1866, № 5.
[14] იქვე, № 11.
[15] იქვე, №№ 15, 18, 19.
[16] История XIX века, под ред. Лависса и Рамбо, М., 1938, т. 5, зз. 291.
[17] გაზ. „დროება“, 1866, № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მიუთითებდა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული გენ. ჩიალდინის პროკლამაცია: „... ჩვენ არ განგვიძრახავს სხვა ქვეყნის დაპყრობა, არც ვისიმე დამორჩილება. ჩვენ მხოლოდ უბედურს ვენეციის განთავისუფლების მეტი არა გვსურს რა. ის არის საკუთარი იტალიის მიწა და არა ავსტრიისა. ჩვენი განზრახვა მარტო ის არის, რომ მტკიცედ დავამყაროთ ჩვენი სამშობლოს ერთობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა“...[18].

იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართული და მსოფლიო მოწინავე საზოგადოების აღტაცებასა და თანაგრძნობას იწვევდა. ამას ადასტურებს გაზეთი „დროება“, როდესაც მოჰყავს ერთ-ერთი ინგლისელი კორესპონდენტის ცნობები იმის თაობაზე, რომ „გარიბალდისთან მალე მოვლენ უცხო ქვეყნის ვოლონტერები — ფრანგები, ინგლისელები“...[19] „არის ცნობა, რომ ახალგაზრდა ილიას გადაწყვეტილი ჰქონდა იტალიაში გამგზავრება და გარიბალდის რაზმში ჩაწერა“[20].

იტალიასთან ვენეციის შეერთებამ დიდი აღტაცება გამოიწვია არა მარტო იტალიელ ხალხში, არამედ ვენეციელებშიც. ამაზე მიუთითებდა „დროება“ 1866 წლის ნოემბერში[21]. ამავე წელს გაზეთმა გამოაქვეყნა ასეთი შინაარსის ცნობა: „... თუ ავსტრიის გენერალი ალლემანი უფრო კარგად გააცილეს, ვიდრე ფრანგების გენერალი ლებეფი, ეს იმ მიზეზით, რომ ავსტრია კიდეც წავიდა იტალიიდამ: მაგრამ ფრანცია ჯერ კიდევ ცდილობს აქ დამკვიდრდეს და იტალიის საქმეებში გაერიოს“[22]. და მართლაც, იტალიამ კი მიიღო ვენეცია, მაგრამ საბოლოო გაერთიანებისათვის საჭირო იყო რომის ხელში ჩაგდება. ამ საქმის გადადება არ სურდათ იტალიელებს. გარიბალდი აშკარა აგიტაციას ეწეოდა პაპის სამფლობელოებში და ახალ რაზმებს აყალიბებდა.

16315

გაზეთი „დროება“ მხარს უჭერდა და ამართლებდა რომისათვის იტალიელების ბრძოლას. გაზეთმა 1867 წელს მოათავსა ჯ. გარიბალდის სიტყვა, რომლითაც კიდევ ერთხელ აღნიშნა რომის დაბრუნების დიდი მნიშვნელობა იტალიის გაერთიანების კეთილად დაგვირგვინებისათვის. „... ტალიას დიდათ უნდა უხაროდეს თავისი აღდგინება და ყოველი ჩვენთაგანი რომის დაბრუნებას უნდა ცდილობდეს“...[23] ვენეციელები რომის მალე გათავისუფლების რწმენას გამოთქვამდნენ: „... როგორც რომი, ისე ვენეცია სხვა იტალიის ქალაქებზედ უფრო დიდ ხანს იყვნენ სხვათა მონობის ქვეშ. ძმანო! ვენეცია დარწმუნებულია, რომ იმათ განთავისუფლება მოასწავებს თქვენს განთავისუფლებას“[24].

გაზეთმა „დროებამ“ 1867 წელს ქართველ მკითხველ საზოგადოებას ამ-ცნო იმის შესახებ, რომ გარიბალდი რომზე სალაშქროდ ემზადებოდა: „მე თვითონ მივიღებ მონაწილეობას რომის განთავისუფლებაში, — წერდა გარიბალდი, — ურომოთ იტალიის ერთობა შეუძლებელია!“[25]. გარიბალდიმ რომზე

---

[18] გაზ. „დროება“, № 19.

[19] იქვე.

[20] გ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, ახალი ისტორია, თბ., 1970, გვ. 354.

[21] გაზ. „დროება“, 1866, №№ 36, 38.

[22] იქვე, № 38.

[23] იქვე, 1867, № 13.

[24] იქვე, 1866, № 40.

[25] იქვე, 1867, № 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაშქრების წინა დღეს კი ასეთი სიტყვა წარმოთქვა: „... როგორც კაცი უთავოდ ვერ იცოცხლებს, ისე იტალიას ურომოთ გაძლება არ შეუძლიან... როცა ერთი ოჯახის წევრი ითხოვს მიშველებას, როდესაც იმას უნდა შესვლა თავის ოჯახში, არავის ნება არა აქვს, რომ ეს დაუშალოს... რასაკვირველია, იტალია თავის მოვალეობას ასარულებს და ითხოვებს ყურს რომის ძახილსა“[26].

1867 წლის ოქტომბერში გარიბალდიმ მოხალისეთა რაზმით კვლავ გადალახა პაპის ოლქის საზღვარი. 3 ნოემბერს, სოფელ მენტანასთან, გარიბალდის რაზმმა, რომელსაც იტალიის მეფემ არავითარი დახმარება არ გაუწია, მარცხი განიცადა. იტალიელ ხალხს რომის უკან დაბრუნებაში წინ საფრანგეთი გადაეღობა.

გავიდა სულ სამიოდე წელი და საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად იტალიას საშუალება მიეცა საბოლოოდ გაერთიანებულიყო. „სედანის კატასტროფამ“ და 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლუციამ საფრანგეთში იტალიელებს რომისკენ გაუხსნა გზა. 1870 წლის 20 სექტემბერს ვიქტორ ემანუელის ჯარმა რომი დაიკავა. პაპი პიუს IX-ის გამგებლობაში მხოლოდ ვატიკანი დარჩა. რომი იტალიის სატახტო ქალაქად გამოცხადდა.

აი რა შინაარსის ცნობებს აწვდის გაზეთი „დროება“ ქართველ მკითხველს ზემოაღნაშნულთან დაკავშირებით: „ყველამ იცის, რომ ახლანდელი საფრანგეთის თავი და პირი — ტიერი — გულით და სულით ფრანგია და საშინელი მომხრე რომის პაპის საერო უფლებისა... იმას არ მოეწონებოდა, რომ იტალიის კაროლმა ძალით დაიჭიროს რომი, რომელსაც დღეს-ხვალ თავის სატახტო ქალაქათ ხდის და რომის პაპს ამნაირათ ყოველი საერო უფლება წაართვა“[27], და „იტალიის კაროლი, ვიქტორ ემანუელი რომში მოსულა. ხალხი აღტაცებით დახვდა იმას და იმ დღეს ქალაქი გაჩაღებული ყოფილა“[28].

იტალის გაერთიანება დაწყებული „ქვემოდან“ დამთავრდა „ზემოდან“ გაერთიანებით. ეს სწორად აქვს გაგებული ს. მესხს. როცა წერს: „... ვიქტორ-ემმანუელი... იმის (გარიბალდის) წყალობით არის იტალიის მეფეი“...[29] ასე დამთავრდა იტალიის გაერთიანება, რომელსაც გულრწრფელად თანაუგრძნო ქართულმა პროგრესულმა საზოგადოებამ.

შემდგომი წლების გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ს. მესხმა გამოაქვეყნა ორი მეტად მნიშვნელოვანი წერილი, მიძღვნილი იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელების — მაძინისა და გარიბალდისადმი.

1872 წლის „დროებამ“ აუწყა მკითხველს მაძინის გარდაცვალება. წერილს ავტორი ს. მესხი იყო. იგი მაძინის ბიოგრაფიას გაზეთ „ტაიმსიდან“ მოტანილი ცნობით იწყებს, სადაც მაძინი დახასიათებულია, როგორც რევოლუციონერი და რესპუბლიკელი. „ის მომეტებულად უფრო სძულდათ ვიდრე უყვარდათ“[30]. მოძულეებში გაზეთი „ტაიმსი“, იტალიის შემლებულ ფენებს გულისხმობდა. სტატიაში მოცემულია მაძინის დაწერილებითი ბიოგრაფია და ხაზგასმულია, რომ ის ბავშვობიდანვე მამეული სიყვარულით იყო გამსჭვალული, რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი მოღვაწეობის ძირითადი ხაზი.

[26] გაზ. „დროება“, 1867, № 40.
[27] იქვე, 1971, № 23.
[28] იქვე, 1871, № 26.
[29] ს. მ ე ს ხ ი, ოსეგ გარიბალდი, გაზ. „დროება“, 1875, № 21.
[30] ს. მ ე ს ხ ი, მაძინი, გაზ. „დროება“, 1872, № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. მესხი მაძინის ახასიათებს, როგორც თანმიმდევრულ რესპუბლიკელს. იტალიის გაერთიანების იდეისათვის გამოჩენილ მებრძოლს, რომლის მთელი მოღვაწეობა იყო ქადაგება დაცემული და დანაწილებული იტალიის აღდგენა-გაერთიანებისასთვის. ს. მესხის წერილში ჯ. მაძინი წარმოჩენილია, როგორც შესანიშნავი პუბლიცისტი, რომლის კალამი იტალიელთა პატრიოტული აღზრდისა და რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფო მართვის საუკეთესო ფორმის, პოპულარიზაციას ემსახურებოდა.

ს. მესხი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჯ. მაძინის პუბლიცისტური მოღვაწეობა, მისი ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიკური და კრიტიკული თხზულებანი გამსჭვალულია იტალიის აღორძინებისა და რესპუბლიკანიზმის იდეებით. ამგვარად, მისი პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობა ერთი განუყოფელი საქმიანობა იყო, რომელიც ერთი იდეის — მისი სამშობლოს პროგრესის სამსახურში იდგა. ს. მესხი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჯ. მაძინის ბრძოლამ არსებითი შედეგი ვერ გამოიღო — იტალიაში რესპუბლიკა არ დაფუძნებულა. მაგრამ ოტიმისტურად განწყობილი ს. მესხი ამ სტატიას ამთავრებს სიტყვებით, რომ იტალიისათვის, ჯ. მაძინის მშვენიერი სამშობლოსათვის, მის ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლიაო.

1875 წელს გაზეთმა „დროებამ“[31] გამოაქვეყნა ს. მესხის სტატია ჯ. გარიბალდის შესახებ. ავტორს გარიბალდი (სტატიაში „იოსებ გარიბალდი“) იტალიის ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია და იგი, როგორც ისტორიული პიროვნება, ს. მესხს სურს ახსნას ისტორიის ფონზე. ეს არის ისტორიზმის პრინციპის დაცვა და ამ გზით ისტორიული ფაქტების სწორად აღქმა. სრულიად სამართლიანად, ავტორი ჯ. გარიბალდის მთელ რევოლუციურ ბრძოლას იტალიელი ხალხის ისტორიას უკავშირებს.

ჯ. გარიბალდის პრინციპების გადმოცემის დროს ს. მესხი აღნიშნავს, რომ მან კარგად იცოდა იტალიის ისტორია და მისი დაკნინებისაგან თავდახსნის გზად იტალიის გაერთიანება მიაჩნდა. ს. მესხს კარგად ესმოდა ჯ. გარიბალდის ბრძოლის პროგრესულობა, იტალიის გაერთიანების პროგრესულობა, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა გაერთიანებული იტალია მონარქის ხელქვეით. ამიტომ იგი ასეთი სიტყვებით ამთავრებს გარიბალდის ბიოგრაფიას — „საყვარელ იმის იტალიაში მალე რესპუბლიკა დაფუძენდება“. აქ კარგად ჩანს ს. მესხის და საერთოდ გაზეთ „დროების“ მთელი სიმპათია მმართველობის რესპუბლიკური ფორმისადმი.

ს. მესხი სტატიებში „მაძძინი“ და „იოსებ გარიბალდი“. მოგვითხრობს ამ ორი დიდი პიროვნების პირადი ცხოვრებისა და საბოლოო ხვედრის შესახებ, რომლებიც, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ ერთნაირი იყო მათი ბრძოლის მიზნები: იტალიის განთავისუფლება, გაერთიანება და რესპუბლიკის დამყარება. ს მესხს შესანიშნავად ესმის ეს ჭეშმარიტება და ამიტომ ორივეს მოღვაწეობას განიხილავს ერთიან ისტორიულ ფონზე[32].

ქართული გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი როცა წერდნენ იტალიის აწმყოზე და მას განთავისუფლებასა და რესპუბლიკურ წყობას

---

[31] ს. მ ე ს ხ ი, იოსებ გარიბალდი, (გაზ. „დროება“, 1875, № 19—20—21).

[32] ვ. დ ო ნ ა ძ ე. ქართველი საზოგადოებრივი ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970, გვ. 293.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწინასწარმეტყველებდნენ, ამით საქართველოს მომავლის რწმენასაც გამოთქვამდნენ.

„იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის რთული პერიპეტიების ახსნისა და გარკვევის საქმეში ქართული საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა“[33]. ზოგიერთი უმნიშვნელო შეცდომის მიუხედავად, გაზეთ „დროების“ ფურცლებზე მართებულად იყო შეფასებული მაძინის, გარიბალდისა და, რაც მთავარია, იტალიელი ხალხის აქტივობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. გაზეთმა ასევე სწორად უჩვენა ქართველ მკითხველებს ავსტრიისა და საფრანგეთის შემაფერხებელი როლი იტალიელთა სამართლიან ბრძოლაში.

ახალი დროის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და ამავე დროს აქტუალური საკითხი, რომელსაც ასევე ფართოდ გამოეხმაურა გაზეთი „დროება“, იყო, ე. წ. „ირლანდიის საკითხი“.

ირლანდიელი ხალხის ხანგრძლივი განმათავისუფლებელი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ნათელი მომავლისათვის მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრში იყო. ირლანდიელთა გმირული, თავდადებული ბრძოლა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ყველა ჩაგრული ერის აღტაცებასა და თანაგრძნობას იწვევდა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მხურვალედ გამოეხმაურნენ ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. მათ უცილობელი ფაქტებით დაამტკიცეს ირლანდიელთა ბრძოლის მწვავე ხასიათი, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ეს ბრძოლა ერთსა და იმავე დროს მიწისა და ეროვნული თავისუფლებისათვის წარმოებდა. „კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოუწოდეს ინგლისელ მუშათა კლასს ინტერნაციონალური კავშირი დაემყარებინა ირლანდიის პროლეტარიატთან და მასთან ერთად ებრძოლა, როგორც საკუთარი კლასობრივი ინტერესებისთვის, ისე ირლანდიელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის გამარჯვებისათვის“[34].

„მარქსისა და ენგელსის პოლიტიკამ ირლანდიის საკითხში მოგვცა უდიდესი, დღემდე უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს მჩაგვრელი ერების პროლეტარიატი ეროვნულ მოძრაობებს“[35].

ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ აზრი გამოთქვეს: ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ი. გოგებაშვილმა, გ. წერეთელმა, ს. მესხმა და სხვებმა, ქართული პრესის ფურცლებზე, ირლანდიელთა სამართლიანი ბრძოლის შესახებ მრავალფეროვანი მასალების გამოქვეყნება, მინიშნება იყო მოწონაე საზოგადოებრივი აზრის დიდ წარმომადგენელთა თანაგრძნობისა მათ მიმართ და სურვილისა, რომ ქართველებს ირლანდიელი ხალხის

---

[33] გ. კიღურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

[34] ვ. დონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

[35] ვ. ი. ლენინი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, გამოცემა მეოთხე, 1951, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 543.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირული საბრძოლო გამოცდილება სამშობლოს ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.

ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფენიების მოძრაობას, რომელიც XIX ს-ის 50-იანი წლების შუალედში აღმოცენდა. გაზეთმა „დროებამ“ თავის ფურცლებზე საკმაოდ ფართოდ და თანმიმდევრულად გააშუქა აღნიშნული მოძრაობა. გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ფენიები“[36]. ამ წერილის დასაწყისში, ანონიმი ავტორი მიუთითებს ჭეშმარიტებაზე. იგი წერს, რომ „ინგლის-ირლანდიის განხეთქილების მთავარი მიზეზი იყო არა სარწმუნოებრივი, არამედ — მიწის საკითხი“. ეკონომიკური მოტივი რომ ირლანდიის საკითხს ართულებდა, ამაზე ერთხმად წერდნენ ი. ჭავჭავაძე[37]. კ. ნაცვლიშვილი[38] და ი. გოგებაშვილი[39].

წერილში ავტორი ეხება 1845-1847 წწ. კარტოფილის მოუსავლიანობას ირლანდიაში, რასაც მოჰყვა შიმშილი, ტიფის ეპიდემია და სურავანდი. დაიწყო მასობრივი ემიგრაცია ინგლისში, შოტლანდიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში: „... ირლანდიიდან წასული პატრიოტები განსაკუთრებით აშშ-ში მყოფნი, ინგლისის მტრებად იქცნენ. 36 შტატში მოსახლეობის მეშვიდედი ნაწილი ირლანდიელია. მეტი წილი აქედან ამერიკაში დაბადებული, მაგრამ ისინიც ისეთივე მხურვალე პატრიოტები არიან, როგორც მათი მამა და პაპა იყო“...[40] შართლაც, როგორც პ. კერენცეევი მიუთითებს, ამერიკა ირლანდიელი ემიგრანტების თავშესაფარი გახდა. მათი უმრავლესობა ირლანდიის გასათავისუფლებლად აქტიური ბრძოლისათვის ემზადებოდა[41].

გაზეთ „დროებაში“ ანონიმი ავტორი წერს, რომ „ფენიების საზოგადოება დაარსდა 1862 წელსო“. ეს ფაქტის უზუსტობაა. ჯერ ერთი, აღნიშნული არ არის თუ რომელ საზოგადოებაზეა ლაპარაკი — «ფენიების საძმოზე» ამერიკაში, თუ «ფენიების საძმოზე» — ირლანდიაში და მეორეც, ამ ორგანიზაციათაგან არც ერთის დაარსების თარიღი არ შეესაბამება დასახელებულ თარიღს. ძველი ფენიების ორგანიზაცია დაარსდა 1857-1858 წლის ზამთარში, ხოლო ირლანდიელი ფენიების — 1858 წლის მარტში. ამერიკულ ორგანიზაციას სათავეში ედგა ჯ. ო'მაჰონი, ხოლო ირლანდიულს — ჯ. სტიფენსი. ამის შემდეგ ავტორი სამართლიანად უთითებს იმ ფაქტზე, რომ „ირლანდიელები, რომლებიც აშშ ჯარში მსახურობდნენ, ბრძოლის გათავების შემდეგ... თავის თანამემამულეებით, რომლებიც ირლანდიაში ცხოვრობდნენ შეთქმულება მოამზადეს. ამ შეთქმულების მიზანია — თავი გაითავისუფლონ ინგლისის დედოფლისაგან, ირლანდიას მოუპოვონ დამოუკიდებლობა და დაამყარონ რესპუბლიკა»[42]. წერილის ავტორს სწორად აქვს დანახული ფენიების ბრძოლის ორი ძირითადი მიზანი: სამშობლოს განთავისუფლება ინგლისელთა ბატონობისაგან და რესპუბლიკის დაარსება. რაც შეე-

---

[36] გაზ.: „დროება“, 1866, № 4.

[37] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თბ., 1957, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, გვ. 11.

[38] კ. ნაცვლიშვილი, ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ, „ივერია“, 1881, № 3, 9.

[39] ი. გოგებაშვილი, ირლანდიის მძიმე მდგომარეობა ინგლისის ხელში, „დროება“ 1881, № 77.

[40] „დროება“, 1866, № 4.

[41] П. Керженцев, Ирландия в борьбе за независимость, М., 1936, გვ. 50.

[42] გაზ. „დროება“, 1866, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხება აშშ 1861-1865 წწ. სამოქალაქო ომში მონაწილე ირლანდიელ ოფიცრებს და ჯარისკაცებს, ისინი მართლაც დაბრუნდნენ ირლანდიაში და ინგლისშიც კი, რათა ებრძოლათ დამპყრობლების წინააღმდეგ.[43] ირლანდიელი ფენიების აჯანყებისათვის მზადებას მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა და გაუქმა «Habeas Corpus act»-ის მოქმედება. აჯანყების პირველი ცდა მარცხით დამთავრდა.

გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე ეხება ამერიკელი ფენიების საქმიანობას და სწორად შენიშნავს, რომ „ფენიების მოქმედება შეერთებულ შტატებში ისევე საშიშია ინგლისელებისათვისო“...[44] ამერიკელი ფენიების საქმიანობა უშედეგოდ დასრულდა. მათმა ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა. გაზეთი გულისტკივილით მიუთითებს, რომ ამერიკაში, ისევე, როგორც ირლანდიაში, ფენიების დევნა და დაპატიმრება დაიწყო და ამ რეპრესიებს დადებითად გამოეხმაურნენ ინგლისის გავლენიანი პირები: „ლორდმა დერბიმ სხვა განცხადებებთან ერთად გააკეთა ასეთი განცხადებაც, რომ ის მადლობით მოიხსენიებს სწრაფ და ენერგიულ განკარგულებას, რომელიც გამოვიდა აშშ ფენიობის მოსასპობად“...[45]

1867 წელს გაზეთი „დროება“ ისევე დაუბრუნდა თემას ირლანდიელ ფენიებზე და მკითხველს აუწყა ახალი აჯანყებისათვის მათი მზადების შესახებ. ამავე წლის ერთ-ერთ ნომერში გაზეთმა „ირლანდიელი ხალხის პროკლამაციის“ გამოქვეყნებით აშკარა თანაგრძნობა გამოუცხადა ირლანდიელების ბრძოლას. ამ პროკლამაციაში ირლანდიელები ჩვიან თავიანთ უნუგეშო მდგომარეობაზე, იმედგაცრუებაზე და ერთადერთ გამოსავალ საშუალებად ძალის გამოყენებას მიიჩნევენ: „რამდენიმე საუკუნოა, — კითხულობთ პროკლამაციაში, — რაც ჩვენ ვითმენდით შევიწროებას, დამცირებას და შესაძრწუნებელს სიგლახაკეს... უკეთესია, რომ დავიხოცნეთ, თავისუფლებისათვის, მანამ ვიცხოვროთ მონობაში... უნდა დავარსოთ რესპუბლიკა... ჩვენ გამოუცხადებთ ჩვენს ძმებს, რომ ჩვენ არ ვეომებით ანგლიის ხალხს, — არა, ჩვენ ვეომებით არისტოკრატიის კალიას, რომლებმაც მოჭამა ჩვენი ყანები... ჩვენ ვიბრძვით საზოგადო საქმისათვის, და თქვენ, ანგლიის მუშა-ხალხო, არამ თუ უნდა იყენეთ ჩვენზედ კარგის გულით, არამედ თქვენც უნდა აღსდგეთ მტერზედ. აიღოთ ხელში თოფ-იარაღი... მიიღეთ მონაწილეობა ამ უდიდეს ბრძოლაში, რომელსაც მიზნათა აქვს კაცობრიობის დამოუკიდებლობის აღდგინება“[46]. განსაკუთრებით საინტერესოა პროკლამაციის ბოლო ნაწილი, სადაც ირლანდიელები ინგლისის მშრომელებს მოუწოდებენ ერთიანი ბრძოლისაკენ. ასეთი მოწოდება უცხო არ იყო ქართული პროგრესული აზრისათვის. ქართველი სამოციანელები (აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვები) არაერთხელ მოუწოდებდნენ ქართველებს რუს ხალხთან ერთად ებრძოლათ საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ.

1867 წლის აჯანყების ვეგმა, ღალატის გამო, ირლანდიელმა ფენიებმა ვერ განახორციელეს. აჯანყებულები სასამართლოს გადასცეს. ბევრმა მათგანმა თავს გაქცევით უშველა. გაზეთი „დროება“, რომელიც მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა ფენიების ბრძოლას, გულისტკივილით აწვდიდა მკითხველს შემდეგი

---

[43] История XIX века, т. 5, გვ. 400—401.

[44] გაზ. „დროება“, 1866, № 31.

[45] იქვე, 1866, № 21.

[46] იქვე, 1867, № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსის ცნობას: „ფენიები საშინელ მდგომარეობაში არიან საპყრობილეებში — საშინელ ზამთრის ყინვაში მთლიანად შიშველნი წვანან, ცივ ქვის იატაკით დაგებულ სენაკში. საჭმელი ისეთი საძაგელია, რომ ცხვერთანაც ვერ მიეტან, თან ისე ცოტას აძლევენ, რომ არც კი ყოფნით“[47].

1869 წლის „დროება“ აქვეყნებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ირლანდიაში ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები იმართება დაპატიმრებული ფენიების განთავისუფლების მოთხოვნით[48]. „მარქსი და I ინტერნაციონალის გენერალური საბჭო აქტიურად იბრძოდნენ დაპატიმრებული ფენიების ზეედრის შემსუბუქებისა და მათთვის ამნისტიის გამოცხადებისათვის“...[49] რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის მთავრობა იძულებული იყო ამნისტია გამოეცხადებინა, მაგრამ ეს ძირითადად ამერიკელ ფენიებს შეეხო.

1867 წლის აჯანყების მოწყობის უშედეგო ცდისა და ამნისტიისთვის ბრძოლით შეიძლება დავასრულოთ ფენიების მოძრაობის ისტორიის შესახებ მსჯელობა. ფენიებს არ აინტერესებდათ ბრძოლის პალამენტური მეთოდები, ისინი ირლანდიაში რესპუბლიკის დამყარებას შეიარაღებული აჯანყების გზით ფიქრობდნენ, მაგრამ მათ სუსტი კავშირი ჰქონდათ მოსახლეობის ფართო ფენებთან. აქვე უნდა შევნიშნოთ ფენიების ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა, რომ მათ ინგლისის ბატონობისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლას დაუქვემდებარეს ბრძოლა მიწისათვის. ფენიებმა არ გაითვალისწინეს თავის დროზე ირლანდიელთა რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერის, ლალორის სწორი მითითება: „არასრული და უნაყოფო იქნება პოლიტიკური თავისუფლება თუ არ მოვიპოვეთ მიწაც.“[50] ფენიების მოძრაობის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ 1870 წლის ე. წ. «Land act»-ი. ამ ფაქტს გაზეთი „დროება“ აქტიურად გამოეხმაურა.[51]

ირლანდიელი ხალხი განაგრძობდა ბრძოლას მიწისა და ეროვნული თავისუფლებისათვის. ირლანდიელთა მოძრაობის ავანსცენაზე გამოდის ჩ. პარნელი, წარმოშობით ინგლისელი, მაგრამ ირლანდიის ეროვნული საქმისათვის თავდადებული მებრძოლი. 1875 წლიდან პარნელი ირლანდიელ ოპოზიციონერებთან ერთად, ინგლისის პარლამენტში, იბრძვის ირლანდიისათვის თვითმმართველობის (ჰომრული) მინიჭებისა და აგრარული რეფორმების გატარებისათვის. მას ზურგს უმაგრებს ირლანდიელი გლეხების მასობრივი ორგანიზაცია „საადგილმამულო ლიგა“ (1879 წ.) მაიკლ დევიტის ხელმძღვანელობით. ინგლისის მთავრობა იწყებს ზრუნვას ირლანდიის „დაშოშმინებაზე“, რაც გამოიხატა ლიბერალების ბელადის გლადსტონის 1881 წლის „საადგილმამულო აქტით“.

გაზეთმა „დროებამ“ 1881 წელს გამოაქვეყნა ი. გოგებაშვილის ორი წერილი: „ირლანდიის ძმიმე მდგომარეობა ინგლისის ხელში“[52], და „ირლანდიის საკითხი ინგლისის პარლამენტში და გლადსტონი“[53]. ავტორი პირველი წერილის დასაწყისში მიმოიხილავს ირლანდიის ისტორიულ მდგომარეობას და ირლანდიელთა ტრაგედიის მთავარ მიზეზად მიწის დაკარგვის ფაქტს ასახე-

---

[47] გაზ. „დროება“, 1867, № 20.

[48] იქვე, 1869, №№ 29, 43.

[49] П. Керженцев, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[50] იქვე, გვ. 41.

[51] გაზ. „დროება“, 1870, №№ 9, 12, 19.

[52] იქვე, 1881, № 77.

[53] იქვე, 1881, № 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს. შემდეგ ლაპარაკია ირლანდიელი ხალხის მღელვარებაზე და 1881 წლის „საადგილმამულო ბილზე“, რომელიც წამოაყენა ინგლისის მთავრობამ გლადსტონით სათავეში ირლანდიელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კ. მარქსი, 1881 წლის 29 აპრილს, ჟ. ლონგეესადმი მიწერილ წერილში — საადგილმამულო ბილს, რომელიც მხოლოდ მიწის მესაკუთრეებისათვის იყო სასარგებლო, გლადსტონის ძალზე მოხდენილ ტრიუკად მიიჩნევს[54].

ი. გოგებაშვილი მეორე წერილში „ირლანდიის საკითხი ინგლისის პარლამენტში“ მკითხველს აუწყებს, რომ ჯერ კიდევ სადავოა შეეა თუ არა ძალაში საადგილმამულო ბილი, ვინაიდან მას პარლამენტში უკმაყოფილებით შეხვდნენ კონსერვატორები და ზოგიერთი ლიბერალიც კი. მიუხედავად ამისა, გოგებაშვილი ამ ბილს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს, რის მიზეზსაც მართებულად და მოხდენილად ხსნის ქართული ანდაზით: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. ამიტომ, ირლანდიას ინგლისი ნებით ჩაპყვება, რომ ძალით არ იქნას ჩათრეულიო, დაასკვნის იგი[55].

გაზეთმა „დროებამ“ სხვაგვარად შეაფასა გლადსტონის და მისი პარტიის სურვილები ირლანდიელი ხალხის მიმართ: „მართალია ლიბერალები უფრო კეთილის თვალით ეპყრობიან ირლანდიას, ვიდრე კონსერვატორები, მაგრამ მაინც ირლანდიის სრულიადი ავტონომია აზრათ არა აქვთ“[56], და მართლაც, გლადსტონმა ჰომრულის ნაცვლად ირლანდიელებს „საადგილმამულო აქტი“ შესთავაზა.

გლადსტონი ყველა საკითხში, მათ შორის, ირლანდიის საკითხშიც, თავისი კლასის ინტერესებს იცავდა და ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობიდან გამომდინარეობდა. იგი იყო თავის თანამედროვეებზე უფრო შორსმჭვრეტელი პიროვნება, რომელიც დროზე მიხვდა, თუ რას უმზადებდა ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობას ირლანდიის საკითხის უფრო მეტად გამწვავება და გადაწყვიტა მიწის კანონისა და თუნდაც ჰომრულის მეშვეობით ჩაეტარებინა ზედაპირული რეფორმები, რათა თავიდან აეშორებინა ირლანდიელი ხალხის საყოველთაო რევოლუცია.

გაზეთმა „დროებამ“ ირლანდიის საკითხი ძირითადად ისტორიული სინამდვილის შესატყვისობით განიხილა. ირლანდიელი ხალხის, კერძოდ, ფენიების სამართლიანი ბრძოლის გაბედული გამოქმედებით, ინგლისის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკით, ირლანდიის საკითხის სიმწვავეს განხლვისას სოციალურ-ეკონომიკური მოტივის წინა პლანზე წამოწევით, გაზეთმა და მისმა თანამშრომლებმა შეძლეს ამაღლებულიყვნენ მაშინდელი ეპოქის მოწინავე იდეების დონემდე.

ამასთანავე გაზეთ „დროების“ გამოხმაურება, ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, დაზღვეული არ იყო ცალკეული ჩრდილოვანი მხარეებისაგან. „დროება“ გადაჭარბებულად აფასებდა 1881 წლის „საადგილმამულო აქტს“, გლადსტონის „დამსახურებას“ ირლანდიელების წინაშე, ლიბერალების პროგრესულობას და სხვა. ამისდა მიუხედავად, გაზეთის პუბლიცისტიკას აღნიშნულ პრობლემებზე ქართველი ხალხისათვის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ხელი შეუწყო ქართველი მკი-

---

[54] К. Маркс и Ф. Энгельс, Об Англии, М., 1952, გვ. 455—456.

[55] გაზ. „დროება“, 1881, № 82.

[56] იქვე, 1880, № 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხველი საზოგადოების გათვითცნობიერებას, გააძლიერა მისი ინტერესი საზღვარგარეთის ქვეყნების აქტუალური პრობლემებისადმი და ბიძგი მისცა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების გაძლიერებას.

Н. А. НАМОРАДЗЕ

ВОПРОСЫ НОВОЙ ИСТОРИИ НА СТРАНИЦАХ ГАЗЕТЫ «ДРОЭБА»

Резюме

Политическая и литературная газета «Дроэба» (1866—1885 гг.) являлась выразителем демократических идей грузинских шестидесятников, национальных и социальных интересов передовых слоев народа. Она сыграла значительную роль в общественной жизни Грузии второй половины XIX века.

Газета «Дроэба» публиковала многочисленные и интересные материалы, касающиеся проблем новой истории Европы. Помимо изложения исторических фактов, газета на своих страницах печатала статьи грузинских шестидесятников в собственной интерпретации происходящих в Европе событий. Таким образом на страницах газеты «Дроэба» были положены основы грузинского источниковедения и историографии новой истории Европы. Газета освещала такие ключевые вопросы истории Европы как франко-прусская война, Парижская Коммуна, объединение Германии, объединение Италии, ирландский вопрос, русско-турецкая война 1877—1878 гг. и т. д. Национально-освободительное движение порабощенных народов Европы были близки национальным чаяниям грузинского народа.

В статье изучена грузинская общественная мысль, касающаяся двух проблем объединения Италии и ирландского вопроса. Положительная и отрицательная интерпретация вышеуказанных проблем, данных газетой «Дроэба», рассмотрены с точки зрения марксистско-ленинской концепции.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ЭЛИБРЕКА
ЗНАНИЙ

В. Ш. ГУРУЛИ

БОЕВОЙ ПУТЬ ПИНСКОЙ ПАРТИЗАНСКОЙ БРИГАДЫ

(по новым архивным материалам)

Грузины вместе с белорусами, русскими, украинцами и представителями других национальностей принимали активное участие в борьбе за освобождение Белоруссии от гитлеровских захватчиков. Еще в разгар войны, на VI сессии Верховного Совета Белорусской ССР, состоявшейся 21-24 марта 1944 года, первый секретарь ЦК КП (б)Б, «главный партизан»[1] П. К. Пономаренко в своем докладе 21 марта среди выдающихся организаторов партизанского движения в Белоруссии назвал и двух грузин: командира партизанской бригады им. Ф. Э. Дзержинского Владимира Мануиловича Талаквадзе и командира Пинской партизанской бригады Ивана Георгиевича Шубитидзе[2].

Это было отмечено, как сказано выше, еще в разгар войны, когда бригады В. Талаквадзе и И. Шубитидзе продолжали борьбу в тылу врага (бригада В. Талаквадзе действовала в Витебской и Вилейской областях[3], а И. Шубитидзе — в Пинской области[4]).

На сессии более конкретного о грузинах—партизанах не было сказано. Во время своего выступления П. К. Пономаренко, подытоживая двухлетнюю партизанскую борьбу в Белоруссии, отметил, что на территории Белоруссии партизанами убито вражеских солдат и офицеров — 368. 371, ранено — 80. 000; уничтожено вражеских эшелонов — 8.269, паровозов — 5.912, железнодорожных вагонов — 54.573, самолетов — 284, танков — 1033, автомашин — 14. 500[5]. Разумеется, в это большое дело свою лепту внесли и грузинские партизаны.

Архивы Белоруссии сохранили интересный материал о действии Пинской партизанской бригады под руководством И. Шубитидзе[6]. Только с 20 сентября 1943 года по 25 апреля 1944 года бригада И.

---

[1] Л. И. Брежнев, Целина. См. журнал „Новый мир“, 1978, № 11, с. 6.

[2] Шостая сесія Вярхоўнага Совета БССР, 21—24 сакавіка 1944 г. Стэнографічная справаздача, Мінск, 1946, с. 35.

[3] Партархив Института истории партии при ЦК Коммунистической партии Белоруссии — филиал ИМЛ при ЦК КПСС (далее: Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии), ф. 3500, оп. 4, д. 26, л. 153.

[4] Там же, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 162.

[5] Шостая сесія Вярхоўнага Совета БССР..., с. 289.

[6] О материалах действия бригады В. Талаквадзе будет сказано в другой статье.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Шубитидзе, по неполным данным, добилась значительных успехов: убито вражеских солдат и офицеров — более 3.400, ранено — более 1000; уничтожено железнодорожных эшелонов — 39, паровозов — 34; повреждено эшелонов — 1, паровозов — 4; уничтожено и повреждено железнодорожных вагонов — более 280; уничтожено танков—более 20, автомашин — более 30; взорвано электростанций — 2, шоссейных мостов — 7, повреждено линий связи — около 40 км и т. д.[7].

* * *

Боевой путь командира Пинской партизанской бригады частично известен читателям по мемуарам, опубликованым им на белорусском языке в 1969 году[8], которые потом были переведены и на русский язык[9]. Краткие воспоминания И. Шубитидзе публиковались также в разных сборниках на польском[10] (был переведен на русский язык[11]) и русском языках[12]. Материалы о И. Шубитидзе содержаться в мемуарах В. З. Коржа[13]. Ряд сведений о И. Шубитидзе имеется в трудах грузинских[14] и белорусских историков[15].

Не входя в более подробный анализ названных источников — мемуаров партизан (довольно известны как их большая ценность, так и их недостатки и ограниченность как исторического источника, который не освобождает историка от разыскания подлинных документов, непосредственно отражавших события), считаем нужным отметить, что ознакомление с архивными материалами убедило нас в том, что опубликованные источники и, разумеется, литература, созданная в

---

[7] Подытожена нами на основании архивных материалов. См.: Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, ж. 284, лл. 1, 156. 159—163, 2—4.

[8] I. Шубітыдзе, Палескія былі, Мінск, 1969.

[9] И. Г. Шубитидзе, Полесские были, Минск, 1974.

[10] I. Szubitidze, Przyjaźń scementowana krwias. См. в книге: W jednym szeregu, Warszawa, 1969, с. 77—103.

[11] И. Г. Шубитидзе, Дружба, скрепленная кровью. См. в книге: В едином строю, Минск, 1970, с. 86—113.

[12] И. Г. Шубитидзе, Из истории совместной борьбы советских и польских патриотов на территории Белоруссии. См. в книге: Боевое содружество советского и польского народов, М., 1973, с. 226—234.

[13] В. З. Корж. Народная борьба против фашистских оккупантов на Пинщине. См. в книге: Из истории партизанского движения в Белоруссии (1941—1944 гг.). Сборник воспоминаний, Минск, 1961, с. 210—239.

[14] М. И. Кочиашвили, Грузинский народ в борьбе против немецко-фашистских захватчиков в Великой Отечественной войне 1941—1954 гг. См. в книге: Страницы из истории Грузии, Тбилиси, 1965, с. 155; его же, Страницы боевых подвигов, Тбилиси, 1969, с. 43; Его же, ქართველი პარტიზანები საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. См. журнал „საქართველოს კომუნისტი“, № 5, 1070, с. 46. История Грузии, т. III, Тбилиси. 1968, с. 239; К. В. Цкитишвили. Закавказье в партизанской войне 1941—1945 гг., Тбилиси, 1973, с. 150—151; И. П. Бабалашвили, Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом (1941—1945 годы), Тбилиси, 1975, с. 122.

[15] Гісторія Беларускай ССР. У пяці тамах, т. 4, Мінск, 1975, с. 471; Итория Белорусской ССР, Минск, 1977, с. 429.

основном на этих материалах, полностью не отражают тот героический путь, который прошли Пинская партизанская бригада и его командир И. Шубитидзе.

Цель настоящей статьи — на основе новых архивных материалов, с учетом существующей литературы осветить боевой путь прославленного грузинского партизана И. Шубитидзе.

* * *

В начале Великой Отечественной войны капитан И. Шубитидзе служил начальником артиллерии 457-го стрелкового полка, который стоял недалеко от Белой Церкви (Украинская ССР). В июле 1941 года 457-й полк был переведен на Смоленское направление и участвовал в боях за Смоленск[16]. 4 августа 1941 года, после окружения дивизии, И. Шубитидзе раненый попал в плен[17]. Его перевели в Польшу и поместили в лагерь военнопленных в г. Бяла-Подляска (Люблинское воеводство)[18]. 10 сентября 1941 года И. Шубитидзе вместе с другими отправили в Германию, но 13 сентября 1941 года в ста километрах к западу от Бяла-Подляска он бежал из эшелона[19].

После побега И. Шубитидзе начал организовывать партизанский отряд в Мендзыжец-Подляском районе (Люблинское воеводство, Польша)[20]. Партизанский отряд, созданный И. Шубитидзе, был одним из первых советских партизанских отрядов, организованных на территории Польши[21]. Пополнение партизанского отряда И. Шубитидзе в основном шло за счет бежавших из плена советских граждан и беднейшего слоя польских жителей[22]. Отряд носил имя В. И. Чапаева[23].

Отряд И. Шубитидзе действовал в Мендзыжец-Подляском, Влодавском и Люблинском районах Люблинского воеводства[24]. Географическое положение указанных районов Польши не было благоприятным для развертывания партизанского движения. Дело в том, что железнодорожные магистрали и шоссейные дороги Люблина, Парчева, Мендзыжец-Подляски, Влодавы и Прилуки давали возможность гитлеровцам быстро маневрировать карательными отрядами из гарнизонов Люблина, Хелма, Влодавы, Парчева и Мендзыжец-Подляски[25]. Поэтому на отряд И. Шубитидзе часто нападали карательные экс-

---

[16] И. Г. Шубитидзе, Полесские были, Минск, 1974, с. 7.

[17] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 46.

[18] J. Tobiasz, Na tyłach wroga, Warszawa, 1972, с. 46. И. Г. Шубитидзе, Полесские были, с. 17—18.

[19] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 46; J. Tobiasz. Na tyłach wroga, с. 48; И. Г. Шубитидзе. Полесские были, с. 22.

[20] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 46.

[21] J. Tobiasz, Na tyłach wroga, с. 46, 67.

[22] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 47.

[23] Там же, лл. 45—46.

[24] Там же, л. 43.

[25] Там же, л. 44.

педиции гитлеровцев[26]. Кроме того, открытые, безлюдные места затрудняли создание крупных партизанских отрядов и их действия[27]. Это и заставило партизанский отряд имени В. И. Чапаева под руководством И. Шубитидзе оставить территорию Польши и в марте 1942 года перейти на восточный берег реки Зап. Буг[28].

* * *

С весны 1942 года, после перехода на восточный берег р. Зап. Буг, И. Шубитидзе начал организовывать партизанский отряд в Дрогичинском, Ивановском и Жабчицком районах Пинской области, а также в Камен-Каширском районе Волынской области[29]. В частности, весной 1942 года в Своренских лесах Волынской области И. Шубитидзе создал партизанский отряд, в котором вначале числилось 28 человек[30]. Отряд действовал в Корбинском районе Брестской области, Дрогичинском, Ивановском и Жабчицком районах Пинской области, а также Камен-Каширском районе Волынской области[31]. В 1942 году отряд И. Шубитидзе пустил под откос 7 эшелонов, вступал в бой с карательными отрядами гитлеровцев 10 раз, чем спас население нескольких деревень Кобринского района Брестской области[32]. В 1942-1943 годах отрядом И. Шубитидзе были уничтожены вражеские гарнизоны в Радостове, в Олблин, в Русском, в Крымно, в Закозеле и др. Была уничтожена также железнодорожная станция в Камен—Каширском[33]. В 1943 году отряду И. Шубитидзе было присвоено имя С. Орджоникидзе[34].

Кроме отряда им. С. Орджоникидзе, И. Шубитидзе организовал три партизанских отряда из поляков, проживавших в Зап. Белоруссии, в том числе и отряд им. Тадеуша Костюшко[35]. Создание отрядов польских партизан является одной из ярких страниц в деятельности И. Шубитидзе[36].

---

[6] Там же, л. 47.
[27] Там же, л. 44.
[28] Там же, л. 45
[29] Там же, лл. 2, 28.
[30] Там же.
[31] Там же, л. 2.
[32] Там же.
[33] Там же.
[34] Там же, л. 28.
[35] Там же, л. 2.
[36] Значение вышеназванного факта определяется тем, что создание польских отрядов было затруднено благодаря антисоветской позиции польского эмигрантского правительства. Отряд польских партизан им. Т. Костюшко (создан из поляков, которые сперва находились в отряде им. С. Орджоникидзе) был первым польским партизанским отрядом в Белоруссии (см.: Братство по оружию. М., 1975, с. 115—116). Об отряде им. Т. Костюшко, созданном И. Шубитидзе, довольно пространно рассказывается в монографии польского историка Мечислава Юхневича (См.: M. Juchniewicz, Polacy w radzieckim ruchu partyzanskim. Warszawa, 1975). Впоследствии отряд им. Т. Костюшко вошел в Пинскую партизанскую бригаду.

РЕПОЗИТОРИЙ ГГУ имени Ф. Скорины

Надо отметить, что И. Шубитидзе был тесно связан с Пинским подпольным горкомом ЛКСМБ и его секретарем Э. Б. Нордманом[37]. Они вели работу по организации партизанских отрядов в Пинской области[38].

* * *

С весны 1943 года в Пинской области, где находился отряд И. Шубитидзе, широко развернулось партизанское движение[39]. В апреле 1943 года на Пинщине была создана партизанская бригада им. В. М. Молотова, а 30 августа из бригады им. В. М. Молотова была выделена Пинская партизанская бригады в составе 5 отрядов: отряд им. С. Орджоникидзе, отряд им. В. И. Чапаева, отряд им. Н. Т. Немитова, отряд им. Т. Костюшко и отряд им. И. В. Сталина[40]. Командиром бригады был назначен Иван Георгиевич Шубитидзе, комиссаром — Архип Зиновьевич Протасения, начальником штаба — Георгий Авксентьевич Дорош[41]. Вначале Пинская партизанская бригада была дислоцирована в Ивановском районе Пинской области (между Днепровско-Бугским каналом и рекой Припять)[42] и насчитывала 366 человек[43].

Перед партизанской бригадой стоял ряд вопросов организационного характера: подготовка отдельных отрядов для переброски в определенные районы, изучение местности и ознакомление с населением и т. д. Именно этими вопросами была в основном занята бригада до начала октября 1943 года[44].

Хотя вначале бригада И. Шубитидзе была занята вышеуказанными организационными вопросами, но и в этот период (в начале октября 1943 года) она имела отдельные столкновения с врагом и провела ряд боевых операций[45].

С начала октября 1943 года начинаются активные боевые действия бригады И. Шубитидзе. Но прежде чем перейдем к описанию действий Пинской партизанской бригады, несколько слов о

---

[37] Эдуард Болеславович Нордман был секретарем подпольного горкома с 14 июля 1941 года до 1 июля, 1943 года.

[38] Подпольные комсомольские органы Белоруссии в годы Великой Отечественной войны (1941—1944), Минск, 1976, с. 252; Партархив при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 3.

[39] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 3.

[40] Всенародное партизанское движение в Белоруссии в годы Великой Отечественной войны (июнь 1941—июль 1944). Документы и материалы, т. 2, книга 2, Минск, 1978, с. 325.

[41] И. Г. Шубитидзе. Из истории совместной борьбы советских и польских патриотов на территории Белоруссии. См. в книге: Боевое содружество советского и польского народов. М., 1873, с. 230.

[42] Там же.

[43] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 1.

[44] Там же, л. 156.

[45] Там же, лл. 156, 162, 163.

Национальная академия наук Беларуси

ходе событий. Как известно, после победоносного завершения битвы на Курской дуге, Красная Армия успешно продолжала наступление на Запад к границам Белоруссии[46]. 26 сентября 1943 года был освобожден первый город Белоруссии — Хотимск, районный центр Могилевской области[47]. Командование гитлеровской Германии ставило себе целью приостановить наступление Красной Армии[48]. Наступление Красной Армии сопровождалось активными действиями белорусских партизан. А именно, в сентябре 1943 года белорусские партизаны держали под ударом 46 крупных железнодорожных участков и перегонов. В сентябре и октябре 1943 года партизаны пустили под откос сотни железнодорожных эшелонов, взорвали тысячи железнодорожных рельсов, задержали и сорвали перевозку военных грузов[49].

В разгар партизанских действий в Белоруссии активно вступила в бой и Пинская партизанская бригада. Так, 6 октября 1943 года диверсионная группа отряда им. Немитова пустила под откос эшелон с живой силой, а 7 октября взорвала электростанцию в г. Янов-Полесском[50]; 14 октября 1943 года диверсионная группа отряда им. Чапаева в районе Иваново-Юхновичи (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, было уничтожено 3 паровоза и 15 вагонов[51]; 18 октября 1943 года диверсионная группа того же отряда на перегоне Иваново-Снитово (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 20 вагонов[52]; 21 октября 1943 года диверсионная группа отряда им. Орджоникидзе в районе Молотковичи-Понятычи (ж. д. Крест-Гомель) пустила под откос эшелон, уничтожила 2 паровоза и 8 вагонов с артиллерийскими боеприпасами, движение было приостановлено на 24 часа[53]; 22 октября 1943 года общими силами бригады было организовано нападение на железную дорогу Брест-Гомель в Молотоковичском, Понятычском и Бродницком районах (Пинская область). Партизаны взорвали 216 рельс, благодаря чему движение было приостановлено на двое суток[54].

В ноябре 1943 года Верховное Главнокомандование поставило перед партизанами задачу усилить помощь наступающей Красной Армии. С этой целью партизаны должны были: организовать сильные нападения на вражеские гарнизоны, уничтожить коммуникации

---

[46] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945. В шести томах, том 3, М., 1964, с. 366—367.

[47] Там же, с. 356.

[48] Там же, с. 368.

[49] Там же.

[50] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 156.

[51] Там же.

[52] Там же.

[53] Там же.

[54] Там же.

и средства связи в тылу врага, чтобы не дать возможности гитлеровцам перебросить резервы на фронт[55].

Белорусские партизаны, в том числе и Пинская партизанская бригада под руководством И. Шубитидзе, сделали все для выполнения поставленной задачи. К концу октября 1943 года бригада И. Шубитидзе значительно усилилась. По данным на 31 октября 1943 года бригада насчитывала 696 человек, в том числе: в штабе бригады — — 6, в комендантском взводе — 48, в отряде им. С. Орджоникидзе — 133, в отряде им. В. И. Чапаева—70, в отряде им. Н. Т. Немитова—110, в отряде им. Г. Костюшко — 161 и в отряде им. И. В. Сталина — 168[56].

В ноябре 1942 года бригада И. Шубитидзе провела ряд значительных боевых операций. Так, 6 ноября 1943 года диверсионная группа отряда им. Чапаева в районе Снитово-Иваново (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 8 вагонов, с военной техникой и боеприпасами[57]; 20 ноября 1943 года диверсионная группа отряда им. Сталина недалеко от Бродницы (Лунинецкий район Пинской области), у аэродрома, пустила под откос эшелон с живой силой и военным грузом, был поврежден паровоз и 6 вагонов, убито 160 немецких солдат и офицеров, ранено — 35[58]; 13 ноября 1973 года диверсионная группа отряда им. Орджоникидзе на линии железной дороги Брест-Гомель (на территории Пинской области) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 2 вагона с живой силой, убито 80 немецких солдат и офицеров, движение на железной дороге было приостановлено на 10 часов[59]; 24 ноября 1943 года диверсионная группа отряда им. Сталина в районе Янов-Полески-Бродница (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон с живой силой, были повреждены паровоз и 8 вагонов, убито 190 немецких солдат и офицеров, ранено — 50[60]; 25 ноября 1943 года диверсионная группа бригады И. Шубитидзе на железной дороге Брест-Гомель, между Пинском и Лунинец, пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз, 6 вагонов с живой силой и 8 вагонов с боеприпасами, убито 200 немецких солдат и офицеров[61]; 30 ноября 1943 года диверсионная группа Пинской партизанской бригады на линии железной дороги Лунинец-Сарни (Пинская область БССР и Ровенская область УССР) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 10 вагонов с боеприпасами[62]; в тот же день (30 ноября) диверсионная группа бригады И. Шубитидзе на железной дороге Брест-Гомель, между Пинском и Лунинец, пустила под откос эшелон, были

[55] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941 — 1945 т. 4, М., 1964, с. 25.

[56] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 21.

[57] Там же, 156.

[58] Там же, 157.

[59] Там же.

[60] Там же, л. 158.

[61] Там же.

[62] Там же.

уничтожены паровоз и 15 вагонов с живой силой, было убито 600 немецких солдат и офицеров[63]. Таков далеко не полный перечень боевых операций Пинской партизанской бригады под руководством И. Шубитидзе за ноябрь 1943 года.

В ноябре-декабре 1943 года Красная Армия вела ожесточенные бои за освобождение Белоруссии. 26 ноября 1943 года был освобожден первый областной центр Белоруссии Гомель[64], а 24 декабря — Городок[65].

Успехи Красной Армии воодушевляли партизан, которые стали еще активнее и успешнее действовать в тылу врага.

В декабре 1943 года Пинская партизанская бригада под руководством И. Шубитидзе провела ряд удачных боевых операций. Так, 4 декабря 1943 года диверсионная группа отряда им. Костюшко на железной дороге Брест-Гомель, в трех километрах от Бродницы (Лунинецкий район Пинской области) пустила под откос эшелон с живой силой[66]; 8 декабря 1943 года диверсионная группа отряда им. Сталина на железной дороге Янов-Полесск-Бродница (ж. д. Брест — Гомель) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 6 вагонов с тремя танками, было убито 130 немецких солдат и офицеров, ранено — 30[67]; 13 декабря 1943 года диверсионная группа отряда им. Орджоникидзе на железной дороге Брест-Гомель (на территории Пинской области) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 11 вагонов, убито 85 немецких солдат и офицеров, ранено — 57[68]; 25 декабря 1943 года диверсионная группа отряда им. Орджоникидзе на линии железной дороги Снитово-Янов-Полесски (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 3 вагона с боеприпасами[69]. 27 декабря 1943 года диверсионная группа бригады И. Шубитидзе на линии железной дороги Брест-Гомель, между Пинском и Лунинец, пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 9 вагонов (в том числе 5 вагонов с живой силой, а 4 — с боевой техникой), убито 170 немецких солдат и офицеров[70].

Как явствует из вышеприведенных материлов партизанская бригада И Шубитидзе с начала октября 1943 года беспрерывно устраивала диверсии на той части железнодорожной магистрали Брест-Гомель, которая проходила через Пинскую область. Значение операций бригады И. Шубитидзе заключается в том, что именно по этой ма-

---

[63] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 158.

[64] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945, т. 3, с. 375.

[65] История второй мировой войны 1934—1945. В двенадцати томах, т. 7, М., 1976, с. 373.

[66] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 158. с. 273.

[67] Там же.

[68] Там же.

[69] Там же, л. 159.

[70] Там же.

гистрали осуществлялось снабжение немецких войск в южной Белоруссии. Диверсии бригады И. Шубитидзе с 20 сентября 1943 года по 15 января 1944 года дали довольно солидный результат: пущено под откос железнодорожных эшелонов — 24, уничтожено паровозов — 25, железнодорожных вагонов с живой силой, боеприпасами и боевой техникой — 151[71]. Во время диверсии убито 1600 немецких солдат и офицеров, ранено — 150[72]. Помимо диверсии на железной дороге, бригада И. Шубитидзе 13 раз завязывала бои с противником, в результате чего было убито 217 немецких солдат и офицеров, ранено — 56[73]. Благодаря агитации во вражеских гарнизонах партизанам удалось перевести на свою сторону 71 военнослужащего врага[74]. Кроме того, в указанный период бригада И. Шубитидзе уничтожила: танков — 3, автомашин — 4, электростанций — 2, складов — 2, шоссейных мостов — 4 и линию связи на 15 км[75].

Бригада И. Шубитидзе, кроме боев, вела и агитационно-пропагандистскую работу[76].

Бригада вела агитацию среди польских полицаев, находящихся на службе у немецко-фашистских захватчиков. Этим делом, в основном, занимались партизаны из отряда им. Т. Костюшко, который был укомплектован поляками. Партизаны из отряда Т. Костюшко (25 человек) вели агитацию в Логишинском гарнизоне (Логишинский район Пинской области), где служили полицейские поляки[77]. Агитационная работа велась также и в других гарнизонах: в Телеханы (Телеханский район Пинской области), в Погост-Загородский (Логишинский район Пинской области) и в Озиричи (Пинская область)[78]. Партизаны вели также агитационную работу и среди немецких солдат, которые служили в близлежащих гарнизонах[79]. Эта работа не пропала даром. Например, 17 января 1944 года, благодаря агитации, на сторону партизан перешли 7 вооруженных полицаев поляк из Логишинского гарнизона[80]. С 14 января по 18 февраля 1944 года партизаны вели агитационную работу среди немецких солдат, благодаря чему на сторону партизан перешли 7 немецких военнослужащих (в том числе 2 вооруженных)[81].

Бригада И. Шубитидзе была тесно связана с Пинским подполь-

---

[71] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 1.
[72] Там же.
[73] Там же.
[74] Там же.
[75] Там же.
[76] Там же.
[77] Там же, л. 160.
[78] Там же.
[79] Там же, б. 163.
[80] Там же, л. 160.
[81] Там же, л. 163.

ным горкомом ЛКСМБ. Бригада И. Шубитидзе являлась одной из баз Пинского подпольного горкома ЛКСМБ[82].

Бригада И. Шубитидзе на территорию Польши посылала отдельные диверсионные группы. Хотя это не носило систематического характера, но такие мероприятия не проходили бесследно. Например, 2 ноября 1943 года диверсионная группа бригады И. Шубитидзе в районе г. Люблина пустила под откос эшелон врага[83].

Командованию фашистской Германии, после поражения в Белоруссии осенью 1943 года, все-таки удалось временно стабилизовать линию фронта. К концу 1943 года линия фронта проходила через Невель и восточнее Витебска, Могилева и Мозыря[84]. В этот период (начало 1944 года) усиление партизанского движения в Белоруссии имело особо важное значение, потому что немецкое командование в ожидании наступления Красной Армии в начале 1944 года провело большую работу по укреплению северо-западного и западного участков советско-германского фронта. В частности, стали строить оборонительные сооружения, провели перегруппировку войск и усиление их в тех районах, где ожидалось наступление Красной Армии. Большое внимание уделялось созданию резервов, маневрирование которых дало бы возможность немецкому командованию приостановить наступление Красной Армии[85]. Разумеется, для срыва мероприятий немецкого командования большое значение придавалось действиям партизан.

С начала 1944 года бригада И. Шубитидзе, которая на 15 января 1944 года насчитывала 486 вооруженных партизан[86], продолжала активные действия в тылу врага и в январе-феврале 1944 года провела ряд успешных операций. Так, 16 января 1944 года диверсионная группа отряда им. Орджоникидзе в районе Молотковичи-Понятычи (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, было уничтожено 7 вагонов с живой силой, убито 190 немецких солдат и офицеров, ранено — 170[78]; в те же дни (14 января) одна диверсионная группа отряда им. Сталина в районе Молотковичи-Понятычи пустила под откос эшелон, было убито 120 немецких солдат и офицеров[88], а другая группа отряда им. Сталина на железной дороге Брест-Гомель (территория Пинской области) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз, 4 вагона и 9 платформ с 20-ю танками, было убито 100 немецких солдат и офицеров[89]; 20 января 1944 года группа отряда им. Сталина в районе Юхновичи (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос

---

[82] Подпольные комсомольские органы Белоруссии в годы Великой Отечественной войны (1941—1944), Минск, 1976, с. 252.

[83] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 156.

[84] История второй мировой войны 1939—1945, т. 8, М., 1977, с. 43.

[85] Там же, лл. 58—59.

[86] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 1.

[87] Там же, л. 159.

[88] Там же.

[89] Там же, л. 160.

ОЛИМПОЗЕЛ ЗАЕЛЕНИЛОВ

эшелон, были уничтожены паровоз и 11 вагонов, убито 250 немецких солдат и офицеров[90]; 22 января 1944 года диверсионная группа отряда им. Чапаева в районе Снитово-Иваново (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон с военной техникой и живой силой, были уничтожены паровоз и 12 вагонов[91]; 26 января 1944 года диверсионная группа отрядов им. Орджоникидзе в районе Иваново-Пинск (ж. д. Брест-Гомель) взорвала эшелон (паровоз и 16 вагонов), было убито до 300 немецких солдат и офицеров, ранено — 340, движение на железной дороге было приостановлено на 12 часов[92]. 31 января 1944 года диверсионная группа отряда им. Сталина в районе Иваново-Юхновичи (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 4 вагона[93]; 3 февраля 1944 года группа партизан отряда им. Сталина в районе Юхновичи-Молотковичи (ж. д. Брест-Гомель) пустила над откос эшелон, были уничтожены паровоз и 20 вагонов, нагруженные 2000 ящиками с патронами и 15 минометами, убито 217 немецких солдат и офицеров, ранено—340[94]; в тот же день (3 февраля) группа партизан отряда им. Немитова в районе Иваново-Борейко (ж. д. Брест-Гомель) пустила под откос эшелон, был поврежден паровоз и 10 вагонов (4 вагона с живой силой, а 6 вагонов — с боевой техникой), было убито 100 немецких солдат и офицеров[95], 20 февраля 1944 года группа партизан отряда им. Сталина на железной дороге Брест-Гомель (территория Пинской области) пустила под откос эшелон, были уничтожены паровоз и 9 вагонов (в том числе 4 вагона нагруженные автомашинами), убито 62 немецких солдат и офицеров, ранено — 37[96].

Именно вышеуказанные материалы имел в виду первый секретарь ЦК КП(б) Белоруссии П. К. Пономаренко, когда на VI сессии Верховного Совета Белорусской ССР 21 марта 1944 года одним из организаторов партизанского движения в Белоруссии назвал прославленного сына грузинского народа Ивана Шубитидзе[97].

В марте 1944 года Верховное Главнокомандование приняло решение начать наступление войск трех украинских фронтов с целью полного освобождения Правобережной Украины. Если бы наши войска освободили Ровно и Луцк, это давало возможность войскам 1-го Украинского фронта развить наступление на Ковель, а затем на Брест. Для наступления на этом направлении был создан 2-й Белорусский фронт[98]. 61-я армия 2-го Белорусского фронта имела задание

---

[90] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 350, оп. 4, д. 284, л. 160.

[91] Там же.

[92] Там же.

[93] Там же, л. 161.

[94] Там же.

[95] Там же.

[96] Там же.

[97] Шостая сесія Вярхоўнага Совета БССР ..., с. 35.

[98] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945, т. 4, М., 1964, с. 76.

ЭЛИЗЕЕВА
ЭЛЕКТРОНИКА

занять фронт от устья р. Птичь до Столина (Столинский район Пинской области) и тем самым охранять правый фланг фронта[99]. Таким образом линия фронта проходила по той территории (Давид-Городокские и Столинские районы Пинской области), где находилась бригада И. Шубитидзе.

1 апреля 1944 года И. Шубитидзе получил приказ от полковника Кученова, командира 212 стрелковой Кричевской дивизии 9-го стрелкового корпуса 61-й армии 2-го Белорусского фронта. В приказе было сказано:

«В соответствии с приказом корпуса № 0427/111 от 1. 4. 44 г. для обеспечения левого фланга партизанский отряд[100] Шубитидзе в оперативном отношении переходит в мое подчинение.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Надежно удерживать Нобель-Нов. Млын, не допускать переправы противника через р. Припять в этом районе.
2. Держать постоянную и надежную связь с первым б-ном 669 сп»[101].

Бригада И. Шубитидзе приступила к выполнению приказа.

4 апреля 1944 года враг попытался перейти р. Припять, но ему преградил путь отряд им. Немитова и не допустил переход врага на другой берег. В сражении было убито 35 немецких солдат[102].

Немецкое командование на Ковельском направлении сосредоточило большое количество войск, поэтому войскам 2-го Белорусского фронта не удалось взять Ковель. 15 апреля 1944 года наступление наших войск было приостановлено.

17 апреля 1944 года от командования 61 армии И. Шубитидзе получил приказ, где было сказано:

«Согласно распоряжения Военного Совета Белорусского фронта № 6080/111 от 14.4.44 в/Вам бригада полностью передана в мое подчинение.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Занимаемый Бригадой боевой участок передать по акту командиру 1/669 сп 212 сд майору Жукову, оставив на занимаемом участке, до полного оформления передачи, не менее 150 человек.
2. Весь остальной состав и имущество Бригады сосредоточить в м. Домбровица[103].

---

[99] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945, т. 4, М., 1964, с. 80.

[100] В документе ошибочно вместо «партизанская бригада» написано «партизанский, отряд».

[101] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, . 3500, оп. 4, д. 284, л. 107.

[102] Там же, л. 162.

[103] Поселок и станция на линии ж. д. Лунинец-Сарны.

Вам лично прибыть ко мне за получением указаний по дальнейшему использованию бригады.

3. Под Вашу личную ответственность предупреждаю, что личный состав, вооружение, транспорт, остальное имущество бригады полностью должны быть доставлены в район сосредоточения бригады (м. Домбровица).

4. Предъявитель сего майор Бут»[104].

Бригада И. Шубитидзе успешно справилась с новым поручением. Партизаны его бригады продолжали успешно сражаться рука об руку с регулярными частями и не посрамили славной боевой традиции партизан. В боевой характеристике, выданной 18 апреля 1944 года командованием 9-го гвардейского стрелкового корпуса 61-й армии читаем:

«Пинская партизанская бригада под командованием тов. Шубитидзе за период нахождения оперподчинения 9 ГВ. СК показала себя только с положительной стороны. Занимаемый бригадой рубеж прочно удерживался, не допуская просачивания противника на наши тылы и фланги. Противник неоднократно пытался выбить подразделения бригады из занимаемых опорных пунктов, но всегда получал серьезный отпор и, неся большие потери в живой силе, отходил в исходное положение. Находясь на левом фланге корпуса, бригада оказывала серьезную помощь в его обеспечении. За этот период бригада имела двух пленных»[105].

В конце мая 1944 года Пинская партизанская бригада ввиду того, что те районы, где бригада действовала (восточная часть Пинской области) были заняты частями Красной Армии, была расформирована. Не был расформирован только партизанский отряд им. Т. Костюшко, который был переброшен на территорию Польши[106].

Доблестного сына грузинского народа Ивана Георгиевича Шубитидзе за проявленное мужество в борьбе против гитлеровских захватчиков и умелое руководство партизанской бригадой, правительство СССР наградило орденом Красной Звезды и двумя орденами Красного Знамени, а братья-белорусы в знак благодарности избрали его почетным гражданином города Пинска. Правительство Польской Народной Республики наградило И. Г. Шубитидзе орденом «Грюнвальдский Крест»[107].

И. Г. Шубитидзе скончался в Тбилиси 13 января 1978 года.

---

[104] Партархив ИИП при ЦК КП Белоруссии, ф. 3500, оп. 4, д. 284, л. 115.

[105] Там же, л. 109.

[106] И. Г. Шубитидзе, Из истории совместной борьбы советских и польских патриотов на территории Белоруссии. См. в книге: Боевое содружество советского и польского народов. М. 1973, с. 243.

[107] ვაზ. „თბილისი“ 1978 წლის 18 იანვარი (№ 15) გვ. 4.

Представлена отделом истории Великой Отечественной войны Института истории, археологии и этнографии АН ГССР.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ფარაფენიძე

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲠᲘᲡ III ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ

შუმერის საზოგადოების ეკონომიკური ისტორიის შესწავლისთვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მეურნეობის მუშა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის განკუთვნილ რაციონთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახ. დროინდელი შუამდინარეთის პრაქტიკაში მოქმედი რაციონის სისტემა ზოგად ხაზებში დამუშავებული ᲐᲥᲕᲡ. გელბს თავის სტატიაში: „ძველი მესოპოტამიის რაციონის სისტემა“[1], რომელიც ამ დარგში პირველ ნაშრომს წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, მასში გაანალიზებულია მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობის მუშა პერსონალის რაციონის შემადგენლობა. პრობლემის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით კი საჭიროა მომავალში გაგრძელდეს მუშაობა შემდეგი მიმართულებით: მეეთრად გავმიჯნოთ ურთიერთისაგან რაციონის სისტემა და შრომის ანაზღაურების სისტემა; გაანალიზებულ იქნას სხვადასხვა შემადგენლობის მქონე რაციონთა როდენობრივი ცვლილებადობის მექანიზმი და მიზეზები; ცალ-ცალკე დავადგინოთ და შემდეგ შევუდაროთ ურთიერთს სახელმწიფო მეურნეობის მუშა პერსონალისა და ადმინისტრაციული დარგის მუშაკთა რაციონები, დადგინდეს მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების დონეები.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ამჯერად განვიხილავთ სახელმწიფოს ადმინისტრაციული პერსონალის მხოლოდ ერთი ჯგუფის, კერძოდ, კურიერების რაციონის ყოველდღიური ნორმების შემადგენლობისა და სიდიდის საკითხებს ურის III დინასტიის (ძვ. წ. 2132-2024 წწ.) ეპოქის დროინდელი სააღრიცხვო საბუთების მონაცემებზე დაყრდნობით. შუმერის სახელმწიფო აღნიშნულ ეპოქაში მოიცავდა მთელს სამხრეთ და ჩრდილო შუამდინარეთს. სამეფო კარი სამხრეთ შუამდინარეთის უკიდურეს დასავლეთით მდებარე ქალაქ ურიდან ხელმძღვანელობდა და მუდმივ თვალყურს ადევნებდა ცალკეული ქალაქ-პროვინციების ეკონომიკურ და სამხედრო საქმიანობას კურიერ-მალემსრბოლთა (kas$_4$) მთელი არმიის მეშვეობით[2]. იმპერიის სხვადასხვა მხარეში ყოველდღიურად იგზავნებოდა კურიერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. მათ თან მიჰქონდათ არა მარტო სამეფო კარისა და მსხვილი ადმინისტრაციული დაწესებულებების ზეპირი თუ წერილობითი ბრძანებები, არამედ, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ფოსტაც. ელჩ-კურიერთა (sukkal, kas$_4$) შემწეობით ხორციელდებოდა აგრეთვე ფართო დიპლომატიური ურთიერთობანიც შუამდინარეთის საზღვრებს მიღმა მდებარე დიდ თუ მცირე პოლიტიკურ ერთეულებთან[3].

---

[1] I. J. G e l b, The Ancient Mesopotamien Ration System, JNES 24, (1965), გვ. 230 243. ძველბაბილონურ ეპოქაში მოქმედი რაციონის სისტემას ეძღვნება ნ. კოზირევას სტატია: «Нормы потребления в старовавилонской Месопотамии», ВДИ, 1972, № 2, გვ. 94—99.

[2] ОГСДШ, გვ. 260.

[3] შეად. Th. J a c o b s e n, Early Political Development in Mesopotamia, ZA, 52 (1957), გვ. 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზად მიმავალი კურიერ-მალემსრბოლების მომსახურება იმპერიის მთავარ პუნქტებში—ურიდან მოკიდებული ვიდრე ნიფურამდე—ეფალებოდათ სპეციალურ საელჩო დაწესებულებებს — ელჩ-კურიერთა სახლებს (é-sukkal, é-kas$_4$), რომლებიც მეფის შიკრიკებს შეუფარხენლად ამარაგებდნენ სურსათით, ტანსაცმლით, ტრანსპორტითა და ბინით[4]. საელჩო-საკურიერო საქმიანობის ძირითადი დეტალები დაწვრილებით ფიქსირდებოდა შუმერებისათვის დამახასიათებელი ზეციმწიველნით ნიზუსტით, რის შედეგადაც შეიქმნა საუწყებო-საანგარიშო ტექსტების შემცველი ათასობით თიხის ფირფიტა, რომელთაც პირობითად ვუწოდებთ «კურიერთა ქვითრებს“[5]. ამ ხასიათის დოკუმენტები უმეტესწილად მიმდინარეობენ ლაგაშიდან (დღ. თელო,), უმადან (დღ. ჯოხა) და ფუზრიშ-დაგანიდან (დღ. ფრეჰმი). ამათ შორის ცნობათა სიუხვით გამოირჩევა ლაგაშური საბუთები.

რაციონი თუ ზრდის ანაზღაურება?

როგორც აღვნიშნეთ, ურიდან ნიფურამდე გადაჭიმულ ცენტრალურ გზაზე ყოველი 20 კმ-ის მოშორებით მდებარე დასახლებულ პუნქტებში განლაგებული საელჩო დაწესებულებები გზად ჩავლილ კურიერებზე გასცემდნენ საკვებს. კურიერთა ქვითრების შესანახი კალათების ეტიკეტთა ტექსტებში ეს საკვები იხსენება ტერმინით sá-du$_{11}$ -kas$_4$[6], რომელიც ზოგადად შეიძლება ვთარგმნოთ ასე: «კურიერთა სარგო, რაციონი“[7].

მოყვანილი ტერმინიდან, რა თქმა უნდა, არა ჩანს, თუ რა დანიშნულებით იყო გაცემული ნაგულისხმები პროდუქტები, მაგრამ ამის გარკვევაში გვეხმარება ლაგაშიდან მომდინარე კურიერთა ქვითრების ტექსტთა შემდეგი მონაცემები: 1). აღნიშნულ დოკუმენტებში ყოველთვის მითითებულია, თუ საიდან მოდის ან სად მიდის *კურიერი, რომელზედაც გაიცემა პროდუქტები*. აქედან ჩანს, რომ ეს პროდუქტები მხოლოდ და მხოლოდ საგზლის დანიშნულების მქონეა. 2). ხშირად პირდაპირაა ნათქვამი, რომ საკვები კურიერს ეძლევა გზაში (kaskal-šè)[8] მოსახმარად ანდა ქალაქში (sè-uru)[9] დროებით დარჩენის დროს თავის გამოსაკვებად. 3) პრო-

---

[4] დაწვრილებით იხ. Дж. М. Шарашенидзе, Посольские учреждения в эпоху III династии Ур, ჟრნ. «Вопросы древней истории», V, 1977, გვ. 23—45.

[5] დღეისათვის გამოვლენილი, გამოქვეყნებულია ან აღწერილია ამ რიგის ათიოთასამდე დოკუმენტი.

[6] Ник. II, 281: 11; BRM III, 1: 10; 2: 11; 3: 15; 5: 9; 7: 20; 10: 11; 12: 7; 25: 15; 30: 22; GDD, 341: 12; 360: 7; 405: 8; 407: 9; 457: 8; UDTP, 160: 10, 160a: 10; 161: 10; TCL II, 99: 9.

[7] რიგი ეტიკეტის ტერმინს sá-du$_{11}$, *sattukku* შესაბამისი კონტექსტების გასაღერ ყველგან თარგმნიან როგორც „რეგულარული სარგო, რეგულარული გასაცემი, რეგულარული შესაწირი“ (იხ. ŠL II, 457: 39b; MSL I, 72: 5 A$_3$ 3'; SACTI, გვ. 278; WMAH I, გვ. 376). კურიერთა ქვითრების მონაცემები კი მიგვითითებენ, რომ აღნიშნულ ტერმინს ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში აქვს ზოგადად „სარგოს, ნორმის, რაციონის“ მნიშვნელობა (იხ. RTC, 344: 1—3; შეად. HLC I, 217: 6; 237: 15; 310: 3; 345: 6; AT, 61: 8; 120: 7; AB XXV, 83: 4; MOS XVI, 199: 8; 214: 13; 217: 12; RTC, 340: 2; 341: 2; 371: 2; 376: 15; 378: 3; SADI, 16: 17; ASM XVI, 49: 16; EU, LXXXII; 7, 15; ITT III 2, 4939: 3,6). ჩვენეული თარგმანი შეად. AAS, გვ. XIII

[8] სათანადო დოკუმენტების სიმრავლის გამო მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთებზე: HLC II, 105: 30; 122: 2,6, 9, 14, 17; 127: 5, 11, 14, 21; III, 212: 11, 15; ITT V, 6990: 8; HSS IV, 56: 4, 10, 22; 63: 5, 15, 24; 66: 5,8; MOS XVI, 212: 3; RTC, 322: 6; 336: 3; ABTR, 13: 2, 6, 11, 15; ASM XVI, 84: 3; 85: 7 და სხვ.

[9] HLC II, 125: 2, 4, 13; III, 162: 10; 218: 1, 4, 12; 227: 1, 8, 11; 280: 2, 10; HSS IV, 78: 1, 5, 9, 14, 19; 88: 7, 21; AB XXV, 81: 1, 11, 18; RTC, 338: 1; 339: 2; TBT, 3: 10; TEL, 52: 2; 56: 4; CUOS III, 22: 1, 7, 13, 16 და სხვ. მრავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქტები გაიცემოდა ღღიურად მხოლოდ დასაქმების, მოგზაურობის პერიოდისათვის. ამ უკანასკნელ გარემოებაზე ქვემოთ დაწვრილებით შეეჩერდებით. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნაგულისხმები პროდუქტების გაცემას აქვს მხოლოდ საგზლის დანიშნულება და არა შრომის ანაზღაურების მნიშვნელობა. ამდენად, არაა სწორი რიგი ავტორების მიერ კურიერებზე გაცემული საკვები პროდუქტების „შრომის ანაზღაურებად" გამოცხადება[10].

რაც შეეხება კურიერთა შრომის ანაზღაურების საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ურის III დინასტიის ეპოქაში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით სახელმწიფოს ადმინისტრაციული თუ რელიგიური პერსონალის წარმომადგენელთათვის გამოიყოფოდა სპეციალური მიწის ნაკვეთები, რომელთა დამუშავება წარმოებდა სახელმწიფო მეურნეობის მუშახელის ძალებით, ხოლო მიღებული მოსავალი ხმარდებოდა აღნიშნული თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას[11]. ეს იყო სწორედ მათი სამსახურისათვის გასამრჯელო, რაც შრომის ანაზღაურების სავსებით შესაფერისი და გამართლებული ფორმაა ნატურალური, არასასაქონლო მეურნეობის ბატონობის პირობებში.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მსგავსი წესითვე ხდებოდა ელჩ-კურიერთა შრომის ანაზღაურებაც. სათანადო დოკუმენტების მონაცემებიდან ჩანს, რომ მათთვისაც გამოიყოფოდა სპეციალური დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ლაგაშიდან მომდინარე საბუთებში იხსენიება საელჩო-საკურიერო საქმის ხელმძღვანელი პირის სუქალმახისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი (a-šà sukkal-maḫa)[12]. მსგავსი ნაკვეთები გამოიყოფოდა სამეფო კარზე მომუშავე რიგითი კურიერებისათვისაც (a-šà sukkal-i-du$_8$)[13]. ლაგაშის ახლოს არსებობდა კარის სუქალთა დასახლებაც კი (é-duru$_5$ sukkal-i-du$_8$)[14]. იმავე საბუთში იხსენიება ამ დასახლების ბეღელი (i-dub-é-duru$_5$-sukkal-i-du$_8$)[15] და ა. შ.

კურიერთა რაციონის შემადგენლობა

პროდუქტებს კურიერებზე გასცემდნენ ძირითადად ინდივიდუალურად, ზოგჯერ კი ჯგუფურადაც. ეს უკანასკნელი შემთხვევები დამოწმებულია უმთავრესად უცხოელი ელჩ-კურიერების მიმართ[16]. ჯგუფურად გამოწერილ საკვებს აძლევდნენ ჯგუფის ხელმძღვანელად შერჩეულ პასუხისმგებელ პირს, რომელიც აღნიშნებოდა ტერმინით giri[17].

---

[10] Ch. -F. Jean, L'Elam sous la dinastie d'Ur, RA 19 (1922), გვ. 21; N. Schneider, Die Drehem-und Djoha —Urkunden der Strassburger Universität und Landesbibliothek, Roma, 1931, გვ. 6.

[11] А. И. Тюменев, Государственное хозяйство древнего Шумера, М.-Л., 1956, გვ. 316; SETU, გვ. 291. საბუთებში არა ერთხელ გვხვდება ამგვარი დანიშნულების ნაკვეთების მოხსენიება (იხ. UNL I 1/2, №, 195, 300, 301, 509, 537, 603, 662—663 706, 707, 718, 719, 732, 734, 769, 810, 858.

[12] ITT IV, 7073: 7500; შეად. UNL I 2, 734.

[13] ITT IV, 7085: 11; შეად. UNL I 2, 732.

[14] ITT IV, 7156: 2=MVN VI, 153: 2.

[15] იქვე.

[16] შეად. RTC, 328: 1—2; 345:1—3, 11—13; 372:1—2; 379: 1—6; 382: 5—7; 385:9—11; 389:11—12; 396:6—9; HSS IV, 67: 6—7; 368: 3—4; 74:18—20; 82: 3—4; ITT V, 6782:8—9; 6790: 5—7; ASM XVI, 80: 23—24; SRIA, 173:17; ABTR, 12:16—17; AT, 115:1—11; HLC II, 131: 17—18; III, 166:28—29; 168: 18—19; 344: 15—16 და სხვ.

[17] შესაბამისი დოკუმენტები იხ. აქვე, შნშ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგაშიდან მომდინარე დოკუმენტების მონაცემებით დგინდება, რომ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურადაც გაიცემოდა შემდეგი პროდუქტები: ლუდი სხვადასხვა ხარისხისა, პური ან შესაბამისი რაოდენობის ფქვილი, ზეთი და ცხვრის ქონი[13]. ქვემოთ მოკლედ შევეხებით მათ ცალ-ცალკე.

ა). ს ა ს მ ე ლ ი (kaš, š i k a r u)

ლ უ დ ი. ძვ. წ. III—II ათასწლ. დროინდელ შუამდინარეთში ცნობილი იყო სამი სახის ლუდი: ქერის (še, š e u), ემერისა (zíz, k u n ā š u) და შერეული ლუდი. ქერისაგან (ემერის მინარევის გარეშე) ამზადებდნენ 8 ხარისხის ლუდს, ემერისაგან კი მიიღებოდა ასევე 8 ხარისხის საკმაოდ კარგი და ძვირად ღირებული ლუდი. ცნობილი იყო ავრეთვე შერეული ლუდის ორი ხარისხიც, რომელსაც ღებულობდნენ როგორც ქერის, ასევე, ემერის ნედლი მასალის დადუღებით, გასქელებით. ასე რომ ძვ. წ III ათასწლ. დროინდელ შუამდინარეთში იცნობდნენ 18 ხარისხის ლუდს[19].

ლაგაშისა და უმას საელჩო-საკურიერო დაწესებულებები გასცემდნენ შემდეგი ძირითადი ხარისხის ლუდს:

1. kaš, š i k a r u „ლუდი; სასმელი“.
2. kaš-gin „ჩვეულებრივი ხარისხის ლუდი, საყოველდღიურო ლუდი“[20].
3. kaš sig5 „კარგი ხარისხის ლუდი“[21].
4. dida (KAŠ. Ú. SA), b i l l a t u „შერეული ლუდი“[22].

ამათგან პირველი ტერმინის შესახებ შევნიშნავთ შემდეგს. უმადან მომდინარე კურიერთა ქვითრების მონაცემებით ჩანს, რომ ზოგადი ტერმინით kaš აღინიშნებოდა როგორც ჩვეულებრივი, ასევე კარგი ხარისხის ლუდი გარდა შერეული ლუ-

---

[18] ქალაქ უმაში კურიერთათვის შედგენილ რაციონებში ყოველთვის შეჰკერნდათ შემდეგი პროდუქტები: ლუდი, პური, ზეთი, ხახვი, სანელებელი (naga), ზოგჯერ კი თევზიც. ფუზრიშ-დაგანში კი კურიერთათვის ჯგუფურად გაიცწურნენ მხოლოდ ხორცს, ზოგჯერ ლუდსა და პურს.

[19] დაწერილებით ამ საკითხზე იხ. H. F. L u t z, Viticulture and Brewing in the Ancient Orient, Leipzig, 1922; E. H u b e r, Bier und Bierbereitung im alten Babylonien, წიგნში: Bier und Bierbereitung bei der Völker der Urzeit, I. Babylonien und Ägypten, Berlin, 1926, გვ.9—28; W. R ö l l i g, Das Bier im alten Mesopotamien, Berlin, 1970: შეად. F. H r o z n y, Das Getreide im alten Babylonien, I, Wien, 1914.

[20] ამგვარი თარგმანი მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ სავსებით სწორადაა შემოთავაზებული ტერმინის შემადგენელი მეორე ნაწილის მნიშვნელობისა (gin, a l ā k u „სელ ა, სიარული“) და ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ფართოდ გავრცელებულობის გათვალისწინებით (k aš-gin, სიტყვ. „გასაღლის მქონე ლუდი“, შეად. GAB I, გვ. 143; BBVU, გვ. 17; UTZL, 36: 1; WMAH I, 146: 2,6 და სხვ.). კურიერთა ქვითრებში დასმული ტერმინი აღნიშნული ხარისხის ლუდის შე დარებთი ხარისხივ: kaš-gin-lugal „ჩვეულებრივი ხარისხის სამეფო ლუდი“. (იხ. ITT II 1, 641: 1; v, 6987: 1; TBT, 3: 1; EU, I:8; XCVIII: 20; RTC, 396: 6; MOS XVI, 195: 16; ABTR, 2: 1).

[21] ზოგჯერ მას თარგმნიან როგორც „წმინდა ლუდი“ (იხ. GAB I, გვ. 148, 205; VBAO, გვ. 86; BBVU, გვ. 17) ანდა „პირველი კლასის ლუდი“ (იხ. WMAH I, გვ. 146: 1). კურიერთა ქვითრების მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ჩვეულებრივ ლუდთან (kaš-gin) შედარებით იგი ორჯერ უკეთესი ხარისხისა იყო (იხ. TEL, 51: 1,5; EU, CXIII: 1, 5; WMAH I, 238: 1).

[22] შერეული ლუდის რეცეპტის შესახებ იხ. BBVU, გვ. 12. კურიერთა ქვითრებში გვხვდება შერეული ლუდის ორი ხარისხი: dida—gin „ჩვეულებრივი (ხარისხის) შერეული ლუდი“ (იხ. EU, CX: 1; AT, 63:1) და dida-sig5 „კარგი (ხარისხის) შერეული ლუდი“ (იხ. EU, VI: 16; ITT III 2, 2155:11). შერეულ ლუდს გასცემდნენ რუზეთ—5 სილიანი, 10, 15, 20, და 30 სილიანი დოქებით (შეად. AOS XXXII, G 12, ზწმ. a: დოკუმენტები იხ. Ник. II, 218:3; HEU, 71: 17; MVN I, 156:13; YBT IV, 3:2; ШТЭ, 3: 22; 6:2; UCP IX 2, 123: 5, 12, 13; TCSD, 312: 2; UDTP, 167:24; 169:31 და სხვ.).

დისა. ნაგულისხმები დოკუმენტების ციფრობრივი მონაცემების ჯამში ხშირად მითითებულია „კარგი (ხარისხის) ლუდი“ (kas-sig$_5$) ხოლო ძირითადი ტექსტის საბანაღო ადგილზე ყოველთვის წერია ლუდის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი kaš[23]. სხვა შემთხვევებშიც მწერალი ტექსტის დასაწყისში მიუთითებს ლუდის კონკრეტულ ხარისხზე kaš-gin[24] ან kaš-sig$_5$[25], ხოლო შემდეგ აღარ იმეორებს მათ და წერს მხოლოდ ზოგად ტერმინს kaš. აღნიშნული გარემოება გვაძლევს უფლებას, რომ კურიერთა ქვითრების ტექსტებში მითითებული ლუდის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინის ქვეშ ვიგულისხმოთ სხვადასხვა ხარისხის ლუდი, საერთოდ კი, სასმელი.

ბ) ს ა ჯ მ ე ლ ი (ninda, *akālu*)

კურიერთა საჯმლის მნიშვნა შედეიდა: გამომცხვარი პური (ninda), ფქვილი (zì)მცენარეული (სეზამის) ზეთი (ì, i-giš) და ცხოველური (ცხვრის) ქონი (i-udu). ჯგუფურად გამოწერილ რაციონში ზოგჯერ შეჰქონდათ ხორციც (uzu), მაგრამ ეს ძალზე იშვიათად.

პ უ რ ი დ ა ფ ქ ვ ი ლ ი. კურიერთა ლაგაშურ რაციონში გვხვდება ძირითადად ორი სახის პური: „ქერის პური“ (ninda-še), ორმელიც კურიერთა ქვითრების ტექსტებში გადმოცემულია პურის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინით ninda და „ანაცრის პური“ [26] (ninda-gaba, ninda- *gab-a*)[27]

მთელ რიგ ტექსტებში პურის მაგიერად იხსენიება ფქვილი ძირითადად ორი სახის—„ქერის ფქვილი“ (Zì. ŠE, იკითხება tapin, *tapinnu*), რომელიც სათანაო საბუთებში გადმოცემულია ფქვილის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინით zì, *qēmu* და მეორე „ბარლის ფქვილი“ (zì-gu)[28].

აქ სპეციალურად გვინდა მივუთითოთ შემდეგ გარემოებაზე. კურიერებზე ფქვილის გაცემას აწარმოებდნენ მხოლოდ ლაგაშში. უმასა, და მით უმეტეს ფუზრიშ-დაგანის, დოკუმენტებით მსგავსი შემთხვევები დამოწმებული არაა. ლაგაშური საბუთების მონაცემებით თითქოს შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია: ფქვილი შეაქვთ უმთავრესად ჩამოსული კურიერების რაციონებში[29], რაც საეჭვებით გასაგებია: ადგილზევე შეეძლოთ კურიერებს ფქვილი გამოეცხობინებინათ პურად, მაგრამ ძალზე ძნელი ასახსნელია ის, თუ რას ითვა-

---

[23] GDD, 207: 16 და 1; 448:16 და 4; KDD, 44:28 და 1, 4, 7; AnOr I, 181: 23 და 1,3; 225: 11 და 1; 227: 13 და 5 და სხვ.

[24] Hmk. II, 357: 19 და 5, 6, 8 და შმდ.; HEU, 36:31 და 10, 13, 19 და შმდ.; GDD, 207: 16 და 4,7 და შმდ.; 299: 10 და 4, 7; 381:13 და 1,5 და შმდ.;AnOr I, 131:9 და 1 და შმდ.

[25] SETU, 221: 1; 222:1; 223:1; 224:1 და სხვ.

[26] შეად. AOS XXXII, გვ. 249. ანაცერს ძირითადად ხმარობდნენ ფურაკად ცხოველების გამოსაკვებად (იხ. A. D e i m e l, OrSP 14 (1924), გვ. 64), მაგრამ დამოწმებულია შემთხვევაც, როცა „კარგი ხარისხის ანაცერს (gaba-lugal, სიტყვ. „სამეფო ანაცერი“) საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოუწერენ გარკვეული კატეგორიის მუშებს (LUGAL (sur$_x$)-ra-ùs-sa. იხ. Umma, 21:1—2) ისინი სასახლეში უნდა ყოფილიყვნენ დასაკმაყოფილ.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დადასტურებულია მცირე მოსავლიანობის დროს საკვებად ქერის ანაცრისგან გამოცხვარი პურის გამოყენების შემთხვევა (ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ ნ. ბრეგაძეს). ამავე მიზნით იყენებდნენ დიკის ანაცერსაც (გავიხსენოთ ხალხური ლექსი: „ვენაცვალე ქერის პური; ანაცერო დიკისაო, შებრალება უნდა გკონდეს, ჩემისთანა ბიჭისაო“).

[27] HLC III, 151: 2, 6, 10; AT, 105: 2, 6; HSS IV, 84: 2; TEL, 39: 1.

[28] თარგმანი ეკუთვის ა. ოპენჰაიმს (იხ. AOS XXXII, გვ. 250; შეად. HAM I, გვ. 216; SP, გვ. 434).

[29] HLC II, 131; III, 162; 166 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინებდნენ, როცა ამა თუ იმ პირს ფქვილს ატანდნენ საგზლად[30]. ისეთი შემთხვევებიც კი არის დამოწმებული, როცა კურიერს ქალაქში აძლევენ პურს, ხოლო გზაში — ფქვილს[31]. ჯერჯერობით ჩვენთვის ძნელია იმის გარკვევა, თუ რით შეიძლება აიხსნას ასეთი, ერთი შეხედვით უცნაური გარემოება[32].

ზეთი და ქონი. კურიერთა რაციონში ძირითადი ადგილი უჭირა მცენარეულ (სეზამის) ზეთს (i-giš, *ellu*, *šamaššamū*), რომელიც სპეციალურად უმთავრესად გადმოცემულია ზეთის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინით ì, *šamnu*[33].

რაციონში ზეთთან ერთად ზოგჯერ შეჰქონდათ ცხვრის ქონიც (i-udu, lipû). ზეთსა და ქონს გასცემდნენ სიკლობითა და „აგამობით“ (á-gam)[35]. რაციონებში, როგორც წესი, გვხვდება 2 სიკლი ან 1 აგამი ზეთი. მოცულობით ისინი ტოლია[36].

რაციონის ინდივიდუალური ნორმები

ლაგაშური დოკუმენტების მონაცემები იძლევიან საშუალებას ზუსტად დავადგინოთ კურიერთათვის განკუთვნილი ინდივიდუალური დღიური რაციონის ნორმები როგორც დაბალი, ასევე მაღალი რანგის წარმომადგენელთათვის[37]. ქვემოთ წარმოვადგენთ სათანადო მასალას დოკუმენტებიდან.

1. დაბალი რანგის კურიერთა ტიპიური წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი საკვების დღიური ნორმა:

1). lú-kas$_4$, *lasimu*	„მალემსრბოლი“.
₀). ($_4$ sila kaš 4 sìla ninda	4 სილა ლუდი, 4 სილა პური.
10$_3$ á-gam ì u$_4$-2-kam	2 აგამი ზეთი, 2 დღისა,
$_{11}$Šul-gi-ì-lì ^{4}lú-kas$_4$	შულგი-ილი, მალემსრბოლი[38].

[30] მსგავსი შემთხვევები იხ. HLC II, 101:31, 35; 106, passim; 111:1, 13, 22, 25; 122:2, 6, 9, 14, 17; III, 161: 1, 10, 19, 22; 166: 7, 16, 18, 22, 25 და სხვ.

[31] HSS IV, 56: 7 და 9, 19, 21.

[32] შეიძლება ეიფიქროთ, რომ ფქვილის გაცემას აუარამოებდნენ სწრაფად გასამგზავრებელ კურიერებზე სამზარეულში პურის დროებით არ არსებობის შემთხვევაში, მაგრამ როგორ მოიხსნა-და გზაში ფქვილს კურიერი მეზობელ სადგურამდე?

[33] შეად. დოკუმენტების მონაცემები: HLC I, 288: 3, 7; II, 132; 136; III, 280; ITT V, 6987; 3, 7; HSS IV, 64; Ник. II, 356: 14, 21; 357: 15, 22; 361: 1, 3, 5, 7, 9, 10, 17; HEU, 96: 1, 3, 7, 15.

[34] ცხვრის ქონით გაძღერებულ რაციონებში ძირითადი პროდუქტები (ლუდი, პური) შედარებით შემცირებულია ოთხდენობითაა წარმოდგენილი (იხ. CT X, 21256: 2, 23, 36; RTC, 390: 11; 391: 5; 392: 26; ASM XVI, 83: 10, 16; WMAH I, 227: 7, 20; EU, II: 17; III: 5; IX: 5; XXXV 17; XIX: 5; LXXX: 2, 5; XCII: 21, 25, 29).

[35] მოცულობის საზომი ერთეული á-gam = 1/15 sìla = 0,056 ლ, იხ. ŠL II, 334: 130).

[36] სიკლი, როგორც მოცულობის ერთეული, უტოლდება 1/60 სილას (იხ. HAM I, გვ. 291). როგორც წონის ერთეული იგი შეადგენს 1/60 მინას ანუ 8,4 გ (იხ. HAM I, გვ. 290). კურიერთა ქვეირებში ზეთისა და ქონის მიპართი იგი ნახმარია როგორც წონის ერთეული.

[37] სათანადო დოკუმენტებში კურიერთა მოხსენიების თანამიმდევრობისა და მათზე გაცემული საკვების ნორმათა სიდიდეების გათვალისწინებით ჩვენ კურიერებს ვყოფთ ორ კატეგორიად. დაბალ კატეგორიაში ერთიანდებიან საკუთრივ მალემსრბოლები (lú-kas$_4$) და საკერძო საქმეზე მიმავრებული რიგითი შუბოსნები (lú-giš tukula), რიგითი ქვეითი ჯარისკაცები (aga^x-ús) და რიგითი მხედრები (rá-gaba). მაღალი კატეგორიისანი კი არიან: სუქალები (sukkal), „უფროსი (სიტყვ. „დიდი“) შუბოსნები“ (lú-giš tukul-gu-la), „უფროსი ფეხოსნები“ (aga$_x$-ús-gal) და „უმცროსი ნებასნები“ (tur-nu-bànda) — მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელები.

[38] WMAH I, 221:9—11; შეად. EU, L:5—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ). „$_{1}$4 სილა ლუდი, 4 სილა ფქვილი, $_{2}$2 აგამი ზეთი, 2 დღეს, ^{3}თურაილი, მალემსრბოლი“[39].

2. lú-giš tukula შუბოსანი“.

ა). „$_{14}$6 სილა ლუდი, 6 სილა პური, ^{15}3 აგამი ზეთი, ^{16}3 დღეს, ^{17}ბაზაზა, შუბოსანი“[40]; ბ). „^{1}6 სილა ლუდი, 6 სილა ფქვილი, ^{2}3 აგამი ზეთი. 3 დღეს, ^{3}შუქუბუმი, შუბოსანი“[41]; გ). „$_{1}$4 სილა ლუდი, 4 სილა პური, ^{2}4 სიკლი ზეთი, ^{3}ლუბები, შუბოსანი.“ ^{4}ურიდან მომავალი, ^{5}რაციონი (sá—du$_{11}$) 2 დღეს,“[42].

II. მაღალი რანგის კურიერთა ტიპიური წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი საკვების დღიური ნორმა:

1). sukkal, *sukkalu* „სუქალი“.

ა). „^{1}10 (სილა) სამეფო ლუდი, ^{5}10 (სილა) პური, 4 სიკლი ზეთი, ^{6}რაციონი 2 დღეს, ^{7}სუენელი, სუქალი“[43]; ბ). „^{22}10 (სილა) ფქვილი, 2 დღეს, შუა-ადადი, სუქალი“[44]; გ). „^{1}3 აგამი ზეთი, 3 დღეს, ^{2}ნიქალა, სუქალი“[45].

2. lú-giš tukul-gu-la „უფროსი შუბოსანი, შუბოსანთა უფროსი“

ა). „^{5}20 (სილა) ლუდი, 12 სილა ფქვილი, ^{6}4 აგამი ზეთი, 4 დღეს, ^{7}შუქართი, უფროსი შუბოსანი„[46].

3). aga$_{x}$-ús-gal «უფროსი ფეხოსანი, ფეხოსანთა უფროსი».

ა). „^{8}10 (სილა) ლუდი, 2 დღეს, ^{9}ილიდანი, უფროსი ფეხოსანი“[47]; ბ). „^{4}15 სილა ფქვილი, 3 დღეს, ^{5}დანაილი, უფროსი ფეხოსანი“[48]; გ). „^{9}2 აგამი ზეთი, 2 დღეს, ^{10}შეილი, უფროსი ფეხოსანი“[49].

4) tur-nu-bànda «უმცროსი ნუბანდა, სამუშაოთა მწარმოებელი».

ა). „^{5}15 სილა ჩვეულებრივი ხარისხის ლუდი (kaš—gin), 3 დღეს, ^{6}ინაზერი, უმცროსი ნუბანდა“ ^{0}; ბ). „^{7}40 (სილა)ფქვილი, 8 დღეს, ^{8}[. . . . . .], ^{9}შარგირი, უმცროსი ნუბანდა“[51]; გ). „^{10}4 აგამი ზეთი, 2 დღეს, ^{11}შარგირი, უმცროსი ნუბანდა„ [52].

წარმოდგენილი მასალა გვიდასტურებს შემდეგს:

---

[39] EU, CXI: 1—4; შეად. EU, CXI: 9—11; WMAH I, 221:5—7, 13—15, 17—19.

[40] EU, LIX: 14—17; შეად. ASM XVI, 77: 5—10.

[41] WMAH I, 221: 1—3; შეად. TEL, 52: 11—14; EU, XLII: 6—8.

[42] TEL, 38: 1—5; შეად. ASM XVI, 49:13—17; EU, L: 1—3, 8—10, 15—17; XC: 1—3; XCII: 1—3; WMAH 1, 209: 1—4; 215: 14—16; ITT III 2, 6207: 5—8.

[43] HLC I, 217: 4—7; შეად. HLC III, 310: 1—4; MOS XVI, 214: 11—14; RTC, 376: 13—16; SADI, 16:15—18.

[44] RTC, 355:22; შეად. ABTR, 10: 13—16, 20—22; 11:8—11; RTC, 351:18—20; MOS XVI, 212: 6—8; HSS IV, 88: 18—19; TBT, 1:1—3, 11—13; CUOS III, 22: 8—11.

[45] HLC II, 99: 1—2; შეად. HLC II, 132; 19—20; EU, 10543: 18—19; HSS IV, 64: 19—20; ASM XVI, 92: 7—8; SRIA, 90: 8—9; RTC, 349: 1—4, 6—7; 365: 1—4; 377: 4—6.

[46] TBT, 3: 5—7.

[47] RTC, 353: 8—9; შეად. RTC, 335: 1—4; 347: 8—10; 353,: 1—2.

[48] HSS IV, 88: 4—5; შეად. MOS XVI, 212: 6—8; RTC, 339: 1—4; 351: 18—20; ABTR, 10: 5—7 , 13—16, 18—19; 11:8—11, 21—22; CUOS III, 22:8—11, 21—22; TTA, 1:1—3; HLCIII, 162: 1—3.

[49] HSS IV, 64:9—10; შეად. HSS IV, 64:14—15, 17—18; RTC, 334; 1—3; 337: 14—15; HLC III, 280: 1—3; EU, 10543: 14—16.

[50] RTC, 347: 5—6.

[51] RTC, 355: 7—9.

[52] RTC, 377: 10—11; შეად. HLC II, 132 : 14—15; III, 280: 13—14; EU, 10543: 4—5. 11—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. დაბალი კატეგორიის კურიერთა ინდივიდუალური რაციონის დღიური ნორმა იყო: 2 სილა ლუდი, 2 სილა პური/ფქვილი, 1 აგამი/ 2 სიკლი ზეთი. ანუ: 1,684 ლ. ლუდი, 1,684 ლ პური/ფქვილი, 56 მლ/16,8 გ ზეთი.

II. მაღალი კატეგორიის კურიერთა ინდივიდუალური რაციონის დღიური ნორმა იყო: 5 სილა ლუდი, 5 სილა პური/ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი ანუ: 4,210 ლ ლუდი, 4,210 ლ პური/ფქვილი, 56 მლ/16,8გ ზეთი.

როგორც ვხედავთ, დაბალი (I) და მაღალი (II) რანგის კურიერთა დღიური რაციონები ურთიერთისაგან განსხვავდებიან ძირითადი საკვები პროდუქტების — პურისა და ლუდის რაოდენობებით, ზეთის ნორმა კი ორივეში ერთია.

რით უნდა იყოს გამოწვეული დაბალი და მაღალ კატეგორიის კურიერთა დღიური რაციონის ნორმებს შორის ასეთი სხვაობა ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, რატომაა, რომ პირველი რიგის რაციონს ორჯერ აჭარბებს მეორე რიგის რაციონი? აშკარაა, რომ პირველი რიგის რაციონის მიმღები კურიერები (lú-kas$_4$, lú-gištukula და სხვ.) ნაკლებ პრივილეგირებული არიან, ვიდრე მეორე რიგის რაციონის მიმღებნი (sukkal, lú-gištukul-gu-la და სხვ.). მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ საკვებზე ამ უკანასკნელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დღიურად ისევე საკმარია რაციონის პირველი ნორმა (2 სილა ლუდი, 2 სილა პური, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი), როგორც დაბალი კატეგორიის კურიერებისათვის. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე სუქალზე ან კურიერად მიმავალ უფროს ფეხოსანსა თუ შუბოსანზე დღიურად გამოიწერება საკვების მეორე ნორმა, უნდა ვიფიქროთ შემდეგი: მას ვინმე მიჰყვება მგზავრობაში, მსახური იქნება იგი თუ სპეციალურად ამ მიზნით დანიშნული გამყოლი, რომელიც მოიხმარს მასზე (სუქალი და სხვ). გაცემული პროდუქტის ნაწილს. სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ 4,210 ლ ლუდი და ამდენივე პური მხოლოდ ერთმა კაცმა მოიხმაროს ერთ დღეს.

როგორც მოსალოდნელია, კურიერთა ქვითრებში არ არიან მოხსენიებულნი სუქალთა ან სხვა მაღალი კატეგორიის კურიერთა ნაგულისხმები გამყოლები ისევე, როგორც არ იხსენიებიან ენსების (ოლქის მმართველები), მეფის შვილების ამალის წევრები ან ჯგუფის უფროსების (gìri)[53] ხელქვეით მყოფი ხალხი. საბუთების შედგენის შუმერული წესის მიხედვით ეს სავსებით მოსალოდნელი და ჩვეულებრივი გარემოებაა.

ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ძველი შუმერულ-აქადური სილაბურ-ლექსიკონების მონაცემთა შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ მაღალი კატეგორიის კურიერების, კერძოდ, სუქალებისათვის ინიშნებოდნენ სპეციალური გამყოლები. მოხსენებული ლექსიკონების ცნობით სუქალთა ინსტიტუტში ირიცხებოდნენ პირები, რომლებიც იხსენიებიან ტერმინით: egir-sukkal. ამ შუმერულ ტერმინს

[53] ლაგაშის დოკუმენტებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება პირდაპირი მითითება იმაზე, რომ 60 სილა კარგი ხარისხის სამეფო ლუდი (kaš-sig$_5$-lugal), 240 სილა ჩვეულებრივი ხარისხის ლუდი, (kaš-gin), 60 სილა ბარდას ფქვილი (zi-gu), 240 სილა ქერის ფქვილი (tapin) და 3 სილა სეზამის ზეთი (i-giš) მიეცა მაჯალის ენსსა და მის თანმხლებ მახლელებს (სიტყ. „ელამელებს", NIM, იხ. EU, XCV: 6—13). დანარჩენ შემთხვევებში ენსთან, მეფის შვილთან ან სხვა მაღალი თანამდებობის პირთან ერთად მისი თანმხლები ამალის, პირადი დაცვის არსებობა თავისთავად იგულისხმება, თუმცა ამის შესახებ დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი (იხ. ITT III, 2, 5155: 1—10; V, 6779: 1—3; 6783: 1—6; 6815: 11—12; CAC, 12: 1—2; RTC, 322: 1—4; 327: 1—4; 329: 1—3; HSS IV, 91: 17—18; EU, XII: 1—6; LXXXV: 22—24; WMAH I, 237: 14—22; 238: 1—5.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აქადელები თარგმნიდნენ ასე: *arkat sukkali*[54] და *munziz sukkali*[55]. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

შუმერული სიტყვა egir, (ʜ)*arkatu* ითარგმნება როგორც „ზურგი, ზურგის მხარე, უკანა მხარე, უკან; ქონება (სამემკვიდრეო)“[56]. ტერმინში egir-sukkal ისე როგორც მის აქადურ თარგმანში აშკარაა, რომ იგი არაა ნახმარი მისი პირდაპირი გაგებით — „სუქალის ზურგი“ „ან სუქალის ტომარა“ და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო ტერმინი შეტანილია ლექსიკონის იმ მონაკვეთში, რომელიც მთლიანად ეძღვნება სუქალთა ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინების განმარტებებს, როგორებიცაა: sukkal „სუქალი“ sukkal-maḫ „სუქალმახი, სუქალთა ინსტიტუტის ხელმძღვანელი“, sukkal-lúgal, *sukkal šarri* „მეფის სუქალი“, sukkal-ensí, *sukkal iššaku* „ენსის სუქალი“ sukkal-nin, *sukkal beltim* „დედოფლის სუქალი“, sukkal-di-ku$_5$, *sukkkal daiani* „მოსამართლის სუქალი“, sukkal-unkin-na, *sukkal puḫri* „(სახალხო) კრების სუქალი“ და სხვ.[57]. ასეთ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესო ტერმინს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი — თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობა. მისი თარგმანი იქნება ამგვარი: egir-sukkal, *arkat sukkali* „სუქალის უკანა (კაცი), მიმყოლი, გამყოლი“.

აქადელი ლექსიკოგრაფები იქვე იძლევიან ამავე შუმერული ტერმინის მეორე სინონიმურ თარგმანსაც: *munziz sukkali*. აქადური ტერმინი *munziz* წარმოადგენს ზმნის *nanzazu* „დგომა, თანადგომა“ მიმღეობით (Part. act.) ფორმას. იგი ითარგმნება როგორც „მდგომი, (თანა) მდგომი“[58]. ამდენად გამოდის, რომ აქადური ტერმინი *munziz sukkali* და მისი შუმერული შესატყვისი გადმოიღება ასე: „სუქალის (თანა) მდგომი) (კაცი)“[59]. შინაარსობლივად იგი შეესაბამება სუქალის მსახურს, ხელქვეითს[60]. ამავე მნიშვნელობითვე უნდა იყოს ნახმარი ზემოთ ნახსენები სილაბურ-ლექსიკონის აღნიშნულ კონტექსტში შეტანილი ასეთი ტერმინიც: sukkal-igi-sukkal, *sukkal ša pān sukkalu* „სუქალის წინ(მდგომი) სუქალი“[61].

არაა გამორიცხული, რომ მომავალში გამოვლენილი კურიერთა ქვითრების ტექსტები მოგვაწვდიან ახალ დამდასტურებელ ცნობებს აღნიშნულ საკითხებზე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება არ იყოს ლოგიკას მოკლებული ჩვენი ის ვარაუდი, რომ მგზავრობაში სუქალს თან მიჰყვებოდა მისი მსახური, დაწესებულების მიერ მასზე საგანგებოდ მიმაგრებული პირი, რომლისთვის განკუთვნილი საკვები საკუთარ რაციონთან ერთად ეწერებოდა სუქალს. არაა გამორიცხული, რომ ამგვარი გამყოლი პირები ახლდნენ ძაღა-

---

[54] MSL XII, 96: 108.

[55] იქვე, 96: 109.

[56] ŠL II, 209; 2; MEA, 209; MSL I, 99: 37; III, 141: 159; V, 59: 99; BIN III, გვ. 82.

[57] MSL XII, 95: 87—96: 109.

[58] AHw, გვ. 731.

[59] ვ. ფონ ზოდენი ტერმინ *munziz sukkai* თარგმნის (ფრჩხილებში) ასე: „ეგზარი“ (იხ. AHw, გვ. 692). თითქმის აქ ჩვენთვის ისაა, რომ ვ. ფონ ზოდენი ამ ტერმინს თანამდებობის აღმნიშვნელად იხსენებს.

[60] შეად. *muzaz ekallim* „სასახლეში მოსამსახურე პირი, კარისკაცი“, *muzaz bitim* „სახლის (resp. სასახლის) მსახური“; *manzaz pani* „წინ მდგომი, მსახური“; *manzaz šarri* „მეფის წინმდგომი, მეფის მსახური“ (იხ. AHw, გვ. 639, 692).

[61] MSL XII, 96: 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კატეგორიის ყველა კურიერს — უფროს შუბოსანს, უფროს ფეხოსანსა და სხვ., რომელთაც დღიურად გამოეწერებათ მეორე რიგის რაციონი — 5 სილა ლუდი, 5 სილა პური და 1 აგამი/2 სიკელი ზეთი.

რამდენიმე სიტყვით შეეხებით დაბალი და მაღალი კატეგორიის კურიერების დღიური რაციონების ცვალებადობის საკითხს. დამოწმებულია შემთხვევები, როცა დაბალი კატეგორიის კურიერებს (lú-kas, lú-^{giš}tukula და სხვ.) გამოეწერებათ ერთი სილა ლუდით გაძლიერებული რაციონი ამ სახით: 3 სილა ლუდი, 2 სილა პური, 1 აგამი/2 სიკელი ზეთი. ზოგჯერ გაძლიერებულია პურის ნორმაც 1 სილით. თ. ჯონსი და ჯ. სნაიდერი ფიქრობენ, რომ ერთი და იმავე კატეგორიის კურიერის მიერ განსხვავებული ნორმის რაციონის მიღება შეიძლება განპირობებული იყო იმ ფუნქციით, რომლის შესრულებაც ევალებოდა მას[62].

სათანადო დოკუმენტების მონაცემები არავითარ ცნობას არ გვაწვდიან ამა თუ იმ შემთხვევაში კურიერის მიერ შესრულებული დავალების ხასიათის დასადგენად. ამდენად, გადავრით არ შეგაკიძოდა ვთქვათ, თუ რა ვითარებაში ეძლეოდა რიგით კურიერს მისთვის განკუთვნილი ძირითადი რაციონი (2 სილა ლუდი, 2 სილა პური და ა. შ.) და როდის მომეტებული ნორმა (3 სილა ლუდი, 3 სილა პური და ა. შ.) საკითხის მიახლოებითი სიზუსტით გარკვევისათვის შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს სათანადო დოკუმენტების შემდეგ მონაცემებს: რიგით კურიერებზე შედარებით გაძლიერებული რაციონის გაცემის 52 შემთხვევიდან, სადაც კი მითითებულია მათი ლაგაშში ჩამოსვლისა და იქიდან გასვლის შესახებ, 40 შემთხვევაში რაციონის გაძლერებული ნორმა კურიერებს ეძლევათ ლაგაშში ჩამოსვლისას[63]. მხოლოდ 12 შემთხვევაში ასეთივე ნორმა მათ გამოეწერებათ ლაგაშიდან გასვლის დროს[64]. ხომ არ შეიძლება ამ ფაქტზე დაყრდნობით ვიფიქროთ, რომ შედარებით გაძლიერებული ნორმის მიღება იყო ერთგვარი პრივილეგია მხოლოდ ჩამოსული, მეზობელი ოლქებიდან ლაგაშში საკანგეში დავალებით მოვლენილი კურიერებისათვის? შეიძლება ასეთ ვარაუდს ამაგრებდეს ის გარემოებაც, რომ ერთი კაცისათვის გაძლიერებულ რაციონად მიჩნეულ ზემოდასახელებულ დღიურ ნორმას ლაგაშში აძლევენ შუამდინარეთის დასავლეთით მდებარე, კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქებიდან (MAR-du)[65] ჩამოსული თუ ელამიდან (NIM მოვლენილ ელჩ-კურიერებსაც[67].

[62] SETU, გვ. 296.

[63] HLC II, 111: 6—9; 115:12, 14—15; 127: 2—3, 17—18; III, 227: 5—7; 344: 14—18; 354: 10—11, 19—20; RTC, 360: 2—3; 368: 2—6; 370: 2—8; ABTR, 9: 5, 6, 16; WMAH I, 217: 7—8, 18—19; MOS XVI, 197: 10—11; 213: 11—12; 218: 17—18; HSS IV, 58: 11—12, 14—15; 63: 10—11; 68: 11—12; 70:9—10; 77:9—10; RVU, 154: 21—22; EU, XVIII: 15—16; XXXV : 14—15; LXXIII : 2—3, 8—9; LXXX VI : 9—10, 19—20; LXXXIX: 24—25; XCVIII:9—10; ITT II 1, 643:18—19; ITT IV, 7853:1—8; EU, MIO 7582=ITT IV, 7582:2—3; EU, გვ. 8 (MIO, 1891: 1—5); EU, გვ. 9 (MIO, 1836: 4—5).

[64] RTC, 353: 14—15; HLC II, 101: 33—34; 37—38; III, 166: 23—24; HSS IV, 58: 23—24; 68: 17—18; 69: 2—3; CLC, 2 9: 3—4; CUOS III, 110: 7—8; ASM XVI, 80: 29—30; EU, LVI: 11—12.; CXVIII: 13—14.

[65] ყველა ჩამოსულ კურიერზე არ ვრცელდებოდა ასეთი პატივით დახვედრის უფლება. ზოგი მათგანი ღებულობდა რაციონს ჩვეულებრივ დღიურ ნორმას. ჩანს, გაძლიერებული ნორმა გაიცემოდა მხოლოდ ზოგიერთ უცხოელ კურიერზე, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, იმ დღესვე ვერ ბრუნდებოდნენ უკან და რჩებოდნენ ადგილზე გარკვეული დროის განმავლობაში.

[66] HLC I, 345: 11; II, 101: 6, 8; HSS IV, 72: 18; ABTR, 16: 17; CUOS III, 110: 15; MOS XVI, 201: 6; EU, 641=ITT II, 1, 641: 8.

[67] EU, გვ. 8 (MIO, 1891: 3); TEL, 55: 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტებში დამოწმებულია შემთხვევებიც, როცა დაბალი კატეგორიის კურიერებზე გაიცემა მათთვის განკუთვნილი ძირითადი დღიური რაციონის გაორკეცებული ნორმა, კერძოდ, 5 სილა ლუდი, 5 სილა პური და 1 აგამი / 2 სიკლი ზეთი. სათანადო საბუთების პირდაპირი მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ ესაა ორი კაცის, ორი რიგითი კურიერის დღიური რაციონი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დოკუმენტებიდან ერთ ამონაწერს: [7] sìla kaš 5 sìla zì 1 á-gam [8]Šu-[d] Nin-šubur lú-kas$_4$ [9]ù I-*li-a-su* lú-kas$_4$ [10]Šušina[ki]-šè gin-ne „[7] 5 სილა ლუდი, 5 სილა პური, 1 აგამი ზეთი, [8]შუ-ნინშუბერი, მალემსრბოლი[9] და ილისუ, მალემსრბოლი, [10]სუზაში მიმავალნი“ [6].

ამ შემთხვევაში როგორც ვხედავთ, ორი მალემსრბოლი ერთად მიემგზავრება სუზაში. ელამის ამ ცენტრალური ქალაქისაკენ ლაგაშიდან ცალფად გამგზავრებულ კურიერებს, როგორც წესი, გამოეწერებათ ერთი კაცისათვის განკუთვნილი დღიური ნორმა რაციონისა — 2 სილა ლუდი, 2 სილა პურის/ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი[6]. როგორც ჩანს და როგორც მოსალოდნელია, არ იყო აუცილებელი სუზაში მიმავალ კურიერებს საწყის პუნქტში აეღოთ საგზლის ორი დღის ნორმა. მაგრამ დოკუმენტებში თუ მანც გვაქვს დამოწმებული რამდენიმე შემთხვევა თითო კურიერზე ორი დღის საკვების გამოწერისა[7], ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ორკაციან ჯგუფთან, რომლის წევრთაგან ერთერთი უფროსია და მასზე გამოიწერება ორივესათვის ერთი დღის განმავლობაში სამყოფი საკვები (თუმცა ამის შესახებ დოკუმენტებში ყოველთვის არაა მითითებული).

დოკუმენტების განხილულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ: 1). დაბალი კატეგორიის კურიერების რაციონის ძირითადი დღიური ინდივიდუალური ნორმაა: 2 სილა ლუდი, 2 სილა პური/ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი; 2). ლაგაშში ჩამოსული კურიერების ნაწილს ამ ნორმას უძლიერებენ 1 სილა ლუდითა და 1 სილა პურით; 3). იმ შემთხვევაში, როცა რიგით კურიერზე გამოიწერება ორი დღის ნორმა, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ესაა ორი კაცისათვის განკუთვნილი საგზალი, რომელიც ინდივიდუალურად ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე, მის ხელმძღვანელზე, გაიცემა.

განვიხილოთ მაღალი კატეგორიის კურიერთა რაციონის დღიური ნორმის ცვალებადობის შემთხვევებიც.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დოკუმენტების მონაცემები ცხადყოფენ რომ სუქალებისა და მათთან გათანაბრებული პირებისათვის (lú-^{giš} tukul-gu-la, aga$_4$-ús-gal და სხვ). დღიური რაციონის ნორმას შეადგენს: 5 სილა ლუდი,

[6] HLC III, 143: 7—10; შეად. იქვე: 11—13; 264: 25—28 (ორი კაცი მოდის სუზიანას).

[6] დაბალი კატეგორიის კურიერ-მალემსრბოლი (lú-kas$_4$) მიემგზავრება სუზაში. ლაგაშში მას გამოიწერება ერთი დღის რაციონი — 2 სილა ლუდი და ა. შ. (იხ. HLC II, 101: 35—38; III, 166: 22—24; RTC, 349: 17—19; 381:9—12; 389: 21—23; 394: 14—16.

მაღალი კატეგორიის კურიერები (sukkal, lú-^{giš} tukul-gu-la, aga$_4$-ús-gal) მიემგზავრებია, სუზაში. მათ ეძლევათ საკვების ერთი დღის ნორმა — 5 სილა ლუდი და ა. შ. (იხ. HLC III6 106: 1—3, 3—5; 108: 12—14; 111: 16—18, 25—27; III, 155: 19—21; 166: 16—18, 25—27; 168: 10—12, 22—24; 212; 15—17; 227: 2—4; 284: 10—12, 22—24; 290: 26—28: ABTR, 12:5—7;13:6—9; HSS IV, 58: 1—3, 19—21; 59: 15—17; 60: 1—3, 20—22; 61:1—3; 62:12—14; 65:10—12; 67:12—14; 69: 7—9; 82: 7—9, 16—18; 88: 8—10, 22—24; AB XXV, 81: 2—4 და სხვ.

[7] HLC III, 358: 1—3; HSS IV, 82: 16—17; ASM XVI, 16: 1—3; CUOS III, 114: 10—12; MOS XVI, 202: 1—5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 სილა პური / ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი. მაგრამ დადასტურებულია ამ ძირითადი რაციონიდან გადახრის შემთხვევები; ზოგჯერ მათ ეძლევათ დაბალი კატეგორიის კურორტებისათვის კანკუთვნილი პირველი რაციონი — 2 სილა ლუდი, 2 სილა პური, 2 სიკლი ზეთი. მოვიყვანთ სათანადო დოკუმენტების რამდენიმე ცნობას.

1. [4]2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სილა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì	2 სიკლი ზეთი,
Ne-ne-a lù-kas$_4$	ნენეა, მალემსრბოლი.
[7]2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სილა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì	2 სიკლი ზეთი,
[. . . . . .]	[. . . . . .]
[10]2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სიკლა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì	2 სიკლი ზეთი,
Ib-ku-ša lú-kas$_4$	იბქუშა, მალემსრბოლი,
[13]2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სილა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì	2 სიკლი ზეთი,
Ša-ì-lí sukkal	შაილი, სუქალი,
[16]Šušina-[ki]ta gin-ne-ne	სუზადან მომავალნი[71].
2. [1]2 sìla kaš-gin	2 სილა ჩვეულებრივი ხარისხის ლუდი,
2 sìla ninda	2 სილა პური
[3]2 gín ì-giš	2 სიკლი მცენარეული ზეთი,
Bu$_6$-za lú-kas$_4$	ბუზა, მალემსრბოლი.
. . . . .	. . . . .
[7]*Ku-ra-ad*-ì-lí sukkal	ქურადილი სუქალი
. . . . .	. . . . .
[10]*I-sùr-a-bu* lù-kas$_4$	ისურაბუ, მალესმრბოლი.
. . . . .	. . . . .
[13]*I-ri-ib* lú-kas$_4$	ირიბი, მალემსრბოლი[72].
3. [1]2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სილა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì-giš	2 სიკლი მცენარეული ზეთი,
[3] Gú-ab-ba[ki]-šè gin-na	გუაბაში მიმავალი;
2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სილა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì-giš	2 სიკლი მცენარეული ზეთი,
[6]Gú-ab-ba[ki]-ta gin-na	გუაბადან მომავალი;
Ur-[d]Ba-ba$_6$ sukkal-lugal	ურ-ბაბა, მეფის სუქალი,
dumu Šu-[d]Iškur	შვილი შუ-იშქურისა[73].
4. [1]2 sìla kaš-gin 2 sìla ninda-gab-a	2 სილა ჩვეულებრივი ხარისხის ლუდი, 2 სილა ანაცრის პური,
2 gín ì-giš	2 სიკლი მცენარეული ზეთი,
[3]*Il-šu-ma-at* lú-kas$_4$	ილშუმათი, მალემსრბოლი.
2 sìla kaš 2 sìla ninda	2 სილა ლუდი, 2 სილა პური,
2 gín ì-giš	2 სიკლი მცენარეული ზეთი,

[71] EU, LXXXVIII: 4—16.
[72] MOS XVI, 209: 1—13.
[73] RTC, 381: 1—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[6]Šu-A-ba lú-kas$_4$	შუ-აბა, მალემსრბოლი.
. . . . .	. . . . .
[9]*Ša-lim* lú-^{gis} tukul-gu-la	შალიმი, უფროსი შუბოსანი.
. . . . .	. . . . .
[12] La-la-a lú-kas$_4$	ლალა, მალემსრბოლი [74].

რა შეიძლება ითქვას მოტანილ მასალაზე დაყრდნობით ა). სამ შემთხვევაში (1, 2, 4) სუქალი და უფროსი შუბოსანი ერთ და იმავე დოკუმენტში მოხსენიებული არიან კურიერებთან (მალემსრბოლებთან) ერთად, რომლებიც მათი თანამგზავრები უნდა იყვნენ. ერთ შემთხვევაში (1) ეს ხომ პირდაპირაა მითითებული. მხოლოდ ერთხელ (3) გვხვდება ისე, რომ სუქალი მარტოა დასახელებული, რომელიც მიემგზავრება გუბაბაში და ბრუნდება იქედან ლაგაშში. გუბა მდებარეობდა ლაგაშ-ურის გზაზე, ლაგაშიდან დაახლ. 20 კმ-ის დაშორებით; ბ). რაციონს სუქალი და უფროსი შუბოსანი (1,2, 4) ღებულობენ კურიერებთან, როგორც ჩანს, მათ თანამგზავრებთან ერთად. ამ კურიერებს თავიანთი სარგო რაციონი საკუთრივ ეძლევათ. ამდენად, მგზავრობის დროს სუქალს ან უფროს შუბოსანს არ მოუხდებათ მათზე გამოწერილი ინდივიდუალური რაციონის ვინმესთვის განაწილება; გ). გუბაბაში სუქალ ურ-ბაბას მოგზაურობასთან დაკავშირებით (3) უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუ დავუშვებთ იმას, რომ იგი მოგზაურობს ცალფად, რაც სავსებით მოსალოდნელია გუბაბას ლაგაშთან ან უფროსს სიახლოვისა და იმპერიის ცენტრალური გზის — ლაგაშ-ურის მონაკვეთის მოსალოდნელი კარგი დაცულობისა და გამართულობის პირობებში, მაშინ უნდა დავუშვათ ისიც, რომ გუბაბაში იგი ჩადის და იმ დღეს იქვე რჩება; ლაგაშში იგი მხოლოდ მეორე დღეს ბრუნდება. ასეთ შემთხვევაში გამართულებულია, რომ მასზე გამოიწერება ერთი კაცისათვის ერთ დღეს საკმაო რაციონის ორი ნორმა, ე. ი. ორი დღის საკვები. არაა გამორიცხული ისიც, რომ ლაგაშიდან გუბაბაში იგი ჩასულიყო და უკანვე დაბრუნებულიყო ერთი დღის განმავლობაში. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ აშკარაა, რომ იგი ორი კაცის რაციონს ღებულობს, შესაძლებელია, თანმხლებ გამყოლზე გასანაწილებლად. ასეა თუ ისე, სუქალი ყველა შემთხვევაში თვითონ სარგებლობს მხოლოდ ერთი კაცისათვის ერთ დღეს განკუთვნილი რაციონის ძირითადი ნორმით — პირველი რიგის რაციონით.

ყოველივე ზემოთქმული მიგვანიშნებს შემდეგს: მაღალი კატეგორიის კურიერები ღებულობენ საგზლად დაბალი კატეგორიის კურიერთათვის განკუთვნილ რაციონს იმ შემთხვევაში, როცა ისინი ცალფად მოგზაურობენ ან მიდიან საკუთარი საგზლით უზრუნველყოფილ კურიერებთან ერთად.

ინდივიდუალური პირველი რიგის რაციონი სუქალებისა და უფროსი შუბოსნებისათვის ზოგჯერ ძლიერდება 1 სილა ლუდითა და 1 სილა პურით. ამ შემთხვევაში იგი შეადგენს: 3 სილა ლუდს, 2 ან 3 სილა პურს/ფქვილსა და 1 აგმ/2 სიკლ ზეთს. დამოწმებული 17 შემთხვევიდან, სადაც კია მითითებული აღნიშნული კატეგორიის კურიერთა ლაგაშში ჩამოსვლისა თუ იქედან გასვლის შესახებ, 15 შემთხვევაში 1 სილა ლუდითა და პურით გაძლიერებული რაცი-

[74] TEL, 39: 1—21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონი მათ ეძლევათ ლაგაშში ჩამოსვლისა[75], ხოლო 2 შემთხვევაში — ლაგაშიდან გასვლისას[76]. ეს ერთხელ კიდევ უნდა გვარწმუნებდეს იმაში, რომ გაძლიერებული დღიური რაციონის მიღება იყო ზოგიერთი ჩამოსული კურიერის უპირატესობა[77].

წარმოდგენილი და გაანალიზებული მასალების მონაცემთა გათვალისწინებით შეგვიძლია ელჩ-კურიერების ცალკეული კატეგორიებისათვის განკუთვნილი სასაგზლო რაციონები დავალაგოთ ამ სახით:

პირველი რიგის რაციონი

ა). 2 სილა ლუდი. 2 სილა პური/ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი—დაბალი და მაღალი კატეგორიის კურიერთათვის განკუთვნილი დღიური რაციონის ძირითადი ნორმა.

ბ). 3 სილა ლუდი, 2 ან 3 სილა პური/ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი — ძირითადი დღიური რაციონის გაძლიერებული ნორმა, განკუთვნილი ლაგაშში ჩამოსული დაბალი თუ მაღალი კატეგორიის ზოგიერთი კურიერისათვის.

მეორე რიგის რაციონი

5 სილა ლუდი, 5 სილა პური/ფქვილი, 1 აგამი/2 სიკლი ზეთი — დღიური რაციონის ძირითადი ნორმა, განკუთვნილი მაღალი კატეგორიის კურიერებისათვის, რომლებსაც მგზავრობაში თან ახლავთ გამყოლი, მსახური. რაციონის ეს ნორმა გამოეწერება დაბალი კატეგორიის ორ კურიერს ერთად.

როგორც ვხედავთ, შესაბამისი დოკუმენტების მონაცემები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ურის III დინასტიის ეპოქაში სახელმწიფოს ადმინისტრაციული პერსონალის ერთი ჯგუფისათვის განკუთვნილი დღიური რაციონის ნორმა შეადგენდა: 2 სილა ლუდს, 2 სილა პურს/ფქვილს, 1 აგამ/2 სიკლ ზეთს (=1,684 ლ ლუდს, 1,684 ლ. პური/ფქვილს, 56 მლ/16,8 გ ზეთს). ეს ნორმა სავსებით შეესაბამება საკვებზე ერთი კაცის დღიური მოთხოვნილების ნორმას.

Дж. М. ШАРАШЕНИДЗЕ

К ВОПРОСУ О ДНЕВНОМ РАЦИОНЕ В ЭПОХУ III ДИНАСТИИ УРА

Резюме

В статье проанализированы данные текстов одной большой группы шумерских документов эпохи III династии Ура (2132—2024 гг. до н. э.), т. н. «курьерских квитанций», которые содержат сведения о посольско-курьерской деятельности государства.

[75] ASM XVI, 91: 21—24; SRIA, 173: 5—8; HLC II, 115: 7—10; III, 325: 1—3, 4—6, 7—9, 10—12, 13—18; AB XXV, 82: 14—17; MOS XVI, 196: 1—3, 4—6, 17—18, 19—21; HSS IV, 86: 7—9; RVU, 154: 14—17.

[76] FU, II:22—25; LI:9—10.

[77] დღიური ნორმის გაძლიერება, მოსალოდნელია, იმით იყო გაპირობებული, რომ ჩამოსულ კურიერთაგან ზოგიერთს იქვე უხდებოდა ღამით დარჩენა. ზედმეტად გაცემული 1 სილა ლუდიდა 1 სილა პური შეიძლება საგაზშმოდ იყო გაანგარიშებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В отмеченной эпохе существовали четко определенные нормы дневного рациона, которые выдавались гонцам и курьерам — почти ежедневно ездившим по дорогам обширного государства. В работе установлены следующие виды дневного рациона:

Рацион первого ряда

а). 2 сила пива, 2 сила хлеба/муки, 1 агам/2 сикля масла=1,684 л. пива, 1,684 л хлеба/муки, 56 мл масла — основная норма дневного рациона для курьеров низкой и высокой категории.

б). 3 сила пива, 2 или 3 сила хлеба/муки, 1 агам/2 сикля масла — увеличенная норма основного рациона, предназначенная для прибывших в город Лагаш курьеров низкой и высокой категории.

Рацион второго ряда

5 сила пива, 5 сила хлеба/муки, 1 аган/2 сикля масла — основная дневная норма рациона, предназначенная для курьеров высокой категории, с которыми следует сопровождающий, слуга. Эта же норма выписывалась совместно двум курьерам низкой категории.

შემოკლებათა სია

(იხ კრებულები: ძველი ისტორიის საკითხები, III, თბ., 1970, გვ. 252-254; IV, , 1973, გვ. 208-209; V, Тб., 1977, გვ. 199-202).

დამატებით:

ASS — J. P. Grégorie, Archives administratives sumériennes, Paris, 1970.

ASM XVI — T. G. Pinches, The Bebylonian Tablets of the Berens Collection (Asiatie Society Monographs, XVI), London, 1915.

BBVU — Bier und Bierberetung bei den Völkern der Urzeit, I. Babylonien und Ägypten, Berlin, 1926.

BRM III — C E. Keiser, Cuneiform Bullae of the Third Millenium (Babylenian Records in the Library I. Pierpont Morgan, III) New Haven, 1914.

CAC — F. Thureau—Dangin, La comtabilite agricole en Chaldée, RA 3 (1895), გვ. 118-146.

CLC — L. Legrain, Collection, Louis Cugnin. Textes Cuneiformes, RA 10 (1913), გვ. 41-69.

GAB I — F. Hrozny, Das Getreide im alten Babylonien, I, Wien, 1914.

GDD — N. Schneider, Die Geschaftsurkunden aus Drehem und Djoha in der staatlichen Museen (VAT) zu Berlin, OrSP 47-49 (1930).

HAM I — A. Salonen, Die Hausgeräte der alten Mesopotamier, I, Helsinki, 1965.

HEU — G. Contenau, Contribution a l'histoire économique d'Umma, Paris, 1915.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MVN I — G. Pettinato, H. Waetzoldt, La collezione Schollmeyer. Testi economici della III Dinastia di Ur (Materiali per il vocabulario neosumerico, I), Roma, 1974.

RVU — A. Pohl, Rechts — und Verwaltungsurkunden der III. Dynastie von Ur, Leipzig, 1937.

SRIA — L. Speleers, Recueil des Inscriptions de l'Asie antérieure des musées reyaux du cinquentenaire à Bruxelles, Bruxelles, 1925.

TBT — F. A. Vanderburgh, Three Babylonian Tablets. Prience Collection, Columbia University, «Jounral of the American Oriental Society», 33 (1913), გვ. 24-32.

TCL — Textes eunéiformes. musée du louvre.

II — H. de Genouillac, Tablettes de Drehem, Paris, 1911.

V—H. de Genouillac, Textes économiques d'Oumma de l'époque d' Our, Paris, 1922.

TTA — E. Szlechter, Trois texstes administratifs de l'époque d'Ur III conservés au musée Fitzwilliam a Cambridge, RA 59 (1965), გვ.145-148.

UCP IX 2 — H. F. Lutz, Sumerian Temple Records of the Late Ur Dynasty, I-II, (University of California. Publications, IX 2), Berkeley, 1928.

UNL I 1/2 — G. Pettinato, Untersuchungen zur neusumerischen Landwirtschaft, I. Die Felder, I 1/2, Napoli, 1967.

UTZL — D. I. Owen, G. D. Young, Ur III Texts in the Zion Rezearch Library, Boston, «Journal of Cuneiform Studies), 23 (1970) გვ. 95-115.

VBAO — H. F. Lutz, Viticulture and Brewing in the Ancient Orient, Leipzig, 1922.

WMAH I — H. Sauren, Wirtschaftsurkunden aus der Zeit der III. Dynastie von Ur im Besitz des musee d'art et d'histoire in Genf, Napoli, 1969.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲖᲘᲐ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ქართული დიპლომატიკა, როგორც სამეცნიერო ისტორიული დისციპლინა, არსებობს 1926 წლიდან. ამ წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა". ამ ნაშრომში მოცემულია საბუთთა ისტორიული ტიპები, მიგნებულია ცალკეული სახეობის საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები, შესწავლილია ერთიანობის ხანის სამეფო სიგელების აგებულება და შედარებულია ისინი ლათინურ, ბიზანტიურ და სომხურ ანალოგიურ საბუთებთან. ამავე წიგნში ავტორმა დასახა ქართული დიპლომატიკის განვითარების გზები.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი მეთოდოლოგიურად ემყარება ე. წ. ტრადიციულ დიპლომატიკას, რომელიც თავის არსებობას XVII საუკუნიდან იწყებს. დიპლომატიკის თავდაპირველმა მიზანმა (ნაყალბევი საბუთების ნამდვილისაგან გარჩევა) განაპირობა საბუთის გარეგნული მხარისა და ამა თუ იმ იურიდიული პირობის გამოხატვის საშუალებებისადმი განსაკუთრებული ინტერესი. შეიქმნა ე. წ. პირობითი ფორმულარის სქემა, რაც, მეტ-ნაკლები სიზუსტით, შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების იურიდიული დოკუმენტების ნიშნებს მოიცავდა. პირობითი ფორმულარის სქემას დიპლომატიკის განვითარების არც ერთ ეტაპზე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი დღესაც გამოიყენება ისტორიულ საბუთთა შედარებითი შესწავლისა და მათი ევოლუციის გზების გამორკვევისათვის.

პირობითი ფორმულარი შედგება გარკვეული თემატური კომპონენტებისაგან, რომელთაგან თითოეულს თავისი ფორმულები და ტერმინოლოგია შეესაბამება. პირობითი ფორმულარის კომპონენტებს განვითარების დამოუკიდებელი უნარი აქვთ[1], რაც კონკრეტული ისტორიული ეპოქის სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურასთან მჭიდრო კავშირში განიხილება.

დიპლომატიკის განვითარებამ, მისი კვლევის სფეროების გაფართოებამ გამომაქღაცა პირობითი ფორმულარის ნაკლოვანი მხარეები. იურიდიული შინაარსის მქონე სხვადასხვა სახეობის ისტორიული დოკუმენტების ტექსტი პირობითი ფორმულარის მიხედვით დაყოფას ყოველთვის არ ემორჩილება. ტექსტის გრამატიკული წყობა შეიძლება სრულებით არ ეთანხმებოდეს პირობითი ფორმულარის სქემას, ანდა ტექსტის მთელი რიგი ადგილები შეიძლება დიპლომატიკური ანალიზის მიღმა დარჩეს. ერთსა და იმავე წინადადებაში, შესაძლებელია, შეგვხვდეს რამდენიმე თემატური კომპონენტი, ან პირიქით,

---

[1] პირობითი ფორმულარის ცალკეული კომპონენტებისადმი მიძღვნილი დას. ევროპელ მეცნიერთა შრომების ბიბლიოგრაფია იხ. წიგნში: С. М. Каштанов, Очерки русской дипломатики, М., 1970, გვ. 27, სქოლიო 2. ამას შეიძლება დავუმატოთ: R. Marsina, Die Arengen in ungarischen Urkunden bis zum J. 1235, folia diplomatika, I, Brno, 1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი და იგივე თემატური კომპონენტი — ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში. შეიძლება სხვაგვარად იყოს რეალური ტექსტში წარმოდგენილი პირობითი ფორმულარის კომპონენტების რიგი და სხვ.

პირობითი ფორმულარის სქემა შემუშავებული იყო სამეფო სასუთების შესწავლის შედეგად. სხვა სახის ისტორიული დოკუმენტების არსებობამ თავისთავად გამოიწვია დიპლომატიკური ანალიზის სხვა გზების ძებნა. რუსული დიპლომატიკის ცნობილმა მკვლევარმა, ა. ლაპო-დანილევსკიმ, იმ მიზნით, რომ სასუთის ტექსტთან მეტი სიახლოვე შეენარჩუნებინა, შეიმუშავა დიპლომატიკური კვლევის თავისებური მეთოდი, ე. წ. კლაუზულალური ანალიზი. კლაუზულალურმა ანალიზმა დიპლომატიკურ კვლევაში საერთო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა მოიპოვა, თუმცა, თვით ა. ლაპო-დანილევსკიმ ეს მეთოდი ე. წ. „კერძო აქტების" მიმართ გამოიყენა. კერძო აქტებში ნაგულისხმებია ისტორიული სასუთები, რომლებშიც მოცემული ეპოქისა და საზოგადოების სამართლებრივი ნორმა განხორციელებულია კერძო პირთა შორის; განსხვავებით კერძო აქტებისაგან, ა. ლაპო-დანილევსკი გამოყოფს საჯარო აქტებს (публичные акты). ისტორიული სასუთების ასეთმა კლასიფიკაციამ ერთმანეთისაგან გამიჯნა ისეთი სასუთები, რომლებიც ერთმანეთისაგან არც იურიდიული შინაარსით და არც დიპლომატიკური ფორმით არ განსხვავდებოდნენ[2]. ზოგიერთი სასუთი კი, მაგ.. შეუვალობისა (ფეოდალური საზოგადოებისათვის ყველაზე დამახასიათებელი სახეობა), საერთოდ კლასიფიკაციის მიღმა დარჩა.

განსხვავება კერძოსა და საჯარო აქტებს შორის ფორმულარის მიხედვით, თვით ა. ლაპო-დანილევსკის დაკვირვებით, არ არსებობს[3], ე. ი. ისინი დიპლომატიკური ფორმის მიხედვით თანხვდებიან. ა. ლაპო-დანილევსკის აზრით, დიპლომატიკური ანალიზის საშუალებით უნდა დადგინდეს სასუთის მოცემული სახეობის ტიპური ფორმულარი. ამისათვის უნდა შესრულდეს კლაუზულური ანალიზი. კლაუზულური ანალიზი გულისხმობს: 1. ყოველი სასუთის დაყოფას შემადგენელ ნაწილებად (კლაუზულებად). 2 ერთი და იმავე სახეობის სასუთებში ნეტ-ნაკლებად საერთო კლაუზულათა გამოყოფას. 3. კლაუზულათა ტიპური მიმართების დადგენას აქტების მოცემულ სახეობაში[4].

კლაუზულა, ა. ლაპო-დანილევსკის განსაზღვრებით, არის სასუთში გამოთქმული ყოველი ცალკეული აზრი, გამოხატული სიტყვიერ ფორმაში (წინადადება, პერიოდი და სხვ.)[5]. შემდეგ მან თანდათანობით დაავიწროვა კლაუზულის ცნება, გამოყო ყოფითი კლაუზულები იურიდიულისაგან და დიპ-

---

[2] იხ. А. Лаппо-Данилевский, Очерк русской дипломатики частных актов, Пгр., 1929. იმავეადგ ა. ლაპო-დანილევსკის კლასიფიკაცია რუსულ დიპლომატიკაში გაზიარებული არ არის. იხ. С. М. Каштанов, Очерки русской дипломатики, М., 1970, გვ. 14—25. ა. ლაპო-დანილევსკისეული აქტების კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები სამართლიანად. არის გაკრიტიკებული მ. სვერდლოვის მიერ (იხ. М. Б. Свердлов, Древнерусский акт X—XIV вв., Вспомогательные исторические дисциплины, VIII, Л., 1976, გვ. 56—57), მაგრამ მისმა დიპლომატიკური ანალიზის მეთოდმა ფართო გამოყენება მოიპოვა რუსულ საბჭოურ დიპლომატიკაში.

[3] А. Лаппо-Данилевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[4] იქვე, გვ. 135.

[5] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომატიკური ანალიზის დროს მნიშვნელობა მიანიჭა მხოლოდ უკანასკნელებს. თვით ტერმინი კლაუზულა მხოლოდ იურიდიული კლაუზულების აზრით შეიძლებოდა ყოფილიყო ნახმარი[6].

ასევე იურიდიული შინაარსის ამსახველ ცნებას წარმოადგენს კლაუზულა ა. ლაპო-დანილევსკის მოწაფის, ვ. ვერეტენიკოვის, განსაზღვრებით: „კლაუზულა არის სიტყვიერად გამოხატული და წერილობით აღბეჭდილი მოქმედება, რომელიც აქტების შემდგენელთა მიერ ცალკე აღიქმება“[7]. იურიდიულ კლაუზულებად სამეცნიერო ჩათვლილია: მხარეთა სახელები, წარმომავლობა, წოდება, გარიგების სახე და საგანი, მითითება საზღვრებზე, ფასი, ხელმოწერები, აქტის გაფორმების დრო და დამწერის სახელი[8].

მარტივ შემთხვევაში კლაუზულა ემთხვევა გრამატიკულ წინადადებას. მაგრამ სხვა დროს იგი შეიძლება იყოს წინადადების ნაწილი ან ერთზე მეტი წინადადება. კლაუზულაური ანალიზის მიზანი იყო სამეცნიერო ტექსტის ხელოვნური დაყოფისაგან დაცვა, აქედან, კი უფრო გვიან შემუშავებული იურიდიული აზრის მიხედვით, ტექსტის შეფასების თვალიდან აცილება, ტექსტის გრამატიკულ წყობასთან სიახლოვე. მაგრამ ტექსტის კლაუზულებად დაყოფის წესს უდავო ღირსებებთან ერთად, ნაკლოვანი მხარეც აქვს. ერთი წინადადების ფარგლებში შეიძლება რამდენიმე იურიდიული კლაუზულა შეგვხვდეს. ან თვით ერთი კლაუზულა რამდენიმე იურიდიულ პირობას გამოხატავდეს ერთდროულად. გრამატიკული წყობა არ გამოყოფს ერთმანეთისაგან ნარატიულ და იურიდიულ კლაუზულებს. ისინი ხშირად შეიძლება ერთ წინადადებაში იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში წინადადების გახლეჩა გარდუვალი ხდება. საერთოდ, კლაუზულაური ანალიზის გზა ვერ უზრუნველყოფს ტექსტის მაქსიმალურ ჩართვას დიპლომატიკური კვლევის პროცესში. ყოველივე ამის გამო კლაუზულის განსაზღვრა უკვე რეალურ ტექსტთან მიმართებაში საკმაოდ ჭირს. მხოლოდ მარტივ შემთხვევაში შეიძლება გრამატიკული წინადადება და იურიდიული (ერთგანზომილებიანი) კლაუზულა ერთმანეთს დაემთხვეს.

ტიპური ფორმულარის მისაღებად ა. ლაპო-დანილევსკი იყენებს აქტების კლაუზულაური შემადგენლობის გრაფიკული აღწერის მეთოდს. მის მიერ შედგენილ ცხრილში ჰორიზონტალური რიგი უჩვენებს კლაუზულათა თანმიმდევრობას გარკვეულ აქტებში, ხოლო ვერტიკალური — კლაუზულათა განმეორების სიხშირეს[9].

ამავე დროს, გრაფიკული მეთოდი კარგად გამოხატავს კლაუზულების ცვალებადობის უნარს. ზოგიერთმა კლაუზულამ შეიძლება შეიცვალოს ადგილი ფორმულარში, ან საერთოდ გაქრეს ფორმულარიდან. შესაძლებელია ისიც, რომ ერთი კლაუზულიდან განვითარდეს იმავე შინაარსის გამაძლიერებელი სხვა კლაუზულები.

ა. ლაპო-დანილევსკის გრაფიკული აღწერის მეთოდი ძალიან მოხერხებულია ტიპიური ფორმულარის სურათის მისაღებად. იგი ადვილად იკითხება, მას მნიშვნელობა

---

[6] А. Лаппо-Данилевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[7] В. И. Веретенников, К вопросу о методах изучения древнерусских частноправовых актов, Историческое обозрение, Пгр., 1916, გვ. 9—10.

[8] А. Лаппо-Данилевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[9] იქვე, გვ. 139—146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს ფორმულართა ტიპების შედარებისათვის. მაგრამ ეს მეთოდიც შეიცავს ნაკლოვანებებს. იგი საკმაო სისრულით ვერ გამოხატავს სიბუთის ტექსტის თავისებურებას, კერძოდ, შეუძლებელია ამ ხერხით გამოიხატოს ტექსტის გრამატიკული წყობისა და კლაუზულური შემადგენლობის ურთიერთობა. ამ სირთულის დაძლევა სცადა ს. კაშტანოვმა, მან ფორმულარული ანალიზის სხვაგვარი გზა აირჩია. ს. კაშტანოვმა სიბუთის ტექსტი დაყო გრამატიკულად დასრულებულ წინადადებებად. წინადადებაში გამოყო მუხლები (статьи), მუხლებში — გამოთქმები (обороты), რომლებიც ზოგჯერ საკმაოდ რთულ სისტემას ქმნიან. გამოთქმებში შეიცავენ ელემენტებს — ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარ ცნებებს, ეს უკანასკნელები კი მახასიათებლებს (характеристики). ყოველივე ამას ემატება დამატებითი გრაფიკული ნიშნები, რომელთა საშუალებით დაწვრილებით შეიძლება გადმოიცეს სიბუთში გამოყოფილ ნაწილებს შორის მიმართებანი[10]. ასეთი მეთოდით ს. კაშტანოვს შესწავლილი აქვს წყალობისა და თარხნობის სიგელების ფორმულარები. მკვლევარი ამ სიგელების დისპოზიციურ ნაწილში უმცირეს ცვლილებებსაც ყურადღების გარეშე არ ტოვებს[11]. ასეთი მეთოდის გაჩენა თავისთავად გამოწვეულია დიდძალი ერთგვაროვანი მასალის არსებობით და მკვლევრის დიდი სიფრთხილით, მასალის მრავალრიცხოვნებაში არ გამოეპაროს ტექსტის რაიმე მნიშვნელოვანი თავისებურება .

ს. კაშტანოვის მეთოდს დიდ ღირსებებთან ერთად, ჩვენი აზრით, აქვს ზოგიერთი ნაკლოვანება. ს. კაშტანოვი სიბუთის ტექსტის დაშლისას გამოყოფს უმცირეს ერთეულებს — მახასიათებლებს (характеристики) და იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ — ელემენტებს. ასეთი დაყოფა მკვლევარს საშუალებას აძლევს ყურადღება მიაქციოს უმცირეს (სიტყვიერ) ცვლილებებსაც ტექსტში. ზოგჯერ ეს ცვლილებები ვარიანტულ დონეს არ აღემატებიან და მათი მნიშვნელობის გადაჭარბებულმა განზოგადებულმა შეფასებამ შესაძლოა არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს[12]. ტექსტის ამგვარი დაქუცმაცების მეთოდს აქვს ერთი პრინციპული ხასიათის ნაკლი. სახელდობრ, ეს არის სიბუთის ენის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა.

ისტორიული სიბუთის ენა გარკვეულ, მხოლოდ სიბუთისათვის დამახასიათებელი ენობრივი ორგანიზაციის წესებს ემორჩილება, სწორედ ამიტომ არის, რომ სიბუთის ტექსტს არასოდეს არ ავრეკთ სხვა დარგის წერილობითი ძეგლების ენაში. სიბუთის ფრაგმენტიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ასეთი აღრევა არ მოხდეს. მაშასადამე, ისტორიული სიბუთის ანალიზის ეტაპზე ტექსტის დანაწილება სიბუთის ენის სპეციფიკურობის ნიშნის მიხედვით უნდა ხდებოდეს. უმცირეს ენობრივ ერთეულად კი სიბუთის ტექსტში უნდა მივიჩნიოთ არა ცალკეული სიტყვა (როგორიც არის ს. კაშტანოვისეული **ელემენტი** და **характеристики**), არამედ უნდა მოვძებნოთ სიბუთის ენისათვის დამახასიათებელი უმცირესი ენობრივი ერთეული. ისტორიულ სიბუთში ცალკე გამოყოფილ სიტყვებს არა აქვთ თავისთავადი მნიშვნელობა,

---

[10] С. М. Каштанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—46.

[11] იქვე, იხ. აგრეთვე Миронов: Иммунитетные грамоты 1534 г.— начало 1538 г. как источник по истории внутренней политики в период регентства Елены Глинской. «Проблемы источниковедения», VIII, 1959., феодальный иммунитет в годы боярского правления (1538—1548 гг.). «Исторические записки», т. 66, 1960.

[12] ს. კაშტანოვის დიპლომატიკური ანალიზის მეთოდის კრიტიკა აქვს მოცემული ნ. ნოსოვს (იხ. Н. Е. Носов, «Новое» направление в актовом источниковедении, «Проблемы источниковедения», X, 1962, გვ. 263—273).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა აქვთ ამ სიტყვათა სპეციფიკურ ურთიერთმიმართებებს. ასეთ ურთიერთმიმართებათა აზრით, უმცირეს ენობრივ ერთეულად საბუთის ტექსტში სრულიად საკმარისია მივიჩნიოთ ფრაზა (იშვიათად, შესაძლებელია სიტყვაც, თუკი იგი შინაარსით ფრაზას მოიცავს), მთლიანად საბუთის ენა კი ფრაზათა სპეციალურ მიმართებათა სისტემად. ფრაზები შესაძლოა გამოთქმებში გაერთიანდნენ, გამოთქმები — წინადადებებში.

ფრაზათა გამოყოფა საბუთის ტექსტში უნდა ემყარებოდეს წინადადების გრამატიკულ ანალიზს. ფრაზად საბუთის ტექსტში შეიძლება ჩავთვალოთ: 1. სინტაქსური წყვილები; 2. მონაკვეთი ორ უახლოეს აზრობრივ პაუზას შორის. ერთგვაროვანი წევრები და დამხმარე სიტყვებიანი (თანდებული, ზმნიზზედა, კავშირი, ნაწილაკი) შესიტყვებები. გამოთქმა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაემთხვეს კიდეც ფრაზას, ან მოიცავდეს ფრაზათა ჯგუფს. წინადადება შედგება გამოთქმებისაგან (ვთქვათ, მთელი წყება ერთი ნიშნით დაქვემდებარებული ფრაზებისა შეადგენს ერთ გამოთქმას). გამოთქმა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც წინადადების აზრობრივად დასრულებული მონაკვეთი. გამოთქმების ერთმანეთისაგან გასაბიჯნად ქვემდებარის მონაცვლეობა შეიძლება გამოვიყენოთ. ფრაზათა ჯგუფი, რომელიც მიემართება წინადადებაში რეალურად არსებულ ან ნაგულისხმებ ერთ ქვემდებარეს. შეიძლება ჩავთვალოთ ერთ გამოთქმად. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ნაწყვეტი საბუთის ტექსტიდან. ფრაზები გამოყოფილია ერთმანეთისაგან ერთი სამიჯნო ხაზით, გამოთქმები — ორი ხაზით.

/„ბოვიდეს ჩუენ წინაშე/ წმიდანი მამანი/ უდაბნოისა დიდისა მღუმიმსანი/, მამაი იოანე მემღუიმე/ და მოიხუნეს სიგელი/ დიდისა მეფეთა მეფისა პაპისა ჩუენისა დავითი[სი] / და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი/ და სხუანი ძუელნი მრავალნი / პაპათა და მამათა ჩუენთანი / და გუეჰაჯნეს და მოგუეკსენეს // რ[თა]მცა ვითა მათ სიკლითა მათითა / გაუჩენია და გაუგია პირველად თუით წმიდისა მის უდაბნოისა მღუმიმსათუის / და მერმე ყოელნი სოფელნი მთნნი გაუთავისუფლებიან / ყოვლისა მაწყენარისა მათისა და დამაჭირებლისა / და ჩუენთა ჯელისუფალთა შესავლობისაგან // ეგრეთვე ჩუენ გაუახლენთ / ძუელნი სიგელნი / სიგლითა ჩუენითა / და დავამტიცეთ ბრძანებანი და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთაი“/[13].

ერთი წინადადება ან ერთი გამოთქმა ხშირად შეიცავს პირობითი ფორმეულარის სხვადასხვა კომპონენტს. მაგალითად, თამარის 1188 წლის გელათისადმი ბოძებული შეწირულების სიგელი ასეთი წინადადებით იწყება: (/„ქ. სახელითა ღმრთისაითა/ — **(ვედრება)** მე, თამარ ბაგრატუნიანმან/, **სახელდება)** ნებითა ღმრთისაითა/ აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა / მეფემან და დედოფალმან, / შარვანშა და შაპანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით მფლობელმან/ — **(წოდებულებამ).** ვინება **(განგებულება)** — რათამცა წარსამართებელად მეფობისა ჩემისად/ და კუალდ[ცა შემდგომითი-შემდგომა] [/მომავლისა ჩემისა სინაოლისა/, იესო [ქრისტეს აღდ]გომასა ჟამსა / სალხინებელად სულ[ისა] ...გან// — **(ჯერჩინება),** მცირი ქველის სჯმე ჩენილიყო **(განგებულება).** // ღმრთივ გურრგუინიანთა მეფეთა პაპათა ჩემთაგან/ სრულქნილსა, ყოველითურთ შემკობილსა /საყოფელსა დე-

[13] ტექსტი წარმოადგენს გიორგი III-ის შიომღვიმისთვის 1170 წელს ბოძებული სიგელის ნაწყვეტს (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965, გვ. 20).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისა ღმრთისასა, / სამკუიდრებელსა დიდსა მონასტერსა გელათსა შინა, // რომელი აღაშენა / სალოცველად სულისა მათისად და წარსამართებელად / შემდგომად მათსა მომავალთა ტახტსა მათსა ზედა მსჯდომთა მეფეთა“/ (**თხრობა**)[17]. ეს წინადადება შეიცავს პირობითი ფორმულარის რამდენიმე თემას ასეთი თანმიმდევრობით: ვედრება, სახელდება, წოდებულება, განგებულება. ჯერჩინება, განგებულება, თხრობა. ზოგიერთი თემა ერთი ფრაზით არის წარმოდგენილი, ან ფრაზათა რიგით, ან მთელი გამოთქმით. ერთ გამოთქმაში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა თემა. შესაძლოა ერთი რომელიმე თემის წამყვანი ფრაზის გაწყვეტა სხვა წინადადებით: „ვინცა რათამცა... მცირე ქველის საქმე ჩენილიყო.“ საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუ პირობითი ფორმულარის თემატურ კომპონენტებს განვიხილავთ ტექსტის გრამატიკულ წყობასთან მიმართებით, საკმაოდ მრავალფეროვან კომბინაციას აღმოვაჩენთ. ამ კომბინაციათა შედარებითი შესწავლა ტიპური (ანდა კონკრეტული) ფორმულარის სტრუქტურას გვიჩვენებს[15].

საბუთის ამგვარი დაშლის შედეგად, შესაძლებელია, ტექსტში ისეთი თავისებურებები გამოიკვეთოს, რომელთა მიმართაც დიპლომატიკური კვლევის დროს ყურადღება არ იყო დათმობილი. ასეთია, მაგალითად, განმეორებების შემთხვევები. ტექსტში გამეორება შეიძლება იყოს ორგვარი: 1. ფრაზისა ან გამოთქმის უცვლელი გამეორება; 2. მოტივის გამეორება. გამეორებათა წესს დოკუმენტების შედგენისას, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში ხშირად იყენებდნენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენების ან ამ მოვლენებისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად. ასევე, ტექსტის დაყოფის შედეგად, შესაძლებელია, გამოვლინდეს დიპლომატიკური ფორმულები.

ისტორიული საბუთის ტექსტის დანაწილების პრინციპების შერჩევას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცალკეული დიპლომატიკური თემების დამუშავების წესებისა და მათი ევოლუციის გზების შესწავლაში. ეს თემები განხილულ უნდა იქნენ მათი შემადგენელი მოტივების, ადგილისა და ფუნქციის მიხედვით.

მოცემული სახეობის საბუთის ფორმულარის სტრუქტურასა და მისი ცვლებადობის ხარისხის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ გრაფიკული აღწერის მეთოდი, რომელიც ძალზე მოხერხებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მრავალრიცხოვანი ერთგვაროვანი მასალა საჭიროებს ერთმანეთთან შედარებას. გრაფიკული აღწერის მეთოდი გულისხმობს პირობით ნიშანთა სისტემის შემოღებას. ისტორიულ საბუთთა ცალკეული სახეობები შეიძლება აღვნიშნოთ ლათინური ანბანის მთავრული ასოებით: A, B, C... თითოეული მათგანი შეიცავს იმავე ანბანის ნუსხურ ასოების რიგს. a, b, c, d, e...სადაც თითოეული ასო-ნიშანი შეესაბამება საბუთის რომელიმე სპეციალურ თემას. ვთქვათ, a გამოხატავს ვედრებას (invocatio), b— სახელდებას (intitulatio, devotio) c — წოდებულებას (intitulatio, devotio), d— აღრესატს (inscriptio), e — თხრობას (narratio), f—თხოვნას (petitio), g—ჯერჩინებას (arenga), h—საბუთის გამცემის გადაწყვეტილებას (dispositio) i—რიანობას, k — პირობის ხანგრძლივობას, l — შეუვალობას, *m*— დაუცილებლობას

[14] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 25.

[15] ტიპური ანდა კონკრეტული ფორმულარის შედგენისას აუცილებელია სინქრონულობის პრინციპის დაცვა. ის რაც ტიპობრივია ერთი საუკუნისათვის ან ერთი ისტორიული ეპოქისათვის, შეიძლება ტიპობრივი აღარ იყოს სხვა ეპოქისათვის.

(ჩამოთვლილი კომპონენტები i, k, l, m, შეადგენენ dispositio-ს, ქართ. განგებულების ნაწილებს)[16], n—ბრძანებულებას (sanctio-), o ბრალთგადამხდელობა ჯურთხევას (sanctio), q — სათვალავს, (datum), r — მოწმობებს (corroboratio).

გრაფიკული აღწერის მეთოდი უჩვენებს დიპლომატიკური თემებისა და მოტივების არსებულ კომბინაციებს და აგრეთვე ამ კომბინაციათა მიმართებას საბუთის ტექსტის გრამატიკულ წყობასთან. იგი უჩვენებს იმასაც, თუ რომელი დიპლომატიკური თემის მნიშვნელობა ძლიერდება. ფორმულარში, რომელი თემა იდევნება და რა სახის კომბინაციები ჭარბობს მოცემულ ქრონოლოგიურ პერიოდში.

როდესაც რამდენიმე დიპლომატიკური თემა ან მოტივი ერთ წინადადებაშია გაერთიანებული, ისინი მოქცეული იქნებიან ფრჩხილებში. ფრჩხილებგარეშე წარმოდგენილი ასო-ნიშანი უჩვენებს, რომ ესა თუ ის თემა ან რომელიმე მოტივი დამოუკიდებელი წინადადებაა. მაგალითისათვის ვუჩვენებთ ასეთი გრაფიკული მეთოდით «გადაწერილ» საბუთს[17]: ვთქვათ, წყალობის სიგელები ქმნიან B სისტემას — მაშინ, ε B = (abcdgdf)(hgkhi) (hdki) (ghi) (ehkm) lmnor (pq) r.

ისტორიული საბუთის შინაარსში სრულყოფილად ჩაწვდომა დიპლომატიკის მიზანი იყო ამ სამეცნიერო დისციპლინის განვითარების ყველა ეტაპზე. საბუთის დიპლომატიკური ანალიზის გზებიც ამ მიზნის მიწვდომას ემსახურებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბუთის ტექსტის სხვადასხვა ნაწილებისადმი არათანაბარი ინტერესი სრულიად აშკარა იყო. ეს ვითარება გამოწვეული იყო იმით, რომ დიპლომატიკა საერთოდ ისტორიულ მეცნიერებათა წინაშე აღმოცენებულ კარდინალურ პრობლემათა გადაჭრაში იღებდა მონაწილეობას და თვითონაც, როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა, ამ პრობლემატიკით იფარგლებოდა. ამიტომაც საბუთის ის ნაწილები, სადაც მეცნიერები იურიდიული, სოციალური ან პოლიტიკური აზრის პირდაპირ გამოხატულებას არ ხედავდნენ, საერთოდ უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ისტორიული საბუთებისადმი ასეთი მიდგომა არ არის დაზღვეული ცალმხრივობისაგან და მას მხედველობის არედან რჩება ისტორიული საბუთის შეფასების მნიშვნელობა თვით თავისი თანამედროვე საზოგადოების მიერ. საბუთის ტექსტის რაც შეიძლება მეტი ნაწილის ჩართვა მეცნიერულ კვლევაში, მათი თანაბარი ინტერესით შესწავლა, თანმიმდევრული დიპლომატიკური ანალიზის გზით უნდა ხორციელდებოდეს. ტექსტისადმი ასეთი მიდგომა ისტორიულ წყაროთა სიმცირის პირობებში განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს.

---

[16] ივ. ჯავახიშვილის მიერ სიგელში გამოყოფილი თემატური კომპონენტები რაოდენობით აღემატება რომაულ-ბიზანტიური სიგელებისას. ამიტომაც ზოგიერთ ქართულ ტერმინს ლათინური შესატყვისი არ მოეპოვება.

[17] წყალობის სიგელი გიორგი VII-ისა გუგუნი მაყაშვილისადმი (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 100 —101).

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. К. СУРГУЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О ДИПЛОМАТИЧЕСКОМ ИЗУЧЕНИИ ГРУЗИНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ АКТОВ

Резюме

В статье рассматриваются вопросы дипломатического анализа древнегрузинских жалованных грамот. В ней дана также критическая оценка существующих в специальной литературе методов дипломатического исследования актового материала. Понимание исторического акта, как специальной языковой организации, лежит в основе предлагаемого в статье нового способа дипломатического анализа.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალანდაძე

ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან

უკვე მეოთხე წელია, რაც წყალტუბოს მხარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია საველე კვლევა-ძიებას ატარებს წყალტუბოს რაიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სადღეისოდ მიკვლეულია და შესწავლის პროცესშია ოცდაათამდე არქეოლოგიური, სპელეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო ერთეულები მკრთალად იხსენიებოდნენ. ესენია: თეთრი მღვიმე, საქაჯიას მღვიმე, საწურბლიას ეხი, ხომულის ქვაბა, ხომულისა და ქვილიშორის ციხეები, სემის ხეობის ნამოსახლარები და სხვა მრავალი სპელეოლოგიური ობიექტი.

ქვის ხანის მასალებით განსაკუთრებით მდიდარი გამოდგა ნასოფლარი მ ე ლ ო უ რ ი[1].

მ ე ლ ო უ რ ი მდებარეობს კურორტ წყალტუბოს ცენტრიდან ჩრდილოეთით 20-25 კმ-ზე, ზღვის დონიდან 530 მ. სიმაღლეზე. ნასოფლარს აღმოსავლეთიდან მელოურის მაღალი მთების წყება ესაზღვრება, დასავლეთიდან კი დაბალი მდებარეობის ტერასები ეკვრის, ჩრდილოეთიდან მას სემის ხეობა ჩამოუდის, ხოლო სამხრეთიდან ე. წ. — მღვრიელე.

მთელ ნასოფლარს და განსაკუთრებით კი იმ ტერასებს, რომელზედაც უძველესი ნამოსახლარები იქნა მიკვლეული, საკმაოდ მოხერხებული მდებარეობა უჭირავს. აქაური შესანიშნავი ხედი. სუფთა ჰაერი, ანკარა წყაროები, ცხოველებითა და მცენარეულობით მდიდარი გარემო, ორგორც ჩანს, იმთავითვე იზიდავდა ადამიანს.

გარდა მრავალგვარი ძირძველი მცენარეებისა, (ცხრილა, წიფელი, მუხა, და სხვ.), აქ ეხლაც ხარობს სადღეისოდ ჩვენში გავრცელებული თითქმის ყველა სახის ხეხილი: ლეღვი, ხურმა, ზღმარტლი, კაკალი, თხილი, მსხალი, ვაშლი, ბროწეული, ტყემალი, ყურძენი და სხვა. ზემოქვილიშორის კოლმეურნეობას მელოურის ნაყოფიერ მიწებზე მოჰყავს ისეთი კულტურები, როგორიცაა: სიმინდი, სოიო, ლობიო, კარტოფილი და ა. შ. თავისუფალ მთებსა და ტერასებს სათიბად და საძოვრად იყენებენ.

მელოურის ამ ტყე-ველით დაფარული ტერასებით, რომელშიდაც ალბათ გარეული ცხოველები და ფრინველები ბინადრობდა, როგორც დამტკიცდა, ქვის ხანის ადამიანიც სარგებლობდა.

1968 წ. მელოურში ნინო ბერძენიშვილმა პირველად მიაკვლია მუსტიეური ტექნიკით დახასიათებული კაჟის ანატკეცებს[2].

---

[1] მელოურიდან მკვიდრი მოსახლეობა 1944 წ. გადასახლდა ახალციხე-ადიგენის რაიონებში, მის შემდეგ მან ნასოფლარის სახელი მიიღო.

[2] ნ ი ნ ო ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, გვ. 20, ტაბ. VII, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1976 წ. ნასოფლარის ტერიტორიაზე ჩატარდა პირველი არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები[3], როდესაც ზედაპირულად აიკრიფა, ქვის სხვადასხვა ქანის იარაღ-ხელსაწყოები და მათი დამზადების დროს წარმოქმნილი წარმოების მრავალი ნაშთი, რომელთა საერთო ჯამი 2000 ერთეულს აღემატება.

წინასწარული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აქ ადამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითში და იგი მას დიდხანს არ მიუტოვებია. ამ პუნქტში, სახელდობრ მიკვლეულია აშელის, მუსტიესა და ახალი ქვის ხანის ადამიანის კულტურის ნაშთები. მართალია, უშუალოდ უძველეს ნამოსახლარზე არ ჩანს ზედაპალეოლითელი ადამიანის ცხოვრების დამამტკიცებელი ნიშნები, მაგრამ მელოურის დასავლეთით, უფრო დაბლა, საწურბლიას ეწში ზედაპალეოლითურ-მეზოლითური ეპოქების ძლიერი კერა დადგინდა, რომლითაც ამ მხარეში პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების უწყვეტი კვალი ქვის ხანის თითქმის ყველა სტადიაში დადასტურდა.

მელოურში მოპოვებული ქვის ხანის ინვენტარი ეპოქების მიხედვით შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ა შ ე ლ უ რ ი ეპოქის მასალა ჯერჯერობით მხოლოდ 4 ცალია.

ნ უ კ ლ ე ე უ ს ი (ტაბ. I, 1) აშელის ხანის, მარაოსებრი, მასიური, ᲬᲥᲔᲚᲘ პატინით დაფარული, ემჩნევა სქელი და ფართო ანატკეცების აცლის კვალი, ნაპირები შესწორებული აქვს ორსავე მხრიდან, შესაძლოა მას სარეხ იარაღადაც იყენებდნენ, ზომა: 11X10X9 სმ.

გარდა აღნიშნული ნუკლეუსისა აშელურ ეპოქას განეკუთვნება ორი ცალი ნუკლეუსებრი ანამტვრევი, რომლებსაც ასევე ანატკეცების აცლის კვალი ემჩნევა, ნაგრრებია და სქელი პატინითაა დაფარული.

აშელური ნუკლეუსი ნაპოვნი იყო მელოურის ნეოლითური ნამოსახლარის მახლობლად, კერძოდ აღმოსავლეთიდან მომიჯნავე მთის ძირზე როგორც ჩანს იგი მაღლობიდანაა დაგორებული. მომავალში აშელური ნამთების მიკვლევა სწორედ ხსენებულ მთაზეა სავარაუდო.

მ უ ს ტ ი ე უ რ ი ხანის ინვენტარი აშელურთან შედარებით მრავალრიცხოვანია (37 ც), ესენია: წვეტანები, სახოკები, რეტუშირებული მასიური ანატკეცები, ანატკეც-ანამტვრევები ურეტუშო და სხვ.

წ ვ ე ტ ა ნ ა ფოთლის ფორმის, ჩამოყალიბებულია კაჟის ლეკალუაზურ სამფერად ანატკეცზე (ტაბ. II, 4), სქელი მონაცრისფერო პატინით დაფარული, ფართო დარტყმის მოედნითა და მაღალი ბურცობით, დარტყმის მოედანი შესწორებული აქვს, ხოლო ბურცობზე ქერცლისებრი ანატკეცის აცლის კვალი ემჩნევა. მისი მახვილი წვერი ოდნავ მარცხნივ არის მოხრილი. ნაპირები მთელს სიგრძეზე საფეხურებიანი რეტუშითაა დამუშავებული. წვერთან ახლოს, ნაპირები ერთიმეორის პირდაპირ ამოღარულია. შესაძლოა ის ტარშიც იჯდა. იგი საგულდაგულოდაა დამუშავებული და სრულყოფილი სახე აქვს, რომელიც თავის დროზე საკმაოდ ეფექტური საბრძოლო-სამონადირეო იარაღი უნდა ყოფილიყო, ზომა: 7X3.5X1 სმ.

მსგავსი წვეტანები ცნობილია თეთრამიწიდან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თეთრამიწაზე მოპოვებული ერთი ფოთლისფორმის წვეტანა, რომელიც მთლი-

---

[3] მელოურიდან არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი შეაგროვა და ჩვენს ექსპედიციას მიაწოდა წულაღტუბოს პიონერთა სასახლის ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა, პედაგოგ ო. ვ. კინწურაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც იმავე დროს ექსპედიციის წევრიც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანად ჰგავს მელოურის იარაღს, როგორც ფორმა-მოყვანილობით, ასევე დამუშავების ტექნიკითა და ნაპირების ერთ და იმავე ადგილზე ამოღარვითაც[4].

წვეტანა (ტაბ. I,3) გაფორმებულია ლეკალუაზურ მოგრძო და სწორ ლამელებზე. ცალი ნაპირი შედარებით თხელი აქვს და მთელ სიგრძეზე მიუყვება, მეორე ნაპირი უფრო სქელი და მორკალულია, რომელიც ასევე მთელ სიგრძეზეა რეტუშირებული. ზურგზე ემჩნევა სწორი ანატკეცების აცლის კვალი, მუცელი ტალღოვანია, აქვს ფართო, სწორი დარტყმის მოედანი და მაღალი ბერცობი, მახვილი წვერი ოდნავ მარცხნივაა მოხრილი. იარაღი მონაცრისფერო პატინითაა დაფარული, ეტყობა ხმარების კვალი. საერთოდ იგი საგულდაგულოდაა დამზადებული და დასრულებული იარაღია. შესაძლოა ტარშიც იჯდა. ზომა 7X2 და 4X1 სმ.

დაახლოებით ამდაგვარი წვეტანა აღმოჩენილია ჭიათურაში „ორბალ“ — IV ნამოსახლარზე[5].

წვეტანა (ტაბ. II, 8) ნაკლული, შემორჩენილია მხოლოდ იარაღის მახვილი წვერი, რომელიც რამდენადმე მარჯვნივაა მოხრილი: ნაპირები თხელი და ბასრი აქვს. ცალ პირზე ემჩნევა მკრთალი რეტუშის კვალი. ზურგზე მაღალი წიბო გასდევს. მუცელი ბრტყელი აქვს, ზომა 3X2, 5X0,7 სმ.

წვეტანა ბლაგვწვერა (ტაბ. II, 1), ჩამოყალიბებულია ხორცისფერ უსახო კაჟის ანამტვრევზე, რომელსაც მოსქო ნაპირები სხვადასხვა სიბრტყიდან უხეში რეტუშით აქვს დამუშავებული. იარაღის წვერი დაბლაგვებული და დაჩეჩქვილია ხმარებისაგან.

წვეტანისებრი იარაღის ფრაგმენტი, ჩამოყალიბებული ფოთლის ფორმის ანატკეცებზე, შესწორებული დარტყმის მოედნითა და მაღალი ბერცობით. თხელი მომრგვალებული ნაპირები ზურგის მხრიდან თანშიმდევრული, მკრთალი რეტუშითაა გაფორმებული. იარაღს წვერი მოტეხილი აქვს, ორივე სიბრტყე ხალებითა და ლაქებითაა დაფარული, ზომა: 3X3X0,5 სმ.

სახოკი კაჟის, ბრტყელ, მოგრძო ანამტვრევზე გაფორმებული. იარაღის ცალი ნაპირი სწორი და რეტუშირებულია, ხოლო მეორე არასწორი და ამოღარული. იგი დაფარულია სქელი პატინით და არქაულობის იერს ატარებს, ზომა: 7X5X3 სმ.

სახოკი წვეტანისებური (ტაბ. I, 2). კაჟის ლეკალუაზური მოგრძო ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული. იარაღის ორივე ნაპირი საფეხურიანი (ჩანატეხებიანი) რეტუშითაა დამუშავებული, სქელი წვერი ორივე სიბრტყიდანაა შესწორებული და ოდნავ მარცხნივაა მოხრილი. დარტყმის მოედანი სწორი და ოდნავ დახრილია, მუცელი ტალღოვანი, ზურგზე ანატკეცების აცლის კვალი გამოჰყოლია. იარაღი მთლიანად სქელი, ნაცრისფერი პატინითაა დაფარული. იგი ერთ-ერთი სრულყოფილი იარაღთაგანია. ზომა: 7X3, 5X1,4 სმ.

დანა—სახოკი გრძელი (ტაბ. II 6), ჩამოყალიბებული მუქი ფერის, სქელ, ორფერდა ანატკეცებზე, რომლის წვერი და ორივე ნაპირი თანაშიმდევრულ საფეხურებიანი რეტუშითაა დამუშავებული. იარაღი სამკუთხა განივ-

---

[4] ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნამთების ქუთაისის მიდამოებიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, 1974, გვ. 12. ტაბ. V, 4.

[5] დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1968—1969 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, 1971, გვ. 17. ტაბ. X, 10.

5. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979 № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთიანია, აქვს დიდი დარტყმის მოედანი, ტალღისებური მუცელი და მაღალწიბოიანი ზურგი, ზომა: 8X4X2,5 სმ.

სახოკი მომრგვალებული სამუშაო პირით (ტაბ. II,5), გაფორმებული ოვალური მოყვანილობის სქელ ანატკეცებზე. სამუშაო პირი ზურგის მხრიდან რეტუშიათა შესწორებული, მაღალ ზურგზე ემჩნევა ფართე ანატკეცების აცლის კვალი, ზომა: 6X5X3 სმ.

არქაული ანატკეცები, მასიური, ძლიერ პატინირებული, დიდი დარტყმის მოედნითა და შესაბამისი ბურცობით, ბრტყელი მუცლითა და შემალებული ზურგით, რომელზედაც ფართო ანატკეცების აცლის კვალი ჩანს და აქა-იქ ქერქიც შემორჩენიათ, მათი სიგრძე 7,5 სმ.

არქაული ანატკეცები რეტუშისა და ხმარების კვალით, 6 ც. სქელი პატინით დაფარულ ლეგალუაზურ ფართო ანატკეცებს ეტყობა რეტუშისა და გამოყენების კვალი. ყველა მათგანს შემორჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და ბურცობი, ტალღოვანი მუცლითა და შემაღლებული ზურგით, რომელზედაც ანატკეცების აცლის კვალი ემჩნევა. მათი სიგრძე 3,5 — 6,5 სმ შორის მერყეობს (ტაბ. I, 7,9—10). აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ანატკეცებიც ნაპოვნია თეთრამიწის ნამოსახლარზე[6].

არქაული ანატკეცები, მუსტიური იერის. 18 ცალი, მასიური, დიდი დარტყმის მოედნებით და შესაბამისი ბურცობებით, პატინირებული, ზოგ მათგანს ბუნებრივი ქერქიც შემორჩენია. ანატკეცების ნაპირებს ეტყობა გამოყენების კვალი.

ნეოლითური ხანის შესატყვისი მასალა მელოურის კოლექციაში ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი (1700 ც), ესენია: ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტვრევები, ლამელები, საფხეკები, სახვრეტები, ჩასართები, საჭრისები, შვერილანი და გვერდამოღარული („ლეკალას"), ტიპის იარაღები, რეყისქვის ცულები, ჩაქუჩები, სასრესები, სალესები, ხელსაფქვავები და სხვ.

ნუკლეუსები მელოურის ნეოლითურ ნამოსახლარზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი (100 ც), ფორმის მიხედვით მრავალფაროვანია, როგორც ამფორული (ტაბ. II, 17 — 20), ისე პრიზმულები (ტაბ. II, 11, 28), გვხვდება ავრეთვე კონუსური (ტაბ. II, 21, 23), ფანქრისებრი (ტაბ. II, 11) და ბრტყელი ნუკლეუსები.

ფუძის მიხედვით არის, როგორც ერთფუძიანი (ტაბ. II, 11, 21, 27), ისე ორ (ტაბ. II. 20, 22) და სამფუძიანი (ტაბ. II, 28, 30) ნუკლეუსები. ზომის მიხედვით არიან მასიური (ტაბ. I. 2), უმეტესად საშუალო სიდიდის (ტაბ. II, 24), და მიკრონუკლეუსები (ტაბ. II 11). უდიდესი მათგანის ზომაა 10X8X7 სმ. უმცირესის კი 2X1X0,7 სმ. მიუხედავად ზომის ასეთი სხვაობისა ორსავეს, სხვადასხვა სისქე-სიფართის, მაგრამ ერთნაირი რაოდენობის (12) ანატკეცის აცლის კვალი ემჩნევა. ნუკლეუსების დიდი ნაწილი უტილიზირებულია. ჯარბობს უხეში ფორმის ნუკლეუსები, რომელთაგან ბევრი სხვადასხვა სისქის პატინით, ლაქებითა და ხალვნითაა დაფარული. ზოგს კიდევ ბუნებრივი ქერქიც შემორჩენია. კოლექციაში შემავალი ნუკლეუსების ერთი ჯგუფი ბურთისებრადაა დამრგვალებული, ირგვლივ მოკლე ფაცეტების აცლის გზით. შესაძლოა ისინი ნინო ბერძენიშვილის მიერ თეთრამიწაზე გამოყოფილი ნუკლეუსების ერთი

---

[6] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 12, ტაბ. IV, 3.

ჯგუფის მსგავსად შურდულით სასროლ ქვებს წარმოადგენენ[7]. საერთოდ აქაურ ნუკლეუსებს მეტ-ნაკლებად მსგავსება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულ სინქრონიულ ნამოსახლარების ნუკლეუსებთან.

ანატკეცები მელოურის კოლექციაში ყველაზე მრავალრიცხოვანია 400 ერთეული, აქედან 70 ც. ქერქიანი უსახო ანატკეცია, ხოლო 300 ცალი უქერქო უხეში ანატკეცია. პირველი ჯგუფის ანატკეცები შედარებით მასიურებია. ყველა მათგანს ახლავს დარტყმის მოედანი და შესაბამისი ბურცობი. ისინი ატკეცილია ნუკლეუსის გულგულას მომზადების დროს, ამიტომ მათ ზურგზე გამოყოლილი აქვთ ბუნებრივი ქერქი. მეორე ჯგუფის ანატკეცები პირველთაგან განსხვავებით ქერქის გარეშეა წარმოდგენილი. ზურგზე მათ პირველადი ანატკეცების აცლის კვალი გამოპყოლილათ. ყველა მათგანს ახლავს ფართო დარტყმის მოედანი და მაღალი შესაბამისი ბურცობი. მუცელი ბრტყელი და ტალღოვანი აქვთ, ზურგი შემაღლებული, ნაპირები თხელი, რომელზედაც ზოგიერთს ეტყობა გამოყენების კვალი. ზომის მისედვით ორივე ჯგუფის ანატკეცები სხვადასხვაგვარია. გვხვდება, როგორც მასიური, ისე სამუალო და მიკრო ანატკეცები. ზოგი მათგანი ცეცხლშია ნამყოფი.

ლამელები და მათი ნატეხები მელოურის ნეოლითურ ნამოსახლარზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. სულ სადღეისოდ შეგროვილია 204 ცალი. აქედან 14 ცალი მთელი, მოგრძო, დანისებრი, ლამელაა (ტაბ. III, 10.). ასევე მთელია 42 ც. რამდენადმე შედარებით უსახო ლამელაა (ტაბ. III, 35, 32, 34). ლამელისებრი ანატკეცი 46 ცალია. ლამელების თავები 27 ც. წვერები— 28 ც. ხოლო 47 ც. ლამელათა ფრაგმენტებია. მათ თავი და ბოლო მოტეხილი აქვთ (ტაბ. III, 32, 33, 42). ზოგი მათგანი ჩასართავებად ან მათ ნამზადად შეიძლება ჩაითვალოს.

ლამელების გარკვეული ნაწილი რეტუშირებულია და იარაღადაა გამოყენებული. გვხვდება, როგორც ცალგვერდრეტუშირებული, ისე ორგვერდრეტუშირებული ლამელები. ზოგი მათგანი ურეტუშოა, მაგრამ ეტყობა გამოყენების კვალი.

რეტუშირებული ლამელები (ტაბ. III, 31—49), დიდი რაოდენობითაა, სხვადასხვა ზომისა და ფერის ლამელებს უმეტესად თითო, ხოლო გამონაკლისად ორივე ნაპირი რეტუშირებული აქვს, როგორც ზურგის, ისე მუცლის მხრდან. ზოგ მათგანს რეტუში მთელ სიგრძეზე გასდევს, ზოგი კი ნაწილობრივაა რეტუშირებული. გვხვდება ცალ და ორგვერდრეტუშირებული ლამელაც. ლამელებზე უმეტესად საფხეკები და დანა-საფხეკები უმზადებიათ. გვხვდება, როგორც გვერდრეტუშირებული, ისე თავსწორრეტუშირებული და თავირიბრეტუშირებული ლამელები, რომლებიც საფხეკებად გამოიყენებოდა. განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალეკ:

თავრეტუშირებული ლამელები დამზადებულია კაჟის ორ და სამფერად ლამელების ბოლოზე, სხვადასხვა ზომისა და ფერის. თხელი და ბასრი ნაპირებით, მახვილი, მარცხნივ მოხრილი წვერით, რომლებიც ზურგის მხრიდან რეტუშირებითაა გაფორმებული, მათი სიგრძე 2,5 სმ-დან 5 სმ-მდე მერყეობს. აღნიშნული იარაღები საფხეკად და დანებად შეეძლოთ გამოეყენებინათ, მათი სიგრძე 2 სმ-დან 5 სმ-მდე ადის.

თავსწრეტუშირებული ლამელა (ტაბ. III,31), დასახელებულ კო-

[7] ნ. ბერძენიშვილი, ქვეყნ პალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექციაში ერთადერთია. მოგრძო ყავისფერი ორფერდა ლამელას სამუშაო პირი ძალზედ პატარა ფაცეტების აცლის გზით სწორად აქვს რეტუშირებული. თხელსა და ბასრ ნაპირებს აქა-იქ ემჩნევა მკრთალი რეტუში და გამოყენების კვალი. ლამელა მუცლის მხრიდან ოდნავ ჩაზნექილია. შემაღლებულ ზურგზე წიბო მიუყვება. იარაღს ემჩნევა დარტყმის მოედანი და შესაბამისი ბურცობი, ცალ ნაპირზე შემორჩენილი აქვს ბუნებრივი ქერქი. მიუხედავად ამისა ივი სრულყოფილი იარაღის იერს ატარებს. მისი ზომა 4X1X0,4 სმ.

საფხეკები მელოლითურ ნამოსახლარზე ყველაზე მრავალრიცხოვანია, 114 ც, (ტაბ. IV, 1—52), ისინი ძირითადად დამზადებულია კაჟის მომრგვალო ფორმის მაღალ ანატკეცებზე (ტაბ. IV, 28-29, 32, 34, 44, 56). გვხვდება აგრეთვე თხელ ანატკეცებზე დამზადებული მომრგვალო სამუშაოპირიანი საფხეკები, 20 ც, (ტაბ. IV, 14, 22, 33, 47-48). მომრგვალო მკრთო საფხეკები 30 ც. (ტაბ. IV, 6-7, 18, 25). ლამელისებურ ანატკეცებზე გაფორმებული საფხეკები 10 ც, (ტაბ IV, 57, 61), ლამელებზე დამზადებული საფხეკები 5 ცალი და ანამტვრევებზე ჩამოყალიბებული საფხეკები 10 ც: (ტაბ. IV, 51). დამუშავების ტექნიკის მიხედვით საფხეკები გვხვდება: მრგვალსამუშაოპირიანები, სწორსამუშაოპირიანები, ირიბსამუშაოპირიანები, ვიწროსამუშაოპირიანი, ბრჩხილისებრი საფხეკები და სხვ. საფხეკების ძირითადი ნაწილი საგულდაგულოდაა რეტუშით დამუშავებული. ზოგ შემთხვევაში რეტუში ნაპირიდან ზურგზეც გადადის (ტაბ. IV, 38,39), ზოგჯერ კი მხოლოდ სამუშაო პირს შემოუყვება მკრთალად. ზომის მიხედვით გვხვდება უმეტესად პატარა (2 სმ) და საშუალო სიდიდის საფხეკები (4,5 სმ), ზემოაღნშნული ტიპის საფხეკები დადასტურებული მრავალ მეზოლითურ (ექანი[8], ჯანპალი[9]), და აღრენეოლითურ ნამოსახლარზე (კვირიკე, ხუცუბანი[10], პალური[11], სოსრუკო[12] და ანასეული[13].

მრგვალი საფხეკები (ტაბ. IV, 25) გაფორმებულია კაჟის შედარებით სქელ ანატკეცებზე, .ფართო სამუშაო პირით, რომელიც ზურგის მხრიდან თანმიმდევრულად, მაღალი რეტუშითაა შემომრგვალებული, რომელიც ზოგჯერ ზურგზეც გადადის. ფართო დარტყმის მოედნითა და შესაბამისი ბურცობით. ბრტყელი ტალღოვანი მუცლითა და შემაღლებული, ირგვლივ დამუშავებული ზურგით. იარაღი მკრთალი პატინითა და ლაქებითაა დაფარული, ზომა: 2,3X3X1,2 სმ. ამგვარი იარაღები ცნობილია ოდიშიდან[14], კისტრიკიდან[15].

მომრგვალო სამუშაოსპირიანი საფხეკი (ტაბ. IV, 23), ჩამოყალიბებული ლამელასებურ მოვარდისფრო კაჟის ანატკეცის ბოლოზე. მოგრძო სამფერდა ანატკეცების თხელი სამუშაო პირი ზურგის მხრიდან პატარა ფაცეტების აცლის გზით არის შემოსწორებული. თხელი ნაპირები მუცლის

---

[8] მ. გაბუნია, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976, ტაბ. III, 3—35.

[9] ლ. ჭერეთელი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბ., 1973, ტაბ. XVII, 1—5, 13—15.

[10] ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1973, გვ. 38—71, ტაბ. 1,7—10.

[11] გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური, თბ., 1977, ტაბ. VIII, 15—16.

[12] ვსარგებლობთ გ. გრიგოლიას დასახ. ნაშრომით, ტაბ. XXXII, 1—3.

[13] ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამირკავკასიის ნეოლითი, თბ., 1970, ტაბ. XXV, 8,

[14] იქვე, ტაბ. XXV, 7.

[15] იქვე, ტაბ. XII, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრიდან წვერთან ამოღარულია. იარაღს ფართო და სწორი დარტყმის მოედანი აქვს, ბურცობი კი შესწორებული, ზომა: 3,4X2X0,5 სმ.

თავსწორრეტუშიანი საფხეკი (ტაბ. IV, 52), დამუშავებული ხორცისფერ, სამფერად ლამელაზე, ფართო სამუშაო პირი ზურგის მხრიდან მკრთალი რეტუშითაა შესწორებული. ნაპირები თხელი და ბასრი აქვს, მუცელი ოდნავ ჩაზნევნილი და ტალღოვანი, ზურგი სწორი და მაღალი, რომელზედაც ორი წიბო ერთიმეორეს წვერამდე პარალელურად მიუყვება. იარაღი განიკვეთში ტრაპეციისებურია, ზომა: 4X1, 3X0,5 სმ.

ბრჩხილისებური საფხეკი (ტაბ. III, 1) გაფორმებულია კაჟის მოგრძო, ნაცრისფერ ანატკეცზე. მომრგვალებული სამუშაო პირი ცაცაბო რეტუშითაა დამუშავებული, რომელიც ნაპირებზე გადადის, იარაღი ნაკლულია, მოტეხილი აქვს თავი. ნაპირები დამაბლაგვებელი რეტუშით აქვს შესწორებული მუცლის მხრიდან. გვერდი ამოღარული აქვს, ზურგზე ორი პარალელური წიბო გადასდევს, ბოლომდე, ზომა: 3X2X0.6 სმ.

მიკროსაფხეკი, მომრგვალებული სამუშაო პირით (ტაბ. IV, 19), პატარა სქელი ანატკეცების ნაპირები მაღალი რეტუშითაა შემომრგვალებული. მუცელი ბრტყელი და სწორი აქვს, ემჩნევა ფართო, სწორი დარტყმის მოედანი და პატარა ზომის შესაბამისი ბურცობი, ზომა: 1,5X1,5X0,6 სმ.

სახვრეტები (ტაბ. III, 6-8), ამ ტიპის იარაღები კოლექციაში ერთობ მცირეა, სულ 4 ც. სახვრეტები დამზადებულია უსახო ანატკეცებსა და ანამტვრევებზე. სახვრეტი მორჩი ორი მხრიდან რეტუშითაა გაფორმებული, რომელიც ხმარების შედეგად დაბლაგვებულია. იარაღებს ემჩნევა ფაცეტების აცლის კვალი და აქა-იქ ბუნებრივი ქერქიც შემორჩენილა. მათი სიგრძე 2-3,5 სმ-ია.

ჩასართები (24 ც). ტაბ. III, 16—31, 65—69) დამზადებულია კაჟის ორფერად და სამფერად ლამელათა ფრაგმენტებზე, ჯარბობს ორგვერდრეტუშირებული ტრაპეციისებრი ჩასართები. მხოლოდ ორი ჩასართია სამგვერდრეტუშირებული. ზოგიერთ მათგანს სამუშაო პირი ამოღარული აქვს (ტაბ. III, 16-18, 30. 68-69) ან სამუშაო პირის ორივე წვერიდან სასაჭრისე ჩამონატეხეცები აქვს აცლილი (ტაბ. III, 23). მსგავსი ჩასართები ცნობილია ღუმურიშიდან[16]. ფორმის მიხედვით ძირითადად გვხვდება ტრაპეციის ფორმის ჩასართები. თითო ოროლა გვაქვს წელში გამოყვანილი (ტაბ. III, 68) და სამკუთხედისებრი ჩასართები (ტაბ. III, 66). ამ ტიპის ჩასართები ცნობილია ჩხოროთოლის[17], ანასეული I-ის[18], გურიანთადან[19] და სხვ. ნეოლითურ ნამოსახლარებიდან.

საჭრისები (ტაბ, III, 4-5: ტაბ. IV, 66-78). ძირითადად დამზადებულია კაჟის უსახო ანამტვრევებსა და ანატკეცებზე. როდესაც ნაბეჭდვით, მელოფურის ნამოსახლარზე შეგროვებულ კოლექციაში საჭრისებს მეოთხე ადგილი უჭირავს (13 ც). გვხვდება უმეტესად მარტივკუთხა საჭრისები, მარტივი შუალა და კიდურა საჭრისები. ერთი მათგანი ორმაგი საჭრისია (ტაბ. IV,

---

[16] კ. კალანდაძე, ღუმურიშის ნეოლითური ნამოსახლარი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, 1973, გვ. ტაბ. III, 7.

[17] კ. კალანდაძე, ჩხოროთოლის ნეოლითური ნამოსახლარი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, გვ. 791, ტაბ. VI, 19, 45.

[18] ლ. ნებიერიძე, დასავლთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, ტაბ. X, 3.

[19] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXVII, 20—24.

72). იგი გაფორმებულია ლამელისებურ სამფერდა ანატკეცების თავსა და ბოლოზე, რომლის ერთი ბოლო თავსწორტუშირებულია, ხოლო მეორე ამოღარული.

ბვერდრეტუშირებული შვერილიანი იარაღები ნეოლითურ კომპლექსებში გარკვეულ ადგილს იკავებს — 6 ცალი. იარაღების ეს ჯგუფი ბრტყელსა და უხეში ანატკეც-ანამტვრევებზეა დამზადებული, რომლებსაც ერთი ნაპირი ზურგის მხრიდან რეტუშით აქვთ მთელ სიგრძეზე დამუშავებული. რეტუშირებულ ნაპირზე თითო ან ორი დაბალი შვერილი აქვთ გამოყვანილი (ტაბ. III, 59-63). მსგავსი იარაღები ცნობილია პალურის და ლებიქვის[20] ნეოლითურ ნამისახლარებიდან, რომლებსაც გ. გრიგოლია გვერდმოღარულ ანკესისებურ შვერილიან იარაღებს უწოდებს. ე. წ. ლეკალოს ტიპის ანუ მრუდე იარაღები, გვერდმოღარული (ტაბ, IV, 59, 63-64) მელოფორის კოლექციაში ჯერჯერობით 9 ცალია. იარაღთა ამ ჯგუფსაც ცალი გვერდი რეტუშით აქვთ ამოღარული და ბოლოზე შვერილი აქვთ გამოყვანილი. ისინი ძირითადად პატარა ზომის უსახო ანატკეცებზეა დამზადებული და ასიმეტრიული ფორმა აქვთ. ასეთი იარაღები ცნობილია პალურიდან[21], ანასეული II-დან[22], სამხრეთ ოსეთში (ჯერმუხი, ჯოჯოხეთში, ნაგუთნში)[23], ჩრდ. კავკასიაში (სოსრუკო)[24]. რიყის ქვის იარაღები:

ცული (ტაბ. I, 4) გახეხილ-გაპრიალებული, ფართო, მჭრელ სამუშაოპირიანი, ოვალურგანივკვეთიანი, ზომა: 7X5X3 სმ.

მსგავსი ცულები ცნობილია: ანასეული II-დან[25], ოდიშიდან[26], ღუმურიშიდან[27].

ცული ბლაგვპირიანი (ტაბ. I, 7) გახეხილი, ოვალურგანივკვეთიანი, ფართო პირდაბლაგვული (ხმარების შედეგად), ვიწრო დაჩიჩქილი ბოლოთი. ზომა: 7X6X3,5 სმ.

ცული ვიწროსამუშაოპირიანი (ტაბ. I, 3, 5-6), რიყის ქვის ნაკლული; გახეხილი, ოვალურგანივკვეთიანი, თავმოტეხილი.

ხელჩაქუჩი (ტაბ. V, 1) რიყის ქვის, პირდაჩიჩქილი, ვიწრო ბოლოთი, რომელიც მარჯვედ ჯდება ხელში, ოვალურგანივკვეთიანი, ზომა 10X5, 5X3 სმ.

სატეხ-სათლელები (ტაბ. I, 8, ტაბ. V, 12) რიყის ქვის, გახეხილი, ბრტყელი, ფართო, ბლაგვპირიანები, ოდნავზურგამობურცული და ბრტყელი მუცლით, თავდაჩიჩქილი 2 ც, სიგრძე პირველის 6 სმ., მეორის 8 სმ. ამგვა-

[20] გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური, თბ., 1977, ტაბ. IX[4] 13—22; ტაბ. X, 1—9; ტაბ. XXI, 16—21; ძისიგე, ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში, მასალები, საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, გვ. 90, ტაბ. VIII, 22—23.

[21] გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 90, ტაბ. VIII, 2427.

[22] ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, ტაბ. IX, 31—32.

[23] В. П. Любин, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия), МИА, 126, 1966, М.-Л., გვ. 162—163.

[24] С. Н. Замятни, П. Г. Акритас, Раскопки грота Сосурко в 1955, Учен. зап. КБНИИ, т. XIII, 1957, с. 431—452, рис. 9.

[25] ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1974, ტაბ. XI.

[26] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXVII, 4—5.

[27] კ. კალანდაძე, ღუმერიშის ნეოლითური ნამისახლარზე 1970 წ. ჩატარებული სამუშაოთა შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1973, გვ. 139, ტაბ. VI, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი იარაღები აღმოჩენილია ანასეულ II-ში[28], ოდიშში[29], გურიანთაში[30], ჩხოროცოში[31].

სასრესები, 2 ცალი, ოვალური ფორმის (ტაბ. V, 9) და მოგრძო (ტაბ. V,10), გახეხილი, ცალმხრივი, ეტყობათ გამოყენების კვალი.

მიწის საჩიქნი იარაღი (ტაბ. V, 2), რიყის ქვის გრძელი, ვიწრო, მრგვალგანივკვეთიანი, პირჩამოტეხილი.

ჯამისებური ჭურჭელი (ტაბ. V, 8) დამზადებული ტუფოგენური ფორმებიანი ქვისაგან, ნაკლული, მოტეხილი აქვს ნაპირები, ჯამისებურად ჩაღრმავებული. ამდაგვარი იარაღები ცნობილია ჩხოროცოლიდან[32].

სალესები (ტაბ. V, 3, 7; ტაბ. V, 14-15) რიყის ქვის, 7 ცალი, გრძელი, ვიწრო სხვადასხვა სისქის, უმეტესად ოვალურგანივკვეთიანი, გამონაკლისად მრგვალგანივკვეთიანი.

სხვადასხვა იარაღთა ფრაგმენტები, ძირითადად გვხვდება ცულის, სალესის, ჩაქუჩისა და სხვა იარაღთა ნატეხები, რომელთაც აშკარად ემჩნევათ დამუშავების კვალი. მათი რიცხვი 18 ცალამდე აღწევს. გარდა ამისა გვხვდება ისეთი ნატეხებიც, რომლებიც ფრაგმენტულობის გამო არ განისაზღვრებიან.

ხელსაფქვავები ქვედა, მასიური, ოთხკუთხა, მოხაზულობის, სქელი, სამუშაო პირი დაკეუნილი აქვთ, ნაკლული, ჩამომტვრეული, აქვთ კუთხეები, 4 ც. ზომა: 2X15X6,5 სმ.

ხელსაფქვავები (ტაბ. V, 11-13) ზედა, გრძელი, ვიწრო, სამუშაო პირი ბრტყელი აქვს, ეტყობა ხმარების კვალი, ზურგი შემაღლებული, 2 ც. ორივე ნაკლულია, მოტეხილი აქვთ თითო ბოლო, სიგრძე 9-16 სმ.

წარმოდების ნაშთის სიმრავლე მიგვანიშნებს, რომ ახალი ქვის ხანის ადამიანი აქ დიდი ხნის მანძილზე მჯდარა და ადგილზეევე უმზადებია მეურნეობის სხვადასხვა დარგში საჭირო იარაღ-ხელსაწყოები, რომელთა შორის წამყვანია შინამოხმარების საგნები (საფხეკები, საპრისები, სახვრეტები, დანები), და სამიწათმოქმედო იარაღები (ხელსაფქვავები, ჩასართები; მიწის საჩიჩქნები და სხვა).

ჩვენ ხელით არსებული მასალების სინქრონულ ნამოსახლარებთან შედარება მიგვანიშნებს, რომ კვლევის დღევანდელ სტადიაზე იგი ადრენეოლითის ხანას უახლოვდება.

მელოური, გ. გრიგოლიას მიერ გამოყოფილ ე. წ. „მთის ნეოლითის“ (პალურო-ნაგუთნის)[33] კულტურის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. იგი ადრე ნეოლითის დასასრულისა და შუა ნეოლითის დასაწყისში შეიძლება მოთავსდეს. როგორც აღინიშნა მას გენეტიკური ფესვები გადადგმული აქვ არა მარტო ადრენეოლითურ ძეგლებში (ანასეული I, ხეცუბანი, კინტრიში, ნაგუთნი, პიჩიკინი, და სხვ), არამედ მეზოლითურ კულტურაში (საწურბლიას ეხი, ჯამპალი, ეძანი და სხვ.). რიყის ქვის გახეხილი იარაღებით (ცულები, ჩაქუჩი, სას-

---

[28] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII, 4.

[29] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, XXVIII, 9.

[30] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIX, 3—4.

[31] კ. კალანდაძე, ჩხოროცოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—73. ჩატარებული ანგარიშის შედეგები, ძალალის საკ. კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, ტაბ. VII, 10—11.

[32] კ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII, 5; ნ. ბერძენიშვილი, კ. კალანდაძე, შავაზღვისპირეთის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის გალის რაიონის 1977 წ. მუშაობის შედეგები (ხელნაწერი), ტაბ. VI, 5 და ტაბ. XI.

[33] გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური, თბ., 1977, გვ. 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესები, სათლელები, ადრეული ფორმის ხელსაფქვავებით, სალესებით, შურდულის ქვებით) იგი ახლოსაა მთისწინა ზოლში გამოვლენილ შედარებით განვითარებულ ნეოლითურ ძეგლებთან (ღუმერიში, ჩხორთელი ანასეული I და სხვ.).

ადრეული ტიპის ძეგლებს მელოური შემდეგი ნიშნებით უახლოვდება:

1. მელოურშიც დომინირებს უხეში ანატკეცის ტექნიკა, 400 ანატკეცია, 204 კი ლამელა, წამყვანი იარაღია მრგვალი საფხეკები, რომელთა რიცხვი 114 ც. ანატკეცებზეა დამზადებული. საპრისები და მოგრძო საფხეკებიც ანატკეცებზე და ანატკეცისებრ ლამელებზეა დამზადებული. ლამელებზე დამზადებულია დანები და ტრაპეციისებრი ჩასართები.

2. იარაღების მეორადი დამუშავების დროს გამოყენებულია ციცაბო დამბლაგვებელი რეტუში, რომელიც დატანილია როგორც მეცლის, ასევე ზურგის მხრიდან, გვერდების გასწვრივ თანაბრად.

3. მელოურის კოლექციაში პალურის მსგავსად წარმოდგენილია ანკესისებრშვერილიანი ანუ ლეკალას ტიპის იარაღები ამდაგვარი იარაღების გაჩენას გ. გრიგოლი მეზოლითის ხანაში ვარაუდობს და მათ ნამგლის პირების პროტოტიპად მიიჩნევს[34].

4. ნუკლეუსთა შორის წამყვანი ადგილი ამორფულთან ერთად ბრტყელ ნუკლეუსებს უჭირავს, რომელთა არსებობას ნეოლითურ ძეგლებზე მკვლევართა ერთი ნაწილი მის არქაულობას მიაწერენ.

5. მელოურის ნამოსახლარი წარმოდგენილია კერამიკისა და გაპრიალებული რიყისქვის იარაღების გარეშე.

პალურ-ნაგუთნის ტიპის ძეგლებთან შედარებით მელოურში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი გახეხილი იარაღები: ცულები, სატან-სათლელები, სალესები. სასრესები და გეომეტრიული იარაღები, ეს უკანასკნელნი დამუშავების ტექნიკითაც განსხვავდება პალურის ამავე ტიპის იარაღებ-საგან[35].

ესაა ის ძირითადი ნიმუშები მელოურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარისა, რომელთა გათვალისწინებით იგი წინასწარულად ადრე ნეოლითიდან შუაზე გარდამავალ ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს. მელოური ასევე შუალედური, რგოლია გეოგრაფიული თვალსაზრისითაც, რომელიც მთისწინა ზოლში მდებარეობს.

წყალტუბო-ქუთაისის მხარეში აღმოჩენილი ქვის ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფიული განლაგების მიხედვით თითქოს და შეინიშნება მათი თანმიმდევრული ჩამონაცვლება მთიდან ბარისაკენ ეპოქის საფეხურების მიხედვით. ასე მაგალითად, მელოურის მთებიდან უნდა მიმდინარეობდეს ჩვენ მიერ აღმოჩენილი აშელური მასალა (ტაბ. I, 1,), მთისძირა ზოლში დადასტურდა მუსტიეური იარაღები (ტაბ. II, 1—10), ასევეა ციმოის ტერასებზეც[36]. ზედაპალეოლითური, მეზოლითური და ადრენეოლითური ნამოსახლარი მიკვლეულია მელოურზე დაბლა, საწურბლიას მღვიძარ კომპლექსებში[37] და თვით მელოურში, გვიანნეოლითური სადგომი ცნობილია უკვე ბარში თეთრა მიწახე[38].

---

[34] გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[35] გ. გ ტ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—64, ტაბ. XI, 2—15.

[36] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, წყალტუბოს ექსპედიციის 1975 წ. საველე მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).

[37] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

[38] ნ. კ ი ლ ა ძ ე, ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასის ისტორიიდან, ნაკვ. 29, თბ., 1951.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეოლითური და მომდევნო ხანის კულტურები ასევე ბარში, თეთრ მღვიმეში (სოფ. ხომული) და მის მეზობელ ტერიტორიაზეა მიკვლეული[39]. ამ შემთხვევაში ნამოსახლარების მთიდან ბარისაკენ ჩამონაცვლების კანონზომიერება ორ შემთხვევაშია დარღვეული; ერთი, როცა ზედაპალეოლითელი მელოურის მთებიდან 10-15 კმ. დაბლა (პირდაპირი ხაზით) თეთრ მღვიმეში ცხოვრობს, ხოლო მეორე შემთხვევაა, როცა ზედაპალეოლითელი და მეზოლითელი 3-4 კმ-ით დაბლა ჩამოსულა საწურბლიას მღვიმეში თავშესაფარად, ხოლო ადრე ნეოლითში ისევ აბრუნებულა მელოურში საცხოვრებლად. თავდაპირველად რიონის ხეობაში სულ ადრენეოლითური კულტურა მის სათავისაკენ (1700-1800 მ სიმაღლეზე გამოჩნდა ადგილ ბუღანარსა[40] და ნაკურალებში[41]. შემდეგ, როგორც ჩანს ჩამოინაცვლა მელოურში და ბოლოს ქუთაისში (თეთრამიწა). მოძრაობის ეს კვალი განსაკუთრებით ეტყობა საწურბლია-მელოურის ნამოსახლარებზე შესწავლილ იარაღებს, როგორც ტიპოლოგიურად ასევე, დამუშავების ტექნიკის მხრივ, განსაკუთრებით კი ორივე პუნქტის მომრგვალო საფხეკები ჰგავს ერთმანეთს.

კანონზომიერებიდან გადახრის ეს ორი შემთხვევაც იმდროინდელი კლიმატური პირობების მკვეთრი შეცვლით უნდა ყოფილიყო ნაკარნახები. ჩვენში საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზედაპალეოლითური და მეზოლითური ძეგლების უდიდესი ნაწილი მღვიმურ წარმონაქმნებშია დადასტურებული, რასაც მკვლევარები ცივი კლიმატის არსებობით ხსნიან. მოკვმულ მაგალითზეც ბუნებრივია მელოურელმა ადამიანმა ხსენებულ ეპოქებში იძულებით ჩამოინაცვლა დაბლა. კერძოდ იქ, სადაც დახურული თავშესაფრები იყო, ხოლო ადრე ნეოლითისათვის კვლავ ღაღბრუნდა მაღლა მდებარე ღია სადგომს. გვიან ნეოლითში კი მისი ჩამოსვლა ბარში გამოწვეულია არა იძულებით, არამედ განპირობებულია ცხოვრების კარნახით, მეურნეობის ევოლუციური განვითარებით.

ბარის თანდათანობით ათვისების სურათი, ასევე კარგად იკითხება აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ქვის ხანის ნამოსახლარებზე. მდ. ოქუმის ხეობაში ამ მხრივ შემდეგი სურათი გქონა: ქვედაპალეოლითური ნაშთები გვხვდება მაღალმთიან ზონაში — ოჭაკეში — 1800 მ. ზღვის დონიდან, ოისერში — 700 მ[42]. სოფ. ღუმურიშში — 350 მეტრზე, შუანეოლითური ხანის ადრეული საფეხურის ადამიანები ბინადრობენ[43]. შედარებით განვითარებული ნეოლითური კულტურის მატარებელი საზოგადოება ჩანს ცოტა უფრო ქვევით, ჩხორთოლში[44], 300 მ სიმაღლეზე, ხოლო კიდევ უფრო დაბლა, პირველ გალში 200-250 მ. სიმაღლეზე შედარებით განვითარებული ნეოლითის ხანის მძლავრი ნამოსახლარია, ბარის ნეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნებით.

---

[39] ალ. კალანდაძე, კ. კალანდაძე, თეთრი მღვიმე, „ძეგლის მეგობარი", 39, „საბჭოთა საქართველო", 1975, გვ. 67—72.

[40] ზ. ქეროძე, თ. მეშველიანი, ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975—76 წწ. დაზვერვების შედეგები (ხელთნაწერი).

[41] ლეჩხუმის სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წ. ანგარიში.

[42] ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლები ზღვისპირეთში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 3—5.

[43] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[44] კ. კალანდაძე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—73. წ. ჩატარებული ანგარიშების შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1974, გვ. 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრივ ნეოლითური ეპოქის სხვადასხვა ასაკის ნამოსახლარების მთიდან ბარისაკენ მონაცვლეობა ჩანს სვანეთ-სამეგრელოს იმ ტერიტორიაზე (მდ. ენგურის ხეობა), სადაც მანძილი მთასა და ბარს შორის უფრო დიდია ვიდრე ზემოთ განხილულ რეგიონებში. აქ ადრენეოლითელი ადამიანების ნამოსახლარები მთაშია დადგენილი მაგ., ლებიქვი[45] (მესტიის რაიონი), იმავე ადრენეოლითურ ხანაში, მაგრამ ცოტა უფრო მოგვიანებით ამ კულტურის მატარებლები მდ. ენგურის შუა დინებაში სახლობენ, კერძოდ პალურში[46]. განვითარებულ ნეოლითში კი ისინი მთლიანად ბარშია განსახლებული, სახლდობრ ურთასა და ოდიშში[47] (ზუგდიდის რაიონი), და ბოლოს ღვისპირას, კისტრიკში[48] (გუდაუთის რაიონი).

აჭარის ტერიტორიაზე ამ მხრივ შემდეგი სურათი გვაქვს: მთაში ადრენეოლითი ჩანს ბეშუმში, ხიხაძირში და უფრო ქვევით — დანისპირულში, შემდეგ მოდის ჩაის უბანი, სახალვაშო, ქობულეთი, ხუცუბანი და მახვილაური[49]. თუ თვალს გავადევნებთ მთიდან ბარისაკენ მოძრავ ნეოლითურ კულტურის განვითარებას, აშკარად შევნიშნავთ ეკოლუციურად აღმავალ გზას, მიმავალს მთის პრიმიტიული მეურნე-მესაქონლე ტომებიდან, ბარის მძლავრ მიწათმოქმედ საზოგადოებისაკენ. ამ გზის კვალდაკვალ ჩანს საწარმოო ძალთა თანდათანობითი განვითარება, სამუშაო იარაღების გაუმჯობესება, მათი დამუშავების ტექნიკის სრულყოფა, იარაღების დიფერენცირება, ფუნქციონალური დანიშნულებისამებრ. საბრძოლო-სამონადირეო იარაღები ადგილს უთმობს სამიწათმოქმედოს. მთისწინა ზოლში მატულობს ბახეხილ რიყის ქვის იარაღთა რიცხვი (ერთეული ცალები გვხვდება გაპრიალებულიც) განსაკუთრებით ჭარბობს მიწათმოქმედებისათვის საჭირო იარაღები, ხელსაფქვავები, მიწის საჩიჩქნები, (პიკისებური), სატეხ-სათლელები, სასრესები, (ცულები, ნამგლისპირები, ჩასართები და ა. შ.) ღუმურიში, ანასეული I, ხორში, ჩხორთლი და სხვ.).

ბარის ნეოლითურ ძეგლებში (პირველი გალი, ანასეული II, გურიანთა, ოდიში, კისტრიკი და სხვ.) აღნიშნული იარაღები უფრო სრულყოფილი და მრავალრიცხოვანია, ამასთან მატულობს გაპრიალებული რიყის ქვის იარაღები, ჩნდება კერამიკა.

ბარის ათვისების ტემპი დამოკიდებული ჩანს ტექნიკის თანდათან სრულყოფაზე, მეურნეობის მართვის ჩვევების დაუფლებაზე და კლიმატური პირობების გაუმჯობესებაზე (ბუნების მიერ გამოთავისუფლებული — გამოშშრალი, ტერასების ათვისების შესაძლებლობაზე).

მთელ ამ პროცესს წოვილ ზოლად გასდევს ადამიანის მიზანსწრაფული ლტოლვა ბარისაკენ მეურნეობის ახალი ფორმის-მიწათმოქმედობის გაფართოების მიზნით, ისე, რომ იმავე დროს არაა დავიწყებული მეურნეობის მეორე ძირითადი სახე მესაქონლეობა და სხვა დამხმარე ფორმები მეთევზეობა-მონადირეობა.

არის ერთეული ფაქტებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ ნეოლითის ადრეულ საფეხურზე ადამიანის ბარისაკენ სწრაფვა მარტო მიწათმოქმედების

---

[45] გ. გრიგოლია, ცენტრალური კოხეთის ნეოლითი პალური, თბ., 1977, გვ. 88—110

[46] გ. გრიგოლია, დასახ: ნაშრომი, გვ. 30—35.

[47] ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთებისაკართველო. ში, „ენიმკის“ მოამბე, 4, 3, თბ., 1939, გვ. 363—371.

[48] А. Л. Лукин, Неолитическое селище кистрик близ Гудаут, СА, XII, გვ. 247—286.

[49] ს. გოგიტიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. I.



ტაბ. II.



ტაბ. III.



ტაბ. IV.

ტაბ. V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებით კი არაა გამოწვეული, არამედ მეურნეობის სხვა დარგითაც, კერძოდ, მეთევზეობით. გ. გრიგოლიას დადგენილი ფაქტებით[50], პალურის მაგალითიდან ჩანს, რომ „მთის კულტურის“ მატარებელი ნეოლითიელი ადამიანი ჩამოდის დაბლა 350 მ სიმაღლეზე, ამ შემთხვევაში პალურში, სადაც მდ. ენგურის მეჩხერ წყალში იმდენად საუკეთესო პირობებია, შემოდგომით, ორაგულზე ნადირობისათვის, რომ მეურნეობის ეს სახე ადამიანისათვის დღემდე ხელმისაწვდომი დარჩა.

განსხვავება ადრე და გვიანნეოლითურ ხანაში მომხდარ ჩამოსახლებულებს შორის ის არის. რომ პირველ შემთხვევაში იგი დროებითია. თეგზჭერის სეზონის დამთავრების შემდეგ, ადრანეოლითელი ადამიანი იძულებულია მთას დაუბრუნდეს. როგორც ჩანს, იმდროინდელი კლიმატური პირობები და წარმოების პრიმიტიული საშუალებანი არ აძლევენ მას იმის გარანტიას, რომ მუდმივად დასახლდეს დაბლა, სადაც მეტი სინესტეა და წარმართოს მეურნეობა. მთაში კი საამისო პირობები მაშინ უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ ხორბლის გარეული ჯიშები და სხვა ნაყოფის მომცემი ველური მცენარეულობა, როლებც თანამედროვე კულტურების წინაპარია, კავკასიაში ძირითადად მთიან ზოლში ხარობს — 700—1800 მეტრზე. სვანეთის მხარეში კი ისინი უფრო მაღლაც გვხვდება მაგ., ბალი 1980 მ-ზე, ვაშლი — 2130 მ-ზე. ხოლო მსხალი 2500 მეტრზეც ადის[51]. ამგვარი ტყე ცხადია ცხოველებითაც იყო მდიდარი. აქედან გამომდინარე, იმდროინდელი მთის ეკოლოგიური პირობები უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ადრენეოლითური კულტურის ჩასახვა-განვითარებისათვის, ვიდრე ბარის.

გვიანნეოლითელს კი უკეთესი პირობა აქვს მუდმივად დასახლდეს ბარში და წარმატებით განავითაროს მეურნეობის ძირითადი დარგები: მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. როგორც ჩანს, ამის საშუალებას უკვე იძლეოდა, როგორც იმდროინდელი ბარის ეკოლოგიური პირობები, ისე შედარებით უფრო სრულყოფილი შრომის იარაღები. თუ ადრე იგი მთაში სახლდებოდა მუდმივად (ლებიქვი, ბიჩიჯინი, სოსრუკო, ნაგუთნი, ბურღნარი, ნაკურალური, ბეშუში, პალური, მელოური და სხვა) და ბარში სეზონურად ჩამოდიოდა, მეურნეობის დამხმარე დარგის საწარმოებლად, გვიან კი პირიქით ხდება, ადამიანი ბარში მუდმივადაა დამკვიდრებული (ანსეული II, ოდიში, ჩხორთოლი, პირველი გალი, კისტრიკი და სხვა), ხოლო მთაში სეზონურად ბრუნდება სანადიროდ, მომდევნო ეპოქებში (ენეოლით — ადრებრინჯაო) კი საქონლის საიალაღოდ.

ამგვარად, სავსებით ვეთანხმებით გ. გრიგოლიას, რომ კავკასიაში ნეოლითურ ხანაში დასტურდება ორი კულტურა: „მთის ნეოლითი“ და „ბარის ნეოლითი“. მაგრამ ჩვენი აზრით, ისინი ერთდროულად კი არ ვითარდებიან, მსგავსად ტაჯიკისტანის ჯეითუნის (ბარის) და ჰისარის (მთის) კულტურებისა, რომლებსაც, მკვლევრები თანადროულად არსებულ კულტურებად თვლიან[52], არა-

[50] გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

[51] Н. И. В а в и л о в, Кавказский очаг формообразования плодовых деревьев и кустарников, избранные труды, т. II, издательство Академии наук СССР, М.,-Л., 1960, გვ. 344.

[52] А. П. О к л а д н и к о в, Исследования памятников каменного века Таджикистана, МИА, 66, 1958, გვ. 14—20; Г. Ф. К о р о б к о в а, Орудия труда и хозяйство неолитических племен средней Азии, МИА, 1958, А, 1959, გვ. 6—16; В. Р а п о в, Г. К о р о б к о в а, Туркал-многослойное поселение Гисарской культуры в южном Таджикистане, СА, 2, 1971, გვ. 145—147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ პირიქით, საქართველოში ისინი თანმიმდევრულად ვითარდებიან. ჯერ არსებობს „მთის ნეოლითი“, ხოლო შემდეგ მისგან განვითარდა „ბარის ნეოლითი“. ისინი ერთი კულტურის ორი საფეხური უნდა იყოს — ადრეული და გვიანი.

მელოურის ნეოლითურ ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები გვავარაუდებინებს, რომ ნეოლითის კანონზომიერი განვითარების შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო ბარის ნეოლითი. მათ შორის არსებობს გენეტიკური კავშირი. სადღეისოდ მათი დამაკავშირებელი ჯერჯერობით მხოლოდ მელოურია. მას ფესვები აქვს, როგორც მეზოლითური (ჭახათი, ჯემპალი, ეძანი, საწურბლია) და ადრენეოლითური (პალური, ლებიქვი, სოსრუკო, პიჩიჯინი, ნაგუთნი, ჯოჯოეთი, ხუცუბანი, ანასეული I და სხვ.) ხანის ძეგლებთან — მრგვალი საფხეკებისა და „მრუდე“ იარაღების ერთგვაროვნებით, ისე შუანეოლითური ხანის ძეგლებთან (ღუმურიში, ჩხორთოული, ხოროში და სხვ.) გახეხილი რიყისქვის იარაღების, ადრეულ ხანისათვის დამახასიათებელი ბრტყელი ხელსაფქვავებისა და სხვათა მსგავსებით.

მელოურის ნამოსახლარის კვლევა გრძელდება. მისი საფუძვლიანი შესწავლა აქ დასმულ საკითხებს მეტი სიზუსტით გააშუქებს.

К. С. КАЛАНДАДЗЕ

ПОСЕЛЕНИЕ КАМЕННОЙ ЭПОХИ ИЗ МЕЛОУРИ

Резюме

В поселении Мелоури, находящиеся к северу от Цхалтубо, в горах, на высоте 350 м над уровнем моря, были найдены материалы следующих периодов каменной эпохи:

1. Ашельского периода — нуклеусы и нуклеусовидные обломки (табл. I, 1).

2. Мустиерского периода — орудие типа остроконечника (табл. II, 1—4), скребло (табл. II, 5), нож-скребло (табл. II, 6) и множество отщеп и обломков, как с ретушью, так и без нее (табл. II, 7—10).

3. Неолитические материалы представлены следующими типами: кремневые скребки разных типов — 114 единиц (табл. IV, 1—41); проколки—4 шт. (табл. III 6—8); резцы—13 (табл. III, 4—5; табл. IV, 66—67); вкладыши — 24 (табл. III, 16—30, 64—68); пластинки разных типов — 204 (табл. III, 31—58), нуклеусы — 100 (табл. II, 11—30); орудие из булыжника — топоры (табл. I, 3—7); молотки (табл. V, 1), стамески (табл. I, 8 и табл. V, 12); терки (табл. V, 9—10); зернотерки (табл. V, 11, 13) и другие.

Данные материалы из Мелоури принадлежат поздним этапам ранненеолитической культуры.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები და შენიშვნები

მარადი ხეცურიანი

გარე სამუშაოზე გასვლა და მისი როლი საქართველოს გლეხთა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში (1864-1905 წწ.)

გარე სამოვარზე გასვლა, რომელიც ეწოდენ მასობრივი გახდა ბატონყმობის გადავარდნის მომდევნო ხანის საქართველოში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის და კაპიტალიზმის განვითარების გამოხატულება და შედეგი იყო. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესის გაღრმავების პარალელურად სამოვარზე გასვლის მასშტაბი იზრდებოდა. სამოვარზე სამოიარულე გლეხობის დიდი ნაწილი თანდათან ავსებდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროლეტარიატის რიგებს, სხვები კი ქმნიდნენ კაპიტალიზმის სარეზერვო არმიას, რაც ამ ახალი ფორმაციის შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა ჯერ კიდევ არაა სათანადო სიღრმესისრულით შესწავლილი. პ. გუგუშვილის[1], ი. ანთელავას[2], ალ. ბენდიანიშვილის[3], ვ. გოგიჩაიშვილის[4], ი. კაჭარავას, ა. ჩარკვიანის[6], ბ. ნიკარაძის[7], მ. ახობაძის[8] და სხვათა ნაშრომებში, მართალია, სხვა საკითხებთან ერთად სამოვარზე გასვლის მასშტაბსა და მნიშვნელობაზეც არის ლაპარაკი, მაგრამ საკითხი სპეციალური კვლევის საგნად აქამდე არავის გაუხდია. ჩვენი მიზანია ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების ამ ხარვეზის რამდენადმე შევსება.

გლეხთა გარე სამუშაოზე გასვლის ძირითადი მიზეზი იყო მცირემიწიანობა, სოფლის მეურნეობიდან მიღებული უმნიშვნელო შემოსავალი, მაღალი საადგილმამულო და სახელმწიფო გადასახადები, საერთოდ უშუალო მწარმოებელი სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღატაკე და გაჭირვება.

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი ამიერკავკასიაში XIX—XX სს. მიჯნაზე, თბ., 1955.

[2] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970. Государст, венные крестьяне в Грузии в XIX веке, т-т-I—II, 1962—1969 гг.

[3] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ. თბ., 1965.

[4] ვ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1974; Малоземелые средикрестьян закавказье.

[5] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში 1905—1907 წწ., თბ., 1959.

[6] ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, სვანეთი, თბ., 1967.

[7] ბ. ნ ი კ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. II, თბ., 1964,

[8] მ. ა ხ ო ბ ა ძ ე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60—90-იან წლებში, თბ., 1970.

ეს ფაქტორები ბატონყმობის დროსაც უბიძგებდა გლეხს, სოფელს, მებატონეს, საკუთარ კარმიდამოს გასცლოდა, სხვაგან ეძებნა არსებობის საშუალებანი, ცხოვრების უკეთესი პირობები, მაგრამ იმ დროს პირად თავისუფლებას მოკლებული ყმა-გლეხის ინიციატივა შეზღუდული იყო. იგი მებატონის ნებართვის გარეშე ქალაქს სამუშაოდ ვერ წავიდოდა, შემოსავლის ახალ წყაროს ვერ გაიჩენდა. თბილისში დაქირავებული მუშების კონტიგენტს ძირითადად მებატონეთაგან გაქცეული ყმაგლეხები ქმნიდნენ.

საგლეხო რეფორმამ ყმას პირადი თავისუფლება მიანიჭა, თავისუფალი მეწარმეობის, საკუთარი სამუშაო ძალის „თავისუფლად“ გაყიდვის საშუალება მისცა. და ძირითადად ამაში მდგომარეობდა აგრარული რეფორმის პროგრესული მნიშვნელობა. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ იმავე რეფორმამ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოების ძირითადი საშუალების—მიწისგანაც გაათავისუფლა. საგლეხო რეფორმა იყო „გლეხობის ყოვლად უსინდისო გაძარცვა“ (ვ. ი. ლენინი). ეყრდნობოდნენ რა მეფის მთავრობის მოხელეთა მიერ შედგენილ ადგილობრივ დებულებებს, ქართველმა მემამულეებმა ქართველ გლეხებს წაართვეს ბატონყმობის დროს მთა სარგებლობაში არსებული მიწების მესამედი ნაწილი. უნადელოდ, სრულიად უმიწაწყლოდ დარჩა 7 ათასამდე კომლი გლეხი.

ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში გაძლიერდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი. გლეხობის უმრავლესობის ხარჯზე მცირერიცხოვანი ზედფენა გამდიდრდა. კულაკები 50—100, 500—1000 დესეტინა მიწას ფლობდნენ. დაქირავებული შრომის გამოყენებით დიდი მასშტაბის მეურნეობას უძღვებოდნენ. საშუალო გლეხებმა კომლზე 3—5 დეს. მიწა შეინარჩუნეს. სოფლის უშუალო მწარმოებელი მასის ნახევარზე მეტი კი ნახევრად პროლეტარია და პროლეტარის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

XX ს-ის დამდეგს დასავლეთ საქართველოში 22 600 „მესაკუთრე“ გლეხი კომლზე 0,1—1 დესეტინამდე მიწას ფლობდა[9]. უმიწო და მცირემიწიანი გლეხები საკმაოდ ბევრი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც, ასეთი გლეხები ან კაბალურ მოჯარეებად უნდა გადაქცეულიყვნენ, ანდა საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით მოეპოვებინათ არსებობის საშუალებანი.

ღარიბი გლეხისათვის საშოვარზე შორს წასვლა თვითმეზანს როდი წარმოადგენდა. იგი უპირველეს ყოვლისა ცდილობდა თავის სოფელშივე ეპოვა სამუშაო, ხელს ჰკიდებდა სხვადასხვა სახის დამხმარე სარეწებს, ეწეოდა ხელოსნობას, ქირაზე მუშაობდა ადგილობრივი მემამულისა და კულაკის მეურნეობაში. მაგრამ საქართველოს უმეტეს რაიონებსა და სოფლებში ადგილობრივი სამუშაო ძალის ბაზარი მეტად ვიწრო იყო. ეს კი გაღატაკებულ გლეხებს აიძულებდა, დედინაცვლად გადაქცეული საკუთარი სოფელი მიეტოვებინათ და სამუშაოდ საქართველოს, კავკასიის და რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში წასულიყვნენ. ისინი უმთავრესად ამ გზით შოულობდნენ ფულს, იძენდნენ ოჯახისათვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საგნებს, ისტუმრებდნენ სხვადასხვა სახის გადასახადებს.

რეფორმის შემდეგდროინდელი 40 წელი ვ. ი. ლენინის განცხადებით, —

---

[9] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს სოფელი 1864—1917 წლებში, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 377.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს არის განგლეხების მთლიანი პროცესი. გლეხის ცხოვრება დაქვეითდა მთიხოვრულ დონემდე. ის პირუტყვთან ერთად ცხოვრობდა, ძონძები ეცვა, ბალახ-ბულახით იკვებებოდა. გლეხი გარბოდა თავის ნაფელიდან, რა წამსაც დაინახავდა გასაქცევ ადგილს“[10].

სოფლიდან გასაქცევი და სამუშაო ძალის გასაყოფი ადგილების — სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების რაოდენობა, კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების პარალელურად, თანდათან მრავლდებოდა და ამის შესაბამისად თანდათან იზრდებოდა გარე საშოვარზე გასვლის მასშტაბი.

გარე სამუშაოებზე, მეტ-ნაკლები რაოდენობით. საქართველოს ყველა კუთხის გლეხობა გადიოდა, მაგრამ ამ მოვლენამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოში. საშოვარზე გასვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანმიმდევრობით რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გლეხთა ეკონომიკურ ყოფაში[11].

გლეხთა საშოვარზე გასვლის მასშტაბით პირველ ადგილზე იყო რაჭა[12]. 1873 წელს რაჭის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს წერდა: „თქვენთვის ცნობილია, რომ ჩემდამი რწმუნებული მაზრის მცხოვრებები, მათი განმტკიცებული ჩვეულების გამო. საშემოდგომო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მიდიან ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებსა და ქალაქებში სამუშაოდ. რაჭველებმა უმეტესწილად უკვე (1873 წლის 17 ნოემბრისათვის. — მ. ხ.) დატოვეს თავის კუთხე და შეუძლებელი გახდა სოფლებში თანადგომის პირთა არჩევნების ჩატარება. ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ნოლოდ მომავალი წლის გაზაფხულზე, როცა მცხოვრებები დაბრუნდებიან თავიანთ სოფლებში“[13].

XIX ს-ის 70-იან წლებში საშოვარზე გასვლა, თუ რაჭველებში განმტკიცებულ „ჩვეულებას“ წარმოადგენდა, მით უფრო ითქმის ეს მომდევნო ხანის შესახებ, როცა გლეხთა სოციალური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებასა და მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან ერთად, საშოვარზე გასვლა გაღატაკებული უშუალო მწარმოებელი მასისათვის სულ უფრო აუცილებელი ხდება და გარეშე შემოსავალი მისი არსებობის მთავარ წყაროდ იქცევა. 1884 წელს ი. ბახტაძე წერდა: „როგორც ქვემო, ისე ზემო რაჭველები ერთნაირად ცდილობენ შეიტანონ თავიანთი სამეურნეო დეფიციტი გარე სამუშაოებზე გასვლით. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ მაშინ, როცა პირველთათვის გარეშე გამომუშავება მეურნეობის მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალებაა, მეორენი მასში ხედავენ არსებობის მთავარ და თითქმის ერთადერთ წყაროს.., ... ამიტომ გარეთ გასულთა ზუსტად განსაზღვრული რიცხვი იქნება თითქმის ეგივე, თუ მივუთითებთ შრომისუნარიან მამაკაცთა რიცხვზე. გამონაკლისს, მეტად უმნიშვნელოს, შეადგენს ის ბედნიერი, რომელნიც ცხოვრობენ თავიანთი კაპიტალის სარგებლით“ ....თითქმის ყველა სოფელში, კითხვაზე ვინ და სად მიდის, გლეხები ლაკონურად პასუხობენ: „ყველა და სადაც მოხვდება“[14].

მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება-განვითარებასთან ერთად საშო-

---

[10] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 520.
[11] Обзор Кутаисской губернии за 1889, გვ. 43.
[12] ალ. ბენდიანიშვილი, რაჭის სოფელი XIX—XX სს. მიწაზე, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 121—138.
[13] სცსია, ფ. 19, საქ. 88, ფურც. 1.
[14] И. Бахтадзе, Экономический быть государственных крестьян Рачинского уезда, 1885, გვ. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარზე გასულთა მოქმედების ასპარეზი ფართოდდება. XIX—XX სს. მიჯნაზე რაჭველებმა შეაღწიეს რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა მხარეში. „ივერიის“ კორესპონდენტი იუწყებოდა: „ეშვიათად ნახავთ რუსეთსა, ციმბირისა და კავკასიის ზღვის იქითა მხარეში ცოტაოდენთ მოზრდილ ქალაქს, რომ რამდენიმე რაჭველს ფეხი არ მოედგას და ცხოვრების სახსარი არ მოეპოვოს., ... ცხადია, დროთა გარემოებამ რაჭველს ალღო ააღებინა, მისცა იმის უნარი, რომ სხვა გამოსარჩენ ადგილებში წავიდეს და რამე იშოოს. ამ მხრივ საქართველოს ვერც ერთი მაზრის მცხოვრებნი ვერ შეედრებიან რაჭველებს“[15].

რაჭიდან საშოვარზე გასელა მასშტაბის ზრდის ტენდენციაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა სტატისტიკური მასალა. ამ კუთხიდან გარე სამუშაოზე წასულა: 1862 წელს — 1253 კაცი, 1867 წ. — 3896, 1892 წ. — 6635, 1897 — 10994, 1910 წ. — 14151 კაცი. თუ გავითვალისწინებთ რაჭის მოსახლეობის საერთო რაოდენობას, მის სქესობრივ და ასაკობრივ შემადგენლობას და შევადარებთ ზემოთ მოტანილ ციფრებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ XIX—XXსს. მიჯნაზე რაჭიდან გარე სამუშაოებზე გადიოდა შრომისუნარიანი მამაკაცი მოსახლეობა 80—90%.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარე სამუშაოზე გასვლას ლეჩხუმის მაზრის მშრომელი მოსახლეობის ცხოვრება-საქმიანობაში. რაჭის მსგავსად ლეჩხუმსა და სვანეთშიც ადგილობრივი სამუშაო ძალის ბაზარი ვიწრო იყო. აქაური მემამულეებისა და კულაკების მეურნეობებში უმიწაწყლო, გაღატაკებულ გლეხთა მცირე ნაწილი იყო დასაქმებული. აბსოლუტური უმრავლესობა თავის კუთხის გარეთ გადიოდა, შრომა-საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ქალაქებში, ჩრდ. კავკასიაში და რუსეთის იმპერიის სხვა მხარეებში. ზოგი გლეხი წლობით ტოვებდა თავის სოფელსა და ოჯახს, უმრავლესობა გარე სამუშაოებზე სეზონურად გადიოდა — საშემოდგომო სამუშაოების დამთავრების შემდეგ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე. მაზრიდან საშოვარზე გადიოდა შრომისუნარიანი მამაკაცი მოსახლეობის 50—60%[16].

ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა სვანეთი, რომელიც გამოირჩეოდა გლეხთა საშოვარზე გასვლის დიდი მასშტაბით. ზამთრის პირზე სვანები ასობით და ათასობით ტოვებდნენ მთებს, ჩადიოდნენ ბარის საქართველოში, ძმის ფიზიკურ შრომას ეწევოდნენ სოფლებსა და ქალაქებში. ყველაზე უფრო ღარიბი კომლები, რომლებსაც თავიანთ მინიატურულ მეურნეობაში ოჯახის წევრ მამაკაცთა ნახევრის დასაქმებაც კი არ შეეძლოთ, ზედმეტ მუშახელს საშოვარზე გზავნიდნენ ზაფხულის თვეებშიც. ისინი ქედს ადაღმა გადადიოდნენ, დაქირავებულ მთიბავებად მუშაობდნენ ყუბანის ველებზე. ზემო სვანეთიდან საშოვარზე სეზონურად თითქმის ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი მიდიოდა. 1904 წელს, მაგალითად, გარე სამუშაოზე გასულა 1645 კაცი. სვანება ძირითადად მბარავებად და მთიბავებად მუშაობდნენ, ამიტომ მათი ხელფასი მცირე იყო. სვანეთის პრისტავის ცნობით, საშოვარზე გასულ ზემო სვანთა ყოველწლიური გამომუშავება არ აღემატებოდა 20 ათას მანეთს, აქაური აგრონომის გაანგარიშებით კი აღწევდა 30 ათას მანეთს. აღნიშნული თანხა ძირითადად მარცვლეულის შესყიდვაზე იხარჯებოდა[17].

---

[15] გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 9, ვვ 2.

[16] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 573, оп—25, д. 514, л. 221 (მითითებულია ა. ჩარკვიანის ნაშრომში).

[17] ЦГИАЛ, ф. 1276, оп 19, д. 534, л.л. 2—4 (მითითებულია ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ხელთ არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ გარე სამუშაოებზე დიდი რაოდენობით გადიოდნენ იმერელი გლეხებიც. შორაპნის მაზრის სასოფლო საზოგადოებების მამასახლისებმა გლეხებზე გასცეს პასპორტი: 1862 წელს — 487, 1867 წ. — 810, 1892 წ. — 1093, 1897 წ. — 4711[18]. ზემო იმერეთის გლეხთა დიდი ნაწილი, რომელიც დასაქმებული იყო ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში, გარე სამუშაოებზე გასულთა სტატისტიკაში შეტანილი არაა.

გარე სამუშაოზე გასვლას საკმაოდ დიდი მასშტაბი ჰქონდა მიღებული ქუთაისის მაზრაშიც. მაგრამ წყაროებში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ აქაური გლეხები ეტანებოდნენ მეურმე-გადამზიდადობას[19], სახაზინო და კერძო პირთა (ძირითადი ვაჭარ-მრეწველთა და კულაკთა) ტვირთის გადაზიდვით პოულობდნენ ცხოვრების სახსარს. ამ სახის საქმიანობით გამოირჩეოდნენ სოფლები — კვახჭირი, იდლაური, ვაკისუბანი, მესხეთი, ქვიტირი, მათხოჯი და ხონი. იმერელი მეურმეები დიდი რაოდენობით იყვნენ დასაქმებული ჭიათურაში. ისინი მანგანუმის მადანს მაღაროებიდან რკინიგზის სადგურისაკენ ეზიდებოდნენ.

ეკონომიკურმა გაჭირვებამ, რაც უპირატესად უმიწობა მცირემიწიანობით და გადასახადების სიმძიმით იყო შეპირობებული, აამძრავა გურია-სამეგრელოს გლეხობა და საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის გზაზე დააყენა. გურულ გლეხს ყველაზე მეტად ახლოს მდებარე მზარდი ქალაქი ბათუმი, მისი ფაბრიკა-ქარხნები იზიდავდა, მაგრამ ყველა მსურველის დასაქმება ამ ქალაქში შეუძლებელი იყო და გურულები დიდი რაოდენობით მიდიოდნენ სხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებშიც. ამაყი, მაგრამ გაღატაკებული გურული მეკურტნეობასაც აღარ თაკილობდა. ამერიკაკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე მდებარე სადგურებში ბევრი გურული მეკურტნე მუშაობდა[20]. კრიმ გირეის გურიაში მოგზაურობის ანგარიშებიდან ჩანს, რომ 1905 წელს ამ კუთხიდან გარე სამუშაოებზე გასული იყო შრომისუნარიანი მამაკაცი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ესე მაგალითად, სოფ. ზემო ხეთის სასოფლო საზოგადოებიდან სხვაგან სამუშაოდ იყო წასული 266 კაცი, ნანეიშვილიდან — 222, ერკეთიდან — 300 და სხვ[21].

სტატისტიკა უფრო ზუსტ ცნობებს გვაწვდის სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის შესახებ. 1892 წელს ამ კუთხიდან გარე სამუშაოებზე გასულა 7934 კაცი 1897 წელს კი — 10008 კაცი[22].

შედარებით ნაკლები მასშტაბისა იყო გარე სამუშაოებზე გასვლა აღმოსავლეთ საქართველოში. 1897 წლის საყოველთაო აღწერის მომენტში საცხოვრებელ ადგილზე არ აღმოჩნდა, სხვა მაზრებსა და გუბერნიებში იყო წასული: თბილისის მაზრიდან — 4543 სული, ახალქალაქის — 14156, ახალციხის — 967, ბორჩალოს — 3221, გორის — 4478, დუშეთის — 3364, სიღ-

---

[18] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

[19] სცსა, ფ. 12, ანაწ. 7, საქ. 3710, ფურც. 25.

[20] სცსა, ფ. 63, საქ. 6123, ფურც. 3—4; გაზ. „ქვალი“, 1899 წ., № 35, გვ. 620.

[21] А. А б р а м о в, Крестьянское революционное движение в Грузии 1902—1905 гг., Ленинград, 1940, გვ. 16.

[22] Обзор Кутайсской губернии за 1898 г., გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღის — 3134, თიანეთის — 3416. თელავის მაზრიდან —903 სული[23]. უდავოა, ამოძრავებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საშოვარზე იყო გასული, სამუშაო ძალის გაქირავებით პოულობდა არსებობის საშუალებას, დამატებით შემოსავალს. მაგრამ თუ იმდროინდელი დამკვირებლები და ავტორები ყურადღებას არ ამახვილებენ გუბერნიის გლეხობის გარე სამუშაოებზე გასვლის შესახებ, ეს იმით აიხსნება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრათა უმეტესობაში ადგილობრივი სამუშაო ძალის ბაზარი საკმაოდ ფართო იყო, აქაური ლატაკი გლეხები მშობლიური სოფლის ახლოს, თავისსავე მაზრასა და გუბერნიაში პოულობდნენ სამუშაოს, სხვა მხარეებში ნაკლებად მიდიოდნენ.

გორის მაზრის მცირემიწიანი გლეხები ათასობით იყვნენ დასაქმებული ხე-ტყის სარეწებში. განსაკუთრებით დიდ მუყაითობას ამ დარგში ირენდნენ ბორჯომის ხეობის მკვიდრნი, რომლებიც დიდი რაოდენობით ამზადებდნენ მორებს მიხეილ რომანოვის, ციციშვილების, ჯავახიშვილების, თარხნიშვილებისა და სხვა მემამულეთა ტყეებში.

თავდაპირველად გლეხობის უმეტესობა დამოუკიდებელი მესარეწე იყო, იჯარით აღებულ ტყეში დამზადებული მასალა თვით გაქონდა ბაზარზე. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ახალციხისა და გორის მაზრის ტყეებში თანდათან მომძავლდნენ ჰოდრიდჩიკები. ეს გაქნილი საქმოსნები წარმოების ხელმძღვანელობას იჩემებდნენ, გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე ტყის დიდ მასივებს ეპატრონებოდნენ და დამოუკიდებელ მესარეწე გლეხებს თანდათან დაქირავებულ მუშებად აქცევდნენ. 90-იან წლებში ხე-ტყის სარეწების კაპიტალისტური განვითარების ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა. გორის მაზრის უფროსი 1894 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ შედარებით შეძლებული გლეხები ტყის ნაკვეთებს ყიდულობდნენ და ბაზარზე გამოდიან, როგორც ხე-ტყის მესაკუთრენი, ხოლო უმეტესობა ხე-ტყის ქარხნების პატრონებისაგან ავანსებს იღებს, დამზადებულ მორებსა და მტკვარზე თბილისისაკენ დაცურებულ ტივებს მექარხნეთა რწმუნებულებს აბარებსო. მაზრის უფროსის 1899 წლის ანგარიშში კი ნათქვამია, რომ გლეხთა დიდი ნაწილი ტყეს მფლობელობს, აგრეთვე მრეწველთა ხე-ტყეს ამზადებს და აცურებს მტკვარზე, რისთვისაც გარკვეულ ქირას ღებულობსო[24]. გორის მაზრის ხე-ტყის სარეწებში ჩაბმული იყო: 1882 წ. — 1450 კაცი, 1883 წ. — 7600, 1884 წ. — 7300, 1885 წ. — 7350 კაცი. ისინი ყოველწლიურად მტკვარზე საშუალოდ აცურებდნენ 4600 ტივს, რომლის ღირებულება იყო 700000 მანეთი[25].

აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის ერთი მცირე ნაწილის შემოსავლის წყარო იყო მეურმე — გადამზიდობა. ახალქალაქის მაზრაში ცხენის ფურგუნით, ხარის ურმით და სასაპალნე ცხენით ტვირთების გადაზიდვას ეწეოდა: 1883 წ. — 2201 კაცი, 1885 წ. — 1934, 1887 წ. — 2252 კაცი. ახალქალაქელი მეურმე-ჩალავრები ტვირთებს ეზიდებოდნენ თბილისში, ყარსში, არტაანში ალექსანდრეპოლში, ახალციხეში და ხაშურში[26].

---

[23] Первая всеобщая перепись населения XIX в., Тифлисская губерния, 1905, გვ. 4—5.

[24] სცსია, ფ. 17, საქ. 3621, ფურც. 132; იქვე, ფ. 414, საქ. 3, ფურც. 395—396.

[25] სცსია, ფ. 414, საქ. 36, ფურც. 3; ფ. 17, საქ. 3621, ფურც. 132.

[26] სცსია, ფ. 414, საქ. 37, ფურც. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანა 1915 წლამდე დაგვიანდა და ამიტომ საგაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის გადაზიდვის მთელი სიმძიმე მეურმეებს აწვა კისრად. ასევე იყო მთიან რაიონებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მთის საცალფეხო ბილიკებზე მხოლოდ სასაპალნე ცხენები მოძრაობდნენ. მეურმე გადამზიდავთა შემოსავლის რაოდენობის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ უდავოა, რომ ამ სახის საქმიანობით გლეხობის მცირე ნაწილი იუმჯობესებდა რამდენადმე თავის ეკონომიკურ მდგომარეობას

მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ გარე სამუშაოებზე მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა კუთხის გლეხობა გადიოდა. ამ მოვლენამ უფრო ფართო მასშტაბი დასავლეთ საქართველოში მიიღო. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, დასავლეთ საქართველოდან 1892 წელს საშოვარზე გავიდა 21258, ხოლო 1897 წელს 35 ათასი კაცი. 1897 წლის აღწერის მომენტში თბილისის გუბერნიის ძირეული მოსახლეობიდან ადგილზე არ აღმოჩნდა, ძირითადად სამუშაოდ იყო წასული 28846 კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის მთავრობის ოფიციალური სტატისტიკა გარე სამუშაოებზე გასულთა შესახებ არასრულ, შემცირებულ ცნობებს იძლევა. ამ ცნობების საფუძველია სასოფლო საზოგადოებების მამასახლისთა მიერ გაცემული გაშვების მოწმობების — პასპორტების რაოდენობა, რაც არ ემთხვევა გარე სამუშაოებზე წასულთა რიცხვს. მოხუც მთხრობელებთან საუბრის შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბევრი გლეხი ერიდებოდა პასპორტის აღებისათვის ფულისა და დროის დახარჯვას. უნებართვოდ მიდიოდა სხვა გუბერნიასა და მხარეებში სამუშაოდ. ისინი კი საშოვარზე გასულთა სტატისტიკაში, ბუნებრივია, ვერ მოხვდებოდნენ.

გარე სამუშაოებზე მარტო სრულსაყოვნინ მამაკაცები როდი გადიოდნენ. საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო საშოვარზე მცირეწლოვანთა გასვლამაც. ღარბი ოჯახის წევრს, პატარა ბიჭს ან მამა წაიყვანდა ქალაქში, ან ნათესავი და თანასოფელი. მეურვე გამოუქებნიდა ყმაწვილს შესაფერის ადგილს, რეკომენდაციას უწევდა ნაცნობებთან, ასწავლიდა დამქირავებელთან თავის დაჭერას. მფარველობა გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ბავშვი არ წამოიზრდებოდა, არ შეითვისებდა ქალაქური ცხოვრების წესებს, არ შეძლებდა დამოუკიდებელ შრომით ცხოვრებას. ამის შემდეგ იგი თვით ხდებოდა თავის პატრონ თანასოფლელთა მფარველი და ეზის გამკლევი.

საშოვარზე გასულთა პროფესია და საქმიანობა მეტად მრავალგვარი იყო. მათი მცირე ნაწილი მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებში, უფრო მეტი კი აკეთებდა საგაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ სეზონურად და დღიურად დაქირავებულ მუშათა რიგებს. ბევრი მუშაობდა ხეროდ, მხერხავად, მენახშირედ, მეკურტნედ, მზარეულად, მეპურედ, შინმოსამსახურედ, მებაღედ და სხვ.

სოფლიდან წასულ, უცხო გარემოში, უცნობ ქალაქში მოხვედრილ გლეხობას, ბუნებრივია, უჭირდა შესაფერისი სამუშაოს გამოძებნა, დამქირავებელთა თვითნებობის აღკვეთა, ექსპლუატატორთა წინააღმდეგ ბრძოლა. გამოცდილებამ გლეხები გაერთიანების საჭიროების შეგნებამდე მიიყვანა. ჩვენს ხელთ არსებული მასალა ცხადყოფს, რომ საშოვარზე გასულთა უმრავლესობა ამხანაგობებს ქმნიდა. ირტელის შრომის ორგანიზაციაზე და წევრთა შორის შრომის განაწილების ხასიათზე იმდროინდელი დამკვირებელი ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობას გვაწოდებს: თუ ერთი სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა 10 მუშაო, რაც ხდება ჩვეულებრივ ზამთრის დასაწყისში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ოამთავრების შემდეგ, მომდევნო წლის გაზაფხულზე მუშათა ამ რიცხვიდან მხოლოდ ნახევარი ბრუნდება სამშობლო სოფელში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად. ისინი ვალდებული არიან მიწის დამუშავებაში დაეხმარონ ქალაქში დარჩენილ თანასოფლელი მუშების ოჯახებსაც. ზამთრის პირზე ეს გლეხები კვლავ ბრუნდებიან თბილისში, რათა მეორე ზაფხულს თვითონ დარჩენ იქ, ხოლო მათი ხეთი ამხანაგი სოფლად გაიგზავნოს ამხანაგობის წევრთა მიწის ნაკვეთების დასამუშავებლად. ასე იცვლებიან ისინი წლიდან წლამდე, ვიდრე ისე არ მოეწყობიან, რომ აღარ საჭიროებდნენ თავის სოფლის გარეთ ხანგრძლივად ყოფნას[27].

შრომის ასეთი განაწილება განსაკუთრებით საჭირო და ხელსაყრელი მცირემიწიანი გლეხებისთვის იყო. არტელის ყველა წევრის ქალაქიდან სოფლად დაბრუნება მიწის პატარა, მცირეშემოსავლიანი ნაკვეთების დამუშავებისთვის არ იყო მიზანშეწონილი, რადგან ქალაქში დარჩენა და ქირაზე შრომა მეტ სარგებლობას ჰპირდებოდა მათ. შრომის განაწილებით მუშათა არტელი ახერხებდა როგორც მიწის ნაკვეთების დამუშავებას, ისე დროის რაციონალურად გამოყენებას გარეშე გამომუშავებისათვის. შრომის განაწილების ბუნება შემოსავლის განაწილების ხასიათზეც მიუთითებს, ამხანაგობის ყოველი წესი გაქირავებული შრომის შედეგად მიღებული შემოსავლიდან თანაბარ წილს ღებულობდა.

ამხანაგობებს ქმნიდნენ ტვირთის მზიდავი მუშები, ხუროები, მხერხავები, მენახშირეები. XIX ს-ის 70-80-იან წლებში მუშათა არტელის მარტივი წესდება წევრებს ავალებდა ყოველდღიური გამომუშავების საერთო სალაროში შეტანას, რაც შემდეგ თანაბრად უნდა განაწილებულიყო. XIX—XX სს. მიჯნაზე არტელის ხასიათი შეიცვალა. ამხანაგობის წევრები მეტი დამოუკიდებლობის გამოჩენას იწყებენ, გამომუშავებულ თანხას არტელის სალაროს აღარ აბარებენ. ასეთი ამხანაგობა უკვე აღარ წარმოადგენდა მტკიცე ორგანიზაციას. იგი ძველი ტრადიციებიდან ინარჩუნებდა მხოლოდ შემდეგ ნიშნებს: არტელის წევრები უმეტესწილად ცხოვრობდნენ ერთად, ეხმარებოდნენ ერთმანეთს სამუშაოს გამოძებნაში და იცავდნენ ერთმანეთს გარეშე პირებისაგან.

საშოვარზე გასულ გლეხთა შრომისა და ცხოვრების პირობები ძალიან ცუდი იყო. ნ. ბახტაძე, მაგალითად, ასე ახასიათებს მტვირთავი მუშის მდგომარეობას: „ზაფხულის სამუშაოების დამთავრების შემდეგ გლეხი ტოვებს თავის კუთხეს“., „გზაზე, სოფლიდან სოფლად, არ თაკილობს არავითარ შემთხვევით სამუშაოს. ქალაქში იგი მუდამ ბაზარზეა, სასწორთან, სადაც სწორმოებს ყიდვა-გაყიდვა და საერთოდ მეტია მოთხოვნილება ტვირთის მზიდავი მუშის შრომაზე., მისი ცხოვრება ამ დროს, ავსილი ყველა შესაძლებელი გაჭირვებით, არის უთავშესაფარო ცხოვრება უბინაო პროლეტარისა.,..... იკვებება მუშა შავი პურითა და მწვანილით. უღრტვინველად ატარებს რა ესოდენ ძმიმე ცხოვრებას, იგი ამავე დროს საქმეს ეძებს, იგებს, სად მეტია მოთხოვნილება შრომაზე, სად შეიძლება მეტი გასამრჯელოს მიღება. მუშა ბევრს არ ფიქრობს, მოაგროვებს თავის ბარგი-ბარხანას და მიდის ამ აღთქმულ ქვე-

[27] «Кавказ», 1884 г., № 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანაში. თქვენ ხედავთ მას ბათუმში, სოხუმში, ფოთში, სევასტოპოლში, ქერჩში, თბილისში, ქართულ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს სოფლებში. ყველგან მიდის იგი თავის ცხენური ძალით, პირდაპირ ცხოველური ბოთმინებით და გროშების შოვნის უსაზღვრო სურვილით"[28].

ასეთ მძიმე, დამქანცველი შრომისათვის საშოვარზე გასულნი ძალიან მცირე გასამჯელოს ღებულობდნენ. ტფილისის მზდადავი მუშების თვიური გამომუშავება არ აღემატებოდა 10—15 მანეთს[29]. შედარებით მეტ შემოსავალს იღებდნენ ხუროები, მზარეულები, მეპურეები. საერთოდ კი თავის კუთხის გარეთ შრომა-საქმიანობით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ახერხებდა შედარებით დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევას. საშოვარზე გასულთა ძირითადი მასის გამომუშავება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მხოლოდ ნაწილობრივ ივსებდნენ მცირემიწიანობა-უმიწაწყლობით გამოწვეულ საარსებო საშუალებათა დანაკლისს.

ამგვარად, XIX—XX სს. მიჯნაზე საქართველოს სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნახევრად პროლეტარის და პროლეტარის დონეზე იყო დასული, საარსებო საშუალებებს საშოვარზე გასვლით და საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით პოულობდა. მაგრამ გაღატაკებული გლეხობის შედარებით მცირე ნაწილი გადადიოდა სამრეწველო მუშათა კლასის რიგებში. უმრავლესობა თავის შრომითი საქმიანობით დაკავშირებული იყო სავაჭრო ოპერაციებთან, ქალაქმშენებლობასთან, მდიდართა საოჯახო მეურნეობებთან და ქმნიდა სეზონურად და დღიურად დაქირავებულ მუშათა კონტიგენტს. გარე სამუშაოებზე დასაქმებულნი კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ კერძო მესაკუთრულ ფსიქოლოგიას, ნელა ითვისებდნენ მუშურ ჩვევებსა და მისწრაფებებს. დიდი ნაწილი ქალაქს თავისი შრომითი საქმიანობის დროებით ასპრეზად თვლიდა და იმაზე ოცნებობდა, რომ აღებული გროშებით სოფლად საკუთარი მეურნეობა გაეფართოებინა. აქეთკენ უბიძგებდნენ სოფელი ღატაკებს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

გაზ. „კოლხიდაში" დაიბეჭდა წერილი — „სამუშაოდ გადახვეწილ ქართველთა საყურადღებოდ". რედაქცია ოდესაში საშოვარზე წასულ გლეხებს ურჩევდა შეედგინათ ამხანაგობა, გაეერთიანებინათ თავისი დანაზოგი და შეესყიდათ სახელმწიფო საგლეხო ბანკის ხელთ დარჩენილი მიწები ზუგდიდის მაზრაში. ბანკს შეგიძლიათ შეეკრათო ცალკე პირობით, ხოლო მამულის დამუშავება მოაგვაროთ კოოპერაციის საფუძველზე. ამით შესძლებთ ბანკისაგან აღებული ხესხის ყოველწლიური პროცენტის გასტუმრებას, ხოლო მომავალში სრული მესაკუთრენი გახდებითო. ეს ნაყიდი ნაკვეთები, რედაქციის აზრით, დიდ სამსახურს გაუწევდა კოოპერაციის წევრებს შრომისა და კაპიტალის გამწვავებული კონფლიქტის პირობებში[30].

ღარიბ გლეხთა ერთი ნაწილი მართლაც ახერხებდა მიწის მცირე ნაკვეთების შესყიდვას. XIX—XX სს. მიჯნაზე კულაკთა ხელში მიწების კონცენტრაციის პარალელურად მიმდინარეობდა საკუთრების პარცელაციის პროცესი და, ამდენად. წვრილ მეურნეთა რიცხვი იზრდებოდა. მაგრამ მათ პატრონებს ცალი ფეხი საკუთარ მიწაზე ედგათ, მეორე კი დამქირავებლის წარმოებაში. სოფლის

[28] ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72—73.

[29] «Кавказ», 1884 г., № 87.

[30] გაზ. „კოლხიდა", 1913 წ. № 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალტაკებული უშუალო მწარმოებელი მასის გარე სამუშაოებზე გასვლის მიზეზები კი არ მცირდებოდა, არამედ იზრდებოდა. კაპიტალის პირობებში აგრარული ჭარბმოსახლეობის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, სოფლის ნახევრად პროლეტარული და პროლეტარული ფენების გარეშე სამუშაოებზე გასვლის მასშტაბი გაფართოების ტენდენციას ამჟღავნებდა.

სოფლის ნახევრად პროლეტარები და პროლეტარები, რომლებიც ათასობით გადიოდნენ გარე სამუშაოებზე და რომლებიც ძირითადად საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობდნენ, თითქმის არ განსხვავდებოდნენ სამრეწველო მუშებისაგან. ის გარემოება, რომ სოფლის პროლეტარები ფლობდნენ მიწის მცირე ნაკვეთებს, არაფერს ცვლიდა მათ სოციალურ ბუნებაში. მართალია, სოფლის პროლეტარები სამრეწველო მუშებს ჩამორჩებოდნენ კლასობრივი თვითშეგნებით და ორგანიზებულობით, მაგრამ სოფლებში ისინი პროგრესის პიონერები იყვნენ. საშოვარზე მავალი გლეხები პრაქტიკულად ახორციელებდნენ საბრძოლო კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, თავისი დიდი წვლილი შეჰქონდათ საერთო დემოკრატიულ და მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაში.

М. А. ХЕЦУРИАНИ

ОТХОЖИЕ ПРОМЫСЛЫ И ИХ РОЛЬ В СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЖИЗНИ КРЕСТЬЯН В ГРУЗИИ (1864—1905 гг.)

Резюме

В статье, составляющей часть подготовительной монографии доказывается, что отхожие промыслы стали массовыми после реформы.

Отходничество было вызвано следующими причинами: малоземельем, безземельем, экономически-бедственным положением крестьян, увеличением налоговой системы, развитием капиталистической торговли и т. д.

Отхожие промыслы приняли массовый характер по всей Грузии, особенно в Западной Грузии.

Отхожие промыслы имели важные последствия и влияние на жизнь и культурно-бытовые условия сельского населения пореформенной Грузии.

Отходничество в определенной степени способствовало экономическому развитию крестьянских хозяйств, улучшению их культурного уровня.

В статье сказано, что после выхода на отхожие промыслы ощутимо повысилось классовое самосознание крестьян. Крестьяне, вышедшие на отхожие промыслы и испытавшие на себе влияние специфических фабрично-заводских условий, активно включаются в классовую борьбу, борются против несправедливости и феодально-крепостнического строя. В условиях сельской жизни они сами ведут пропаганду оппозиционных идей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ახალი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუზა გვენეტაძე

ახალციხის საქალაქო თვითმმართველობა 1876—1917 წწ.

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. მისი განვითარების პარალელურად ძლიერდებოდა ბურჟუაზია. მაგრამ ეს უკანასკნელი მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს, რის გამოც უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით მეფის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1870 წლის საქალაქო დებულებით ბურჟუაზიისათვის მისი მოქმედების მთავარ ასპარეზზე — ქალაქებში მიენიჭებინა შეზღუდული თვითმმართველობის უფლება.

1870 წლის დებულება ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. იგი მხედველობაში არ ღებულობდა მოსახლეობის წოდებრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამის შესაბამისად ქალაქში ყალიბდებოდა სამი თანრიგი, სამი საარჩევნო კრება. პირველში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრენი, მეორეში — საშუალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში — ის წვრილი მესაკუთრენი, რომლებიც იხდიდნენ გარკვეულ გადასახადს.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომელიც ირჩევდა ქალაქის თავს და თავის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას. თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირთა არჩევა ოთხი წლით ხდებოდა.

ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობა არ ითვლებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოდ. მართალია, იგი დებულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში დამოუკიდებლად მოქმედებდა, მაგრამ იმავე დებულების სხვა მუხლები მნიშვნელოვნად ზღუდავდნენ თვითმმართველობებს და ადმინისტრაციის კონტროლს ამყარებდნენ მათ საქმიანობაზე.

მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობის პირობებში ქალაქებისათვის თვითმმართველობის მინიჭება მაინც პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან რამდენადმე ილაგმებოდა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობა და იქმნებოდა პროგრესული ძალების მოქმედების ასპარეზი.

აღნიშნული დებულება საქართველოს ქალაქებში სხვადასხვა დროს გატარდა. ამის მიზეზი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა იყო.

1875 წლის თებერვლიდან საქალაქო დებულების გატარებისთვის მზადება ახალციხეშიც დაიწყეს (დებულების გატარებამდე ქალაქს პოლიცია განაგებდა). 1876 წლის მარტში მოეწყო ამმრჩეველთა პირველი კენჭისყრა. არჩევნებში მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილეობდა. ქალაქის 14 000 მცხოვრებიდან ხმის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ 258 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 1,8 %. ამასთან კენჭისყრისას ადგილი ჰქონდა წესების დარღვევას, რაც აშკარა მიკერძოების ტენდენციას ატარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1876 წლის ივნისში ახალციხეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა თვითმმართველობის ორგანოები[1]. არჩეულ იქნა სათათბირო, ქალაქის თავი და გამგეობა.

სათათბიროში თითოეული თანრიგის ამომრჩეველთა მიერ არჩეულ იქნა 14 — 14 ხმოსანი, სულ 42 კაცი. პირველი თანრიგის ამომრჩეველებიდან სათათბიროში შევიდნენ: ნ. მეფისაშვილი, ა. ყაზაზოვი, ა. ფოზოევი, მ. მუტაფოვი, ი. ბუდუღოვი და სხვ.

მეორე თანრიგის ამომრჩევლებმა სათათბიროში გაიყვანეს: მ. მეფისაშვილი, კ. მეფისაშვილი, ო. გეგამიანები, ა. მანანდოვი, ა. სუზანაჯევი და ა. შ.

მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა სათათბიროში ნდობა გამოუცხადეს შემდეგ ხმოსნებს: მ. ბახჩინოვს, ა. რაფაელოვს, მ. რახმატოვს. ო. კრუნკოვს, ა. მანუკოვს და სხვ.[2]

ქალაქის თავის თანამდებობა წილად ხვდა საზოგადოებრივი თვითმმართველობის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს მიხ. ხითაროვს.

გამგეობის წევრებად აირჩიეს ს. კაჩოევი, გ. ბუდუღოვი და ა. არუთინოვი. მდივნის მოვალეობა ი. მამულოვს დაეკისრა.

არჩევნებთან დაკავშირებით ვინმე ახალციხელი „დროების“ რედაქციას აცნობებდა: „დიდს მხიარულებაში ვართ ამჟამად ჩვენ, რადგან ქალაქის გამგეობის ახალ წესს მოვესწარით და იმედნეულად ვართ უფალმა ხითაროვმა ბევრი კეთილი განკარგულება მოახდინოს, თუ ჩვენც შესაფერისი წევრები ამოვურჩიეთ“.[3]

თვითმმართველობაში თავიდანვე მსხვილი სომეხი ბურჟუაზია გაბატონდა. არასომეხი მოსახლეობის წარმომადგენლები რიცხობრივად ნაკლები იყვნენ.

1876 წლის 19 ივნისს შედგა ახალციხის ახლად არჩეული თვითმმართველობის პირველი სხდომა, რომელმაც თავის წევრებს შორის გაანაწილა ფუნქციები და დაამტკიცა მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა.

ახლად არჩეული ქალაქის თავი მიხ. ხითაროვი არ გამოირჩეოდა თავის პოსტზე მაინცდამაინც აქტიურობით. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული თანამდებობისათვის წლიურ ჯამაგირად საკმაოდ მოზრდილ თანხას — 3 000 მანეთს ღებულობდა, მას ქალაქისათვის რაიმე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი არ გაუკეთებია. ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზების გამო იგი ხშირად მოწყვეტილი იყო ქალაქის საქმიანობას და ასეთ შემთხვევაში ქალაქის თავის ფუნქციებს მისი მოადგილე ო. გეგამიანცი ასრულებდა. მიხ. ხითაროვი ისე ჩამოშორდა ქალაქის ხელმძღვანელობას, რომ დებულებით გათვალისწინებული ოთხწლიანი საარჩევნო ვადა არ დაუსრულებია.

1879 წელს ქალაქის თავად დაინიშნა ო. გეგამიანცი. ეს ფაქტი არ იყო ერთეული შემთხვევა ახალციხეში. აქ არცთუ იშვიათად უგულებელყოფდნენ საარჩევნო წესების დაცვას და ამა თუ იმ ხელმძღვანელ პირს ხელისუფლება ნიშნავდა.[4] მისი წლიური ჯამაგირი 2000 მანეთით განისაზღვრა.

ახალციხის ახალმა ოფიციალურმა ხელმძღვანელმა შედარებით სერიოზულად მოჰკიდა ხელი ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. მისი თაოსნობით

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V თბ., 1970 გვ. 327.

[2] «დროება», 1876, № 61.

[3] «დროება», 1876, № 20.

[4] «Кавказъ», 1876, № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1876 წელს გაიხსნა 6 საწოლიანი საავადმყოფო და საუქციონერო კამერა, 29 საეენის სიგრძეზე ქვის ღობით გამაგრდა მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპირო, რამდენადმე გადიდდა ქალაქის შემოსავალი, მიღებულ იქნა დადგენილება ქალაქის ორივე ნაწილისათვის ქვის ახალი სასაკლაოს მშენებლობის შესახებ, დაიწყეს ზრუნვა საზოგადოებრივი ბანკის გახსნაზე და სხვ.

80-იან წლებში, თბილისის გუბერნიის ქალაქთა საკრებულოს ბრძანებით, ახალციხის სათათბიროს ხმოსანთა რიცხვი 42-დან 36-მდე შემცირდა, ვინაიდან ქალაქი ნელა იზრდებოდა და არ გაანძღა დიდი შემოსავალი.

1880 წლისთვის ახალციხეში დაიწყო მზადება სათათბიროს ხმოსანთა ახალი არჩევნებისათვის. ამ დროს ქალაქში ხმის უფლებით სარგებლობდა 355 კაცი. აქედან, პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში შეტანილი იყო 20 ამომრჩეველი, მეორეში — 80, მესამეში — 425, თითოეულმა თანრიგმა სათათბიროში აირჩია 12 — 12 ხმოსანი. სულ 36 კაცი[5].

არჩევნების შედეგად სათათბიროში შეეიდნენ: ნ. მეფისაშვილი. პ. ბეთანიშვილი, ნ. ფირალიშვილი, ა. მოშიაშვილი, ი. მუტაფოვი, ო. გეგამიანცი, კ. საგათელოვი, ო. მელქოიანი და სხვ.[6]

სათათბიროს არჩევას მომდევნო წელს ქალაქის თავის ახალი არჩევნები მოჰყვა. ამ თანამდებობაზე სათათბიროს ხმოსანთა სხვადასხვა დაჯგუფების აწუ პარტიების მიერ წამოყენებულ იქნა 5 კანდიდატი. ესენი იყვნენ: ქალაქის ყოფილი თავი ო. გეგამიანცი, ი. მუტაფოვი, კ. მეფისაშვილი, პ. ბეთანიშვილი და ი. ბუდუღოღი.

კენჭის ყრის დროს პარტიებს შორის გაჩაღდა ცხარე და დაუნდობელი ბრძოლა, დატრიალდნენ მდიდარი ხმოსნები. ისინი თავისი კანდიდატურის გასაკვანად არ ერიდებოდნენ არაფერს (დებულების დარღვევას, ძალდატანებას, მუქარას, მოსყიდვას და სხვ.). არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ო. გეგამიანცს ჰქონდა. ეს ასეც მოხდა. მან მიიღო 20 ხმა, ი. მუტაფოვმა — 7, კ. მეფისაშვილმა — 5, პ. ბეთანიშვილმა და ი. ბუდუღოღმა — 1.

ვინაიდან ორმა უკანასკნელმა კანდიდატმა ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო მათ უარი განაცხადეს საარჩევნო ბრძოლის შემდგომ გაგრძელებაზე. დარჩენილი სამეულიდან ო. გეგამიანცის საბოლოო გამარჯვება არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ასეთ დროს მოხდა ერთი უპრეცედენტო შემთხვევა, რამაც დამსწრენი ძალიან გააკვირვა. ყველასაგან მოულოდნელად ო. გეგამიანცმა დღის წესრიგიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთ-ერთმა ყველზე გავლენიანმა და მდიდარმა ხმოსანმა, რომელსაც ქალაქის თავად თავისი ახლო ნათესავის ი. მუტაფოვის არჩევა სურდა, სათათბიროს წინასწარ მიაღებინა გადაწყვეტილება, რომლითაც ქალაქის თავის ჯამაგირი 2 000 მანეთიდან 500 მანეთამდე მცირდებოდა. ამაზე კი ო. გეგამიანცი არ დათანხმდა.

ქალაქის თავის არჩევნების მეორე ტურში ერთმანეთის პირდაპირ აღმოჩნდნენ ი. მუტაფოვი და კ. მეფისაშვილი, მაგრამ გამარჯვება წილად ხვდა პირველს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას ამჯერადაც არ მიუღია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. 34 ხმოსნიდან მის ქალაქის თავად არჩევას ხმა მისცა 18 კაცმა, მოწინააღმდეგეს 16 ხმოსანმა. სხდომის დაშლის შემდეგ ძალიან

---

[5] სსცია, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 479, ფურც. 23—26, 47—48

[6] Кавказский календарь на 1882, адрес календарь, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს უკვირდა, თუ როგორ მოეკლინა ქალაქის თავად ახალციხეს ხალხისთვის ნაკლებად ცნობილი ი. მუტაფოვი[7].

ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენა მტრულად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ყველა მათგანნ ცდილობდა თვითმმართველობაში გაბატონებას და ამ დაწესებულების თავის ინტერესებისათვის გამოყენებას. საქალაქო სათათბიროები, გამგეობები და ქალაქის თავები უმეტესწილად მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდნენ და იცავდნენ. ქალაქის მოსახლეობის დაბალი მასა კი, არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში, თავის წარმომადგენლთა სათათბიროში გაყვანას იშვიათად ახერხებდა.

მდიდრების თვითნებობისა და დაბალი ხალხის ინტერესების უგულებელყოფის გამო ახალციხის აღშფოთებული ღარები მოსახლეობა 1881 წლის ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებით გუბერნატორს წერდა: „ჩვენ ღარები ხალხი მოკლებული ვართ თავისუფლების და განვიცდით ჩაგვრას ადგილობრივი კაპიტალისტებისაგან. საქალაქო დებულებამ თითქოს თანაბარი გაგვხადა ყველა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ყველგან და ყველაფერში მდიდარი კლასის წარმომადგენლებს ირჩევენ. ასე მოხდა ამჯერადაც ხალხისთვის უცნობი ი. მუტაფოვის არჩევის გამო, რომელიც მისმა მდიდარმა ნათესავებმა გაიყვანეს ქალაქის თავად. ამიტომ გთხოვთ, არ დამტკიცოთ ამ თანამდებობაზეო“[8].

ქალაქის ბატონ-პატრონად ერთი მუჭა მდიდრების გადაქცევას და მათ მიერ მოსახლეობის დაბალი ფენების ჩაგვრას, თვით ი. მუტაფოვის წინამორბედი ქალაქის თავი ო. გეგამიანიც აღიარებდა. გუბერნატორისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში იგი აღნიშნავდა: „ხალხის საჩივარს ი. მუტაფოვის ქალაქის თავად არჩევის გამო მე ვხსნი იმით, რომ ისინი მდიდრებს უყურებენ როგორც არასანდო ადამიანებს, რადგან მათ ხელშია მთელი ვაჭრობა და ისინი ექსპლოატაციას უწევენ მათ. ჩემი ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში ახალციხელი მდიდრები სისტემატურად ჩაგრავდნენ ღარიბ მოსახლეობას. ამიტომ არამეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ და არიან მათთან[9].

ხალხის საჩივარს არაფერი შედეგი არ მოჰყოლია. ი. მუტაფოვი ქალაქის სრულუფლებიანი მეთაური გახდა. მის მოადგილედ არჩეულ იქნა ო. გეგამიანი, მდივნად — გ. ბატალბაშვილი[10].

ჩვეულებრივი სიმწვავით ჩაიარა სათათბიროს ხმოსანთა 1884 წლის არჩევნებმაც. დიდი ბრძოლების შემდეგ ამომრჩეველებმა სათათბიროში გაიყვანეს: კ. ფირალიშვილი, პ. ბეთანიშვილი, კ. მეფისაშვილი, მ. ფირალიშვილი, ა. ჯანაშვილი, გ. ბუდუღოვი, ა. აკობჯანოვი, ს. ფაფაზოვი, ა. ვორთანოვი, ფ. ათაბეგოვ-ქობულიანსკი და სხვ.[11].

კიდევ უფრო მწვავე გამოდგა იმავე წლის ქალაქის თავის მორიგი არჩევნების კომპანია. ხალხს იმედი ჰქონდა, რომ ახლა მაინც წარიმართებოდა საქმე ობიექტურად და არ გამეორდებოდა ის ისტორია, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა არჩევნების დროს, მაგრამ სამწუხაროდ, მოხდა პირიქით. ხალხის

---

[7] «Кавказъ», 1881, № 11.

[8] სსცია, ფ. 17 ანაწ. 1, საქმე 674, ფურც. 11.

[9] სსცია, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 674, ფურც. 10

[10] «Кавказъ», 1881, № 58

[11] Кавказский календарь, на 1885, адрес Календарь, გვ. 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილის წინააღმდეგ ქალაქის თავად ისევ ი. მუტაფოვი აირჩიეს. ამის გამო ერთ-ერთი დამსწრე წერდა: „თითოეული ჩვენთაგანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცოტა ხნის წინათ ფიზიკურად ეული ხმოსნები ახლა მაინც შეწყვეტდნენ ინტრიგებს და არ ჩაუგდებდნენ თვითმმართველობას ხელში რამდენიმე მდიდარს, მაგრამ საქმე ასე არ დამთავრდა. არჩევნების მსვლელობაში წაიდა სხვადასხვა დაპირებები, დაშინება და თხოვნა, რისი შედეგიც იყო ყოფილი ქალაქის თავის კანდიდატურის ხელმეორედ წამოყენება ხალხის სურვილის მიუხედავად, რომელსაც არაერთხელ განუცხადებია პროტესტი ამ პირის წინააღმდეგ. არჩევნების დროს წინა პლანზე იდგა მსხვილი ბურჟუაზიის ძალა და ნათესაობა. ამიტომ ეს პარტია „ძალის“ პარტიად იყო ცნობილი და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა“.[12]

ქალაქის თავის მოადგილედ არჩეულ იქნა ნიკ. ტერ-გრიგოროვი. გამგეობის წევრებად: ი. მუტაფოვი, ნ. ტერ-გრიგოროვი და ა. აირაპეტოვი. მდივნად — გ. ჩატალბაშევი.

დროთა განმავლობაში საარჩევნო ბრძოლები ახალციხეში სულ უფრო-დაუფრო ძლიერდებოდა. ამის გამო ზოგჯერ სათათბიროს ხმოსანთა და ქალაქის თავთა არჩევნების ჩატარება დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ ხერხდებოდა.

1889 წელს ახალციხეში მოეწყო სათათბიროს ხმოსნებისა და გამგეობის წევრთა ახალი არჩევნები მომავალი 4 წლის ვადით (1890—1894 წწ.). სია დამტკიცებულ იქნა გუბერნატორის მიერ და ხმოსნებმა დადეს დებულებით გათვალისწინებული ფიცი.

ძალიან გაჭიანურდა ქალაქის ახალი თავის არჩევის საქმე. ი. მუტაფოვს თავის უფლებამოსილების ვადა 1887 წლის დასასრულისათვის უმთავრდებოდა და თავის დროზე კიდეც დაიწყო მზადება ქალაქის ახალი თავის შერჩევისათვის, მაგრამ მზადების პროცესში პარტიებს შორის ისეთი დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა, რომ შეუძლებელი გახდა მათი შეთანხმება. სწორედ ამ ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ მთელი ორი წლის მანძილზე (1883—1889 წწ.) ვერ მოხერხდა ქალაქის ახალი თავის არჩევა და გუბერნატორის ნებართვით მისი ფუნქციების შესრულებას დროებით ისევ ი. მუტაფოვი განაგრძობდა. კრიზისთან დაკავშირებით ერთ-ერთი ახალციხელი კორესპონდენტი წერდა: „ყველაფერი კარგად იქნებოდა ჩვენთან „უთავოდ“ რომ არ ვიყოთ. ამ ახალი ავადმყოფობით დიდი ხანია ვიტანჯებით ჩვენ და როდის მოვრჩებით ალაჰმა იცის. ხმოსნების არჩევნები უკვე მოეწყო, სიაც კი იქნა წარდგენილი გუბერნატორთან დასამტკიცებლად, მაგრამ თავს ჩვენს მხრებზე ვერაფრით ვერ შეარჩევთ, თუგინდ საზღვარგარეთიდან გამოიწეროთ. დიდი და პატარა დაკავებულია ახლა ამ საკითხით და იყოფიან მრავალ პარტიად, რომელთაგან თითოეული ცდილობს [illegible]წუნოს მეორე პარტიის კანდიდატური და უსათუოდ გაიყვანოს თავისი. პარტიათა ბრძოლა მივიდა იქამდე, რომ, ალბად, ჩვენ კიდევ დიდხანს ვეძებნით „უთავოდ“.[13]

1890 წლის 11 ივნისს როგორც იქნა მოეწყო არჩევნები. კანდიდატებად დასახელეს 4 კაცი: გრ. მოსესოვი, ნიკ. ტერ-გრიგოროვი, კ. მეფისაშვილი და ტ. არაბჯევი. არჩევნების დასაწყისში შექმნილი მწვავე ვითარების გამო, ბო-

---

[12] სსცა, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 9018, ფურც. 3—4.

[13] «Новое обозрение», 1889, № 2043.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღო ორმა პრეტენდენტმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. კენჭი იყარეს გრ. მოსესოვმა და ნიკ. ტერ-გრიგოროვმა. ცხარე ბრძოლაში გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა, რომელსაც ჯამაგრად წელიწადში 1 000 მანეთი დაენიშნა.[14]

იმავე წლის 16 თებერვალს ახლად არჩეული ქალაქის თავის თავმჯდომარეობით ჩატარდა სხვა თანამდებობის პირთა არჩევნები. კერძოდ, ქალაქის თავის მოადგილისა და მდივნის. უკომპრომისო ბრძოლაში ქალაქის თავის თანაშემწედ აირჩიეს გრ. მოსესოვი, ხოლო მდივნად — ა. გაზაროსიანცი.

მალე გამოირკვა, რომ ბევრი ხმოსანი არაკანონიერად იყო არჩეული, რადგან როგორც წინათ, ისე ახლა კანდიდატებს ხმა მისცეს ისეთმა ამორჩეველებმა, რომლებსაც ქონებრივი ცენზი უკვე დაკარგული ჰქონდათ და დებულების თანახმად მათ უფლება ერთმეოდათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში.

არჩევნების წესის დაცვის უგულებელყოფა მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. ამასთან ერთად უშუალოდ თვითმმართველობაშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ხმა აიმაღლეს არსებული დამახინჯების წინააღმდეგ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ხმოსანი გ. ჩატალაშვილი, რომელიც თავის მომხრე მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად რადიკალობდა და გაბედულად აკრიტიკებდა ადგილობრივ თვითმმართველობას მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების გამო.

საქალაქო თვითმმართველობები თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის კვალობაზე უფრო მწვავდებოდა ბრძოლა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის თვითმმართველობაში გაბატონებისათვის. იმის გამო, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მრავალეროვანი იყო კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლას ნაციონალური ელფერი გადაჰკრავდა.

საქალაქო დებულება თვითმმართველობაში გზას უხსნიდა მაღალი ქონებრივი ცენზის მქონე ბურჟუაზიას. კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში ქონების დაგროვება ვაჭრობა-მრეწველობით ხდებოდა. ვინაიდან ამ საქმით დაინტერესებას პირველ ხანებში უპირატესად სომეხი ბურჟუაზია იჩენდა და დიდძალი ქონება დააგროვა, ამის გამო ზოგი ქალაქის თვითმმართველობაში. ისინი აღმოჩნდნენ გაბატონებულნი.

როცა ქართველი ბურჟუაზია გამოფხიზლდა და ვაჭრობა-მრეწველობას მოჰკიდა ხელი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგობას. პირველად სომეხი და ქართველი ბურჟუაზია ერთმანეთს ებრძოდა ქალაქის ეკონომიკასა და ბაზარზე უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ცხოვრების ზედაპირზე ნაკლებად ჩანდა. XIX ს-ის 80-იან წლებში მდგომარეობა უფრო დაიძაბა. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თვითმმართველობაში უმრავლესობის მოპოვების საკითხშიც. „ნაციონალური ბრძოლა აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს ბურჟუაზიული კლასების ბრძოლას ურთიერთშორის“.[15]

სომეხ და ქართველ ბურჟუაზიას შორის შინაკლასობრივი ბრძოლა და ნაციონალური ქიშპობა მწვავე იყო ახალციხეში. თვითმმართველობაში გაბატონებული სომეხი ბურჟუაზია ყველა ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ წმინდა ნაციონალური თვითმმართველობა ჰქონოდა, თავის გვერდით არ დაეშ-

[14] «Новое обозрение», 1890, № 2090.

[15] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 11, 1947, გვ. 331.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა სხვა ერის წარმომადგენელი. თუ უკიდურეს შემთხვევაში ამას ვერ შეძლებდა, მაშინ ყველაფერი ეღონა მათი თავიდან მოცილებისათვის. უნდა ითქვას, რომ მეფის ხელისუფლების დროს არსებული კაცთმოძულეობისა და მოსყიდვა-მექრთამეობის პირობებში, ამ პოლიტიკას ზოგჯერ წარმატებით ახორციელებდნენ. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1878 წელს ქალაქის ძველი ნაწილის — რაბათის ქართველი ღარიბობა გულისტკივილით აღნიშნავდა: „ძველი ქალაქის ღარიბებს ორი ქომაგი გვყავდა გამგეობაში — მიხ. მეფისაშვილი და სტ. ქარხიაშვილი, მაგრამ ისინი არტაანში გადაიყვანეს და ჩვენ უპატრონოდ დავრჩითო“.[16]

როცა ქართველმა ბურჟუაზიამ დაინახა, რომ თვითმმართველობის კარი ბრსთვის მაგრად იყო დაკეტილი, რის გამოც არ შეეძლო უშუალოდ სათათბიროს სხდომებზე დაეცვა თავისი ინტერესები, ოპოზიციაში ჩაუდგა სომეხ ბურჟუაზიას, მაგრამ თავისი მცირერიცხოვნებისა და სისუსტის გამო რაიმე წარმატებას ვერ აღწევდა. როდესაც ეს მიზეზი ქართველი ბურჟუაზიისათვის აშკარა გახდა, მათ საკუთარი მიზნების მისაღწევად ერის სხვა სოციალურ ძალებსაც მოუხმეს. „სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზია საკუთარი კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე აწარმოებს ბრძოლას. მით უმეტეს კლასობრივ ხასიათს ატარებდა ერთი სახელმწიფოს, ერთი ქალაქის ფარგლებში მოქმედი ქართველ და სომეხ ბურჟუაზიას შორის მომხდარი ბრძოლა. ისინი თავის კლასობრივ ინტერესს საერთო ნაციონალურ ინტერესად აცხადებდნენ და ცდილობდნენ ამ ბრძოლაში ერის სხვა სოციალური ძალების ჩაბმასაც“.[17]

ოპოზიციურმა ბლოკმა, როცა სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ადგილზე ბრძოლით წარმატებას ვერ მიაღწია მოქმედების თავისებური გეგმა შეიმუშავა და ბრძოლის ასპარეზი ქალაქის ფარგლებს გარეთ გადაიტანა. ამ გეგმის მთავარი შინაარსი ის იყო, რომ მათ უმაღლესი თუ საგუბერნიო ხელისუფლების წინაშე სისტემატიურად უნდა ემხილებინათ სომეხი ბურჟუაზიის პოზიცია არასომეხი მოსახლეობის მიმართ და ამით ნიღაბი აეხადათ მათი ტენდენციური მოქმედებისათვის.

ქართველი ბურჟუაზიის მიერ აგიტირებულ ახალციხელ ცენზიან მოქალაქეთა ერთი ჯგუფი 1889 წელს მთავარმართებლისადმი მიცემულ თხოვნაში წერდა, თვითმმართველობის შემოღებამ ჩვენი მდგომარეობა გააუარესაო. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თვითმმართველობის ყველა დაწესებულება თავიდანვე ვაჭართა ერთმა ნაწილმა ჩაიგდო ხელთ და ქალაქის ხაზინას თვითნებურად განაგებსო. აღნიშნული პარტია მხოლოდ სომეხი გრიგორიანელებისაგან შედგება და ყველანაირად ცდილობს ქალაქის მართვა-გამგეობაში არ დაუშვას სხვა ერებისა და სარწმუნოების წარმომადგენელები. იმის გამო, რომ გამგეობაში სომხები არიან გბატონებულნი, არასომხეთა თიხით აგებული ქოხი 3—4-ჯერ მეტად ფასდება, ვინემ სომეხთაგან აშენებული ქვითკირის სახლები. ასეთი პოლიტიკის პირობებში საგადასახადო ტვირთის მეელი სომეხი მართლადიდებლებსა და კათოლიკებს აწევს. სომეხი გრიგორიანები კი, რომლებიც მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ და თანაც გაცილებით მდიდრები არიან, შედარებით მსუბუქად იბეგრებიანო.[18]

[16] «დროება», 1878, №9.

[17] ა ლ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა, თბ., 1960, გვ. 23.

[18] სსცია, ფ. 12, ანაწ. 7, საქმე 663, ფურც. 4—7.

7. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1979, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხის ქართველი ბურჟუაზიის მოქმედების ასეთი არჩევანი ცხადია არ მიეკუთვნებოდა ბრძოლის აქტიურ ფორმას. იგი მოწინააღმდეგის მიმართ დაპირისპირებულობის პასიური გამოხატულება იყო. ასეთ შემთხვევაში ქართველი ბურჟუაზიის თვითმმართველობაში გაბატონების ხელისშემშლელ მიზეზებს, როგორიც იყო მისი სიმცირე და სისუსტე, ბუნებრივად ემატებოდა სხვა მიზეზიც — გამოუცდელობა. მაშინ, როცა მეფე და მისი მოხელეები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს სხვადასხვა ერებს შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებას. უმაღლესი ხელისუფლების წინაშე თვითმმართველობაში მონაწილეობას მოკლებული ქართველი ბურჟუაზიის ჩივილი და საქმის მოწესრიგების შემცველი თხოვნა აღძრა, მხოლოდ წყლის ნაყვა იყო და მეტი არაუერი.

არასმეხი მოსახლეობის მოქმედებას სომეხი ბურჟუაზია გარეგნულად მშვიდად უყურებდა. სხვის მოსაჩვენებლად თითქოს ყველფერს ასწორებდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. იგი თანდათან აგრესიულ ხდებოდა და კიდევ უფრო მეტად ახორციელებდა თავის მოწინააღმდეგეთა შეზღუდვის პოლიტიკას. უფრო მეტიც, სომეხ ბურჟუაზიას სრულ იზოლაციაში ჰყავდა სათათბიროს ის ორიოდე ქართველი ხმოსანიც, რომელთა არჩევა მოსახლეობას ესოდენ დიდი ჯაფისა და ენერგიის დახარჯვის ფასად უჯდებოდა. ამიტომ იყო, რომ ქართველები მტკიცედ მოითხოვდნენ მათგან გაქტიურებას, რათა არ ყოფილიყვნენ ბრმად მორჩილნი[19].

თვითმმართველობაში არჩევის სამართლიანობის დაცვის მიზნით, ოპოზიციურმა ბლოკმა, რომელსაც სათავეში ახლად აღორძინებული ქართველი ბურჟუაზია ედგა, იმავე 1889 წელს მთავარმართველისადმი გაგზავნილ თხოვნაში წამოაყენა წინადადება, რომ ქალაქის მართვა-გამგეობას საფუძვლად დადებოდა ეროვნულ-რელიგიური პრინციპი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაეუქმებინათ თვითმმართველობა, თხოვნას ხელს აწერდა 216 ქართველი, 12 რუსი 8 თურქი და 3 სომეხი კათოლიკე[20].

თუ ეს პრინციპი ცხოვრებაში გატარდებოდა, მაშინ ახალციხის წვრილი ბურჟუაზია, რომელიც მნიშვნელოვანწილად ქართული იყო, სათათბიროში გაიყვანდა თავისი ინტერესების დამცველ საკმაო რაოდენობის ხმოსნებს. იგივე პრინციპი სათათბიროში გზას გაუხსნიდა ინტელიგენციას, მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

მოწინააღმდეგეთა თვალში ერთგვარი რეაბილიტაციის მიზნით, ქალაქის ახალმა თავმა ნიკ. ტერ-გრიგოროვმა თავის სამოღვაწეო გეგმაში შედარებით მეტი ყურადღება დაუთმო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით 1890—1895 წლებში სათათბიროში რამდენიმე საყურადღებო საკითხი აღიძრა და გადაწყდა. შედარებით გაფართოვდა პრაქტიკული საქმიანობის სფეროც: ქალაქის 4 კლასიან სასწავლებელთან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებები, შემოღებულ იქნა მუსიკის სწავლება. გადაწყდა ხსენებული სასწავლებლის პირველი სართულის რემონტი და დამტკიცდა მასზე მეორე სართულის დაშენების პროექტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული კეთილმოწყობის საქმეს. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. მას უშუალოდ კავშირი

---

[19] ს სცა, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 2827, ფურც. 5—6.

[20] სსცა ფ. 12, ანაწ. 7, საქმე 663, ფურც. 4—7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა საქართველოს ქალაქებში 1892 წელს გავრცელებულ ქოლერის ეპიდემიასთან. ამ საშინელი სენის წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისიდან მოიწვიეს ცნობილი ექიმი — ეპიდემიოლოგი პრეობრაჟენსკი და 2 ფერშალი. დაავადებულთათვის გაიხსნა სპეციალური ბარაკი აფთიაქით და სხვ.

ნაროდოვოლცების მიერ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ თვითმპყრობელობა დაადგა კონტრრეფორმების გატარების გზას. ამის ერთ-ერთ გამოვლენას 1892 წლის ახალი საქალაქო დებულება წარმოადგენდა, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიკვეცა ქალაქთა თვითმმართველობის უფლებები და მათ საქმიანობაზე დამყარდა მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლი. მაღალი საარჩევნო ცენზის გამო ხმის უფლება დაკარგა წვრილბურჟუაზიულმა ფენამ. მუნიციპალურ ორგანოებში განუყოფლად გბატონდა საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია.

ახალი საქალაქო დებულებით საქართველოს სხვა სამაზრო ქალაქების მსგავსად, განსაკუთრებით შეკვეცილი აღმოჩნდა ახალციხის თვითმმართველობის უფლებები. ამ ქალაქში შემოღებულ იქნა თვითმმართველობის გამარტივებული სტრუქტურა, რომლის საფუძველზე ხმოსნების ნაცვლად ირჩევდნენ რწმუნებულებს, ხოლო ქალაქის თავის მაგიერ — მამასახლისს. სათათბიროს რწმუნებულთა, ანუ საქალაქო კრება უწოდეს. რწმუნებულთა რიცხვი 36-დან 15-მდე შემცირდა. მათზე და მამასახლისზე კიდევ უფრო მკაცრი კონტროლი დაწესდა.

1894 წლის 7 აგვისტოს პირველად მოეწყო ახალი სისტემით საქალაქო კრების რწმუნებულთა არჩევნები. რწმუნებულთა კრებაშიც სომეხი ბურჟუაზია გბატონდა[21].

იმავე წლის 11 დეკემბერს ახალციხეში ჩატარდა ქალაქის მამასახლისის არჩევნები. ამ თანამდებობის მთავარ მაძიებლად, ისევე როგორც წინა არჩევნების დროს, ამჯერადაც ნიკ. ტერ-გრიგოროვი და გრ. მოსესოვი გამოვიდნენ. მძაფრ შეჯახებაში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ნიკ. ტერ-გრიგოროვმა და მეორედ იქნა არჩეული ქალაქის მეთაურად. მოადგილის თანამდებობა ძველებურად წილად ხვდა გრ. მოსესოვს, ხოლო მდივნისა — ა. გაზაროსიანცს.

ქალაქის მამასახლისს ხელფასი დაენიშნა 1 200 მანეთი, მოადგილეს — 800 მანეთი, მდივანს — 600 მანეთი[22].

არჩევნებში ნიკ. ტერ-გრიგოროვის გამარჯვებამ ცუდ გუნებაზე დააყენა გრ. მოსესოვი. იგი თავის პარტიასთან ერთად, რომელსაც პირობითად შეიძლება „მოადგილის“ პარტია ეწოდოს, ოპოზიციაში ჩაუდგა ქალაქის მამასახლისს და მის მოღვაწეობას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. გრ. მოსესოვის მარჯვენა ხელი ამ ბრძოლაში ა. გაზაროსიანცი იყო. მოწინააღმდეგეთა ბანაკს არ მოწონდა ქალაქის მამასახლისის უმოქმედობა და საქალაქო ცხოვრების გაუჯობესების მოთხოვნით გამოდიოდა. სინამდვილეში კი ამ ბრძოლას ერთი მიზანი ჰქონდა — გრ. მოსესოვის ქალაქის ხელმძღვანელად გახდომა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ ნიკ. ტერ-გრიგოროვის კრიტიკის საფუძველი. თუ ქალაქის თავად ყოფნის პირველ ოთხწლეულში შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდა სწავლისა და ჯანმრელობის დაცვის საკითხებს, მეორე ოთხწლეულში მისი საქმიანობა არაფრის მთქმელი იყო.

---

[21] «Новое обозрение», 1894, № 6353.

[22] «Новое обозрение», 1894, № 3776.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიათა ბრძოლამ და დაპირისპირებულობამ ბოლოს ისეთ კულმინაციას მიაღწია, რომ 1897 წელს საჭირო შეიქმნა ახალციხეში გუბერნატორის ჩამოსვლა და საქმის სპეციალური გამოძიება. გუბერნატორის განჩინებით დამნაშავედ ცნეს ნიკ. ტერ-გრიგოროვი, რომელიც გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან[23] და ქალაქის მამასახლისის ახალი არჩევნების მოწყობამდე ეს პოსტი დროებით ისევ ქალაქის ყოფილ თავს ი. მუტაფოვს მიანდეს.

1898 წელს მოეწყო საქალაქო კრების მორიგი არჩევნები. გამარჯვებულნი გამოვიდნენ შემდეგი რწმუნებულები მ. მეფისაშვილი, გრ. მოსესოვი, ა. გაზაროსიანცი, ა. კასაბაშვილი, მ. პეტროსოვი, ა. მანანდოვი, დ. კუპალოვი, ქ. კორიანცი და სხვ[14].

იმავე წელს ახალციხის მამასახლისად გრ. მოსესოვი აირჩიეს, რომელსაც 1916 წლის ჩათვლით ე. ი. მთელი 19 წლის მანძილზე ზედიზედ ეკავა ქალაქის მამასახლისის სავარძელი. იგი არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა ოთხჯერ (1898, 1904, 1908, 1914 წწ.). მასთან ერთად იგივე ხანგრძლივობით ქალაქის მამასახლისის მოადგილის თანამდებობა უწყვეტად ეჭირა მის თანამებრძოლს ა. გაზაროსიანცს.

გრ. მოსესოვმა, მამასახლისად არჩევის შემდეგ გადატანილი ბრძოლების გამართლებისა და ქალაქზე ნამდვილი გულშემატკივრის სახელის მოხვეჭის მიზნით, პირველ ხანებში ენერგიულად დაიწყო მოქმედება. თუმცა მის დროინდელი რწმუნებულთა კრების მიერ გატარებული ზოგიერთი ღონისძიება იძულებით ხასიათს ატარებდა. 1900—1910 წლებში ახალციხეში აშენდა მთელს ამიერკავკასიაში პირველი რაციონალური სადგომი ბაკი პირუტყვისათვის, მოლიანად გადაკეთდა ქალაქის სასაკლაო, საკუთარ შენობაში გადავიდა ამბულატორიული საავადმყოფო-სამკურნალო, გაიხსნა აფთიაქი და პროგიმნაზია. 1910 წელს გავრცელებულ ქოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებით აშენდა ქოლერის ახალი ბარაკი, თბილისიდან მოიწვიეს ცნობილი ეპიდემიოლოგი ექიმი მეგრაბიანცი და ორი ფერშალი.

1911—16 წლებში დაიწყეს პროგიმნაზიის საკუთარი შენობის მშენებლობა, ენთილის წყალსადენის რეკონსტრუქცია, ქალაქში დამატებით დადგეს 5 შადრევანი. ტიფის გავრცელების წინააღმდეგ გააძლიერეს სანიტარული მუშაობა და სხვ.

თვითმმართველობაში გაბატონების საკითხი სომეხ და ქართველ ბურჟუაზიას შორის მუდამ მწვავედ იდგა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში.

მძაფრ და დაუნდობელ ბრძოლებში ზოგიერთი ქალაქის ქართველი ბურჟუაზია ზოგჯერ ახერხებდა ქალაქის თავად თავისი კანდიდატის გაყვანას, რაც აქაური ქართველი ბურჟუაზიის დიდი გამარჯვება იყო. ახალციხის ქართველი ბურჟუაზიის მსგავს წარმატებაზე ამას ვერ ვიტყვით. სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგობა მათთვის გადაულახავ ბარიერად იქცა. მართალია, 80-იანი წლებიდან ქართველმა ბურჟუაზიამ აქტიური ბრძოლა დაიწყო თვითმმართველობაში გაბატონებისათვის, მაგრამ სასურველ მიზნას ვერ მიაღწია. თვითმმართველობის შემოღების დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1876—1921 წ.წ.) ახალციხეში ქალაქის თავი თუ მამასახლისი ცხრაჯერ გამოიცვალა და ყველა მათგანი მსხვილი სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენე-

[23] «Новое обозрение», 1897, № 4739.

[24] Кавказский календарь, на 1899, адрес календарь, зз. 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო. კიდევ უფრო მეტი, ზოგიერთი ქალაქის თავი თუ მამასახლისი ხელოვნურად ატარებდა სხვა ეროვნების წარმომადგენელთა იგნორირების პოლიტიკას. ხელს უშლიდა სათათბიროს ხმისნებად (საქალაქო კრების რწმუნებულებად) და გამგეობის წევრებად მათ არჩევას. ამ პოლიტიკის გატარება განსაკუთრებით გრ. მოსესოვის ქალაქის მამასახლისად ყოფნის დროს იჩრდნობოდა.

ამრიგად, ახალციხის თვითმმართველობაში ადგილი ჰქონდა მწვავე პარტიულ ბრძოლებს. ეს ბრძოლები ბოლო ეტაპზე სომეხი და ქართველი ბურჟუაზიის ძლიერ დაპირისპირებულობაში გადაიზარდა.

თვითმმართველობის პოლიტიკა და მისი ორგანოების მოქმედება განიხილებოდა იმით, თუ რამდენად მეტი მასა ღებულობდა მასში მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილეობის დიდი ქონებრივი ცენზი ქალაქის ბატონ-პატრონობას უმცირესობას უგდებდა ხელში.

1908 წელს ახალციხეში ცხოვრობდა 21 333 სული. აქედან საარჩევნო ხმის უფლება ჰქონდა 300 კაცს[25] ე. ი. მთელი მოსახლეობის 1,4 %. მათი უმრავლესობა იყო ქალაქის ახალი ნაწილის — პლანის სომეხი ბურჟუაზია — მსხვილი ვაჭრები, მრეწველები და სახლთმფლობელები, რომლებსაც თავის ინტერესების დამცველად საქალაქო კრებაში ყოველთვის გაჰყავდათ სომეხი რწმუნებულები. რაც შეეხება ქალაქის ძველი ნაწილის — რაბათის მოსახლეობას, მისი აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებული იყო ხმის უფლებას. ამიტომ რაბათი ყოველთვის უპირისპირდებოდა პლანს, გამოდიოდა თვითმმართველობის დემოკრატიზაციის მოთხოვნით.

ბურჟუაზიის ხელში მოქცეული ქალაქის თვითმმართველობა ვიწრო კლასობრივ იარაღად იყო გადაქცეული. დაუსრულებელი გადასახადების გაწერა, მშრომელი ხალხით დასახლებული ქალაქის განაპირა ადგილების საშინელი ანტისანიტარული მდგომარეობა, ფულის გაფლანგვა, სრული უკონტროლობა, ნათლიმამობა ქალაქის საქმეებში — აი რით ხასიათდებოდა ქალაქის „მამების“ მოქმედება. ამას თან ერთოდა ნაციონალური ჩაგვრაც. ამიტომ მშრომელი ხალხის მესვეურნი ყველგან მოითხოვდნენ არსებული საქალაქო არჩევნების წესის შეცვლას, თვითმმართველობის დამოუკიდებლობას საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან, ქალაქის მართვა-გამგეობაში თავისუფლების გაფართოებას, ეროვნული სამართლიანობის დაცვას, რაც იქნებოდა დემოკრატიის სრული გამარჯვება.

ახალციხის თვითმმართველობაში მოკალათებული სომეხი ბურჟუაზიის მიერ არასამეხი მოსახლეობის იგნორირების პირობებში არ ხდებოდა ქალაქის რწმუნებულთა კრებისა და გამგეობის შემადგენლობის განახლება. მათი მოოვაწეობა იყო ბიუროკრატიული და ფორმალური. „ზემოდან ჩანდა უფრო მეტი ნომრიანი ქაღალდები, ვიდრე ცოცხალი საქმის გამკეთებელი პატრონის ხელი“[26]. საქალაქო კრების რწმუნებულები და გამგეობის წევრები არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდნენ საქმისადმი. ხშირად აცდენდნენ სხდომებს. მეტწილ შემთხვევაში ამა თუ იმ საკითხს წყვეტდა 7-8 კაცი[27]. საკითხის გადაწყვეტა ატარებდა ტენდენციურ ხასიათს. ამის გამო თვითმმართველობა ყუ-

[25] სსცია, ფ. 414, ანაწ. 1, საქმე 77, ფურც. 14.
[26] Н. Немировский, Реформа городского самоуправления, 1911, გვ. 84.
[27] სსცია, ფ. 193, ანაწ. 1, საქმე 66, ფურც. 22—24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღებას აქცევდა მხოლოდ პლანის კეთილდღეობის საქმეს. რაც შეეხება რაბათს, იგი უპატრონოდ იყო მიტოვებული. ამიტომ 1913 წელს გუბერნატორისადმი გაგზავნილ მორიგ თხოვნაში, რომელსაც ხელს აწერდა 102 კაცი, რაბათელები მკაცრად აკრიტიკებდნენ თვითმმართველობას. ქალაქის ძველი ნაწილის მიმართ უყურადღებობის მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ თვითმმართველობაში არ ჰყავდათ თავისი წარმომადგენელი. ისინი წერდნენ: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქალაქის ძველი ნაწილის მცხოვრენი, ქალაქის ახალი ნაწილის მცხოვრებთა თანაბრად ვიხდით ყველა სახის გადასახადს, ქალაქის ძველი ნაწილის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერი არ კეთდება. ქუჩები მოუკირწყლავია, არა გვაქვს სასმელი წყალი, სანიტარული ზედამხედველობა, განათებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია ქალაქის თვითმმართველობის მიერ ახალციხის ძველი ნაწილის მოსახლეობის ინტერესების ასეთი იგნორირება შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ მასში არ გვყავს ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც დაიცავდა ჩვენს ინტერესებს“[28].

სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველმა ბურჟუაზიამ, რომელიც მთელი რაბათის მშრომელი ქართველების სახელით მოქმედებდა, თავის მიზნების მისაღწევ ბრძოლაში XX ს-ის 10-იან წლებში ინტელიგენციაც ჩააბა და უფრო გაბედული პროგრამა წამოაყენა. უმაღლეს ხელისუფლებას თხოვა, რომ ქალაქი ახალციხე გაყოფილიყო ორ საარჩევნო უბნად. ისე, როგორც ეს სპოლიციო უბნებად იყო გაყოფილი (რაბათი და პოსნი. — **ი. გ.**) და არჩევნებისათვის საფუძვლად დაედოთ არა ქონებრივი ცენზი, არამედ მოსახლეობის ეროვნული რაოდენობის პროცენტული შეფარდების პრინციპი[29].

რაბათის ქართველების მოთხოვნას მხარი აუბა გაზეთმა „ზაკავკაზიემ“, რომლის კორესპონდენტმა სასტიკად გაილაშქრა ახალციხის კონსერვატიული თვითმმართველობის წინააღმდეგ და მოითხოვა დემოკრატიზმისა და ინტერნაციონალიზმისათვის ფართო გზის გახსნა. ამისთვის უპირველეს ყოვლისა გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნდა არსებული საქალაქო დებულების შეცვლა. ამასთან დაკავშირებით ის წერდა: „დიდი ხანია გადაუდებლად საჭირო გახდა ახლა მოქმედი საქალაქო დებულების ძირფესვიანი რეფორმა. ქალაქის წარმომადგენელთა საძირკველს, როგორც ცნობილია, ამჟამად საფუძვლად უდევს საცენზო საწყისი, რომელიც არ უშვებს ქალაქის არჩევნებში მონაწილეობისათვის ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებს. ამის გამო ზემოთ დასახელებული რეფორმის განუხორციელებლობის შემთხვევაში ძნელია ისე მოეწყოს საქალაქო თვითმმართველობა, რომ მასში შევიდეს ქალაქის მოსახლეობის ყველა წარმომადგენელი და ფართო ფენების საჭიროებისა და ინტერესების გამომხატველნი“[30]. ამის გამო წერილის ავტორს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ის, რომ ქალაქის პროგრესული ელემენტები გააქტიურდნენ, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა ის მცირე საშუალება, რასაც არსებული კანონი იძლევა, რათა წინასაარჩევნო კომპანიაში გამარჯვება აოარ ორარჩეთ მათ, ვინც შეადგენდა თვითმმართველობის ყოფილ კადრს. ავტორს შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ახალციხის თვითმმართველობაში სულ ერთი და იგივე პირები ზიან,

---

[28] სსცია, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 971, ფურც. 13.

[29] იქვე.

[30] «Закавказье», 1913, № 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ხდება მისი შემადგენლობის კანონიერი ცვლა და დასძენს: „დაე, შევიდნენ ქალაქის გამგეობაში ახალი ხალხი, რომლებიც მზად იქნებიან პატიოსნად და ენერგიულად იმუშაონ ქალაქის მოსახლეობის სასარგებლოდ... საქალაქო საქმისათვის საჭიროა საქმის მცოდნეები, საჭიროა უქერქო, პატიოსანი მომუშავეები განუსხვავებლად იმისა, თუ რომელი ეროვნება იქნება გამგეობის წევრი“[31].

შემდეგ იგი ეხება ქალაქის რწმუნებულთა საქმიანობას, ააშკარავებს მათ უსაქმურობას და აღნიშნავს, რომ სათათბიროს (რწმუნებულთა კრებას) ყოველთვის უნდა ჰქონდეს წინასწარ შედგენილი სამოქმედო პროგრამა, სადაც მთავარი ყურადღება მიექცევა ქალაქის ფინანსების სწორ რეგულირებას, რომლის მოხმარების მთავარი ობიექტი უნდა იყოს ქალაქის კეთილმოწყობა და ნაწრომელი ხალხის საჭიროების დაკმაყოფილება. „ქალაქის კეთილმოწყობა უნდა იდგეს პირველ რიგში. უნდა გაიაფდეს ხორცი, პური, წყალი, სათბობი. საჭიროა ქალაქის გადასახადების აუცილებელი რეგულირება და საგადასახადო ტვირთის განაწილება. საქალაქო გადასახადების ტვირთი ღარიბ ხალხს უნდა შეუმსუბუქდეს“[32].

1913 წელს ახალციხეში ჩატარდა საქალაქო კრების რწმუნებულთა მორიგი არჩევნები. ყველას ეგონა, რომ ამდენი ბრძოლისა და მხილების შემდეგ თვითმმართველობის სომეხი ბურჟუაზიის ბლოკი ახლა მაინც დაუთმობდა გზას მცირეოდენ დემოკრატიზმს, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. საქალაქო კრებაში ისევ ძველი რწმუნებულები აირჩიეს. ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ სათათბიროს ყოფილი ხმოსანი გ. ნიკოლაევი გუბერნატორს ატყობინებდა და მოითხოვდა არჩევნების შედეგების გაუქმებას.[33]

არჩევნების არაკანონიერად ჩატარებას, დემოკრატიზმის პრინციპების უგულებელყოფას და არჩევნების დროს არასამეხი მოსახლეობის იგნორირების ფაქტებს უარყოფდა ქალაქის მამასახლისი გრ. მოსესოვი, მაგრამ, საქმის ვითარება სულ სხვას ღაღადებდა, 1913 წლისთვის ახალციხეში ცხოვრობდა 21 683 სული. აქედან არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 459 კაცს. ე. ი. მთელი მოსახლეობის 2 %. მათ შორის ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო 11 ამომრჩეველი, რაც შეადგენდა მთელ ამომრჩეველთა 2,3 %. ამდენივე წარმომადგენელი ჰყავდა რუს ბურჟუაზიასაც, ესენი სულ შეადგენდნენ 22 კაცს, ანუ მთელ ამომრჩეველთა 4,6 %. დანარჩენი 437 ამომრჩეველი, ანუ 95,4 % სომეხი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა.

ამ 459 ამომრჩეველმა საქალაქო კრების რწმუნებულთა კანდიდატებად დასახელა 91 კაცი. მათგან აირჩიეს 15 რწმუნებული, რომელთა შორის არც ერთი ქართველი და რუსი ბურჟუაზიის წარმომადგენელი არ ყოფილა.[34] ცარიზმის ანტიახალხური პოლიტიკის პირობებში ახალციხის საქალაქო თვითმმართველობა პლუტოკრატიის ბატონობის იარაღს წარმოადგენდა.

---

[31] „Закавказье“, 1913, № 157.

[32] იქვე.

[33] სსცია, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 993, ფურც. 37—38.

[34] იქვე, ფურც. 23, 33, 35.

Ю. Б. ГВЕНЕТАДЗЕ

АХАЛЦИХСКОЕ ГОРОДСКОЕ САМОУПРАВЛЕНИЕ (1876—1917 гг.).

Резюме

Со второй половины XIX века социально-экономическое развитие в Ахалцихе пошло по капиталистическому пути. На основе преобразования ремесленного производства ясно была видна тенденция к возникновению и развитию капиталистической промышленности. Постепенно увеличивалось число преобразованных предприятий. Вместе с этим внедрялись капиталистические формы торговли и кредита.

Ахалцихское городское самоуправление возникло на капиталистической социально-экономической базе и отвечало ее требованиям. При выборах ахалцихского самоуправления имели место борьба партий, нарушение соответствующих положений и использование «силовых» методов. Среди разных слоев буржуазии борьба партий носила национальный характер, в основном происходила между армянской и грузинской буржуазией, причем в большинстве случаев побеждала армянская буржуазия.

В условиях существовавшей системы выборов низшим слоям населения не удавалось иметь в самоуправлении своих представителей. Поэтому народ требовал демократизации самоуправления, но этим требованиям не сопутствовал успех.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა ხარაძე, იოსები ქართველიშვილი

XVIII ს-ის I მეოთხედის ქვემო ქართლის მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირება[1]

საქართველოს რეტროსპექტული კარტოგრაფირება ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი; ისტორიულ წყაროებში, საბუთებსა და აღწერებში მოცემული ცნობები, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ისტორიულ-კარტოგრაფიული სახე. ეს საჭიროა იმიტომ, რომ წარსულის მრავალი მოვლენა თავის დროზე კარტოგრაფიული შემეცნების გარეშე რჩებოდა, ხოლო ამ მოვლენების სივრცითი კანონზომიერების შესახებ ცოდნა მეცნიერების კუთვნილების სფეროდან გამოდიოდა. ეს, რა თქმა უნდა, ერთგვარი დანაკლისი იყო, რადგან წარსულის კარტოგრაფიული ასახვა თავისთავად მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენდა და ამასთან, თანამედროვე კარტოგრაფიული ასახვის მეცნიერული შეფასებისას წარსულთან შედარების საშუალებაც ფდგება.

საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები, ანუ ისტორიულ დემოგრაფიული ცნობები, დაცულია ძველ ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში; ამავე დროს, მოსახლეობის აღწერის შესახებ ცნობები VII საუკუნემდე არ მოგვეპოვება[2], რაც უძველესი ძეგლების განადგურებით აიხსნება. სამწუხაროდ, XVI საუკუნეზე ადრე, ჩვენამდე მოღწეული არ არის აღწერის უშუალო მასალებიც[3]; მხოლოდ XVIII ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები მოგვეპოვება მრავალმხრივი სტატისტიკური მასალების სახით. განსაკუთრებით მდიდარი მონაცემები გვაქვს ქვემო ქართლის შესახებ, რომლის დიდი ნაწილი „მეწინავე სადროშოს“ წარმოადგენდა. სწორედ ამ მხარის, კერძოდ, 1721 წლის აღწერის[4] მასალები, რომელიც ვახტანგ მეექვსის ბრძანებით შეუსრულებიათ ვახუშტი ბაგრატიონსა და მდივან-მწიგნობარ გიორგი თუმანიშვილს, გახდა ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტად. აღნიშნული სტატისტიკური აღწერა წარმოადგენს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული კარტოგრაფიის მნიშვნელოვან ძეგლს.

1721 წლის აღწერა გამოაქვეყნა წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილმა[5], ხოლო გამოიკვლიეს ი. ჯავახიშვილმა[6], ი. ლორთქიფანიძემ[7] და სხვ.

---

[1] რეტროსპექტული (ლათ. „რეტრო“ და „სპექტო“) „უკან ვუყურებ“, ე.ი. წარსულისაკენ მიმართული, წარსულის განხილვისადმი მიძღვნილი; ძველი თემატური რუკების აღდგენას არაკარტოგრაფიული წყაროების გზით და ამგვარად შედგენილ ისტორიულ რუკას რეტროსპექტული კარტოგრაფირება ჰქვია.

[2] ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 231.

[3] მხედველობაში გვაქვს გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. 2, თბ., 1941.

[4] ქვემოთ ყველგან „აღწერაში“ იგულისხმება 1721 წლის აღწერა.

[5] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ეკ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907.

[6] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფ., 1930.

[7] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. I და II, თბ., 1935; მ ი ს ი ვ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, თბ., 1938.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ 1721 წლის აღწერა არ შეიცავს რუკას, არც გეოგრაფიულ აღწერას, მასში მოცემული მდიდარი სტატისტიკური მასალა შეიძლება გახდეს კარტოგრაფიული კვლევის საგანი. წინამდებარე შრომის რეტროსპექტულ კარტოგრაფირებაში ვეყრდნობით ა. ასლანიკაშვილის ერთ-ერთ შრომას[8], რომელიც ეხება XVI ს-ის თურქულ სტატისტიკურ მასალას. გარდა ამისა, გამოვიყენეთ შემდეგი წყაროები: 1. ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“, 1707-1709 წწ.[9] 2. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1745 წ.[10] 3. ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასი“, 1745 წ.[11]; 4. გასული საუკუნისა და თანამედროვე მსხვილმასშტაბიანი რუკები.

მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირების შესწავლისათვის აუცილებელია დავადგინოთ საკვლევი ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები, რაც თავისთავად რთული პროცესია. მართალია, ვახუშტის რუკებზე გამოყოფილია ქვემო ქართლისა და მასში შემავალი მხარეების საზღვრები, მაგრამ ისინი არ უთავსდებიან თანამედროვე რუკების საფუძველს. ამან გამოიწვია თანამედროვე რუკებზე მათი ახლად დადგენა. აღნიშნული სამუშაოს შესრულებაში გარკვეული დახმარება გაგვიწია ი. ლორთქიფანიძის შრომებმა[12], კერძოდ, ქვემო ქართლის მთლიანი და მასში შემავალი ზოგი მხარის საზღვრების დადგენაში. საკვლევი ტერიტორიის საზღვრების რუკაზე გამოსასახავად გამოვიყენეთ 1:200 000 მასშტაბის რუკები, სადაც საზღვრები ძირითადად ბუნებრივ მიჯნებზე გავატარეთ (წყალგამყოფი, მდინარე და სხვ.).

ქვემო ქართლში შემავალი ზოგი მხარის საზღვრების დადგენაში წავაწყდით მცირე შეუსაბამობას; ვახუშტის რუკებზე ნაჩვენებია შემდეგი მხარეები: ალგეთი, დბანის ხევი, თრიალეთი. სკვირეთი, ტაშირი, სომხითი, ქციის ხრამი, ზურტაკეტი (ყარაბულახი), ყაიყული (აბოცი), ბერდუჯი, ყარაია; აქედან ბერდუჯში გაერთიანებულია ლორე და ბამბაკი (ამგვარად არის აღწერილი მისივე „საქართველოს გეოგრაფიაში“). რაც შეეხება ლოჭინის ხევის მიდამოებს, ვახუშტის უსახელოდ აქვს რუკაზე დატანილი. ი. ლორთქიფანიძეს[13] მიაჩნია, რომ ამ მხარეს პირობითად ეწოდოს მტკვრის გაღმა მხარე. მისივე აზრით, ლორე ტაშირში უნდა იქნეს გაერთიანებული[14], ხოლო ჩვენ ცალკე მხარედ გამოვყავით, რადგან XVIII საუკუნეში იგი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა; ამასთან, ლორეს შესახებ არსებობს სტატისტიკური მონაცემები.

XVIII ს-ის I მეოთხედის ქვემო ქართლისა და მასში შემავალი მხარეების საზღვრების გავლების შემდეგ, მოხერხდა კარტოგრაფიული გამოსახულების მიღება 1:200 000 მასშტაბში. მიღებული რუკიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლი მოიცავს საქართველოს სსრ შემდეგ ადმინისტრაციულ რაიონებს: ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის; უმნიშვნე-

---

[8] ალ. ასლანიკაშვილი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ კარტოგრაფიული შესწავლის ზოგიერთი შედეგი, თსუ შრომები, 1956, ტ. 58.

[9] ვახტანგ მეექვსე, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფ., 1886.

[10] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბ., 1941.

[11] ვახუშტი, საქართველოს ატლასი, 1745 წ., საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ფონდი, 105.

[12] ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომები.

[13] ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, ნაწ. I და II, გვ. 237—238.

[14] იქვე, გვ. 246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ნაწილი გადადის ბოგდანოვკის, ბორჯომის და საგარეჯოს რაიონების ტერიტორიაზე; გარდა ამისა, მცირე ნაწილი გადადის სომხეთის სსრ ჩრდილო რაიონების და აზერბაიჯანის სსრ (ყაზახის რ.) ტერიტორიებზე.

ნახ. 1.

ზემოაღნიშნულ რუკაზე გამოსახეთ: 1. საზღვრები — საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული პროვინციის (ქვემო ქართლი) და მისი შემადგენელი ნაწილები (მხარეები); 2. ჰიდროგრაფიული ქსელი — მთავარი მდინარეები და ტბები; 3. ქვემო ქართლის მსხვილი დასახლებული პუნქტები (ნახ. 1).[15]

მიღებულმა კარტოგრაფიულმა გამოსახულებამ ყოველი ადმინისტრაციული დანაყოფის ტერიტორიის ფართობის გაზომვის საშუალება მოგვცა. დადგენილ ფარგლებში ქვემო ქართლის მთელი ფართობი 12 670 კმ²-ს შეადგენს; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბამბაკ-ბერდუჯისა და ყარაიას მხარეების შესახებ არასაკმარისი სტატისტიკური მასალა გაგვაჩნდა, რის გამოც ამ მხარეების კვლევა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. ამრიგად, მთლიანი ფართობიდან ბამბაკ-ბერდუჯისა (2 690 კმ²) და ყარაიას (1 230 კმ²) გამოკლებით საკვლევი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 8 750 კმ², ანუ მთელი ქვემო ქართლის ფართობის 69%-ს. მხარეებს შორის ყველაზე დიდი ტერიტორია ეჭირა თრიალეთს (1 550 კმ²), ალგეთს (1 280 კმ²), სომხითს (1 250 კმ²), შემდეგ მოდის ყაიფული (1 000 კმ²), ტაშირი (950 კმ²), დბანის ხევი (860 კმ²), ქციის ხრამი (720 კმ²); შედარებით მცირე ფართობი ეკავათ: ზურტაკეტს (410 კმ²), მტკვრის გაღმა მხარეს (290 კმ²), ლორეს (230 კმ²) და სკვირეთს (210 კმ²).

[15] შრომაზე დართული ყველა ნახაზი გაფორმა ც. ვაშაკიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის გეოგრაფიული განლაგების სურათის კარტოგრაფიული გამოსახვისათვის საჭიროა აღწერის სტატისტიკური მასალის გადამუშავება, იმ სახით, რომ მოსახლეობის გეოგრაფიული განლაგების სურათი აგვეხსნა. აღწერაში ქვემო ქართლის დასახლებული პუნქტების მოსახლეობა (კომლები)[16] დანაწილებულია მფლობელობის მიხედვით; იმ გზით ერთ და იმავე სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა მხარეში გადადის, ხოლო ერთი და იგივე სოფელი სხვადასხვა მფლობელს მეეწერება; ასე მაგალითად, სხვადასხვა მებატონის ერთი და იგივე სოფელი აღწერაში რამდენჯერმე მეორდება, იმის მიხედვით, თუ რამდენ მებატონეს ჰყავდა მასში კომლი (სოფ. ანდრია აღწერაში დასახელებულია 11-ჯერ, აბულმაგი 9-ჯერ და სხვ.).

მოცემული მასალა წინამდებარე კვლევისათვის ამ სახით არ გამოდგებოდა, რადგან საჭირო იყო მხარეების მიხედვით მათი დაჯგუფება; აღწერის მასალები ადმინისტრაციული პრინციპით დალაგებული აქვს ი. ლორთქიფანიძეს[17], რომლის მონაცემებიდანაც ვსარგებლობთ. სულ აღწერა მოიცავს 554 დასახლებულ პუნქტს, საიდანაც ი. ლორთქიფანიძეს ცალკე აქვს დაჯგუფებული დასახლებული პუნქტები (22), რომლებიც გაურკვეველია თუ რომელ მხარეს ეკუთვნიან ისინი. აქედან ჩვენ დავადგინეთ 7 დასახლებულ პუნქტთა (19) უმეტესი ნაწილის ადგილმდებარეობა მხარეების მიხედვით. გარდა ამისა, აღწერის გარეშე დარჩენილია 193 დასახლებული პუნქტი, საიდანაც 16 დასახლებული პუნქტი გაურკვეველი მხარის ჯგუფშია მოქცეული; აქედან, დავადგინეთ 8 დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა მხარეების მიხედვით; ხოლო 76 ელის თაბუნდან[18] ი. ლორთქიფანიძეს გარკვეული აქვს 28 თაბუნის ადგილმდებარეობა.

ამრიგად, დამატებებისა და შევსების შემდეგ XVIII ს-ის I მეოთხედის ქვემო ქართლის დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა შეადგენს 868-ს, სადაც ცხოვრობს 13 237 კომლი. ამასთან, საინტერესოა იყო მოსახლეობის რაოდენობა გამოგვესახა სულადობით, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, იმის გამო, რომ აღწერაში ნაჩვენებია კომლთა რაოდენობა. მართალია, მიღებულია საშუალოდ ერთ კომლში ხუთი სულის რაოდენობა, მაგრამ კარტოგრაფიული ასახვისას იმავე სახეს მივიღებდით.

ყოველივე ამის შემდეგ, XVIII ს-ის I მეოთხედის ქვემო ქართლისა და მასში შემავალი მხარეების ტერიტორიული მოცულობისა და მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების ცხრილმა შემდეგი სახე მიიღო (იხ. ცხრილი 1).

მესამე სვეტში მოთავსებულია ქვემო ქართლისა და მასში შემავალი მხარეების ფართობი, რომელიც გავზომეთ მსხვილმასშტაბიან (1:200 000) რუკებზე; მე-4-7 სვეტებში ნაჩვენებია დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა (მე-4 აღწერის მიხედვით, მე-5 გამოტოვებული სოფლები, ანუ აღწერის გარეშე დატოვებული, მე-6 ელის დასახლებული პუნქტები და მე-7 სულ დასახლებული პუნქტები), მე-8 სვეტში ნაჩვენებია ფართობის ყოველ 10 კმ²-ზე დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე; მე-9-12 სვეტებში მოცემულია მხარის კომლთა რიცხვი (მე-9 აღწერის მიხედვით, მე-10 გამოტოვებული კომლთა რიცხვი ანუ აღრიცხვის გარეშე დატოვებული, მე-11 ელის მოსახლეობა და მე-12 სულ

[16] ქვემოთ ყველგან მოსახლეობა კომლობით იგულისხმება.
[17] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომები.
[18] ადამიანთა ჯგუფის დასახლება, იგივე სოფელი. ელი კი ჩამოსახლებული თურქმანებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

XVIII ს. I მეოთხედის ქვემო ქართლისა და მისი შემადგენელი მხარეების ტერიტორიული მოცულობა[19] და მოსახლეობა

№№ რიგ-ზე	მხარეები[20]	ფართობი კმ²	სოფლები				დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე 10 კმ²	კომლთა რიცხვი				კომლთა სიმჭიდროვე ერთ კმ²-ზე	კომლთა რაოდენობა ერთ სოფელში საშუალოდ
			აღწერით	გამოტოვ.	ელის	სულ		აღწერით	გამოტოვ.	ელის	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	ალგეთი	1 280	89	30	3	122	0,95	1 410	442	197	2049	1,60	16,8
2	დბანის ხევი	860	116	31	1	148	1,72	1 498	341	43	1882	2,19	12,7
3	თრიალეთი	1 550	59	29	—	88	0,57	566	261	—	827	0,53	9,4
4	მტკვრის გაღმა მსარე	290	6	8	13	27	0,93	81	104	818	1003	3,45	37,1
5	სკვირეთი	210	12	—	—	12	0,57	154	—	—	154	0,73	12,8
6	სომხითი	1 250	105	44	5	154	1,23	1 434	527	127	2088	1,67	13,5
7	ტაშირი	950	53	12	—	65	0,68	722	165	—	887	0,93	13,6
8	ქციის ხრამი	720	68	16	6	90	1,25	897	176	262	1335	1,85	14,8
9	ზურტაკეტი (ყარაბულახი)	410	40	15	—	55	1,34	351	139	—	490	1,19	8,9
10	ყაიყული (აბოცი)	1 000	—	39	—	39	0,39	—	429	—	429	0,43	11,0
11	ლორე	230	—	9	—	9	0,39	—	118	—	118	0,51	13,1
	გამოურკვეველი	—	3	8	48	59	—	8	89	1878	1975	—	—
	სულ	8 750	551	241	76	868	0,99	7 121	2 791	3 325	13 237	1,51	15,25

[19] ფართობი ნაჩვენებია ტბების გარეშე.

[20] ცხრილში ნაჩვენები არ არის ბამბაკ-ბერდუჯი (ფართობი 2 690 კმ²) და ყარაია (ფართობი 1230 კმ²).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის რაოდენობა); მე-13 სვეტში აღნიშნულია მოსახლეობის სიმჭიდროვე ყოველ ერთ კმ^2-ზე, ხოლო მე-14 სვეტში კომლთა რიცხვი ერთ სოფელში საშუალოდ.

ცხრილის მიხედვით გამოურკვეველია 59 დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 1975 კომლია. აღნიშნული მონაცემები ცხრილის საერთო რიცხვში შევიტანეთ, ხოლო კარტოგრამების შედგენისას მხედველობაში არ მიგვიღია.

როგორც დემოგრაფიული მონაცემების სტატისტიკური ცხრილიდან ჩანს, განისაზღვრა XVIII ს-ის I მეოთხედის ქვემო ქართლისა და მისი ცალკეული მხარეების: ა) დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე ფართობის ყოველ 10 კმ^2-ზე; ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე ფართობის ყოველ ერთ კმ^2-ზე; გ) კომლთა რიცხვი ერთ სოფელში საშუალოდ. ცხრილიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის დასახლებულ პუნქტთა საშუალო სიმჭიდროვე ყოველ 10 კმ^2-ზე 0,99 სოფლით გამოისახებოდა, ხოლო კომლთა საშუალო სიმჭიდროვე ყოველ ერთ კმ^2-ზე 1,51 კომლს უდრიდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ საკვლევი ტერიტორიის ყოველ 10 კმ^2-ზე ერთი სოფელიც არ მოდიოდა; ერთი შეხედვით, შეიძლება ეჭვიც შეგვეპაროს ქვემო ქართლის მჭიდროდ დასახლებაზე, მაგრამ გასათვალისწინებელია ამ მხარის ნაოხარ-ნასოფლარების საკმაო რაოდენობა, რომელთა რიცხვი შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა (მხოლოდ XIX ს-ის მანძილზე ამ ნასოფლარების უმეტეს ნაწილში თურქეთიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ კვლავ შეავსო დასახლებულ პუნქტთა და მოსახლეთა რაოდენობა). რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას ერთ სოფელში საშუალოდ (14 კომლი), მათი რიცხვიც თითქოს დაბალია, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგ სოფელში სულ რამდენიმე კომლი ცხოვრობდა, რაც საერთო მაჩვენებელს დაბლა სწევს.

ქვემო ქართლისა და მისი შემადგენელი მხარეების დემოგრაფიულ მონაცემთა სტატისტიკურ-კარტოგრაფიული ანალიზის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს: ა) ქვემო ქართლის დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე 10 კმ^2-ზე; ბ) ქვემო ქართლის მოსახლეობის სიმჭიდროვე ფართობის ყოველ კმ^2-ზე; ამის საფუძველზე შევადგინეთ შესაბამისი კარტოგრამები.

შედგენილი ცხრილისა და კარტოგრამების მიხედვით წარმოდგენა გვქმნევა დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვეზე ყოველ 10 კმ^2-ზე. დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვის მიხედვით პირველ ადგილზე დგას დბანის ხევი (1,72), მეორე ადგილზეა ზურტაკეტი (1,34), შემდეგ მოდის ქციის ხრამი (1,25), სომხითი (1,23), და ა. შ. დასახლებულ პუნქტთა ყველაზე დაბალი სიმჭიდროვით გამოირჩევა ყაიყული; ზემოთ მოცემული ცხრილის ამ სვეტში განლაგებული ციფრობრივი მონაცემები სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, რადგან აღნიშნული ხეობები ყოველთვის გამოირჩეოდნენ დასახლებულ პუნქტთა მაღალი სიმჭიდროვით; აქვე გაედინებიან ქვემო ქართლის უმთავრესი მდინარეები (ქცია, მაშავერა, ყარაბულახი და სხვ.), რომლებიც დასახლებისათვის ქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს; ამავე დროს, ამ მხარეებში გადიოდა ძირითადი დამაკავშირებელი გზები.

ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ ალგეთსა და თრიალეთს დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვით საშუალო ადგილი უჭირავს; ეს გარემოება გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ მხარეთა ტერიტორიის ფართობი ძალზე გაზრდილია ირგვლივ მოსაზღვრე მთიანი რელიეფით, რაც საბოლოო ჯამში დაბლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწევს დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვეს. შეიძლება დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე გამოგვეანგარიშებინა განსახლების ფართობზე, რითაც განსხვავებულ სურათს მივიღებდით[21], მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებდა სიმჭიდროვე მთლიან ტერიტორიაზე. მოსახლეობის განლაგების თავისებურებებზე, ცალკეული მხარეების მიხედვით ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვის კარტოგრამა (ნახ. 2).

ნახ. 2.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის სიმჭიდროვის გასაგებად გამოვიყენეთ აღწერის მასალები კომლების მიხედვით; ამ შემთხვევაში კომლთა რაოდენობა გამოვიანგარიშეთ ყოველ კმ²-ზე, რომელიც აისახა ცხრილის მე-13 სვეტში (კომლთა რაოდენობის შეფარდებით). მასში ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მხრივ პირველ ადგილზეა მტკვრის გაღმა მხარე (3,45 კომლი), მეორე ადგილზე დბანის ხევი (2,19 კომლი), შემდეგ მოდის ქციის ხრამი (1,85 კომლი), სომხითი (1,67 კომლი) და ა. შ. მოსახლეობის ყველაზე დაბალი საშუალო სიმჭიდროვეა ყაიყულში (0,43 კომლი); როგორც ვხედავთ, აქაც თავისებური კანონზომიერებაა: გამონაკლისს შეადგენს მტკვრის გაღმა მხარე, რომელმაც მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვით პირველი ადგილი დაიკავა. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ამ მხარის ფართობი შედარებით მცირეა და ამასთან, ქალაქ თბილისს[22] უშუალოდ ეკვრის. გარდა ამისა, XVIII საუკუნიდან ელის მოსახლეობის მიგრაცია ამ

[21] მსგავსი სამუშაოს შესრულება განზრახული გვაქვს საქართველოს სხვა მხარის მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირების დროს.

[22] წინამდებარე შრომაში ქალაქ თბილისის მოსახლეობის რაოდენობას მხედველობაში არ ვიღებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეში საკმაოდ გაიზარდა[23]. ამასთან, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე კვლავ მაღალია მთავარი მდინარეების ხეობებში; ყოველივე ეს კარგად ჩანს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის კარტოგრამაზე (ნახ. 3).

ორივე კარტოგრამის (ნახ. 2,3) შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ განსაკუთრებული გადახრები არ შეიმჩნევა; დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე შეესაბამება მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეს; გამონაკლისია მტკვრის გაღმა მხარე, რომლის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ. პირველ ზონაში[24] ორივე კარტოგრამაზე მოქცეულია დბანის ხევი, მეორე ზონაში სომხითი და ქცია; მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მეორე ზონაში მოხვდა ალგეთი, ზურტა-

XVIII ს. I ნახევრის ქვემო ქართლის მოსახლეობის (კომლობა) სიმჭიდროვეზე (ფარფატის ფუძეზე კმ²-ზე)



ნახ. 3.

კეტი კი მოექცა მესამე ზონაში; სამაგიეროდ, დასახლებულ პუნქტთა საშუალო სიმჭიდროვის კარტოგრამაზე ზურტაკეტმა გადაინაცვლა მეორე ზონაში. შემდეგ ზონაში გაერთიანდნენ დანარჩენი მხარეები, გარდა ყაიყულისა. დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვის ბოლო ზონაში ყაიყულთან გადაინაცვლა ლორემ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ქვემო ქართლის აღწერის მასალები წარმოადგენს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული კარტოგრაფიის ძვირფას წყაროს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ დროის მოსახლეობის მთელ რიგ საკითხებზე.

---

[23] შაჰ-აბასის მიერ გადმოსახლებული ელის მოსახლეობა თავდაპირველად ქურდვაჭრის ხევში (ახლანდელი დებედას ქვემო ნაწილი) ცხოვრობდა, შემდეგ კი ქვემო ქართლის სხვა მხარეებშიც გადასულა.

[24] ზონაში ვგულისხმობთ კარტოგრამების ლეგენდას მეტოდან ნაკლებისაკენ.

К. П. ХАРАДЗЕ, И. Д. КАРТВЕЛИШВИЛИ

РЕТРОСПЕКТИВНОЕ КАТОГРАФИРОВАНИЕ НАСЕЛЕНИЯ КВЕМО (НИЖНЕЙ) КАРТЛИ I ЧЕТВЕРТИ XVIII в.

Резюме

В работе по данным переписи населения за I четверть XVIII в. дано ретроспективное картографирование одной из частей Грузии — Нижней Картли. По данным материалам составлена таблица территориального объема и населения исследуемой территории (табл. 1). Кроме того составлена административная карта Нижней Картли (рис. 1); измерена площадь составных ее частей, после чего по данным переписи населения была составлена картина географического размещения населения.

По демографическим данным составлены картограммы:

1. Плотности населенных пунктов на каждые 10 км^2 территории (рис. 2);

2. Средней плотности населения на 1 км^2 территории (рис. 3).

На основе составленных картограмм установлены некоторые закономерности размещения населенных пунктов, география населенных пунктов и география населения Нижней Картли.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა იველაშვილი

ნიშნობის წესები სამცხე-ჯავახეთში

საქორწინო ურთიერთობის სფეროში, რასაც მონოგრაფიულად ვსწავლობთ სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ერთ-ერთ ძირითად საფეხურად წარმოგვიდგება საქორწინო გარიგება და ნიშნობა. მონოგრაფიაში ეს საკითხი განიხილება საქორწინო კავშირის დამყარებისათვის სავალდებულო წინაპირობების შესწავლის შედეგად. საქორწინო გარიგება და ნიშნობა თავის მხრივ სამ ეტაპად იყოფა, რომელთა შორის პირველ რიგში გასათვალისწინებელია მოციქულის ფუნქციების გარკვევა, მეორე ეტაპზე ხდებოდა მხარეთა მოლაპარაკება და შეთანხმება, რასაც სამცხე-ჯავახეთში ერქვა „ბეჭს შეცვლა“, ხოლო მესამე საფეხური იყო ნიშნობა, რითაც მთავრდებოდა ოჯახებს შორის დამოყვრების შესახებ ადრე დაწყებული მოლაპარაკება.

ნიშნობის აუცილებელ პირობად ითვლებოდა წინასწარ დანიშნული დროისათვის ვაჟის ოჯახიდან ქალის ოჯახში რამდენიმე კაცის მისვლა, ნიშნის მიტანა და ნიშნობის რიტუალში მონაწილეობის მიღება. ასეთ საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებაში ხუთი-ექვსი კაცი მონაწილეობდა: ვაჟის მამა, უფროსი ძმა, ბიძა, სიძე, ნათლია. მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოციქულიც. ძველად ნიშნობაში სასიძოს მხრიდან ქალის მონაწილეობა მიუღებელი იყო. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან შემოვიდა წესად სასიძოს მამიდის ან დეიდის, ხოლო კათოლიკურ მოსახლეობაში სადედამთილოს მონაწილეობაც.[4]

წარსულში ნიშნობის დროს საპატარძლოს ოჯახში სასიძოს მისვლა მიუღებელი იყო არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც[1]. XX ს-ის 20—30-იანი წლებიდან კი მისი წასვლის წესი თითქმის ყველგან ვრცელდება.

ვაჟის ოჯახს, მისი ეკონომიკური შესაძლებლობის მიხედვით, საპატარძლოსათვის მიჰქონდა ქსოვილი ტანსაცმელისათვის და ცოტაოდენი ძღვენი საჭმელ-სასმელის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ნიშნობის დროს ძღვნის მიტანის წესს სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ მართლმადიდებელი მოსახლეობა ასრულებდა. ძღვენში შედიოდა: ერთი-ორი ცხვარი, იქ მისულ თითო კაცზე ერთი თუნგი (4 ლიტრი) არაყი ან ნახევარი ფუთი ღვინო, ცოტაოდენი ქადა-ნაზუქი და „სუფთა“ (დიკის) პური. ცალობით მისატანი წყვილი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება კათოლიკურ მოსახლეობას, მათთან სასიძოს ოჯახიდან ნიშნობის დროს მიტანილი ზარჯი მეტად მცირე იყო. „თეფურაზე“ (ხის ტაბაკზე) დაალაგებდნენ მხოლოდ ყათმარ-ქადას, ერთ მოხარშულ ქათამს, ერთ ლიტრ

---

[1] მ. ჯანაშვილი, საინგილო, გაზ. „ივერია“, 1889, № 193; ა. ნოდია, წერილი იფხაზეთიდან, გაზ. „ივერია“, 1902, № 68; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1955, გვ. 87; ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955, გვ. 121; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 145; მ. ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაყს და ასე მიიტანდნენ. თუ საპატარძლოს ოჯახი სხვა სოფელში ცხოვრობდა (რაც იშვიათი იყო), ამ ხარჯს ხუჯინით წაიღებდნენ.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად[2] ძველის მიტანის არსებობა გადმონაშთი უნდა იყოს იმ ადრეული წესისა, როდესაც ნიშნობის მთელ ხარჯს ვაჟის ოჯახი კისრულობდა. შემდეგ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების შესაბამისად, ამ წესმა ცვლილება განიცადა, რაც გამოიხატა ვაჟის ოჯახის ხარჯების შემცირებასა და საპატარძლოს ოჯახის ხარჯების გაზრდაში. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ძველი ჩვეულება მთლიანად არ მოისპო, ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე არსებობდა და აქა-იქ დღესაც სრულდება.

ისევე როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში[3], სამცხე-ჯავახეთშიც ნიშნობისათვის გარკვეული დრო ჰქონდათ შერჩეული. უმეტესად ნიშნობას გაზაფხულზე მართავდნენ, როცა საგაზაფხულო ხვნა-თესვას დაამთავრებდნენ და ხალხი სამეურნეო საქმეებით ნაკლებად იყო დაკავებული. შემოდგომა ქორწილის დროდ ითვლებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, უკეთესი იყო ნიშნობა რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს დამთხვეოდა (ყველიერი, აღდგომა). მარხვის გამოკლებით, ვინაიდან მარხვაში ნიშნობის და ქორწილის გადახდა მიუღებელი იყო.

სასიძოს ოჯახიდან საპატარძლოს სახლში „მონიშნეების"[4] წასვლა დასაშვები იყო კვირის ყოველ დღეს გარდა ორშაბათისა, რამდენადაც ხალხს რწმენით, ორშაბათი თარს, ნავსიან დღედ ითვლებოდა. საერთოდ, ამ დღეს ერიდებოდნენ მგზავრობასაც და სტუმრობასაც.

მონიშნეები საპატარძლოს ოჯახში შუადღისას ან საღამოხანს მივიდოდნენ. მათ ოჯახის უფროსი ნათესავ-მოკეთეების თანხლებით მიეგებებოდა. მისალმება-მოკითხვის შემდეგ მოსულ სტუმრებს ცხენებს ჩამოართმევდნენ და სახლში შეიწვევდნენ. სახლში შესვლისთანავე „მოუყარე"[5] მოტანილ ძღვენს. საპატარძლოს ოჯახის უფროსს ჩააბარებდა.

სამცხე-ჯავახეთში ნიშნობის სუფრას მონიშნეების მოსვლის მეორე დღეს, ჩოლო იშვიათად მათი მოსვლის დღესვე მართავდნენ. ნადიმი დამსწრეთა რაოდენობით, საქმეულ-სასმელის სიუხვით და ხანგრძლივობით ქორწილის სუფრას არ ჩამორჩებოდა. ამასთან დაკავშირებით ხალხს უთქვამს: „ქალის ნიშანი უნდა ჭამო და ვაჟის ქორწილი"-ო. სუფრის სიდიდე დამოკიდებული იყო საპატარძლოს ოჯახის მიერ მოწვეული ნათესავ-მოკეთეების რაოდენობაზე. ნიშ-

---

[2] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, გაზ. „ივერია", 1889; № 193; ს ო ს ი კ ო, გლეხური ქორწილი ქვემო ქართლში, გაზ. „ივერია", 1888, № 199; ი. ჭ უ ო ნ ი ა, ქორწინების ინსტიტუტი მოიუღლეშიო, თბ., 1955, გვ. 148; თ. ს ა ხ ო კ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 87; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139; მ. ბ ე ქ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[3] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[4] „მონიშნეა" სამცხე-ჯავახეთში ეწოდება ნიშნობის დროს სასიძოს მხრიდან მოსულ ხალხს. სამეწუხაროდ, ქართულ სიტყვარეში ამ სიტყვის განმარტება მოცემული არ არის. გამონაკლისია ბოსტანიშვილის „ეროვნული კილო", სადაც „მონიშნეა", არის „ახლადდანშნულთათვის ნიშნის მიმტანი" (ა. ხ უ ბ უ ტ ი ა, თეშური კილო, თბ., 1969, გვ. 121).

[5] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მოყვარე არის „ცოლის ნათესავი ქრმის ნათესავებისათვის და ქრმის ნათესავი ცოლის ნათესავებისათვის" (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958, გვ. 1918) სამცხე-ჯავახეთშიც ასევ, მაგრამ აქ მოყვარეს მართლმადიდებელი მოსახლეობა ბხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელს უწოდებს, მდედრობითი სქესის წარმომადგენელს კი მძახალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობაში კი ოჯახი იწვევდა იმ ნათესავ-მოკეთეებს, რომლებიც ქორწილშიც უნდა დაეპატიჟა.

საჭმელ-სასმელის მომზადება მთლიანად საპატარძლოს ოჯახს ევალებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მონიშნეების მიერ მოტანილ მცირეოდენ ძღვენს. ოჯახს პურ-მარილის მომზადებაში დახმარებას უწევდნენ ნათესავ-მოკეთეები.

ნიშნობასა და ქორწილში სასმელად ჯავახეთში უმთავრესად არაყს, ხოლო შეძლებულ ოჯახში ღვინოსაც იყენებდნენ. ჯავახეთისაგან განსხვავებით, სამცხეში უმთავრესად ღვინოს ხმარობდნენ, ვინაიდან ეს კუთხე მევენახეობა-მეღვინეობის ფართო განვითარებისა და ვაზის მთელი რიგი აბორიგენული ჯიშების კერად არის მიჩნეული[6].

დაპატიჟებული ხალხის რაოდენობის შესაბამისად ნიშნობას მართავდნენ ოდაში, დარბაზში ან ბოსელში. სუფრა იშლებოდა ფეხდაბალ მაგიდებზე, როშელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე ფეშხუმს[7] უწოდებს. ფეშხუმებს დარბაზსა თუ ბოსელში კედლების გასწვრივ ისე დააწყობდნენ ორ რიგად, რომ რიგებს შორის გასასვლელი ადგილი დაეტოვებინათ მომსახურე პერსონალისათვის. ფეშხუმთა რიგებს ორსავე მხრიდან ჯეჯიმებს მოუფენდნენ და ხალხი ფეხმორთხმით დასხდებოდა ოთხ რიგად ფეშხუმების ირგვლივ.

ოჯახს თუ დიდი ოდა ჰქონდა და შესაძლებელი იყო მოწვეული ხალხის მასში მოთავსება, მაშინ სუფრას ოდაში გაშლიდნენ. სამცხე-ჯავახეთში ოდები უმეტესად ოთხმუსანდრიანი (ოთხსაქციანი)[8] იყო. ოდაში, ბუხრიდან მარჯვენა და მარცხენა მხარის კედლების გასწვრივ, კიბურად იყო გაკეთებული ორ-ორი მუსანდრი. ბუხარი რა სიგანის ადგილსაც გაიტანდა შემოსასვლელამდე, ის თავისუფალი იყო.

როცა სუფრას ოდაში შლიდნენ, მუსანდრებზე ჯერ „ადგილის“ შალებს (ჯეჯიმზე უფრო სქელი ნაქსოვი) დააფენდნენ, ხოლო შემდეგ ფეშხუმებს დააწყობდნენ. ხალხი ფეხმორთხმით ცალბირად მოუსხდებოდა ისე, რომ ზურგით კედლისაკენ ყოფილიყო.

როგორც ნიშნობის, ისე ქორწილის დროს სუფრასთან ხალხის დასხდომა გარკვეული წესი-რიგით ხდებოდა. ქორწილის დროს სუფრასთან ჯდომის წესი რამდენადმე განსხვავებული იყო, რაზედაც ცალკე გვექნება საუბარი: ნიშნობის სუფრა თუ ოდაში იყო გაშლილი, სუფრის თავში, ბუხრის მარჯვენა მხარეს, აუცილებლად ოჯახის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი უნდა დამჯდარიყო. ის მარჯვენა მხარეს მოისვამდა სასიძოს მხრიდან მოსულ მოყვარეს (სასიძოს მამას ან სხვა რომელიმე ახლობელს), ხოლო მოყვრის მარჯვენა მხარეს მონიშნეები დასხდებოდნენ უფროს-უმცროსობის მიხედვით, შემდეგ სუფრასთან „წვეულები“ (სხვა სოფლებიდან მოპატიჟებული ნათესავ-მოკეთეები) იკავებდნენ ადგილს; ასევე წლოვანების მიხედვით ჯდებოდა და-

---

[6] მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მევენახეობის განვითარება მესხეთში, „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები“, 14, თბ., 1943, გვ. 11.

[7] ფეშხუმი წარმოადგენს 1—1, 5 დიამეტრის მქონე მრგვალ, დაბალ მაგიდას, რომლის ფეხების სიმაღლე 15—20 სანტიმეტრია.

[8] საქვე სამცხე-ჯავახეთში ეწოდება საწოლ ტახტს, ოდის მუსანდრს. ასევე აქვს ის განმარტებული: ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს: „საქვე საწოლი ტახტი“ (ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ფონდი № 3066, გვ. 44).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარჩენი ხალხი. სუფრის ბოლო ყოველთვის ახალგაზრდებისათვის იყო განკუთვნილი.

სუფრასთან მამაკაცები და მანდილოსნები ცალ-ცალკე სხდებოდნენ. მამაკაცების დასხდომის შემდეგ თუ თავისუფალი ადგილი დარჩებოდა, ქალები იზოლირებულად განლაგდებოდნენ, მაგრამ როდესაც საერთო სუფრასთან თავისუფალი ადგილი აღარ იყო, მაშინ ისინი სხვა სახლში — ოდასა ან დარბაზში მოთავსდებოდნენ. მამაკაცების მსგავსად მანდილოსნებიც უფროს-უმცროსობის მიხედვით იკავებდნენ ადგილს.

როცა ხალხი დალაგდებოდა, იწყებდნენ სუფრის გაწყობას. სუფრის გაშლა ყოველთვის ოჯახის უფროსის ფეშხუმიდან იწყებოდა. ყველა სახის საუზმელს ჯერ მას მიართმევდნენ და მერე სხვა მონადმეებს. სუფრაზე თავდაპირველად წყალ-წყალ შოთს[9] და ყველს დაწყობდნენ. პირველ კერძად მიჰქონდათ ხორცის წვნიანი საუზმელი კარტოფილით. მეორე კერძად იცოდნენ ხორბლის ფლავი. თუ სპპატარძლოს ოჯახი შეძლებული იყო, აკეთებდნენ ხორბლისა და ბრინჯის ნარევ ფლავს. მას ხის ტაბაკებით ან სპილენძის სინებით დადგამდნენ ფეშხუმებზე და ვისაც სურდა თავის ჯამში გადაიღებდა. ნიშნობის ნადიმის აუცილებელი კერძი იყო „ერიშტა“[10], რომელიც სუფრაზე მესამე კერძად მიჰქონდათ. სულ ბოლო კერძი იყო „ყაისაფა“[11].

სუფრას ახალგაზრდები ემსახურებოდნენ. მათ ერთი ხელმძღვანელი ჰყავდათ. ის თვალ-ყურს ადევნებდა ყველა ფეშხუმზე საუზმელ-სასმელის თანაბარ განაწილებას.

ძველი ტრადიციის მიხედვით, როდესაც სასმისად ყანწებს ხმარობდნენ, სუფრასთან მერიქიფეები ტრიალებდნენ. ერთ ან ორ ფეშხუმს ერთი მერიქიფე ემსახურებოდა. ის თავის სამეთვალყურო სუფრასთან მსხდომ ხალხს ყოველი სადღეგრძელოს წინ რიგ-რიგობით აწვდიდა არყით თუ ღვინით სავსე ყანწს. როგორც წესი, პირველად ყანწი ყველაზე უფროსისათვის უნდა მიეწოდებინა. მას შემდეგ, რაც ყანწის ნაცვლად ჭიქა შემოვიდა ხმარებაში, მერიქიფეთა რიცხვი შემცირდა.

---

[9] შოთს სამცხე-ჯავახეთში უწოდებენ ფურნეში გამომცხვარ 300—350 გრამიან მრგვალ და შუაში გახვრეტილ პურს.

[10] ერიშტას აკეთებდნენ შემდეგნაირად: ხორბლის ან დიკის ფქვილისაგან ბოზელდნენ საკმაოდ მაგარ ცომს. მას გუნდებად დაჭრილს უხლავით თხელ უნგბად გაწლდნენ. მისი დიამეტრი დაახლოებით ერთი მეტრი იყო. უხას სათითაოდ გახვრეტილ საჯზე (საჯზე) გამოაცხობდნენ. შემდეგ მათ თბილ-თბილ ერთმანეთზე დაალაგებდნენ და ტოლოში შეახვევდნენ. გამოცხობის დამთავრების მერე იწყებდნენ მათ დაჭრას. ორ-სამ უხას ერთად ჩაახვევდნენ ვიწრო მლიერით და მას ურწილად დაჭრიდნენ. დაჭრილს გამოგველ-გამოსუფთავებულ ნელ-თბილ ფურნეში შეყრიდნენ ვასახმობად. მის გაზომას 2—3 საათი ჭირდებოდა. გამხმარ ერიშტას გასინჯავდნენ. თუ მტკრევას დაიწყებდა, უკვე მზად იყო და ფურნიდან გამოყრიდნენ. სუფრაზე მიტანამდე ერიშტას ჯერ მდუღარე წყალს დასხამდნენ, რომ „დეალუთვულ“-დარბილებულიყო, ხოლო შემდეგ გამდნარ ერბოს ბლომად მოასხამდნენ, აურევდნენ და საუზმელად მზად იყო.

[11] ყაისაფა საზამთროდ გამშრალი ვაშლის, მსხლის ჩირისაგან და ხმელი ჭანჭურისაგან ამზადებდნენ. ჯერ ჭურჭელში ერბოში მოშუშავდნენ ხახვს. მას გარკვეული რაოდენობის წყალს დასხამდნენ და აადუღებდნენ. დადუღებულ წვეწში ჩაყრიდნენ გარეცხილ-გასუფთავებულ ვაშლის ან მსხლის ჩირს და ხმელ ჭანჭურს. ჩვეულებრივ 1/3 იყო ვაშლის თუ მსხლის ჩირი ან ორივე ერთად და 2/3 ხმელი ჭანჭური. ამ შენაზავს დადუღებენ მანამ, სანამ ჩირი და ჭანჭური არ მოიხარშებოდა. გამზადებული ყაისაფას თიხის ჯამებში გაანაწილებდნენ და სუფრაზე კაცის თაგზე თითო ჯამს ჩამოარიგებდნენ. ეს საუზმელი მომეკოთ-მოტკბილლა გემოთი ხასიათებოდა, ამიტომ მსუყე კერძების შემდეგ, ის სასიამოვნო დესერტს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეშხუმზე პურის და ყველის მიტანის შემდეგ აუცილებლად თამადა უნდა აერჩიათ. მართლმადიდებელ მოსახლეობაში თამადას ოჯახის უფროსი ირჩევდა. ის ხელში აიღებდა ყანწს ან ჭიქას, დასახლებდა თამადას და თან მიუღოცავდა. თუ სუფრასთან მღვდელი იჯდა, თამადა აუცილებლად ის უნდა ყოფილიყო. თამადად ირჩევდნენ ისეთ კაცს, რომელმაც წესრიგი იცოდა და მშვენიერმეტყველებით გამოირჩეოდა. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები კათოლიკური მოსახლეობის უმრავლესობაში (ადიგენის რ-ნი, სოფ. უდე, არალი) თამადად აუცილებლად სასიძოს ნათლია უნდა ყოფილიყო, რომელიც მონიშნეებთან ერთად მოდიოდა სასატარძლოს ოჯახში.

სუფრაზე თამადა სადღეგრძელოებს გარკვეული რიგით ამბობდა. ამ რიგის არევა არ შეიძლებოდა. მას პირველად აუცილებლად ოჯახის სადღეგრძელო უნდა ეთქვა. რიგით მეორე იყო სანეფო-სადედოფლოს სადღეგრძელო, მესამე — მოყვრების (სასატარძლოს მამის და სანეფოს მამის), მეოთხე — მძახლების (სასატარძლოს დედის და სანეფოს დედის), მეხუთე — დანარჩენი მონიშნეების, მეექვსე — მოცეკულის, ძმვიდე — წვეულების, მერვე — სასატარძლოს ოჯახის განაყრების, შემდეგ მოდიოდა მორიგი სადღეგრძელები: ნათესავების, მეზობლების, წინაპრების, სამშობლოს და ა. შ. საქართველოს ზოგიერთი კუთხის მსგავსად[12], სამცხე-ჯავახეთშიც ყოველგვარ ნადიმზე დამამთავრებელი სადღეგრძელი იყო „სამება-ერთარსება, ყველა წმინდა ღვთიმშობელი შეეწიოს და ააშენოს ეს ოჯახი“. ამის შემდეგ წარმატებას და ღვთის შეწევნას უსურვებდნენ იმ საქმეს, რომელთან დაკავშირებითაც იყო ეს ნადიმი მოწყობილი. საკუთრივ ნიშნობის სუფრაზე კი წყვილების ბედნიერებას შესთხოვდნენ ღვთისმშობელს. სამება-ერთარსების სადღეგრძელოს ჩამოვლის შემდეგ ნადიმი დამთავრებული იყო და მონადიმე ხალხიც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე იწყებდა დაშლას.

ნიშნობის სუფრასთან სასატარძლო ჯერ არ ჩანდა. თამადა ვიდრე ნადიმს მსვლელობას მისცემდა და სადღეგრძელოების წარმოთქმას დაიწყებდა, მანამ მოყვარე (სასიძოს მამა) სასატარძლოს მოიკითხავდა: „ჩვენ აქ დანაკარგი გვაქვს და ამიტომაც მოვსულვართ ცხრა მთის იქიდან; გვიშვეთო, მოიყვანეთ რომ ჩვენც გული საგულეში დავგიდგეს და უფრო კარგად ვიმხიარულოთ“-ო. მოყვრის ამ მოთხოვნის შესასრულებლად მაშინვე უნდა წასულიყვნენ[13]. სამამამილო სასატარძლოს ზოგჯერ ერთი-ორი სადღეგრძელოს ჩამოვლის შემდეგ მოიკითხავდა.

მოკითხვის შემდეგ სასატარძლო, რომელიც ამ დროისათვის სხვა სახლში, ახლო ნათესავთან იმყოფებოდა, აუცილებლად უნდა გამოეყვანათ. ის მონიშნეების წინაშე მარტო არ წარსდგებოდა. მას ყოველთვის თან ახლდა ერთი ქალი, მამიდა ან დეიდა, და ბიძაშვილი ვაჟი. მონიშნეებთან მისვლისას წინ სიმღერით მიდიოდა მისი ბიძაშვილი ვაჟი, შემდეგ თანმხლები ქალი და ბოლოს სასატარძლო.

ჯავახეთში წესად იყო, სასატარძლოს გამომყვან ქალს ხელში ეჭირა ტაბაკი. რომელზედაც ეწყო სასმელი, ტაბილეული და ენთო სამი სანთელი[14]. მას

[12] თ. ივ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 1976, რვ. № 1, გვ. 25,35; მ ი ს ი ვ ე, კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 1977, რვ. № 3, გვ. 12, 24, 38.

[13] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ფონდი № 87, გვ. 35.

[14] ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ფონ. № 4443/1, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონიშნეებთან მოსელისას მოყვრის წინაშე დებდა. აქვე ნიშნობის სუფრასთან სპატარძლოს გამოყვანა იცოდნენ ჩარეყათით. ჩარეყათი წარმოადგენდა სქელი ქსოვილის ნაჭერს, რომელიც მას თავზე ჰქონდა გადაფარებული და მთელ სახეს უფარავდა. სპატარძლო სამამამილოს და, მონიშნეებს სახით არ უნდა ჩვენებოდა, თორემ სახელი გაუტყდებოდა როგორც ურცხვსა და მოურიდებელს[15].

სპატარძლო და მისი მომყვანი, როდესაც მონიშნეებთან მივიდოდნენ, სათითაოდ ყველას ხელს ჩამოართმევდნენ. სპატარძლო ხელს ჩამორთმევასთან ერთად მათ ხელზე კოცნითაც მოიკითხავდა.

ანალოგიური წესები დამოწმებულია ართვინის სომხეთში[16] და ახალი ბაიაზეთის მოსახლეობაში[17]. მონიშნეები სპატარძლოს და მის მომყვან ქალ-ვაჟს მცირეოდენი ფულით ასაჩუქრებდნენ. ძველად დიდი რაოდენობის ფულით დასაჩუქრება არ იცოდნენ. თითოეული მონიშნე ათი შაურიდან მანეთამდის თუ გაიღებდა. ჩვეულებრივ, ყველაზე მეტი რაოდენობით ფული სამამამთილოს — მოყვარეს უნდა ეჩუქებინა. მასზე მეტი საჩუქრის გაღების უფლება სხვას არ ჰქონდა. ისინი ამ ფულად საჩუქარს სუფრაზე ცალ-ცალკე დადებდნენ. საჩუქრის ხელში მიცემა წესად არ იყო. როდესაც ყველა გაიღებდა საჩუქარს, სუფრასთან მჯდომი ვინმე კაცი აიღებდა ამ ფულს, სათითაოდ დათვლიდა და ხმამაღლა ყველას გასაგონად გამოაცხადებდა სპატარძლოსა და მისი მომყვანთათვის მონიშნეების მიერ გაღებული ფულადი საჩუქრის ოდენობას. მხოლოდ ამის შემდეგ გასცემდა ის ყველას თავის კუთვნილ საჩუქარს. სპატარძლოს ფულადი საჩუქრის ოდენობა მონიშნეთა მიერ ნებაყოფლობით გამოღებულ თანხაზე იყო დამოკიდებული. ამ დროს ზოგჯერ მას ათ თუმნამდეც კი უგროვდებოდა[18], რაც მისი კუთვნილება იყო და როგორც სურდა ისე მოიხმარდა.

მისალმების შემდეგ სპატარძლო და მისი მხლებელი ქალი კარებთან დადგებოდნენ[19]. მთხრობელთა გადმოცემით კი სპატარძლო სამამამთილოს ზურგს უკან დადგებოდა — „თავზე დაადგებოდა“ და მას ემსახურებოდა. რამდენჯერაც სამამამთილო სასმის დაცლდა, იმდენჯერ მას სპატარძლო „ხელზე მოიკითხავდა“[20]. თუ სამამამთილო ნებას დართავდა, ცოტა ხნის შემდეგ მი-

---

[15] ك ا ر ا ن ت و ل ი, ნიშნობისა და ქორწინების ჩვეულებანი ჯავახეთში, გაზ. „იერია“, 1886, № 196.

[16] H. C. Д е р ж а в и н, Из жизни артвинских Армян, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», т. 36, 1906, გვ. 29.

[17] Д. П о п а н д о п у л о, Местные юридические взгляды и обычаи, «Юридическое обозрение», 1885, № 215, გვ. 579.

[18] ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ფონდი № 4443/II გვ. 59.

[19] ك ا ر ا ن ت و ل ი, ნიშნობის და ქორწინების ჩვეულებანი ჯავახეთში, გაზ. „იერია“, 1886, № 196.

[20] შ. ნიკარაძის გამგზარტებით, ხელზე მოკითხვა ხელზე მთხვევაა, ამბორია (შ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, ქართული ენის აჭარული ლექსიკონი, ბათუმი, 1871, გვ. 433). საერთოდ, ხელზე კოცნა ძველ ჩვეულებას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც, შესაძლებელია, თაყვანისცემას უკავშირდება. თავდაპირველად ეს წესი რელიგიურ ხასიათს ატარებდა (R. M e k e l e i n, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Berlin, 1928, გვ. 223). შემდეგში ამან ნაწილობრივ დაკარგა რელიგიური ხასიათი და სოციალური უთანასწორობის გამომხატველად იქცა. უფროს უმცროსი, გვარშვილს მდაბიო ხელზე ემთხვევდა, რითაც თავის სოციალურ უთანასწორობას და თავმდაბლობას გამოხატავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდა ის და სხვა ახალგაზრდებთან ერთად საერთო სუფრას ემსახურებოდა.

მოყვრების სადღეგრძელოს შემდეგ, ოჯახის ახლობელი, სიტყვამოსწრებული ახალგაზრდა კაცი მონიშნეების მორთმეულ ძღვენს გამოიტანდა მონადიმეებთან, თვალსაჩინო ადგილზე დადებდა და ყველას გასაგონად გამოაცხადებდა: „ასახელოს ღმერთმა ჩვენი მოყვარე, ურმით მოსული. თავის საპატარძლოსთვის მიურთმევია ესა და ეს“, — და სათითაოდ ჩამოთვლიდა მონატანს. სასმელს და ქადა-ნაზუქს ყველა ფეშხუმზე გაანაწილებდნენ, ხოლო ხორცს მოტანისთანავე კერძების მოსამზადებლად იყენებდნენ.

ნიშნობის ნადიმი საპატარძლოს ოჯახში ერთ დღეს გრძელდებოდა, ხოლო შემდეგ მონიშნეებს ამ ოჯახის ახლო ნათესავები დაპატიჟებდნენ. ამ წესს ასრულებდნენ პირველ რიგში საპატარძლოს ოჯახის განაყრები, გვარის წევრები, დედის ძმა, დეიდები და მამიდები, თუ ისინიც ოჯახებიდან ამავე სოფელში ცხოვრობდნენ. სამცხე-ჯავახეთში მონიშნეების დაპატიჟების ამ ჩვეულებას მისდევდა მხოლოდ მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ეს წესი სავალდებულო არ იყო და საპატარძლო ოჯახი ამ წესის შესრულებას ვერავის დაიკისრებდა. მაგრამ ამ ოჯახის განაყრები და გვარის წევრები, რომლებიც იმ სოფელშივე ცხოვრობდნენ, თავს ვალდებულად თვლიდნენ მექორწილე ოჯახისათვის პატივი ეცათ და მისი მონიშნეები დაეპატიჟათ. უფრო მეტიც, რამდენადაც ბევრი დამპატიჟებელი აღმოჩნდებოდა, იმდენად დიდი სახელი იყო საპატარძლოს ოჯახისათვის. თუ მათ არავინ დაიპატიჟებდა, შეიძლება ხალხს ეს ოჯახი სალექსოდაც კი გაეხადა, როგორც „გვარ-ნათესავ ამოწყვეტილები“.

საპატარძლოს ოჯახის ნათესავების მიერ მონიშნეების დაპატიჟების წესი, როგორც ჩანს, იმ დროის გადმონაშთი უნდა იყოს, როდესაც ქალის გამთხოვებლად გამოდიოდა არა მხოლოდ ოჯახი, არამედ მთელი გვარი. ამ წესის მოქმედების ფარგლები შემდეგ კიდევ უფრო შეიკვეცა ისე, რომ ის სრულდებოდა ჯერ განაყრების წრეში, ხოლო ბოლოს მხოლოდ ოჯახის საქმედ იქცა.

როგორც აღვნიშნეთ, ნიშნობის ნადიმი მხოლოდ ერთი დღე გრძელდებოდა, მაგრამ მონიშნეები ამ ოჯახში შეიძლება მთელ კვირაზე მეტსაც კი დარჩენილიყვნენ. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ საპატარძლოს ოჯახის მხრიდან მათ რამდენი ახლობელი დაპატიჟებდა. თუ არავინ არ დაპატიჟებდა, მაშინ ისინი ორ დღეს მაინც დარჩებოდნენ და მესამე დღეს სასიძოს სახლში ბრუნდებოდნენ.

ვიდრე მონიშნეები საპატარძლოს ოჯახში იმყოფებოდნენ, საპატარძლოს მათთვის ყოველ საღამოს, დაძინების წინ ფეხები უნდა დაებანა და საწოლი მოეშზადებინა. ისინი მას მომსახურებისათვის მცირეოდენი (30—50 კაპიკი) თანხით ასაჩუქრებდნენ[21]. საპატარძლო განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა სამამამთილოს. ის ყველგან და ყოველთვის თან ახლდა მას, მის ზურგს უკან იდგა და ემსახურებოდა. იგი ვალდებული იყო იქ ყოფნის დროს ყოველ საღამოს სამამთილოს გვერდით ან მისი საწოლის კიდეზე დაწოლილიყო. ეს წესი საკმაოდ დიდხანს (ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებამდე) შემორჩა სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, რის შესახებაც სხვა დროს გვექნება საუბარი.

[21] ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ფონდი № 4443/1, გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნობის დამთავრებისა და ოჯახთან გამომშვიდობებისას მონიშნეები საპატარძლოს ისევე ფულით ასაჩუქრებდნენ. ისიც ყველა მონიშნეს ცხვირსახოცით, შინ ნაქსოვი წინდებით, ხელთათმანებით და „ქესებით“ ასაჩუქრებდა[22]. მათთვის განკუთვნილ საჩუქარს ცალ-ცალკე გამოკრავდა ცხვირსახოცში და სამამამთილოს ხურჯინის ერთ თვალში ჩაუდებდა, ისე რომ არც ერთმა არ იცოდა რა საჩუქარი მიიღო. როდესაც მონიშნეები სასიძოს ოჯახში დაბრუნდებოდნენ, სამამამთილო გახსნიდა ხურჯინს და ყველას თავის წილ საჩუქარს გადასცემდა. საპატარძლოს მათი ხელითვე საჩუქარი უნდა გაეგზავნა საქმროს ოჯახის ყველა წევრისათვის.

ნიშნობის შემდეგ თუ რაიმე რელიგიური დღესასწაული იქნებოდა, სასიძოს ოჯახი აუცილებლად ძღვნით მოიკითხავდა საპატარძლოს, ასევე საპატარძლოც თავის მხრივ მცირეოდენ საჩუქრებს უგზავნიდა საქმროს ოჯახის წევრებს.

ქორწილი შეიძლება გადაეხადათ ნიშნობიდან 9-10 თვის, ან ერთი წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ვაჟს საცოლეს ნახვის უფლება არ ჰქონდა. მის სანახავად მხოლოდ ვაჟის ოჯახის წევრები წავიდოდნენ, დანიშნულ საპატარძლოს მორიდება მართებდა. ნიშნობის შემდეგ იგი სახლიდან გარეთ იშვიათად გადიოდა, რის გამოც ხალხი ამ პერიოდს „საპატარძლოს ტყვეობას“ უწოდებს. ლიტერატურული წყაროებით ნიშნობის შემდეგ ქალის მიტოვებისა ან ქალის ოჯახის მიერ სასიძოზე უარის დამადასტურებელი ფაქტები ვერ დავადგინეთ. მთხრობელთა აზრით, ჯვარდაწერილი კანონიერი მეუღლის მიტოვება უფრო შეიძლებოდა, ვიდრე დანიშნულისა.

ჯვრისწერამდე ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე მას ისე გლოვობდა როგორც ჯვარდაწერილ კანონიერ მეუღლეს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათ ერთმანეთი ნახახიც კი არ ჰყოლოდათ. მთხრობელები ამის არა ერთ ფაქტს გვისახელებენ: ერთ-ერთ სოფელში ჯვრისწერამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა სასიძო, რომელიც საპატარძლოს არ ჰყავდა ნანახი. მაგრამ მას ისე უგლოვია, როგორც კანონიერი ჯვარდაწერილი მეუღლე. შვიდი წელი „თავშეკოპილი“ მგლოვიარედ იყდა მამის სახლში და საქმროს გლოვობდა. ამ დროის გასვლის შემდეგ ყოფილმა სამამამთილომ ითავა მისი ხელახლა გათხოვება და მოიკქულად თვითონ შევიდა. ქალი სასტიკ უარზე იყო, მაგრამ ბოლოს უფროსებმა დაითანხმეს.

ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაშიც ქალ-ვაჟის ოჯახები ერთმანეთთან ურთიერთობას არ წყვეტდნენ, ჭირსა თუ ლხინში ერთმანეთს მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ. ამიტომ ნიშნობაზე მინატანის უკან დაბრუნებაზე ან მოთხოვნაზე ლაპარაკი მათ შორის მეტად უხერხული იყო.

ნიშნობის შემდეგ სასიძოს ან საპატარძლოს გარდაცვალების შემთხვევაში ვაჟის ოჯახიდან მინატანის რა ნაწილი უნდა დარჩეს ქალის ოჯახს, ეს ხაზგასმით არის აღნიშნული უძველესი სამართლის ძეგლებში. ეშნუნის მეფის ბილალმის კანონების მიხედვით, „უკეთუ კაცის ვაჟიშვილი სიმამრის ოჯახში გამოსასყიდს მიიტანს, თუ ორთაგან ერთი (სასიძო ან საპატარძლო) მოკვდება, ვერცხლი უბრუნდება მხოლოდ მის პატრონს“ (მუხ. 17)[23].

თუ ერთ-ერთმა მხარემ უარი თქვა შემდგომ ქორწინებაზე, დგებოდა ნიშ-

---

[22] ი ვ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიული მუზეუმი, ფონდი № 100.

[23] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობაზე მისატანის განაწილების საკითხი, რაც ნათლად ჩანს ხეთების კანონთა პირველი ტაბულიდან: „უკეთუ ქალი შვილს გაურიგებენ კაცს, და მან გაიღო მისი საქორწინო გამოსასყიდი, ხოლო შემდეგ მამა და დედა გააუქმებენ ხელშეკრულებას და ქალს არ მიათხოვებენ იმ კაცს, მათ უნდა აანაზღაურონ გამოსასყიდი ორმაგი“ (მუხ. 29). „უკეთუ კაცი არ წაიყვანს ქალს ცოლად და უარს იტყვის მასზე, იგი ჰკარგავს გამოსასყიდს, რომელიც მან მიიტანა“ (მუხ. 30)[24].

ძველ სომხურ სამართალში მითითებულია: „ქალი ვისიც იყოს დროს გათხოვისა და დაინიშნოს იგი ქალი, და ვინცა გაუგზავნონ ნიშანი, ოქრო თუ ვერცხლი ანუ სხვა რაგინდარა, და მოჯდეს ბრძანება ღ“თისა და მიიცვალოს ვაჟი იგი დანიშნული მისი, დაუქორწინებელი, და ვაჟის პატრონმა სთხოოს ქალის პატრონს ნიშანი, — თუ ერთმანეთი უნახავთ მათ დანიშნულთა, უთამაშნიათ ან უკოცნიათ ერთმანერთისათვის, ნახევარი ნიშანი ქალის პატრონმა დაიჭიროს და ნახევარი ვაჟის პატრონს შეუბრუნოს.

თუ ვაჟს არა ყუანდეს მამა, არც დედა და არც ძმა, სხვისაგან არ ეთხოების და დარჩეს მას ქალსა.

და თუ დანიშნულთა ერთმანეთი არ უნახავთ და ისე სიტყუით გარდუწყუეტიათ ნიშნობა. ისევე მთლივ შეუბრუნონ ვაჟის პატრონსა. და თუ ქალი მიიცვალოს, გამოართვას ვაჟმან ნიშანი გაგზავნილი მისი. თუ რამ ან გასაცვეთი ყოფილ ან შესაძელ-შესაჭმელი, იმრიგს რაგინდარას ნუღარას სთხოვენ“ (მუხ. 57)[25].

დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაში რა შეიძლება დაუბრუნდეს ვაჟის ოჯახს ნიშანში მონატანიდან, ამის შესახებ სათანადო განმარტება მოცემულია აგრეთვე ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში: „ან ვაჟი მოკუდეს და ან ქალი, თუ რამ გასაცვეთი მისვლია და სიცოცხლეში გაუცვეთია, ვერას შეუა, — რომე სიძესაც ბევრს მიეცემა.

მას გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა“ (მუხ. 223)[26].

რაც შეეხება ბეჭას და აღბუღას სამართალს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ამ კუთხის შესწავლისათვის, ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მასში არაფერი არ არის ნათქვამი.

თუ ზემოთ განხილული ძეგლების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის შესახებ ვიმსჯელებთ, გამოჩნდება, რომ ერთ-ერთი დანიშნულის სიკვდილის შემთხვევაში, ვაჟის ოჯახს მინატანიდან რაიმეს უკან მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა, რადგან მისი მინატანი უმთავრესად ტანსაცმელი და სამელ-საჭმელი იყო. რაც შეეხება ნიშნობის დროს მონიშნეების მიერ საპატარძლოს ფულით დასაჩუქრებას, ეს ფულადი საჩუქარი ისეთი მცირე იყო, რომ მასზე საერთოდ არც ლაპარაკობდნენ.

სამცხე-ჯავახეთში ნიშნობის რიტუალმა, რა თქმა უნდა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი განვითარების შესაბამისად ცვლილებები განიცადა, რაც ჩანს ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. არსებული ფაქტობრივი მონაცემების

---

[24] ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[25] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი დ ო ლ ი ძ ე მ, I, თბ., 1963, გვ. 243.

[26] იქვე, გვ. 539.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველზე შესაძლებელია თვალი გავადევნოთ ნიშნობის რიტუალის ცვლილებას XIX ს-ის II ნახევრიდან დღემდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველად, დაახლოებით XIX ს-ის 20—30-იან წლებამდისაც კი ნიშნობაში სასიძოს წაყვანა მიუღებელი იყო. შემდეგში ის ამ რიტუალის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ იქცა. სასიძოსთან შედარებით საპატარძლომ მეტად გვიან მოიპოვა იმის უფლება, რომ მას თავის ნიშნობაში დაეკავებინა კუთვნილი ადგილი სასიძოს გვერდით.

ღნდა აღინიშნოს, რომ 50—60-იანი წლებიდან სამცხე-ჯავახეთში ნიშნობის გადახდას ნაკლები ყურადღება ექცევა. ხალხი საჭიროდ აღარ თვლის ნიშნობისათვის განკუთვნილი ზედმეტი ხარჯების გაღებას; ამიტომ ზოგჯერ ბეგს მიტანას უშუალოდ ქორწილი მოსდევს. მიუხედავად ამისა, მაინც ეხვდებით ზოგჯერ ნიშნობის ერთეულ შემთხვევებს.

განხილული ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ნიშნობა საქორწინო ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ეტაპი იყო და ის დიდხანს ინარჩუნებდა ტრადიციულ თავისებურებებს. ამასთან ერთად ნიშნობის წესმა, ისევე როგორც ხალხურმა წეს-ჩვეულებებმა საერთოდ, სათანადო ცვლილებები განიცადა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ევოლუციასთან დაკავშირებით, რის გამო ძველი წესების დიდი ნაწილი ახალ ვითარებაში უმთავრესად გადმონაშთების სახით შემოგვრჩა. ეს ცვლილებები აშკარად გამოჩნდა მხარეთა შორის ეკონომიკური ურთიერთვალდებულების სფეროში. საგრძნობლად შემცირდა ნიშნობის გადახდისათვის სავალდებულო ხარჯები, მაგრამ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაიზარდა დანიშნული ქალისათვის განკუთვნილი საჩუქრების რეალური ღირებულება. ეს თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ ძველი ტრადიციის ახალი წეს-ჩვეულებით შეცვლა ყოველთვის სასურველი შედეგებით არ მთავრდება. ძველი დროის გადმონაშთებთან ერთად ახალ ვითარებაში ზოგჯერ ჩნდება ხალხისათვის უსარგებლო ჩვეულება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ასეთ ვითარებას ეხება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დადგენილება მავნე წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რომლის განხორციელებისათვის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საქორწინო ტრადიციების შესწავლასაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია.

Т. В. ИВЕЛАШВИЛИ

ОБЫЧАИ ПОМОЛВКИ В САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ

Резюме

В результате изучения этнографических материалов и литературных данных можно сделать вывод, что среди населения Самцхе-Джавахети в бракосочетании помолвка является одним из значительных этапов, сохранивших традиционное своеобразие. Вместе с тем, помолвка, как и другие свадебные обычаи, изменилась соответственно эволюции общественно-экономической жизни, а отдельные ее элементы

в новых условиях сохраняются как пережитки прошлого. Изменения особенно проявились в сфере экономических отношений между семьями новобрачных; уменьшились расходы при помолвке, но значительно увеличилась стоимость подарков для невесты. Это показывает, что замена старых традиций новыми не всегда приводит к желательным результатам. Часто в новых условиях, вместе с пережитками прошлого, зарождаются бесполезные обычаи, борьба против которых в настоящее время принимает общественное значение. Против данного обстоятельства направлено Постановление Центрального Комитета компартии Грузии от 1975 года «О мерах по усилению борьбы с вредными традициями и обычаями», для осуществления которого определенную пользу может принести и изучение свадебных традиций населения Самцхе-Джавахети.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ღვაბერიძე

რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ XIII-XIV სს ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით

თეთრი და დრაჰკანი

1296 წელს ილხანთა ირანში განხორციელდა სამონეტო რეფორმა, რომელიც ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) რეფორმის სახელითაა ცნობილი. შემოღებულ იქნა ახალი სამონეტო სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედო ვერცხლის დირჰემი. დირჰემის წონითი სტანდარტი განისაზღვრება 2.13 გრამით და უდრიდა დაახლოებით ნახევარ მისხალს. ამ ძირითად ერთეულზე დამყარებით ილხანთა სამფლობელოში უშვებდნენ ვერცხლის მონეტების სხვადასხვა ნომინალს: ნახევარ დირჰემს, დირჰემს, ორიან დირჰემს და ექვსიან დირჰემს ანუ დინარს. ყაზან ყაენის მიერ შემოღებული სამონეტო სისტემა სავალდებულო იყო ილხანთა ირანში შემავალი ყველა ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოს სამეფოსათვის, რომელიც ილხანთა ვასალად ითვლებოდა.

ყაზანის ფულადი რეფორმით დაკანონებული დირჰემის წონა დაედო საფუძვლად საქართველოს ზარაფხანებში (თბილისი, ახალციხე, ანისი...) მოჭრილ ვერცხლის მონეტებსაც. საქართველოს სამეფოს ზარაფხანებში აღნიშნულ ნომინალებიდან იჭრებოდა: ნახევარი დირჰემი, დირჰემი და ორიანი დირჰემი. მართალია ჯერჯერობით ექვსიანი დირჰემი (დინარი) არა გვხვდება, მაგრამ მისი ემისია საქართველოს ზარაფხანებში არ არის გამორიცხული.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს არა ის თუ როგორი იყო ილხანთა მონეტების ემისიის ხასიათი საქართველოში ყაზან ყაენის სამონეტო რეფორმის შემდეგ, არამედ ის, თუ როგორ აისახა ახალი სამონეტო სისტემა ქართულ სამონეტო ტერმინოლოგიაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სამი ქართული იურიდიული ძეგლი: ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, რომელიც დაიწერა—1295-1304 წწ. შორის[1], და ამდენად თანამედროვე იყო ყაზან ყაენის სამონეტო რეფორმისა; გიორგი ბრწყინვალის (1314-1346 წწ.) „ძეგლის დადება“, რომელიც დაიწერა 1334-1335 წწ[2]. და ათაბაგ აღბუღის სამართალი, რომელიც 1381-1386 წწ. განეკუთვნება[3].

ილხანთა ირანში „დირჰემი“ იყო ოფიციალური სამონეტო ტერმინი, მაგრამ როგორც ზემოთ დასახელებული სამი ქართული იურიდიული ძეგლი გვიჩვენებს, საქართველოში ოფიციალურ სამონეტო ტერმინად ჩანს მხოლოდ „თეთრი“, რომლითაც ხდება სისხლის დაურვება[4].

წერილობითი წყაროს ანალიზი ფაქტობრივ ნუმიზმატიკურ მასალასთან

---

[1] ს. ყ ა ფ ა ნ ა ძ ე, საფასის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, წ. I, 1925, გვ. 15.

[2] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 15.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის, გამოც., თბ., 1963, ტ. I, გვ. 619.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 403; 405—408; 415; 418; 421; 426—429; 434—436; 457; 462; 463.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კავშირში საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ საქართველოში საფასის აღმნიშვნელი ამ ტერმინის შინაარსი.

ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრით, „თეთრი“ იყო ვერცხლის საფასის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, და ამავე დროს ფულის გარკვეული ერთეულის აღმნიშვნელიც[5]. „თეთრი“, როგორც ფულის გარკვეული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი საქართველოში პირველად XIII ს-ის საბუთებში ჩნდება[6].

თეთრის ოდენობის დადგენაში ჩვეულებრივ, ათაბაგ აღბუღას სამართლის შესავალს ემყარებიან, რომელშიც აღბუღამ განმარტება მისცა წინამორბედ კანონმდებელთა სამართალში დამოწმებულ სამონეტო ტერმინ თეთრს. თვალსაჩინოების მიზნით მთლიანად მოგვაქვს შესავლის ტექსტი: „პატრონისა პაპის ჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამასა ყამთ შიგა ყაზანურობა აღსადმე მოკლებულიყო. დ დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ყამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი[7] წმინდა ვერცხლი და როგორაცა აწ ყამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდენ. ამად არა ჩამოვამცირევით, რომე ავი საქმე ნუ ვისგანმე გაადვილდების“[8].

კონტექსტიდან ჩანს, რომ თეთრის მეტროლოგიური შინაარსი ბექასა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის ძეგლებში განსხვავებულია. აღბუღა წერს, რომ ადრე, მისი პაპის ბექას დროს, გადახდა „ყაზანური თეთრითო“ ხდებოდა, რაც აღნიშნავდა ყაზან ყაენის სახელით, 1296 წლის ფულადი რეფორმის შემდეგ გამოშვებულ ვერცხლის ფულს. აღბუღას დროს ყაზანური თეთრი აღარ იყო; ამიტომ იგი სისხლის განაჩენს ადგენს გიორგი ბრწყინვალის დროინ თეთრით. ს. კაკაბაძის განსაზღვრით, ეს ნიშნავს იმას, რომ ათაბაგ აღბუღას სისხლის საზღაურად შემოუღია გიორგი ბრწყინვალის (1314-1346 წწ.) დროინდელი თეთრი, რომლის საფუძველიც ჰულაგუიდური ფულადი სისტემა იყო და მისი წონა ილხან აბუ საიდის (1316-1336 წწ.) სახელით მოჭრილ ვერცხლის ფულს გაუთანაბრა[9].

მკვლევრებმა, აღბუღას სამართლის შესავალის საფუძველზე, რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება წამოაყენეს „გიორგის ყამის“ (დროის) თეთრის ოდენობის თაობაზე. გიორგის დროის თეთრი ს. კაკაბაძის[10], დ. ლანგისა[11] და გ. დუნდუას[12] აზრით, 5 დანგის წონის ვერცხლის ნომინალი იყო და შეესაბამებოდა ილხან აბუ საიდის თანადროულ ორ დირჰემს. ივ. ჯავახიშვილისა[13] და თ. ლომოურის[14] თვალსაზრისით, იგი აღნიშნავდა 10 დანგის წონის ვერცხლის მონეტას და ამდენად შესაბამისი გამოდის ოთხი დირჰემისა.

---

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მეოდენობა ანუ ნომიზმატიკა-მეტროფორგია, 1925, გვ. 18.

[6] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო ს�ელების შესახებ, „საისტორიო ძიებანი“, 1924, წ. II, გვ. 72; ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959; გვ. 235; 238; თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წიგნი მეორე, ტფ., 1897; გვ. 102; 129; 134; 161.

[7] ცნობილია, რომ დანგი, როგორც წონის ერთეული არაბულ წონით სისტემაში შეადგენს მისხლის 1/6 ნაწილს.

[8] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 425.

[9] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ.

[10] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფასის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო ძიებანი“, წ. I; 1925, გვ. 7. მ ი ს ი ვ ე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 83; 88; 89.

[11] D. M. L a n g, Georgia in the reign of Giorgi the Brilliant, B S O A S, XVII/I,1 1955, გვ. 87—88.

[12] გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; გვ. 45, 47, 49, 54.

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51—52.

[14] თ. ლ ო მ ო უ რ ი, უკანასკნელი ილხანების ფული საქართველოში (ხელნაწერი), გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრის ოდენობის გასარკვევად გასაღებს გიორგი ბრწყინვალის სამართალი „ძეგლის დადება“ გვაძლევს. მის ძირითად დადგენილებაში დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც თვალნათლივ დგინდება, რომ ამ დ რ ო ი ს თ ე თ - რ ი ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ უ რ ი ა ე რ თ ი დ ი რ ჰ ე მ ი ს ა.

გიორგი ბრწყინვალის სამართალში განმგებლისა[15] და ხეკისბერის[16] სისხლის ფასი ექვსი ათას თეთრად არის შეფასებული. ჰეროვანს, — „სისხლი ორასი დრაჰკანი დაეურვოს — ათას ორასი თეთრი“[17], — ნათქვამია კანონმდებლობაში. რამდენადაც დოკუმენტში გაყოფის ნიშანი არ არის ნახმარი, ამიტომ ივ. ჯავახიშვილს ვარაუდი აქვს გამოთქმული: „საფიქრებელია, რომ აქ დამნაშავისათვის ერთგვარი თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობა იყო და მას შეეძლო გინდ ოქროს, გინდ ვერცხლის ფულად გადაეხადა“[18].

ვფიქრობთ, რომ ვარაუდით გამოთქმული მოსაზრების გარკვევა შეესაძლებელია უარზანგობის[19] წესის გამოთვლის საშუალებით. უარზანგობის საქმე სამართალში შემდეგნაირად არის დადგენილი „ვისაც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა სამასი თეთრი არის. აზნაურთა, ხეკისბერთა ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა; ჰეროვანთა — ოცდაათი თეთრი“[20].

როგორც კანონშია გათვალისწინებული, დიდებულების ერთი უარზანგობა მისი სისხლის ფასის ნაწილია და შეადგენს 300 თეთრს (12000 თეთრი: 40=300 თეთრს). ასევე ხეკისბერის ერთი უარზანგობა 150 თეთრია (6000 თეთრი:40=150 თეთრს), ჰეროვანის ერთი უარზანგობის ფასია 30 თეთრი (1200 თეთრი: 40=30 თეთრს). როგორც მოვიხსენიეთ, ჰეროვანის სისხლის ფასი კანონმდებლობაში განსაზღვრულია შემდეგნაირად: „ორასი დრაჰკანი — ათასორასი თეთრი“. ჰეროვანის ერთი უარზანგობის ფასი (სისხლის $\frac{1}{40}$ ნაწილი) 30 თეთრი გამოვიდა მხოლოდ 1200 თეთრიდან და იგი შეესაბამება მის სრულ ღირებულებას.

უარზანგობის გამოთვლამ გვიჩვენა, რომ 200 დრაჰკანი 1200 თეთრის ეკვივალენტია. ამ მუხლიდან ჩანს, რომ გიორგი ბრწყინვალის კანონით დრაჰკანსა და თეთრს შორის შეფარდება არის 1:6-თან (1200 თეთრი : 200 დრაჰკ.= 6), ე. ი. ე რ თ ი დ რ ა ჰ კ ა ნ ი ე ქ ვ ს ი თ ე თ რ ი ს ტ ო ლ ფ ა ს ი ა. სწორედ ისევე, როგორც ყაზან ყაენის ფულადი სისტემის ძირითად ერთეულებში, სადაც დინარი უფრის ექვს დირჰემს. ქ ა ო ر თ ულ წ უ ყ ა ო ر ებ ში დ ი რ ჰ ე მ ს ც ვ ლ ი ს ტ ე რ მ ი ნ ი თ ე თ რ ი. რ ო გ ო რ ც ჩ ა ნ ს, ე ს ო რ ი ს ა მ ო ნ ე - ტ ო ტ ერ მ ი ნ ი (თ ე თ რ ი დ ა დ ი რ ჰ ე მ ი) XIV ს-ის ს ა ქ ა ო ر თ ე ლ ო - ში ი ყ ო ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი.

---

[15] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 403.

[16] იქვე, გვ. 405.

[17] იქვე, გვ. 407.

[18] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[19] ი. დოლიძის გამოკვლევით: „უარზანგობა ქართულ სამართალში ნიშნავს განსაკუთრებულ გადასახადს — უპატიობის საზღაურს, ანუ საუპატიოს, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს დაზარალებულის პატივისა და ღირსების შელახვისათვის... უარზანგობა სისხლის 1/40 ნაწილს შეადგენს... უარზანგობის ოდენობა სისხლის ოდენობაზე, მის მეტ-ნაკლებობაზეა დამოკიდებული, ვისაც სისხლი უფროსი იყოს ანუ უმცრო, უარზანგობაც ამ გაზრენთ იყოსო“ (ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 76—77).

[20] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 415.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებით“ ირკვევა, რომ აღბუღას სამართალში დადგენილი „გიორგის ქამის თეთრი“ აღნიშნავს გიორგი ბრწყინვალის დროს მოჭრილ ვერცხლის ერთ დირჰემს, რომელიც იწონის 2,5 დანგს და შეესაბამება ილხან აბუ საიდის სახელით მოჭრილ დირჰემს.

ვფიქრობთ, რომ 2,5 დანგის წონის თეთრი (1,77 გრ.) არის საფუძველი, რომელსაც აღბუღა აგრეთვე ადგენს თავის სამართალში. ეს დასკვნა საშუალებას იძლევა გავიერკვიოთ აღბუღას შესავალში გამოთქმულ „თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი“. ბექას სამართლის ერთი „უაზნაური თეთრი“ რომ ერთი დირჰემის (სამი დანგის წონის ვერცხლის მონეტის) შესაბამისია, მტკიცებას აღარ მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ XIV ს-ის მანძილზე დირჰემის (თეთრის) წონა თანდათანობით მცირდება, და აღბუღას დროისათვის საშუალოდ იწონის 0,6-დან 0,8 გრ. მონეტის ნომინალი უცვლელი რჩება.

აღბუღა თავისი სამართლის შესავალში განმარტებას იძლევა თუ როგორი ფულით უნდა მომხდარიყო საზღაურის გადახდა: „როგორიცა აწ ქამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდნენ“ — კანონმდებელს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ყოველი ვერცხლის ფული, რომელიც ტრიალებდა იმ დროს საქართველოში, გამოყენებული ყოფილიყო თეთრის გადახდის საშუალებად; ოღონდ მის მიერ დაწესებულ თეთრის წონას უთანაბრებს გიორგი ბრწყინვალის დროინდელ თეთრს.

ათაბაგი აღბუღა გიორგის ქამის თეთრს, XIV ს-ის 80-იან წლებში, სისხლის საზღაურად აწესებს ათასების ფარგლებში. მაშინ, როდესაც თვით გიორგი ბრწყინვალის დროს 3,54 გრამის წონის ორიანი დირჰემები და დირჰემები დაახლოებით 17 წლის განმავლობაში იჭრებოდა (1316-1333 წწ.) გადამხდელისათვის შეუძლებელი იქნებოდა ასეთი წონის თეთრის შოვნა XIV ს-ის ბოლო მეოთხედში. საზღაურის გადახდა მოხდებოდა იმ ფულით, რომელიც აღბუღას დროს იყო საქართველოში მიმოქცევაში; ეს იქნებოდა ილხანების, ჯულაირიდების თუ კირმანეული თეთრი. ამ შემთხვევაში უცხო საფასიდან ჯულაირიდური ფულიც არ არის გამორიცხული, რადგან მას XIV ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკონომიკაში მეტად დიდი ადგილი ეკავა.

აღბუღას სამართალში უცხო არ არის ვერცხლის ფულის წონით გადახდა. სამართლის 95-ე მუხლში ნათქვამია, „თუ კაცს თეთრი „წიგნითა“ ანუ ვერცხლი აწონით ევალოს, იგი დაპირება თუ არა, ოდესღაც გარდაიხადოს, მის დღის შარვანისა თეთრისა მიზეზი ნუ იკადრების“[21]. დოკუმენტიდან ჩანს: რადგან „თეთრის“ (დირჰემის) წონა სტაბილური არ იყო, გასესხებული ვერცხლის ფულის წონა აღინიშნებოდა ხელწერილში და არა თეთრის რაოდენობა. მოვალეს, რომ არ ეკადრა „დაკნინებული“ შარვანული თეთრით ფულის გადახდა, ამიტომ ვალს წონით დაპირუნებდა.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თეთრთან ერთად „ძეგლის დადებაში“ დასახელებულია დრაჰკანიც. ცნობილია, რომ დრაჰკანს საქართველოში უწოდებდნენ ოქროს მონეტას XIII ს-ის ჩათვლით. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ბიზანტიურ ოქროს მონეტას სოლიდს ან ნომისმას და მუსლიმურ დინარსაც[22].

---

21 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 462.

22 გ. ჯაფარიძე, ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI—XIII საუკუნეების საქართველოში, მაცნე, ისტორიის სერია, 1975, № 3, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მდგომარეობაა საქართველოში XIV ს-ში? გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“ დასახელებული დრაჰკანი უკვე აღარ არის ოქროს მონეტა. როგორც აღვნიშნეთ ყაზან ყაენის რეფორმის შემდეგ ილხანთა სახელმწიფოში დინარი გახდა ვერცხლის ფულის მსხვილი ნომინალი. დინარის ქართული შესატყვისი დრაჰკანი უცვლელად დარჩა, მაგრამ შეიცვალა მისი შინაარსი. „ძეგლის დადებაში“ დადასტურებული დრაჰკანი არის ილხანთა სამონეტო სისტემის ვერცხლის დინარის შესაბამისი ტერმინი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ოქროს მონეტასთან, როგორც ამის შესახებ ვარაუდი აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს, არამედ ვერცხლის დინართან, რომელიც ილხანთა სამონეტო სისტემაში შეადგენს ექვს დირჰემს. დრაჰკანი XIV ს-ის ქართულ წყაროებში, ისევე როგორც მონღოლური დინარი, საანგარიშო ერთეული, იყო და შეიცავდა თეთრს.

ამრიგად, ქართული საისტორიო ძეგლების სამონეტო ტერმინოლოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიმართება დრაჰკან — თეთრს შორის შეესაბამება ილხანთა ფულის ძირითადი ნომინალების მიმართებას.

ქართულ წყაროებში ნათლად აისახა ილხანთა ირანის სამონეტო საქმეში მომხდარი ცვლილებები.

დრამა

XIV ს-ში მონეტა დრამის მოხსენიება ჩანს მხოლოდ უცხოეთში, იერუსალიმის ჯვრის მონასტერისადმი გაგზავნილ ფულად შეწირულებაში[23]. ისმება კითხვა: XIV ს-ის ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა და საბუთებში, ტრადიციულად დამკვიდრებული მონეტის ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „დრამა“ რად შეიცვალა ტერმინით „თეთრი“.

ჯერ კიდევ ადრე ივ. ჯავახიშვილი დაინტერესდა ამ საკითხით „რაკი დრამი“ და „თეთრი“, ორივე ვერცხლის ფულის ერთეულის სახელი იყო და არის ხანა, როდესაც ორივე ტერმინი იხმარებოდა, მომავალში უნდა გამოირკვეს თუ რა განსხვავება უნდა ყოფილიყო მათ შორის“[24].

„დრამა, ან დრამი მომდინარეობს ბერძნული დრახმე (δραχμή)-დან რომელიც როგორც მონეტა, ფართოდ გავრცელდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. დრამის (dram) ფორმით ის შეთვისებულ იქნა ირანელებისა და სომხების, დირჰამის (درهم) ფორმით კი — არაბების მიერ. საქართველოში დამკვიდრებული ამ ტერმინის ფორმა— დრამა (დრამი) ფონეტიკურად ყველაზე ახლო ფალაურთან დგას და მოწმობს, რომ ის ჩვენში ირანის გზით უნდა შემოსულიყო“[25].

ქართულ წყაროებში დრამა მხოლოდ IX-X საუკუნეებიდან ჩანს ჯერ, როგორც მონეტის სახელწოდება, შემდეგ, როგორც წონის ერთეულიც[26].

---

[23] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVIII სს.), თბ., 1962, ალაპი № 25; 86; 96; 110; 108, 151; 183; 220; 271; 305.

[24] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[25] გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 33.

[26] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, 70; გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII ს-ის შუა ხანებისათვის საქართველო და წინა აზიის ქვეყნები მონღოლებმა დაიმორჩილა. ე. პახომოვის თქმით, ამ ქვეყნებში ვერცხლის ფულის ემისია (ე. წ. ვერცხლის კრიზისის შემდეგ) დაიწყო არა მონღოლთა დაპყრობების შემდეგ, არამედ უფრო ადრე, როდესაც მონღოლები ის-ის იყო გამოდიოდნენ ასპარეზზე[27].

ცნობილია, რომ XIII ს-ის ფულადი-წონითი სისტემა საქართველოსი ეთანხმებოდა ადრე არსებულ არაბულ ფულად-წონით სისტემას. მონღოლებმა მიიღეს რა ეს სისტემა (XIII ს-ში), გააგრძელეს ამავე სისტემით თავის ქვეშევრდომ სამფლობელოებში მონეტების ემისია. არაბულ წონით სისტემაში კი გ. ჯაფარიძის სიტყვით „მისკალი (მისხალი. — **ᲒᲘ. ᲦᲚᲐᲒᲐᲠᲘᲫᲔ**) უმნიშვნელოვანესი ერთეულია. ყველა სხვა ერთეულის წონითი ოდენობა ფაქტობრივად მისკალის და ავრეთვე დირჰამის ბაზაზე იანგარიშებოდა... არაბულ წონით სისტემაში განასხვავებდნენ ორი სახის მისკალს: მონეტის წონას — 4,25 გ., რომლის საფუძველზეც იჭრებოდა ოქროს მონეტა — დინარი, და სავაჭრო წონას... მისკალის წონითი შეფარდება დირჰამთან თეორიულად. კანონმდებლობით შეადგენდა 7:10-ს... მაგრამ პრაქტიკაში ისინი ისე შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც საქართველოშიც, მიტყალის (მისხალის. — **ᲒᲘ. ᲦᲚᲐᲒᲐᲠᲘᲫᲔ**) წონითი შეფარდება დრამასთან იყო 2:3-თან, ე. ი. პრაქტიკული შეფარდება. ამგვარად ჩვენში დრამა-მიტყალის ურთიერთობაში დაცული იყო არაბული წონის სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურება“[28].

დადგენილია, რომ IX-X სს. დრამა, როგორც მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი, შეესაბამება არაბულ დირჰემს[29]. ხოლო ქართული დრამის წონა და მისი სისტემა, შეესაბამებოდა არაბული ვერცხლის დირჰამსა და მის სისტემას[30].

დრამის ოდენობა, მისი 4-დანგიანობა დაასაბუთა გ. ჯაფარიძემ. დრამის სისტემაში დრამა შეიცავს 4 დანგს. წყაროებზე დაკვირვებით მას ავრეთვე გამოკვლეული აქვს, რომ დრამის წონითი სისტემა უცვლელი რჩება საქართველოში XVIII ს-მდე[31].

როგორც ირკვევა, არაბული სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი ვერცხლის დირჰემი ანუ დრამა დაკავშირებული იყო მისხლის სისტემასთან და შეადგენდა მისხლის 2/3-ს, ანუ შეიცავდა 4 დანგ ვერცხლს. ადრე, XIII ს-ში, საქართველოში ამ სისტემით იჭრებოდა დირჰემები, ოგივე დრამები.

ყაზან ყაენმა სამონეტო სისტემაში ცვლილება შეიტანა. მის მიერ ჩატარებული ფულადი რეფორმით შეიქმნა ახალი ფულად-წონითი სისტემა. რამდენიც არაბულ სისტემასთან კავშირს გამოხატავდა შემდეგნაირ: მისხალი აქ (ყაზანის სისტემაში), ისევ მნიშვნელოვან ერთეულად რჩება; ძირითადი ერთეული დირჰემი კი შემცირდა და გახდა სამი დანგის წონის. თუ არაბულ წონის სისტემაში მისხალსა და დირჰემს შორის პრაქტიკული შეფარდება იყო 2:3-

---

[27] Е. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, გვ. 131.

[28] გ. ჯაფარიძე, ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II; თბ., 1972, გვ. 36—37 (ხაზგასმა აქაც და კვლავ ჩვენია).

[29] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 17, 25.

[30] გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 34; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 49.

[31] გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, ყაზანის რეფორმით მათ შორის თანაფარდობა შეიცვალა და გახდა 2:1-თან. ე. ი. მისხალი ისევ 6-დანგიანი წონითი ერთეულია, მხოლოდ დირჰემს კანონით დააკლდა ერთი დანგი და გახდა ნახევარი მისხალი ანუ სამი დანგი.

ყაზან ყაენის ფულადი რეფორმით დირჰემის წონის ერთი დანგით შემცირებას, ილხანთა ეპოქის სპარსი ისტორიკოსი, ყაზანის პირველი ვეზირი რაშიდ ად-დინი თავის ისტორიაში გამართლებას ძძლევს. ყაზანის ბრძანებითო: Ежали это постановление войдет в силу вдруг, то весь народ потерпит ущерб и поднимет вопль, Лучше так: раз прежде каждый дирхем чеканили в четыре данека (а затем) без того, чтобы в этом была государственная нужда[32]. რაშიდ ად-დინის ცნობა მეტად მნიშვნელოვან და ჩვენთვის საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ყაზან ყაენმაც დირჰემი 4 დანგის წონის ვერცხლის მონეტის გამომხატველი იყო (მიუხედავად XIII ს-ის ბოლო მეოთხედში ძირითადი ერთეულის დირჰემის წონის შემცირებისა).

ჩვენი აზრით, ყაზანის სამონეტო რეფორმის შემდეგ, რადგან მონეტის სახელწოდება დრამა, ალარ შეესაბამებოდა თავის რეალურ წონით მნიშვნელობას (4 დანგის წონის შემცველ ევრცხლის მონეტას) და ფულადი სახელწოდება დრამა დაშორდა მის თავდაპირველ წონით ოდენობას, ყაზან ყაენის ფულადი რეფორმის შემდეგ შედგენილ სამსავე ქართულ საკანონმდებლო ძეგლში ღირებულების საზომად და გადახდის კანონიერ საშუალად სამონეტო ტერმინი „თეთრი“ ფიგურირებს და „დრამა“ ქრება, როგორც მონეტის ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი. საქართველოში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული არაბული წონითი სიტემა, რომელიც დრამის სისტემას მოიცავდა, უცვლელად დარჩა XVIII ს-მდე, როგორც წონის ერთეული. რადგან საქართველოში XIV ს-ში დრამა (4 დანგის წონის) რჩება, როგორც სავაჭრო წონის ერთეული, სამონეტო ტერმინოლოგიაში „დრამის“ ადგილს იკავებს „თეთრი“.

დრამის, როგორც მონეტის აღმნიშვნელი ტერმინის გაქრობას XIV ს-ის საკანონმდებლო ძეგლებიდან ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „საფიქრებელია, რომ დრამას ვითარცა ფულის ერთეულის ტერმინს ამ ხანაში უკვე დრო მოჭმული უნდა ჰქონოდა და თანდათანობით გამქრალიყო“[33].

მონეტა დრამა ჩანს მხოლოდ საზღვარგარეთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში, სადაც პარალელურად ორივე ეს ტერმინი: დრამა და თეთრი იხმარებოდა. ვფიქრობთ, რომ აქ დრამა აღნიშნავს ძველს, ანუ XIII ს-ის დირჰემებს, განსხვავებით XIV ს-ის დირჰემებისაგან, რომლებიც თეთრად იწოდებიან. ამის ერთ-ერთი საბუთია აღაპებში მოხსენიებული „სორტნული დრამა“, რომელიც გ. ჯაფარიძის სამართლიანი ვარაუდით, უნდა შეესაბამებოდეს სელჯუკების დირჰემებს, რომლებიც დრამა სულტნის სახელწოდებით იხსენიებიან[34]. შესაძლებელია აგრეთვე, აღაპებში დადასტურებულ დრამებში იგულისხ-

---

[32] Фазлуллах Рашид ад-дин, Джами-ат-таварих (Сборник летописей), т. III, Баку, 1957, გვ. 280.

[33] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[34] გ. ჯაფარიძე, რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ XIII—XIV სს. ქართულ წერილობით წყაროებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავისადმი (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1978, გვ. 12—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებოდეს XIII ს-ში დავით VII-ისა (1293—1311 წწ.) და ვახტანგ III-ის (1302-1308 წწ.) სახელებით მოჭრილი დირჰემები, ან ქართულ-ჰულაგუიდური დრამები.

ამრიგად, ყაზანის ფულადი რეფორმის შემდეგ მონეტა დრამა აღარ არსებობს. მონღოლური დირჰემის მსგავსად საქართველოში თეთრი ჩანს ერთ ნომინალიანი ვერცხლის მონეტის სახელად. XIV ს-ის აღაპებში დამოწმებული „დრამა“ აღნიშნავს ძველი არაბული ფულადი-წონითი სისტემით XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ში მოჭრილ ვერცხლის ფულის ძირითად ერთეულს — ოთხი დანგის წონის დირჰემს, რომელიც შემორჩა XIV საუკუნეშიც ილხანთა სახელმწიფოს გარეთ.

Ц. М. ГВАБЕРИДЗЕ

О НЕКОТОРЫХ НУМИЗМАТИЧЕСКИХ ТЕРМИНАХ ПО ГРУЗИНСКИМ ПИСЬМЕННЫМ ИСТОЧНИКАМ XIII—XIV ВВ.

Резюме

В XIV в. в Грузии была распространена, введенная Газан-Кханом (1295—1304) новая монетная система, основанная на серебряном дирхеме — 6 дирхемов соответствовали одному динару. Эту систему отражают и означающие денежные стоимости термины, засвидетельствованные в грузинских письменных источниках. Некоторые из этих терминов и рассматриваются в настоящей статье.

В грузинских письменных источниках XIV в. встречаются следующие термины, обозначающие серебряные монеты: «драма», «сортнули драма», «тетри», «казанури тетри» (тетри Газана), «Гиоргис жамис тетри» (тетри времен Георгия), «кирманеули тетри», «дзвели тетри» (старое тетри), «кирманеули» и «соми».

Устанавливается, что монетный термин «драма» обозначал выпущенную в XIII в. по старой арабской системе основную денежную единику — дирхем, весом в 4 данга, которая в единичных экземплярах осталась в кладах в начале XIV века.

В противоположность «драме», «тетри» в XIV в обозначал серебряный дирхем нового типа. Устанавливается, что в течение всего XIV в. «тетри» (несмотря на уменьшение веса основной денежной единицы — дирхема) соответствовал современному ему монгольскому дирхему.

«Казанури тетри» обозначает выпущенный при Газан-Кхане серебряный дирхем, весом в 3 данга, который чеканился и обращался в Грузии в начале XIV в.

Исследователями были выдвинуты несколько иные соображения о стоимости «Гиоргис жамис тетри» (деньги времен царя Георгия). В действительности же, судя по сообщению судебника Георгия Блистательного (1314—1346 гг.) «Дзеглис дадеба», устанавливается, что упомянутая в судебнике атабага Агбуги в качестве возмещения за кровь денежная единица «Гиоргис жамис тетри» обозначает выпущенную при Георгие Блистательном серебряную монету, вес которой по сравнению с монетой Газана уменьшен и составляет 2,5 данга. Эта монета соответствует одному дирхему времен ильхана Абу-Саида (1316—1336 гг.)ъ

В грузинских письменных источниках XIV в. встречаются следую-

ეროვნული ბიბლიოთეკა

щие термины, обозначающие золотую монету: «драхкани» и «плури».

Известно, что еще в XIII в. в Грузии золотую монету называли и «драхкани», подразумевая византийские золотые монеты солиды или комисмы, а также мусульманский золотой динар. В XIV веке, как мы установили, термин «драхкани» уже не обозначал золотую монету. После денежной реформы Газан-Кхана в государстве Ильханов динар превратился в серебряную монету крупного номинала и грузинский термин «драхкани» также изменил свое содержание. Упоминающийся в «Дзеглис дадеба» Георгия Блистательного «драхкани» обозначает уже серебряный динар монетной системы ильханов. «Драхкани» в грузинских письменных источниках XIV в., также как и монгольский динар этого времени, являлся счетной денежной единицей и соответствовал шести «тетри».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ფერეთელი

ახჩიის ველის ყორღანული სამაროვანი არტაანის მტკვრის აუზში

XX საუკუნის 30-იან წლებში თრიალეთში ბ. კუფტინმა აღმოაჩინა და შეისწავლა მანამდე სრულად უცნობი დიდი ყორღანების „ბრწყინვალე კულტურა", რომელიც მან შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა. უკანასკნელ დრომდე ამ კულტურის გავრცელების საზღვრები ძირითადად ამ მაღალმთიანი რაიონით შემოფარგლებოდა. სადღეისოდ, როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, ამ კულტურის არეალი თავდაპირველი აღმოჩენის რაიონს ბევრად სცილდება, რამაც, ბუნებრივია, ბევრი საინტერესო საკითხი აღძრა მისი წარმოშობის, განვითარებისა და ხასიათის შესახებ.

თრიალეთური კულტურის ძეგლები აღმოჩენილ იქნა ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ სომხეთში[1], შიდა ქართლში[2], ქვემო ქართლის ვაკეზე[3], წალკის პლატოს მიმდგომ ზურტაკეთის ზეგანზე[4], კახეთში[5]. როგორც ცნობილია, თრიალეთური კულტურის მასალა ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობს და ამ ხნის ნამოსახლარები ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოვლენილი და შესწავლილი. ამიტომ მეტად საინტერესოა და პერსპექტიული იორ-ალაზნის ორმდინარეთში სულ უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი ნასახლარი ბორცვები, სადაც სხვადასხვა დროის ფენათა შორის შუა ბრინჯაოს ხანის კვალი ჩანს[6]. სამიოდე წლის წინთ რამდენიმე ნასახლარის ნაშთი მიკვლეულ იქნა არარატის ველის წინამთების ზოლში[7].

თრიალეთური კულტურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კულტურის ახალი მძლავრი კერის აღმოჩენას მესხეთში, არტაანის მტკვრის აუზში. აქ, 1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა და 1977 წლამდე ისწავლებოდა ყორღანული, სამარხები, რომლებიც განლაგებულია არტაანის მტკვრის აუზის ორივე ნაპირის ტერასებზე. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ყორღანები მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერასებზე. გარდა ყორღანული სამარხებისა,

---

[1] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949, Г. Е. Арешян, Новые исследования памятников среднего бронзового века Армении, Тезисы Всесоюзной археологической сессии, М., 1977.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 201—243.

[3] ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971), თბ., 1975.

[4] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969.

[5] К. Н. Пицхелаури, Ш. Ш. Дедабришвили, Археологические исследования на новостройках Кахети, в кн.: Археологические исследования и новостройки ГССР, Тб., 1976.

[6] К. Н. Пицхелаури, Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

[7] Г. Е. Арешян, დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთში პირველად ამიერკავკასიის არქეოლოგიაში აღმოჩნდა და შესწავლილ იქნა ლოდოვანში გამართული უზარმაზარი ყორღანული სამაროვნები („ყაჩაღები“, „გელათხარძლები“), რამაც ახლებურად დააყენა საკითხი მესხეთში მოსახლე ტომების ცხოვრების ხასიათის შესახებ.

1970—1972 წლებში ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა არტაანის მტკვრის მარცხენა სანაპიროს მესამე ტერასაზე — ახჩიის მინდვრებზე[8].

ახჩია მდებარეობს ვარძიიდან 6 კმ დაშორებით მტკვრის გაყოლებით ზემოთ, მის მარცხენა ნაპირზე. იგი ვერტიკალურად განლაგებული რამდენიმე ტერასისაგან შედგება ყორღანების ცალკეული ჯგუფები გვხვდება სულ ქვედა ტერასიდან მოკიდებული, სადაც ადრე სოფ. ახჩია მდებარეობდა, ვიდრე ერუშეთის პლატომდე. ყველაზე მეტად ყორღანები კონცენტრირებულია ზედა ტერასის ორსავე სართულზე — „ახჩიის მინდვრებზე“ ქვედა სართული ამ ტერასისა, რომელიც კონცხივითაა წინ წამოწეული და არც თუ ისე მოზრდილ ველს წარმოადგენს, ყორღანების დიდ ჯგუფს უკავია. ამ ჯგუფში გამოირჩევა ერთი, ყველაზე მოზრდილი ყორღანი მაღალი ქვაყრილით, რომელიც ზედ ველის პირას მდებარეობს. აქვე გვხვდება ზომით საშუალო ქვამიწაყრილიანი ყორღანები და შედარებით მომცრო ზომის უყრილო ყორღანები.

უფრო მცირე ჯგუფი ყორღანებისა ახჩიის ველის მაღლა მდებარეობს, ჩრდილო-დასავლეთით, შედარებით მომცრო ტერასაზე, ნიალისაკენ მიმავალი გზის პირას. აქაც ისევე როგორც ქვედა ტერასაზე, გვხვდება ერთი დიდი



სურ. 1.

[8] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970 — 1971 წლების მუშაობის ანგარში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები (შემ. სსმე), ტ. III, თბ., 1974; ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—1973 წლების მუშაობის ანგარში, სსმე, ტ. IV, თბ.,.1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვაყრილიანი ყორღანი, დანარჩენი ყორღანები პატარა ზომისაა, დაბალი ქვამიწაყრილით.

1970 წელს ახჩიის მინდვრებზე გაითხარა სამი ყორღანი[9].

ყორღანი № 1 (სურ. 1, ტაბ. 1—1) ქვაყრილიანი, დიდი. მდებარეობს ველის პირას და გარეგნულად არ განსხვავდება წალკისა და გომარეთის პლატოების ქვაყრილიანი ყორღანებისაგან. კამერა წარმოადგენს საკმაოდ მოგრძო ტალანს, ნაგებია მშრალად, მოზრდილი ნაგლეჯი ქვებისაგან. სიგრძე 5,70 მ, სიგანე შესასვლელთან 2,83 მ. დასავლეთ კედელთან 2,20 მ, სიმაღლე 2,75 მ, გრძივი კედლები ისეა ნაგები, რომ მათ შორის მანძილი ზევით ვიწროვდება და სახურავთან 1,25 მ-ია. სახურავად გამოყენებულია ქვის ფილები. ფილებს შორის არე ამოვსებულია წვრილი ქვით.

დასაკრძალავ კამერას აღმოსავლეთით მოკლე დრომოსი აქვს — სიგრძე 3,5 მ, სიმაღლე შესასვლელთან 1,1 მ, კამერასთან 2,25 მ. სიგანე შესასვლელთან 2 მ, კამერასთან 3 მ. დრომოსიც ნაგებია მშრალად, დიდი ნაგლეჯი ქვებისაგან. მისი იატაკი კამერისაკენ თანაბრადაა დაქანებული. დრომოსი და კამერა გაყოფილია მოზრდილი ქვებით ნაგები ტიხრით. გათხრისას დრომოსსა და კამერაში სხვადასხვა დგილას ჩნდებოდა შავპრიალა და წითელი თიხის ნატეხები, უპირატესად მოზრდილი ჭურჭლისა. კამერის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ხის ნაშთი. კამერის აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილში ბევრია მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

კამერის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში ტიხართან აღმოჩნდა ქვის სამი „სადგარი". მათ ცილინდრული ფორმა აქვთ და შუა ნაწილზე ბრტყელი სახელურია გამოყვანილი. მსგავსი ნივთები ჩვენთვის ცნობილი არ არის. კამერის დაახლოებით შუა ნაწილში ნაპოვნი იყო ორი პატარა, ყუნწიანი სატეგრისპირი. აქვე იყო ოქროს ფუტურო მძივი და ოქროს ფირფიტის ნატეხი.

ყორღანი № 2 (ტაბ. I—II) დაშორებულია № 1 ყორღანიდან 200 მ სამხრეთ-დასავლეთით. ეს ყორღანი განსხვავებული ხასიათისაა. მას დაბალი ქვამიწაყრილი აქვს და ირგვლივ დიდი ქვებისაგან შემდგარი წრე შემოჰყვება, დმ-9, 36. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ამოღებული იყო 4,90 მ. დიამეტრის ორმო. ორმოში ამოშენებული იყო კამერა და დრომოსი. კამერა ზემოდან გადახურული იყო სამი დიდი ბრტყელი ქვით: სახურავი წრის ქვიდან 0,30 მ სიღრმეზე იყო. დრომოსი და კამერა ერთიანი მთლიანი კედლისაგან შედგება. კედლები ნაგებია მშრალად, მოზრდილი ქვებისაგან. დრომოსის კედლები კლდეს ებჯინებიან. კლდე დამრეცადაა ჩაჭრილი და ამიტომ დრომოსის ზედა რიგი უფრო გრძელია, ვიდრე ქვედა. ზედა რიგი კედლისა წრეს აღწევს. კამერის სიგრძე 3,17 მ., სიმაღლე 2,52 მ, სიგანე იატაკთან 1,85 მ., სახურავთან 0,94 მ, სიგანე შესასვლელთან 1,91 მ, კამერასთან 1,36 მ.

დრომოსი და კამერა თავამდე ამოვსებული იყო მიწით და ქვით. წმენდის დროს კამერაში სხვადასხვა ადგილას ამოღებოდა ადამიანის ძვლები, როგორც ჩანს, რამდენიმე მიცვალებული იყო დაკრძალული. ტიხართან აღმოჩნდა ცხვრის თითქმის მთლიანი ჩონჩხი, სამარხეული ინვენტარი მხოლოდ თიხის ჭურჭლებთ არის წარმოდგენილი.

ყორღანი № 3 (სურ. 2) დასავლეთის მხრიდან მას ქვამიწაყრილი აქვს,

---

[9] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წწ. მუშაობის ანგარიში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის მხრიდან კი ქვაყრილი. მას ფუძე არ ეტყობა, ოღონდ ყრილის ძირზე მოზრდილი ქვების წრე შემოუყვება. სიმაღლე — 1,40 მ, დმ — 20 მ. დრომოსი და კამერა ორმოშია მოთავსებული და შემდეგ დაბალი ქვამიწაყრილია დაყრილი. დრომოსი ნაგებია დიდი ქვებისაგან. იგი სწრაფად ღრმავდება კამერისაკენ. მისი კედლები დამრეცადაა ნაგები. იგი შესასვლელთან უფრო განიერია და შემდეგ კამერისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. სიგანე შესასვლელთან 1,90 მ, კამერასთან — 1,0 მ, სამხრეთის კედლის სიმაღლე

ყორღანი №3



სურ. 2.

კამერასთან 3, 80 მ, დრომოსის შესასვლელთან 1,30 მ. ჩრდილო კედელიც დამრეცია (სხვაობა 0,35 მ), მისი სიმაღლე კამერასთან 3,90 მ, დრომოსის დასაწყისთან — 1,08 მ. დრომოსის სიგრძე 4,0 მ. დრომოსსა და კამერას შორის მოზრდილი ქვებისაგან არაწესიერად ნაგები ტიხარი იყო. კამერა დრომოსზე დაბალია და ამიტომ კამერაში შესასვლელთან საფეხური იქმნება. საფეხურის სიმაღლეა — 0,53 მ.

კამერის სიგრძეა 5 მ, სიგანე 1,95 მ, სიმაღლე 3,10 მ. გადახურულია ოთხი მოზრდილი ქვის ფილით. კამერის შიგნით წმინდა მიწა იყო. მასში თითქმის არ იყო შერეული ქვა.

კამერის წინა ნაწილში, შესასვლელიდან დაახლოებით 0,80 მ. დაშორებით აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, სამწუხაროდ, მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. გარდა თავის ქალის სარქველის ნატეხებისა, ქვედა ყბისა და რამდენიმე სხვა ძვლის მეტი, არაფერი აღმოჩენილა. ყბაზე შერჩენილი კბილებით შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული საკმაოდ ახალგაზრდა იყო. კამერაში სხვადასხვა ადგილას მსხვილფეხა საქონლის ძვლებს ვპოულობდით. გვხვდებოდა აგრეთვე წვრილფეხა საქონლის ძვლებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამერაში ნაკლები იყო თიხის ჭურჭელი. აღმოჩენილი ჭურჭლიდან შედარებით მეტი იყო კამერის სამხრეთის კედელთან. ამ კედლის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ერთი მთელი შავპრიალა ჭურჭელი წერტილოვანი ორნამენტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია კამერის ამავე ნაწილში აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები. კერამიკა ჩნდებოდა, აგრეთვე, კამერის წინა ნაწილში. სამხრეთის კედლის მახლობლად, დაახლოებით შუა ნაწილში თიხის ჭურჭლის ნატეხებთან, აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბის პირი ოქროს სალტეთი მასრის ბოლოზე. კამერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, დასავლეთ კედელთან 0,10 მ დაშორებით, აღმოჩნდა ბრინჯაოს გრეხილი მავთული. ამავე კუთხეში, დასავლეთის კედლის ძირზე, ჩრდილო კედლიდან 0,15 მ დაშორებით ნაპოვნი იყო მოზრდილი ოქროს მძივი. დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში კედელზე მიყრდნობილი იყო ეტლის თვალი (შერჩენილია თვლის შუა ნაწილი). სეგმენტები თითქმის მთლიანად დამპალი იყო.

1971 წელს ახჩის მინდვრებზე გაითხარა კიდევ 6 ყორღანი[10]. ყორღანი № 4 (სურ. 3.) წარმოადგენს საშუალო ზომის ყორღანს დ. — 20 მ, სიმაღლე 2 მ. დრომოსი და კამერა ჩაჭრილია მიწაში და წარმოადგენს ნაგლეჯი ქვები-

ყორღანი № 4



სურ. 3.

საგან ამოშენებულ ერთ მთლიანს, 8 მეტრი სიგრძის ტალანს. დრომოსის იატაკი კამერისაკენ მკვეთრად დაქანებული პანდუსია, რომელიც საფეხურიო გადადის კამერის იატაკზე. კამერა დრომოსისაგან გამოყოფილია ქვებისაგან ნაგები ტიხარით და წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ სათავსს 4. 80 X 2.40

[10] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ი. კ ი კ ვ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მესხეთ ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970 —1971 წწ. მუშაობის ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კედლები ნაგებია ისე რომ კამერა სახურავისაკენ თანდათან ვიწროვდება და გადახურულია 1,5—2 მ სიგანის ოთხი უხეშად გათლილი ქვის ფილით. სიგრძივ კედლებში დატანებულია საკმაოდ მოზრდილი ნიშები. სამწუხაროდ, ყორღანი გაძარცული აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია მხოლოდ თიხის ჭურჭლის ნატეხებით, რომლებიც ფიქსირებულია როგორც კამერაში, ასევე დრომოსში. დრომოსი ამოვსებული იყო ქვის ლოდებით.

ყორღანი № 5 პატარა ზომის, უყრილო ყორღანია. ინვენტარს მხოლოდ კერამიკა შეადგენდა.

ყორღანი № 6. უყრილო, ამ ყორღანში აღმოჩნდა ერთი თიხის ჭურჭელი და ერთიც მძივსაკიდი. თიხის ჭურჭელი რუხი ფერისაა, ყელმაღალი, განიერი მრჩებით, მუცელი ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება, ბრტყელძირიანია. ფორმით ჰგავს მტკვარ-არაქსულს. მძივსაკიდი მოწითალო სერდოლიკისაა.

ყორღანი № 7, ყრილი ქვამიწისაა, დაბალი — 0,70 მ სიმაღლის, წრის დიამეტრი O—W 8,0 მ N S მიმართულებით — 8,0 მ. კამერა გადახურული იყო სამი ბრტყელი ქვით. კამერა მიმართულია O—W, დრომოსი არა აქვს. კამერის სიგრძე 3,0 მ, სიგანე კამერის ძირზე — 1,33 მ, კამერის თავთან — 0,90 მ.

კამერა მთლიანად მიწით იყო სავსე. კამერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ქვაში რამდენიმე ჭურჭელი იდო, რომელთაგან ერთში ადამიანის თავის ქალა იყო მთავსებული, ჭურჭლების თავზე ადამიანის ბარძაყის ძვალი აღმოჩნდა. ჭურჭლებს ქვეშ მანგალეფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები იყო. ყორღანის ჩრდილო კედელთან, ჩრდილო-დასავლეთ კუთხიდან 0,70 მ დაშორებით კიდევ მეორე თავის ქალა აღმოჩნდა ქვაზე დადებული. აქვე იყო საქონლის ძვლები. რამდენიმე ჭურჭელი აღმოჩნდა კამერის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში. სამხრეთის კედელთან სამი ჯამი იდგა, რომელთაგან მოზრდილში საქონლის ძვლები იდო. ერთი სატევრის პირი აღმოჩნდა ცენტრალურ ნაწილში.

ყორღანი № 8*.

ყორღანი № 9 ტერასში იყო ჩასმული, გარშემო ქვის წრე შემოუყვებოდა — დმ 12,5 მ. კამერის სახურავი 0,40 მ სიღრმეზე იყო მიწის პირიდან. ყორღანა აღმოსავლეთით დრომოსი ჰქონდა, რომელიც კამერისაკენ თანდათანობით ღრმავდებოდა. დრომოსის კედლები სიმაღლეში თანდათან ვიწროვდებოდა, კედლები დამრეცადაა ნაგები. დრომოსის ჩრდილო კედელი ექვსი რიგისაგან შედგებოდა. მისი სიგრძეა 4,50 მ, სიმაღლე დასაწყისში 0,50 მ, კამერასთან — 2,50 მ. დრომოსის სამხრეთი კედელი 6—7 რიგისაგან შედგებოდა. სიგრძე — 4,0 მ, სიმაღლე დასაწყისში — 0,50 მ, სიმაღლე კამერასთან 2,70 მ. დრომოსის სიგანე დასაწყისში — 2,80 მ, კამერასთან — 2,40 მ. დრომოსის კედლები პირდაპირ გადადიოდა კამერის კედლებში. კამერა დასავლეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. კამერის კედლებიც დამრეცადაა ნაგები. კამერის ჩრდილო კედელი შვიდი რიგისაგან შედგება. კამერის სამივე ძირა ქვა მოზრდილია ზედა რიგის ქვები უფრო პატარებია. ჩრდილო კედლის სიგრძე — 5,30 მ, სიმაღლე 3,50 მ, დამრეცობის სხვაობა — 0,40 მ. სამხრეთის კედლის სიგრძე — 5,20 მ, სიმაღლე — 3,60 მ, დამრეცობის სხვაობა — 0,40 მ. სამხრე-

* პატარა ყრილის აღების შემდეგ გამოჩნდა ყამირი, როგორც ჩანს, ყორღანი არ უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის კედელი შვიდი რიგისაგან შედგება. დასავლეთის კედელი ექვსი რიგისაა. კამერა ოთხი ქვით იყო გადახურული. კამერასა და დრომოსს შორის ტიხარი იყო. ტიხრის კედელი არაწესიერი წყობის მოზრდილი ქვების ხუთი რიგისაგან შედგებოდა, და თითქმის კამერის სახურავს აღწევდა. ქვედა რიგზე ორი დიდი ქვა იდო — სიგრძე — 2,40 მ, სიმაღლე 1,26 მ. კამერის მიმართულება O—W.

დრომოსი დიდი ქვებით იყო ამოვსებული. დრომოსის შესასვლელთან დაახლოებით შუა ადგილას ქვებში აღმოჩნდა ერთი შავი ქილა წერტილოვანი ორნამენტით ყორღანის თავიდან 1,0 მ სიღრმეზე. იგი თითქოს საგანგებოდ იყო ჩადგმული და ქვებით შემოწყობილი.

კამერა მთლიანად მიწით იყო ამოვსებული. ზედა ნაწილში სუფთა. მიწა იყო ჩაყრილი, შემდეგ კი ქვა და მიწა იყო. კამერის შუა ნაწილში სახურავის ქვიდან 2,50 მ. სიღრმეზე, ქვებზე აღმოჩნდა ადამიანის ძვლები. ადამიანის თავის ქალა ჩრდილო კედელთან იყო, ფეხები მოკეცილი ჰქონდა. აქვე იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები. კამერის თეძო ფართობზე ამოდიოდა დიდი რაოდენობით მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები და კერამიკა. ამდენი ძვლები საქონლისა არც ერთ სხვა ყორღანში არ შეგხვედრია. კამერის შუა ნაწილში პირველი ჩონჩხის ქვეშ კიდევ აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა ჩრდილოეთით და კიდურების ძვლები სამხრეთით. ჩრდილო კედელთან აღმოჩნდა მოხატული ჭურჭლის ნაწილები. კამერის სხვადასხვა ადგილს ჩნდებოდა ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები. შესასვლელთან აღმოჩნდა ქვის ჯამი. დასავლეთ კედელთან ზედ ყამირზე ადამიანის ქვედა ყბის ორი ნატეხი იყო, ერთი მოზრდილი და მეორე ბავშვის. ადამიანის თავის ქალის ნატეხები აღმოჩნდა, აგრეთვე, სამხერთ-დასავლეთ ნაწილში, ზედ ტი-



სურ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხართან ჩრდილო კედლის კუთხესთან, სახურავის ქვიდან 3,10 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა. მის გვერდით ორი მილისებრი რაღაც ჭურჭელი იდო ორივე თავთან ვახვრეტილი. შესასვლელთან ერთი ფუძე ამოღარული ობსიდიანის ისრის პირი და სერდოლიკის მძივები.

ყორღანი № 10 (სურ. 4) წრე მოზრდილი ქვებისაგან იყო შეკრული, ყრილი არ ეტყობოდა. წრის დიამეტრი OW—7,15 მ, NS—7,45, წრის შუა ნაწილში კამერის სამი სახურავის ქვა ჩანდა.

ორმაში ჩადგმული კამერა მიწით იყო სავსე. იგი ოთხივ მხრიდან ბრტყელი მოზრდილი ქვებით იყო ნაგები. კამერის მიმართულება O—W. ზომებია: ჩრდილო კედლის სიგრძე — 2,15 მ, სიმაღლე — 1,38 სამხრეთის კედლის სიგრძე — 1,90 მ, სიმაღლე — 1,45 მ, დასავლეთის კედლის სიგრძე — 0,95 მ, სიმაღლე — 1,30 მ, აღმოსავლეთის კედლის სიგრძე — 1,0 მ, დარჩენილი ნაწილის სიმაღლე — 0,76 მ.

კამერის დასავლეთ ნაწილში უწესრიგოდ ჩადგმული იყო 30-მდე მთელი ჭურჭელი, ძირითადად ქილები და ბადიები. ყველა ქილა წაქცეული იყო. ზოგიერთი ჭურჭელი ერთმანეთზე იდო. ერთ-ერთ ქილაში წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა. კამერაში რამდენიმე მიცვალებული იყო. თავის ქალის ნაწილი ჩანდა ჩრდილო კედლის შუა ნაწილში, ერთი დამტვრეული თავის ქალა და კიდურების ძვლები აღმოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მიცვალებული იწვა ძლიერ მოკრუნჩხული ფეხებით. ორი თავის ქალა აღმოსავლეთ კედელთანაც აღმოჩნდა. აქვე იდო წვრილფეხა საქონლის ძვლები.

1972 წელს ახჩიის მინდვრებზე გაითხარა კიდევ 7 ყორღანი[11].

ყორღანი № 11, სიმაღლე — 1,50 მ, დიამეტრი — W—S — 16,0 მ. ქვის წრის დიამეტრი — 10,5 მ. სამხრეთის მხრიდან ყორღანი უფრო მაღალია, აღმოსავლეთით კი უფრო დაბალი. ქვის წრე მოზრდილი ქვებისაგან შედგება და ქვამოწაყრილი ამ ქვებს სიმაღლით მაინცდამაინც არ სცილდება. კამერა შიგ ქვის წრის ცენტრშია ნაგები. კამერის მიმართულება O—W.

დრომოსი, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან იყო, იწყებოდა ზედ ქვის წრიდან, რომელიც ნელ-ნელა ღრმავდებოდა კამერისაკენ. ჩრდილო კედლის სიგრძე შუბლის ქვამდე — 2,25 მ. სამხრეთის კედლის სიგრძე 2,90 მ. სიგანე დრომოსისა დასაწყისში — 2,25 მ, კამერასთან — 2,13 მ. დრომოსის სამხრეთის კედლის სიმაღლე — 2,60 მ, ჩრდილო კედლის სიმაღლე — 2,50 მ. სამხრეთის კედელი შედგება 6 რიგისაგან, ჩრდილოეთისა 7 რიგისაგან.

კამერასა და დრომოსს შორის ტიხარია, რომელიც მოზრდილი ქვებისაგან შედგებოდა. შერჩენილია მხოლოდ ტიხრის ორი რიგი. დრომოსის კედლები ტიხრის ამ ქვებთან მთავრდება. ტიხრის შერჩენილი ნაწილის სიმაღლეა — 0,80 მ, სიგანე — 0,77 მ, სიგრძე — 2,0.

კამერის ქვედა რიგი მოზრდილი ქვებისაგან შედგება. ორივე გრძივ კედლებში ქვედა რიგად სამ-სამი ქვა დევს, ზედა რიგი უფრო მომცრო ქვებით იყო ნაგები. ჩრდილო კედელი შედგება 5—6 რიგისაგან, სამხრეთისა — 5 რიგისაგან, დასავლეთის კედელი კი 4 რიგისაგან. კამერის სიგრძე — 3,60 მ,

---

[11] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის 1972 1973 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმე, ტ. IV, თბ., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგანე — 1,80 მ, სიმაღლე კამერის შესასვლელთან 2,60 მ, ორივე გრძივი კედელი დამრეცადაა ნაგები.

კამერა გადახურული იყო ოთხი ქვით. სახურავის მთლიანი სიგრძე 3,60 მ. კამერა თითქმის მთლიანად ქვითა და მიწით იყო ამოვსებული. მის ჩიელ ზედაპირზე ამოდიოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ადამიანის და ცხოველის ძვლები. აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის თავის ქალა. კამერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდო ერთი ფერის ბადია, რომელშიც ადამიანის ქვედა ყბა აღმოჩნდა. ადამიანის ძვლებთან ერთად აქვე იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების ძვლებიც, აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან უფრო მეტია ტიპიური „მესხური" კერამიკისათვის დამახასიათებელი ღია ფერის ნატეხები. ერთ-ერთ ნატეხზე შემოჩენილია მხრებზე სამი კონუსისებრი კოპი. რამდენიმე ბადიის ნატეხი უფრო ღია ფერისაა. განსხვავებული ფორმისაა შავპრიალა ზედაპირიანი ერთი ღრმა ჯამი, რომელსაც ზედა ნაწილში სამი ფართო ღარი აქვს.

ყორღანი № 12. ქვისწრიანი ყორღანია. ქვაყრილი თითქმის არ ეტყობა. კარგად შეკრული წრე შემოუყვება მოზრდილი ქვებისაგან. წრის დიამეტრი — 7,50 მ. კამერა მოთავსებული იყო არა წრის ცენტრში, არამედ უფრო აღმოსავლეთ ნაწილში. გადახურვის ქვა გამოჩნდა 0,50 მ. სიღრმეზე. დრომოსი არ ჰქონდა. კამერის წინა მხრიდან დიდი ქვები იყო ჩაწყობილი. კამერა იწყებოდა ქვის წრიდან 2,70 მ დაცილებით. კამერა სამი დიდი ქვით იყო გადახურული. სახურავის საერთო სიგრძე — 3,50 მ. შუბლის ქვამდე იდო მოზრდილი ქვა, რომლის სიმაღლე 1,0 მ. უდრიდა. სიგანე კი 1,17 მ. ამ ქვის აქეთ-იქით შუბლის ქვაზე ორი პატარა ქვა იდო.

შესასვლელთან კამერას ტიხარი ჰქონდა. შემორჩენილი იყო ტიხრის ოთხი რიგი. შუბლის ქვიდან ტიხრამდე 1,26 მ. შერჩენილი ტიხრის სიმაღლე — 1,54 მ, სიგრძე — 1,70 მ.

კამერა ნაგები იყო მოზრდილი ქვებით ჩრდილო-დასავლეთის კედლის ზომებია: სიგრძე — 3,43 მ, სიმაღლე 2,74 მ. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის სიგრძე — 3,40 მ, სიმაღლე 2,60 მ, სამხრეთ-დასავლეთ კედლის სიგრძე 2,60 მ, სიმაღლე 1,80 მ. ჩრდილო კედელი შედგებოდა 6—7 რიგისაგან, სამხრეთისა და დასავლეთის კი 5—6 რიგისაგან. კამერის სამივე კედელი დამრეცადაა ნაგები, სიგანე კამერისა ძირზე — 2,0 მ, სახურავთან კი 1,02 მ. კამერა მთლიანად ამოვსებული იყო მიწითა და ქვით. მთელ ფართობზე სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა ადამიანის და საქონლის ძვლები და კერამიკის ნატეხები. ნაპოვნი იყო ქვის ჯამი.

ყორღანი № 13. მას ყრილი არ ეტყობა მოზრდილი ქვებისაგან შეკრულ წრეს ოვალური მოყვანილობა ჰქონდა. წრის ზომებია: — სიგრძე 3,20 მ (SW—NO), სიგანე — 2,60 (NW—OS) კამერა წრის ცენტრში კი არ იყო, არამედ O მხარეში, ზედ წრის ქვებთან. წრის NW ნაწილში ყამირი იწყებოდა 1,0 მ სიღრმეზე. ამ მხრიდან კამერის სიგრძივი კედელი წრეს 1,10 მ. იყო დაშორებული — კამერას დრომოსი არ ჰქონდა. მისი შესასვლელი ზედა ქვის წრესთან იწყებოდა. გადახურვიდან შერჩენილი იყო მხოლოდ ორი ქვა კამერის NO ნაწილში.

კამერის კედლები მოზრდილი ქვითაა ნაგები. NW კედელი ოთხი მწკრივისაგან შედგება. მისი სიგრძეა 2,30 მ, სიმაღლე — 1,40 მ. OS კედელი ხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი რიგისაგან შედგებოდა. სიგრძე 2,15 მ სიმაღლე 1,57 მ. NO განივი კედელი აგრეთვე ხუთი რიგისაგან შედგებოდა — სიგრძე — 1,02 მ, სიმაღლე — 1,35 მ. SW კედელი კამერას არ ჰქონდა და ორივე სიგრძივი კედელი ყამირს ებჯინებოდა. კედლები კამერისა ოდნავ დამრეცადაა ნაგები. კამერის სიგანე ძირზე — 1,25 მ., გადახურვის ქვებთან — 0.70 მ.

კამერის დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა, ძლიერ დაშლილი. მის გვერდით მენჯის ძვალი იდო. აქვე აღმოჩნდა ერთი ქილა. დანარჩენი ექვსი ჭურჭელი ნაპოვნი იყო სამხრეთ კუთხეში და სამხრეთ-აღმოსავლეთის კრძივ კედელთან. აქედან ხუთი მოზრდილი ქილაა, შავპრიალა, ერთიც ბადია — კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის ძირას ჭურჭლებს შორის აღმოჩნდა სპილენძის სპირალი. ერთ-ერთ ჭურჭელში მძივი იდო. ძვლის სახელური ორი სამანჭვლე ნახერატით იდო კამერის შუა ნაწილში. წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა სხვადასხვა ადგილას.

აღსანიშნავია, რომ ყველა ნივთი აღმოჩნდა კამერის იმ ნაწილში, სადაც გადახურვის ქვები იყო შერჩენილი. იმ ნაწილში, სადაც გადახურვის ქვები არ იყო, ერთი ჭურჭლის ძირის გარდა, არაფერი აღმოჩნდა.

ყორღანი № 14 ტერასის პირასაა ნაგები. კამერა შიგ ტერასშია შეჭრილი. ტერასის წინ დიდი ქვებისაგან შეკრული ნახევარი წრეა, რომლის ორივე ბოლო ტერასას ებჯინება. ყორღანს მოზრდილი ქვებისაგან დაბალი ყრილი ჰქონდა, რომლის სიმაღლე ნახევარწრიდან 1,0 მ. უდრიდა.

ნახევარი წრე შედგებოდა ექვსი მოზდრილი ქვისაგან, რომელიც ზედ ყამირზე იდო. ნახევარი დიამეტრი NS მიმართულებით — 6.20 მ. მანძილი ნახევარ წრიდან შუბლის ქვამდე — 2,80 მ. ყორღანის მიმართულებაა O—W. აღმოსავლეთის მხრიდან მოკლე დრომოსი ჰქონდა. მისი ჩრდილო კედელი 0,40 მ. სიმაღლის ერთი ქვისაგან შედგებოდა, სამხრეთისა კი — 0.65 სიმაღლის ორი ქვისაგან. ჩრდილო კედლის სიგრძე — 0.60 მ, სამხრეთისა — 0,85 მ, დრომოსი სწრაფად ეშვება კამერისაკენ. კამერის სიმაღლე შესასვლელთან 1,25 მ, სიგანე შესასვლელთან 0,90 მ. კამერა მოლიანად მიწით იყო სავსე. კამერის სიგრძე 2,40 მ, სიგანე 1,10 მ, სიმაღლე 1,25 მ. კამერა გადახურული იყო სამი ქვით.

კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შესასვლელიდან 0, 60 მ დაშორებით ზედ სამხრეთის კედელთან ქვაზე იყო თავის ქალა. ამავე კედელთან მის შუა ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის ბარძაყის, წვივის, ხერხემლის, მენჯის ძვლები. აქვე იყო მსხვილფეხა საქონლის კიდურის ორი ძვალი და მეორე მიცვალებულის ქვედა ყბა, აგრეთვე ბავშვის ქვედაყბის ნაწილი. დასავლეთ კედელთან მოზრდილ დერგში, რომელიც მიწით იყო სავსე, ბავშვის თავის ქალა იდო. სამარხში ჩანს, სულ ცოტა სამი მიცვალებული იყო, მაგრამ ძვლები იმდენად არეული იყო, რომ პოზის დადგენა თითქმის შეუძლებელი გახდა. წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა სამხრეთი კედლის ძირზე. ყორღანში ბევრი ფერადი ჭურჭელი იყო კამერის სხვადასხვა ადგილის: კამერის დასაწყისში,ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში რამდენიმე თიხის ჭურჭელი იდო. ერთი ჯგუფი ჭურჭლებისა იდგა სამხრეთი კედლის შუა ნაწილში. კამერის ცენტრალური ნაწილი ცარიელი იყო. დასავლეთ ნაწილში ელაგა მოზრდილი ჭურჭლები, ჯამები და ქოთნები.

კერამიკა ამ ყორღანის მრავალფეროვანია და თავისებურიც. არის მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღოდ ერთი ქილა ნაწილობრივ წერტილოვანი ორნამენტით შემკული. დანარჩენ ჭურჭლებს თრიალეთურ კერამიკასთან საერთო არაფერი აქვთ. ორი ქილა შეიძლება რამდენადმე მივუახლოვოთ თრიალეთურს, ერთი კოპებით შემკული და გველის რელიფური ორნამენტით და მეორე მოზრდილი ქილა ო-ს მაგვარი რელიეფური ნიშნით. სხვა ჭურჭლები ტიპიური „მესხურია“.

ყორღანი № 15. მდებარეობს ახჩიის ველის ზედა ტერასაზე, აგარისაკენ მიმავალი გზის პირას. ეს ჩანს ერთი ჯგუფი ყორღანებისა, რომელთაგან ყორღანი № 15 გამოირჩევა სიდიდით და, აგრეთვე, იმით, რომ მას საკმაოდ მაღალი ქვაყრილი აქვს. იგი ტიპობრივად ახჩიის № 1 ყორღანს ჰგავს და თრიალეთის ქვაყრილიან ყორღანებს უახლოვდება.

გათხრებამდე კარგად ჩანდა ქვაყრილში კამერის სახურავის ქვები, რომელთაგან რამდენიმე ჩამტვრეული იყო და კამერაში ჩაცვენილი. ყორღანს, ისევე როგორც თრიალეთის დიდი ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი ქვამოწაყრილის ფუძე ჰქონდა და ქვის წრე შემოუყვებოდა. ფუძის სიმაღლე— 0,80 მ, უდრიდა და შემდეგ იწყებოდა რიყის მოზრდილი ქვებისაგან შემდგარი ყრილი.

კამერა ნაგები იყო ცენტრალურ ნაწილში. მიმართულება O—W ოდნავ ჩრდილოეთით გადახრილი. აღმოსავლეთის მხრიდან კამერას დრომოსი ჰქონდა, შედარებით მოკლე, რომელიც ქვის წრიდან 7,30 მ დაშორებით იწყებოდა. დრომოსი სწრაფად ღრმავდებოდა და თანდათანობით ვიწროვდებოდა კამერისაკენ. დასაწყისში დრომოსს ორი რიგის ქვები ჰქონდა, კამერასთან კი უკვე ექვსი. დრომოსი ნაგებია დიდი ქვებით და ამოქოლილი იყო მოზრდილი ქვებით.

დრომოსის ჩრდილო კედლის სიგრძე — 4,14 მ, სიმაღლე დასაწყისში 1,0 მ, სიმაღლე კამერასთან — 3,80 მ. სამხრეთის კედლის სიგრძე — 4,0 მ სიმაღლე დასაწყისთან — 1,0 მ, კამერასთან — 4 ,15 მ. დრომოსის სიგანე დასაწყისთან — 2,70 მ, სიგანე კამერასთან — 2,70 მ. დრომოსი კამერასთან შედარებით უფრო ჩრდილოეთით იყო გადახრილი.

დრომოსსა და კამერას შორის ზოზრდილი ქვებისაგან ნაგები ტიხარია. შემორჩენილია ტიხრის სამი რიგი. ტიხრის სიგრძე 2,30 მ. შერჩენილი სიმაღლე — 1,90 მ.

კამერის სახურავიდან გადარჩენილი იყო ბოლო ქვა. ბოლოს მომდევნო ქვა კამერაში იყო ჩავარდნილი, შემდგომი ქვა თავის ადგილას იდო. აკლდა შუბლის ქვა.

კამერის სამხრეთი კედლის სიგრძე 6,0 მ, სიმაღლე — 3,30 მ, შედგებოდა ოთხი რიგისაგან ნაგები მოზრდილი ქვებით. ზედა რიგი ოდნავ შიგნით იყო შეწეული. ჩრდილო კედლის სიგრძე — 5,35 მ, სიმაღლე — 3,25 მ. ეს კედელი ზოგან ხუთი რიგისა, ზოგან ოთხი რიგისაგან იყო შემდგარი, ნაგები დიდი ქვებით. ეს კედელი სამხრეთთან შედარებით უფრო მეტად იყო შიგნით გადაწეული. დასავლეთ კედლის სიგრძე ზედა ნაწილში 1,30 მ კამერის ძირთან 2, 20 მ, კამერის სიგანე ტიხართან 2,60 მ. კამერის სიგანე სახურავის ქვასთან შუა ნაწილში 1,42 მ. კამერა ქვითა და მიწით იყო სავსე. მთელ ფართობზე ამოდიოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ადამიანისა და ცხოველის ძვლები. როგორც ჩანს, აქ ერთი მიცვალებული უნდა ყოფილიყო დაკრძალული. აღმოსავლეთ კუთხეში ტიხრიდან 1,0 მ. დაშორებით აღმოჩნდა მოზრდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერგი. ჩრდილო კედელთან ტიხრიდან 1,0 მ. დაშორებით ორი მომცრო ჭურჭელი იდგა. კამერის ძირზე ცენტრალურ ნაწილში ოქროს ფირფიტის პატარა ნატეხი აღმოჩნდა.

ყორღანი № 16. პატარა ზომისაა, № 15 ყორღანიდან სამხრეთით 40 მ. დაშორებით. ქვამოწაყრილის სიმაღლე 0,50 მ. ქვის წრის დმ 4,60 მ. წრის ცენტრალურ ნაწილში სამი დიდი ქვა იდო. ამ ქვებს ქვეშ აღმოჩნდა კერამიკის ნატეხები და სამკუთხა ბრტყელი სამმანჯველიანი სატევრის პირი. არც ადამიანის და არც ცხოველის ძვლები არ აღმოჩენილა.

ყორღანი № 17 პატარა ზომისაა. № 16 ყორღანიდან დაშორებულია სამხრეთის მიმართულებით 20 მ-ით. ქვამოწაყრილის სიმაღლე 1,0 მ. ქვის წრის დიამეტრი — 5,0 მ. წრის ცენტრში აღმოჩნდა ორი ქვა, რომელსაც ზემოდან ედო ერთი ბრტყელი ქვა. ქვებს შორის აღმოჩნდა კერამიკის ნატეხები. არც ადამიანის და არც ცხოველის ძვლები არ ჩანდა.

ზომები: სიგრძე 2,40 მ. სიგანე (ქვებს შორის) — 0,96 მ. სიმაღლე 1,18 მ.

ახჩია, სადაც, როგორც აღვნიშნეთ ყორღანების დიდი ჯგუფი აღმოჩნდა მდებარეობს მტკვრის ხეობის მარცხენა მხარეს ერუშეთის მაღლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან მერყეობს 1120 მეტრიდან 1750 მეტრამდე. ეს ტერიტორია სიმაღლისა და რელიეფის ფორმის მიხედვით შეიძლება სამ უბნად დაიყოს. პირველი უბანი მდებარეობს მდინარე მტკვრის მეორე ტერასზე ზღვის დონიდან 1120 მეტრზე, სადაც სულ რამდენიმე ყორღანი ჩანს. მეორე უბანი, სუსტად დანაწევრებული რელიეფითა და მტკვრისაკენ მკვეთრად დახრილი ფერდობით წარმოადგენს ყორღანულ ველს, რომლის ფართობი 2 კმ ტერიტორიას მოიცავს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 1500 მეტრს შეადგენს. მესამე უბანია ნიალს ვრცელი ველი ყორღანთა ფართო კონცენტრაციით. აქ რელიეფის ზედაპირი გამორჩევა ხრამებითა და ხეობებით. სიმაღლე ზღვის დონიდან 1750 მეტრამდეა.

აღნიშნული უბნის საერთო სახე ეროზიის შედეგად არის ჩამოყალიბებული. მდინარე მტკვრის ხეობის მოყვანილობა მეტწილად საკმაოდ ღიაა, მაგრამ ცალკეულ მონაკვეთებში იგი ხან ვიწროდება და ხანაც ფართოვდება ფერდობთა დამეწყვრის შედეგად.

მეწყერული პროცესების კიდევ უფრო მკვეთრ გამოხატულებას რელიეფში ჩვენ ვხვდებით ნაქალაქევის ქვაბულში. პლატოს ციცაბო დასავლური კიდიდან მტკვრისაკენ ტუფებისა და ტუფობრეჩიების მასების მოძრაობას ზოგჯერ თან ჩამოჰქონდა დოლერიტული განფენის ნაწილები. მეწყრებმა გააფართოვეს და იმავე დროს გაართულეს მტკვრის ხეობის მონაკვეთი სოფ. ომოგვიდან სოფ. ნაქალაქევამდე. ყველაზე მძლავრი მეწყერი რელიეფში გამოსახულია ბერთაყანის კუნძულისებური მაღლობით, რომელსაც 1,5 კმ სიგრძე-სიგანე და მტკვრის დონიდან შეფარდებითი სიმაღლე 250 მ აქვს. იგი გამოყოფილია ახალქალაქის პლატოს კიდისაგან მორკალური ხეობით.

ზემო მტკვრის ხეობის მიკრორელიეფურ ფორმათაგან აღსანიშნავია, გამოქვაბულებიც, რომლებიც მეტწილად ხელოვნურად არის გამოკვეთილი შუა საუკუნეებში. ეს ადგილი აგებულია მონაკრისფრო-მოვარდისფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვულკანური ტუფებით. გამოქვაბულთა დიდი ჯგუფებია აგრეთვე თმოგვში, გულისუნდაში, ჯოლდაში, ახჩიაში[12].

ჯერ კიდევ სტრაბონის ცნობით, აქ ჰავა შედარებით მშრალია და ნიადაგი არა ნოტიო. ის აღწერს აღმოსავლეთ საქართველოს, როგორც კურთხეულს და საცხოვრებლად მეტად სასიამოვნო ქვეყანას[13].

VI-ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის დახასიათებით მესხეთ-ჯავახეთში და არტაანში ზამთარი რამდენადმე მკაცრია, ხოლო ზაფხული ხანგრძლივი და შედარებით თბილი[14].

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიკოსები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის აღწერისას ზოგჯერ მიუთითებენ ამ მხარის ჰავის თავისებურებებზეც. არსებითად ეს იყო ჰაეის შეფასება იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს იგი ადგილის ნაყოფიერებაზე — „მცენარეთა აღმოცენებაზე“ და მოსახლეობის ჯამრთელობაზე.

გრიგოლ ხანძთელი აღნიშნავს, რომ მესხეთი გამოირჩევა მშვენიერი ბუნებითა და ჰაეით. ამ ადგილის ჰაეა, ავტორის თქმით, არის „კეთილად შეზავებულ მზისაგან ჰაერისა. რამეთუ არცა ფრიადი სიცხე შესწვავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეუარვებს მყოფთა მისთა“[15].

ზომიერი სიცხე ზაფხულობით, უმნიშვნელო ყინვები ზამთრობით, მზის სხივების სიუხვე, ზომიერი სინოტივე და სუფთა ჰაერი წარმოადგენდნენ ხანძთელის აზრით ამ ადგილის დამახასიათებელ თვისებებს.

ამ ადგილის ოროგრაფიის, მდინარეების, ფლორისა და ფაუნის აღწერასთან ერთად ვახუშტი იძლევა მათ კლიმატურ თავისებურებათა მოკლე დახასიათებას. გაშუქებული აქვს ტემპერატურული რეჟიმის თვისობრივი შედარება სეზონების მიხედვით, დახასიათებულია წვიმიანობა, ჰაერის სინოტივე და ქარის რეჟიმიც[16].

როგორც ჩანს, არტაანის მტკვრის ხეობაში ჰავის ხასიათი დღევანდელთან შედარებით მაინცდამაინც განსხვავებული, არ უნდა ყოფილიყო.

აქ დღესაც ზომიერად ნოტიო ჰავის ოლქია, სადაც ზამთარი შედარებით ცივი და ზაფხული ცხელია. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს — 5 და 8 შორის, ხოლო ივლის-აგვისტოში 20-23 შორის. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შეიძლება დაეცეს — 17—20-მდე, აბსოლუტური მაქსიმუმი 32-ს აღწევს[17].

ნალექების წლიური რაოდენობა 500—600 მმ აღწევს. მაქსიმუმია გაზაფხულის დასასრულს და ზაფხულის დასაწყისში. მდგრადი თოვლის ხანგრძლივობა 4 თვეს შეადგენს[18].

ჰიდროგრაფიული ქსელით საკვლევი უბანი ღარიბია. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მდინარე დუმელას წყალი, რომელიც მეტად ღრმად გამო-

---

[12] ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 301.

[13] К. Г а н. Известия древних Греческих и Римских писателей о Кавказе, Тифлис, 1884.

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930, გვ. 146.

[15] გ. მ ე რ ჩ უ ლ ე, გ. ხანძთელის ცხოვრება, სანკტ-პეტერბურგი, 1911, გვ. 24.

[16] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველისა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 569—660.

[17] ვ. ყ ო რ ძ ა ხ ი ა, საქართველოს ჰავა, თბ., 1961, გვ. 223.

[18] იქვე, გვ. 220—225.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავებულ ეროზიულ ხევში მიედინება. ეს ადგილი მდიდარია გიზუნტის წყლებით, რომელთა სიჭარბე ხშირად დაჭაობებულ ადგილებსაც აჩენს.

დუმეილისა და ახჩიის მიდამოებში განვითარებულია რუხი ყავისფერი ნიადაგები, რომლებსაც უფრო ხშირად თიხნარი შედგენლობა და დიდი ან საშუალო სისქე ახასიათებს. ტერასების არეში ნიადაგებს აქვთ, აგრეთვე ტყეველის ზონის გარდამავალი ხასიათი და აქ საკმაოდ დიდი მასივების სახით გამოიყოფა უფრო ხშირად დიდი სისქის მქონე მდელოს ყავისფერი ნიადაგები, რომლებსაც ზოგ ნაწილში მშრალი ველების წაბლა ნიადაგების მსგავსი ნიშნები აქვთ. დუმეილას მიდამოები ხასიათდება მდელ-სტეპური ლანდშაფტით[19].

ადრე პერიოდში მცენარეულ საფარს არყისა და წიწვიანების ჯიშები ქმნიდნენ, ამჟამად მცენარეულ საფარში ძირითადი ადგილი უჭირავს მდელოს მცენარეულობას.

ამ მხარეში საეგეტაციო პერიოდის სიმოკლის გამო, მეურნეობამაც შესაბამისი მიმართულება მიიღო. კერძოდ, მოჰყავდათ ხორბალი და მისდევენ მესაქონლეობას.

ყორღანთა დიდ სივრცეზე გავრცელებამ და თითოეული ყორღანის რელიეფის კონკრეტულ ფორმებზე განლაგების ხასიათმა მათი მოლიანობაში აღქმისა და გავრცელების წესის დადგენის მიზნით, სხვა სამუშაოებთან ერთად საჭირო გახადა მსხვილმაშტაბიანი ტოპოგრაფიული დაგეგმვის ჩატარება დამოუკიდებელ სისტემაში. პოლიგონომეტრიის საფუძველზე ჩატარებული ტაქეომეტრიულ აგეგმვას დაექვემდებარა ახჩიისა და დუმეილას მიდამოები. ჰირველი მოიცავს 70 ჰექტარსა და მეორე — 65.

ტოპოგეგმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეული ჯგუფები ყორღანებისა თავიანთ ადგილზე მდებარეობის მიხედვით (ტოპოგრაფიული მდებარეობის მიხედვით) შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: 1. ბრტყელ ზედაპირზე მდებარე, 2. შემაღლებათა თხემებზე მდებარე და 3. ხეობის პირას მდებარე (სურ. 5).

ახჩიაზე შესწავლილი ყორღანები გარეგნულად სამ ტიპად იყოფა: 1. ქვაყრილიანი დიდი ყორღანები (ყორღანები № 1, 15), 2. საშუალო ზომის ქვამიწაყრილიანი ყორღანები (ყორღანები № 3, 4, 9) და 3. უყრილო ყორღანები (ყორღანები № 2, 5, 7, 10). სამივე ტიპის ყორღანები შემოვლებულია დიდი ქვებისაგან შედგენილი წრეებით. პირველი ტიპის ყორღანები გარეგნულად თითქმის არ განსხვავდება წალკისა და გომარეთის ყორღანებისაგან, თუმცა თვით კამერის კონსტრუქციაში და დაკრძალვის წესში ბევრი ლოკალური თავისებურება შეიმჩნევა. მართალია, მესხეთში შესწავლილი ყველა დიდი ყორღანი გაძარცული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა მდიდრული დაკრძალვის სურათი: ოქროს სამკაულების ნარჩენები, ბრინჯაოს იარაღი, მრავალფეროვანი და მდიდრულად ორნამენტირებული კერამიკა.

მეორე ტიპის ყორღანები შედარებით მეტია მესხეთში. მართალია, ისინი სიმდიდრით ჩამოუვარდებიან პირველი ტიპის ყორღანებს, მაგრამ საკმაოდ მდიდრული არიან. ახჩიაზე გათხრილი ამ ტიპის ერთ-ერთი ყორღანი (№ 3) გაუძარცავი აღმოჩნდა. აქ იყო ბრინჯაოს შუბის პირი მასრაზე ოქროს სალტით, ოქროს მსხვილი მძივი, მშვენიერი კერამიკა. გარდა ამისა, აღმოჩნდა

[19] მ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965, გვ. 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ეტლის ბორბალი, თრიალეთისათვის დამახასიათებელი რიტუალის აღმნიშვნელი.

მესხეთის ყორღანთა უმეტესობას წარმოადგენენ უყრილო ყორღანები, ან ყორღანები ძალიან დაბალი ქვამიწაყრილით. ამ ყორღანების ინვენტარი შედგება ძირითადად კერამიკისაგან. ასეთი ყორღანები ტერასებზე განლაგებულია ჯგუფებად. თითოეული ჯგუფის ცენტრში დგას შედარებით დიდი ყორღანი, რომლის გარშემო ჯგუფდება 5—8 პატარა ყორღანი. ყველა ეს ყორღანი, როგორც წესი, კოლექტიურია. საშუალო ზომის ქვამიწაყრილიან ყორღანებში გვხვდება, როგორც კოლექტიური ისე ინდივიდუალური სამარხები, ხოლო დიდი, ქვაყრილიანი ყორღანები ყოველთვის ინდივიდუალურია.



სურ. 5.

თრიალეთის ყორღანების მსგავსად ახჩის ყორღანებში დაკრძალვის საკმაოდ რთული რიტუალი სრულდებოდა. ყველა ყორღანში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები. შედარებით მეტი მსხვილფეხა საქონლის ნაშთები გვხვდება დიდ ქვაყრილიან ყორღანებში. როგორც ჩანს, მოზრდილ ყორღანებში დაკრძალვას უფრო ფართო სარიტუალო ცერემონიალი ახლდა. დიდი ყორღანები მარტო გარეგნულად არ გვანან თრიალეთის ყორღანებს. ბევრი საერთო აქვთ მათ ინვენტარში. მესხეთის დიდ ქვეყრილიან ყორღანებში ძირითადად წმინდა თრიალეთური ჭურჭლის ფორმები გვხვდება. საშუალო ზომის ქვამიწაყრილიან ყორღანებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში თრიალეთურ კერამიკასთან ერთად ჩნდება მხოლოდ მესხეთის ყორღანებისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი, ხოლო პატარა უყრილო ყორღანების ინვენტარში კი ამგვარი მესხური ტიპის კერამიკა უმეტესობას წარმოადგენს. ეს კერამიკა საგრძნობლად განსხვავდება თრიალეთური თიხის ჭურჭლისაგან. მესხური ტიპის კერამიკას, როგორც ფორმით, ისე ორნამენტებით ბევრი საერთო აქვს მტკვარ-არაქსის თიხის ჭურჭელთან. როგორც ჩანს, მესხეთში დიდხანს განაგრძობს არსებობას წინარე კულტურის ტრადიციები. კულტურის თავისებური ხასიათის ჩამოყალიბება, ალბათ, გამოწვეული იყო ამ ხეობის კარჩაკეტილობით, არტაანის მტკვრის აუზში ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში დამოუკიდებელი კონტაქტები ქმნიდა პირობებს ინდივიდუალური, მხოლოდ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბებისათვის.

თრიალეთური კულტურის ძეგლები გვხვდება შედარებით განსაზღვრულ ადგილებში, და ისიც კომპაქტურ ჯგუფებად. როგორც ჩანს, ყოველი შემოფარგლული ტერიტორია, სადაც დამოწმებულია თრიალეთის კულტურის ძეგლები ცალკეული ტომის დასახლების ადგილი უნდა იყოს. ტომი ამ დროს ძირითად სოციალურ უჯრედს წარმოადგენს. სწორედ ამის მიზეზი უნდა იყოს მდიდრული და შრომატევადი სამეშაოს მომთხოვნი უზარმაზარი ყორღანები. ეჭვსგარეშეა, რომ ეს ყორღანები ეკუთვნის ტომთა ბელადებს. ზოგიერთი ყორღანის ზომები ისეთი მაშტაბურია, რომ მათი აგება მოითხოვს დიდი კოლექტივის ხანგრძლივ შრომას. ასეთი ნაგებობის აგება წარმოუდგენელია, ტომი რომ ძირითადი სოციალური უჯრედი არ ყოფილიყო. ტომობრივი დასახლებები და თრიალეთური კულტურის სოციალური განვითარება განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა არტაანის მტკვრის აუზში. არტაანის მტკვრის აუზში, შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები დამოწმებულია კომპაქტურ ჯგუფებად. ერთი ასეთი მდებარეობს აზჩია-ნიალის ტერასზე.

როგორც ჩანს, მესხეთის ყორღანების ტოპოგრაფია, დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი უპირველეს ყოვლისა გამოხატავს თრიალეთური ტომების სოციალურ ყოფას, ყორღანების კონცენტრაცია, მათი დაჯგუფება მკაცრად შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ყორღანების და დასაკრძალავი დარბაზების კონსტრუქციის იგივეობა, დაკრძალვის წესისა და სამარხეული ინვენტარის იდენტურობა ბადებს აზრს, რომ არტაანის მტკვრის აუზი დასახლებულია ერთი ტომით.

მართალია, თრიალეთის კულტურის საზოგადოების რთული სოციალური სურათის რეკონსტრუქციისათვის ინფორმაციას მხოლოდ სამარხებიდან ვიღებთ, მაგრამ არტაანის მტკვრის აუზში შესწავლილი ძეგლები ზოგადი სურათის აღდგენის საშუალებას მაინც იძლევა. როგორც აღვნიშნეთ, მესხეთში, არტაანის მტკვრის ტერასებზე ყორღანთა კომპაქტურ ჯგუფებს ვხვდებით და ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია აზჩიის მინდვრებზე. თითოეულ ჯგუფში გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება. პატარა უყრილო ყორღანების დიდ ჯგუფში ეხვდებით რამდენიმე შედარებით დიდ ქვამიწაყრილიან ყორღანს, ხოლო მთელი ჯგუფის ცენტრში დგას დიდი ქვაყრილიანი ყორღანი. შესაძლებელია, დიდი ყორღანი ტომის ბელადისა ყოფილიყო, ხოლო საშუალო ზომის ქვაყრილიანი ყორღანები ბელადთან დაახლოებული წარჩინებული გვარების წინამძღოლებისა. რაც შეეხება პატარა უყრილო ყორღანებს, იგი გვარის რი-

ტაბულა 1.

ტაბულა 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გითი წევრებისა უნდა ყოფილიყო. გვარის რიგითი წევრების სასაფლაო უნდა იყოს „ყაჩაღებისა“ და „გელათხარძლების“ სამაროვანები[20].

А. Т. ЦЕРЕТЕЛИ

КУРГАННЫЙ МОГИЛЬНИК АХЧИА В БАССЕЙНЕ АРТААНСКОЙ КУРЫ

Резюме

В 1970—1977 годах объединенная археологическая экспедиция Тбилисского государственного университета и Государственного музея Грузии исследовала курганные захоронения эпохи средней бронзы (I половина II тысячелетия до н. э.) в Месхет-Джавахети, в бассейне Артаанской Куры, где в 1970 году был выявлен новый мощный очаг Триалетской культуры.

В 1970—1972 годах экспедиция исследовала 18 курганов на левой терассе Артаанской Куры, в местечке Ахчиа.

Курганы в Ахчиа по внешним признакам делятся на три типа 1. Большие курганы с каменой насыпью; 2. Курганы средней величины с камено-земляной насыпью; 3. Курганы «без насыпи».

Большие курганы с каменной насыпью содержат индивидуальные захоронения, в средних курганах встречаются как коллективные, так и индивидуальные захоронения; что касается курганов «без насыпи», то они, как правило коллективные.

Топография курганов Месхети, их внешний вид, обряд захоронения, повидимому отображает социальную структуру местного общества.

Большие курганы, как видно, принадлежали вождям племени, средние курганы предводителям родов, а малые курганы «Без насыпи» рядовым общинникам.

წარმოადგინა შრომის წევრი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრამ

---

[20] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელ მესხეთ-ჯავახეთის არქოლოგიური ექსპედიციის 1976—77 წლების მუშაობის ანგარიში, სსმე, ტ. VI, 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულიეტა რუხაძე

ხალხური რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში*

(გეგეჭკორის რაიონისა და ზემო სვანეთის მასალების მიხედვით)

წინამდებარე სტატიაში დასავლეთ საქართველოში (ზემო სვანეთსა და გეგეჭკორის რაიონში) ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით განვიხილავთ დღესასწაულებთან და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს, რომელთა შესახებ ზოგი რამ ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ კონკრეტული ხელშესახები მასალა დღემდე გამოვლენილი არ ყოფილა. თუ ზემო სვანეთში ძირითადად ვაჟიშვილის სახელზე გამართული დღესასწაულის შესასწავლად ჩავედით, გეგეჭკორის რაიონში არა ერთი უკვე ცნობილი მასალის (ტოპონიმი ოჩე და ოჩხონაფუ, მითოლოგიური პერსონაჟი ტყაშიმაფა, ოჩოკოჩი და სხვ.) დაზუსტება განვიზრახეთ. ასევე დავაზუსტეთ და ახალი მასალა მოვიპოვეთ მემინდვრეობის იმ საკითხებზე, რომლებიც ატლასისათვის არის გამიზნული.

შინაარსის თვალსაზრისით აღნიშნული მასალა მრავალფეროვანია. მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთი საკითხი ახალი არაა, მაგრამ ეთნოგრაფიულად ამ კუთხისათვის ის დღემდე შეუსწავლელია.

ჩვენი ნაშრომი მხოლოდ მუმამობის შთაბეჭდილების გაზიარებას ისახავს მიზნად, რადგან სათანადო მასალა ჯერ კიდევ არ არის სრულად მოპოვებული.

ადრე აღნიშნული გვქონდა, რომ გეგეჭკორის რაიონში დადასტურებულია ტერმინი ოჩხონაფუ, რომელიც მდ. ტეხურის სანაპიროზე მზის მხარეს მდებარე ნაყოფიერი ადგილის სახელია. აღსანიშნავია, რომ სოფელ კურუხეს მცხოვრებლებს იქ საოხვამერო (სალოცავი) მიწის ნაკვეთები ჰქონდათ, რომელიც ყველაზე პირველად უნდა დამუშავებინათ და მასზე მოწეული მოსავლით ნერჩიპატენის (მიწის ბატონის) დაკინიანთარისათვის (ზეციური ანთარი) ოჯახის კეთილდღეობა გამოეთხოვათ. ამის შემდეგ მხვნელმთესველი ხვავითა და ბარაქით ივსებოდა, იგი ჩხონაფირი ხდებოდა[1].

ახალი ეთნოგრაფიული მასალით გაირკვა, რომ ეს ნაკვეთი ნაშუებიების გვარის საქონლის საბალახო ადგილი იყო და მას ოჩხოულე (საქონლის სადგომი) ერქვა, სადაც ბევრი ნაკელი გროვდებოდა და მიწაც ნოყიერი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე ადგილს მდ. ტეხური და მისი შენაკადი ღელე ლამადიდაც ანოყიერებდა. აი ეს მიწა იძლეოდა იმ საუკეთესო მოსავალს, რომელიც ღვთაების სახელზე განკუთვნილ დღესასწაულზე იხარჯებოდა: ოჩხონაფუ, ალბათ, ღვთაებისადმი შეწირული მიწის ნაკვეთის სახელი იყო. მაგრამ რატომ ხმარდებოდა მიწის მოსავალი „ყინი ანთარს“ და „ნერჩი პატენს“?

---

* წაკითხულია ეთნოგრაფიის წლიური ანგარიშებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1978 წლის აპრილში (იბეჭდება შემოკლებული სახით).

[1] ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაირკვა, რომ ოჩხონაფუს მახლობლად სალოცავი ნიში ყოფილა. სადაც აღნიშნულ ღვთაებათა სახელზე ლოცულობდნენ და მათ ადამიანის კეთილდღეობას, მოსავლიანობას და საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ.

ზემოთ აღძრული საკითხისათვის საყურადღებოა მასალა ტოპონიმ ო ჩ ე ს (რომელიც ნაყოფიერი ადგილის აღმნიშვნელია) და ნადური სიმღერის ო ჩ ე შ ხ ვ ე დ ო ხ ვ ა რ ი ე ლ ი-ს (რაც ოჩეს ბარაქას და ხვავს ნიშნავს) შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში ცოცხალ მეტყველებაში შემონახულია გამოთქმა „ოჩეს ხვე", „ოჩეს ხვე შეგემატოს შენს ბეღელში"-ო. ასეთივე მნიშვნელობისაა მოსავლის აღების დროს გამონათქვამი „ოჩეს ხვე მოგცემოდეს შენო"[2].

მონათხრობით ეს წარმონათქვამები შემოსწრებული სიტყვებია, „როგორც ძველებმა იცოდნენ ჯვარი გეწეროსო"[3]. ეს კი ანალოგიურია გურიაში სუფსის ხეობაში დადასტურებული მასალისა. როგორც ცნობილია, „კალოს კრეფაზე" ითქმოდა „ოჩეს ხვავი ამ ჩვენ კალოს", „ოჩო ყანა დაგვალოცე და სხვა მისთანანი. ოჩე-ოჩის მაგვარად წმინდანების ხსენებაც ხომ ორსავე რეგიონშია დადასტურებული. მაგ., „წმ. გიორგი (ან წმ. გრიგოლ) მობრძანდება, ჩვენს კალოზე დაბრძანდება, კალოს გაგვიხვავრიელებს აბრძანდება წაბრძანდება" და სხვ.

ო ჩ ე იხმარებოდა აგრეთვე ოდოიას სიმღერის დროს. „ოდოია, ოდოია, ხო, ხო, ოჩეშხვე ათაქი"-ო. ცნობილია ამ სიმღერის უფრო ვრცელი ვარიანტიც[4].

როგორც ვხედავთ, ამ ლექსიკური ერთეულებთან არის დაკავშირებული ნაყოფიერების გამოთხოვა. სათანადო სიტყვისა თუ სიმღერის თქმით ალბათ სურდათ, რომ ოჩსა და წმინდანს გავლენა მოეხდინა მოსავლის სიუხვეზე და ამ გზით ახალი მოსავლის ჭარბად მიღება უზრუნველეყოთ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს რწმენა იყო იმის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომ ხელხვავის სიმღერის აღნიშნული ვარიანტები და სხვა წარმონათქვამი სიტყვები „კალოს კრეფა"-ზე და მოსავლის აღება-დაბინავების დროს სრულდებოდა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი ოჩე თავდაპირველად ნაყოფიერების ღვთაებათა ო ჩ ი ს ა დ გ ი ლ ს ა მ ყ ო ფ ე ლ ი დ ა ნ ი ყ ო ს წ ა რ მ ო მ დ გ ა რ ი?

აღძრულ საკითხებთან უშუალოდაა დაკავშირებული ახალი მასალა ო ჩ ო-კ ო ჩ ი ს შესახებ. „ოჩოკოჩი" არის ბალნიანი, თხას ჰგავს, ოთხფეხით დადგ[illegible], თავზე ორი რქა აქვს. ოჩოკოჩი კალანდას მოსულა მეჯოგესთან, რომელსაც ყველანაირი ჯოგი ჰყავდა, მაკუჩხურობა გაუკეთებია და წასულა მერე გამოქვაბულში. თოვლზე დარჩენილა მისი ნაკვალევი, რომელიც ოჯახის მაკუჩხურს უნახავს და მიჰყოლია. მისულა ეს კაცი გამოქვაბულში. ოჩოკოჩს უთქვამს, პირუტყვი ჩემით გყავდაო, ეხლა ერთ სახეობას დაგიტოვებ ან ცხვარს, ან თხას, ან ცხენს, ჰკითხე შენ ცოლს რომელი ურჩევნია. მოსულა კაცი სახლში

---

[2] გეგეჭკორის რაიონი, სოფელი ქვედა ხუნწი, ხუნწის სასოფლო საბჭო, მთხრობელი 77 წლის, კოსტა იაკობის-ძე ბეკალავა. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, 1977 წლის გეგეჭკორის რაიონის მიგლინების დღიური, რვ. № 1.

[3] გეგეჭკორის რაიონი, ტალერის სასოფლო საბჭო, სოფელი ნობუღევი, 83 წ. მთხრობელი კონსტანტინე სპასის ძე არახამია და 40 წლის ბედაშია კოსტას ასული ყალანდია. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, 1977 წლის გეგეჭკორის რაიონის მიგლინების დღ. 1.

[4] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 186—187; ს. ჭ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი ლ ი, ნადურის სიმღერა „ოდოიას" საკითხისათვის, „მაცნე", № 6, 1970 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უთქვამს ყველაფერი (ეს ქალი ახალი პატარძალი ყოფილა). ცოლს უპასუხებია — მე არაფერი მინდა, ვიმეგობროთ ოჩოკოჩთანო. წავიდა ქმარი და ცოლის სიტყვები ოჩოკოჩს გადასცა. მოეწონა პატარძლის ნათქვამი ოჩოკოჩს და იმ ოჯახს ყველა სახის პირუტყვი დაუტოვა"[5].

სამეცნიერო ლიტერატურაში ოჩოკოჩი, როგორც სხვა ამგვარი კომპოზიტები ოჩოპინტრე // ოჩოპინტე (ივ. ჯავახიშვილი) ოჩიდალი (ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური) წვრილფეხა საქონლის წინაპარ ნადირთ მფარველი ღვთაების ან მისი მსგავსი ღვთაების სახელია. ეს კი, როგორც ცნობილია, დამყარებულია ოჩის რაობის საკითხზე, რომლის პირველი ახსნა ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. გარკვეულია, რომ ბოჩი ოჩს და ვოჩს უკავშირდება, რომელიც მამალ თხას ე. ი. ვაცს აღნიშნავს და ასევე ნადირთ მფარველი ღვთაების ან მისი მსგავსი ღვთაების სახელია[6]. ოჩი-ბოჩი (ვ. ბარდაველიძე, აკ. სოხაძე)[7] და ოჩოკოჩი, როგორც ეს ახალი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით არის ცნობილი, მესაქონლეობის მფარველი ღვთაების ფუნქციის ჩანს.

საყურადღებო მასალა მოვიპოვეთ მარცვლეულის სათავსებთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ბეღელი, ბეღლის თვალი, ბეღლის გვერდზე ოთახი და ბეღლის თავი ახალდაქორწინებულთა ღამის სათევი იყო. ასეთი წეს-ჩვეულება დღესდღეობით ცნობილია რაჭაში და ქვემო იმერეთში (ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონები)[8].

ახალი ეთნოგრაფიული მასალით მარცვლის სათავსები მითიური პერსონაჟების დალის ან ტყაშიმაფას და მონადირეს ღამის სათევს წარმოადგენს (ასეთსავე ცნობას სამეგრელოსათვის ვხვდებით დ. შენგელიას და აპ. ცანავას შრომებში[9]).

ამ წყვილთა სიყვარულის ამსახველი მითი ასეთია: ტყაშიმაფა მონადირემ იხსნა ოჩოკოჩისაგან, ამის შემდეგ ისინი დამეგობრდნენ და პირველი ღამე ბეღელში გაათენეს[10].

მითის სხვა ვერსიის მიხედვით ტყაშიმაფას, ტანშიშველ გრძელთმიან მზეთუნახავს, უყვარს მონადირე, რომელსაც ის ღამის გასათევად სასიმინდეში ან ბეღელში ხვდება. ვაჟი ნადირობიდან ხელმოცარული არასოდეს ბრუნდება, მაგრამ იცის რომ თუ სიყვარულის შესახებ საიდუმლოს ვინმეს ეტყვის დაიღუპება. მონადირემ სიტყვა გატეხა, ცოლს ყველაფერი უამბო და სასტიკად

[5] ტალერის სასოფლო საბჭო, სოფელი ნოტულევი, მთხრობელი 40 წლის ბედიშა კოსტას ასული კალანდია. ჯ. რუხაძე, 1977 წლის ეთნოგრაფიული მივლინების დღიური, რვ. 1.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 87; ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 177—179, 217, 612.

[7] В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957, გვ. 191; აკ. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორია, თბ., 1964. 181.

[8] ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1967.

[9] დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 300—301; აპ. ცანავა, ხალხური ზეპირსიტყვიერების საკითხები (შეგრული მასალების მიხედვით), თბ., 1970,

[10] მითი საკრალური ქორწინების შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული შუამდინარულ მითოლოგიაში. იხ. S. N. Kramer, Cuneiform studies and the history of literature; the Sumerian sacred marriage texts.

(Proceedings of the American Philosophical Held at Philadelphia for Promoting useful Knowledge, vol. 107, no, 6, 1963, გვ. 495—496); W. H. Römer, Sumerische «Königshymnen» der I Sin-Zeit, Leiden, 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისაჯა. ნადირობის დროს ტყაშიმაფა მას ირმის სახით მოევლინა, კლდეზე აიყვანა და გაეკვეა[11].

თქმულება საკრალური ქორწინების შესახებ აძლიერებს მოსაზრებას, რომ ბელელთან დაკავშირებული ყველა წეს-ჩვეულებები თავისი არსით მაგიური ხასიათისაა, იგი ნაყოფიერების და ბუნების აღორძინება-განდიდების საქმეს ემსახურება.

ზემო სვანეთში შეიკრიბა მასალა ვაჟიშვილის სახელზე განკუთვნილი დღესასწაულის ლ ი ჩ ე ნ ი შ ი ს შესახებ, რომელიც იმართება ჰადიშის თემის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში კვირაობის (28 ივლისს იწყება, მყარი დღესასწაულია) შემდეგ ხუთშაბათს (ლიჩენში მოძრავი დღესასწაულია).

ჯ ვ ე რ ზ ე ლ ი ჩ ე ნ ი შ ი მდებარეობს ხეობის შუა წელზე ჰადიშიდან $2^1/_2$ კილომეტრის დაშორებით ძველ ნასოფლარებთან.

გაირკვა, რომ ლიჩენში არა მარტო ერთი წლის ასაკის ბავშვის მიმართ სრულდება, არამედ მას უძეო ოჯახიც ლოცულობს და შესთხოვს ძის გაჩენას. ჯ ვ ე რ ზ ე ლიჩენში ანუ ქუდოსანი წმ. გიორგი მფარველია ყველა იმ საქმიანობის, რომელიც მამაკაცის ფუნქციებში შედის. ის იცავს მეურნეს, მეომარს და მონადირეს. ჩანს, მას ნადირთ ღვთაების ფუნქციები აქვს მიკუთვნებული[12].

მასალებიდან ჩანს, რომ ლიჩენში საოჯახო საკუთრებაზე დაფუძნებული ლოკალური სათემო დღესასწაულია, რომლის მლოცველად გარდა თემის წევრებისა გეევლინებიან თემის გარეთ მცხოვრები ჰასვიშ-ნიბაშინები, ამ სოფლიდან გათხოვილი ქალი და მისი შთამომავლობა.

ლიჩენშის შესასრულებლად მლოცველს — მ ო ლ ჩ ე ნ ი შ ს მიაქვს შესაწირი: დროშა, ნათავედი არაყი, რახი, სანთელ-საკმეველი, ხმიადი კვერები, ხმიადი ფ უ ნ ნ ა მ უ ე ე ღ უ, მიჰყავს ორი ვერძი ან მოზეერი.

მასალებში აღნიშნულია, რომ პირველი ვაჟისათვის მიტანილი ძღვენი განსხვავებულია მეორე ვაჟისათვის განკუთვნილი ძღვენისაგან.

ამ დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირები მომსახურეები არიან მომზგრები, რომელთაც ევალებათ მლოცველთა მიმართ სხვადასხვა ვალდებულების შესრულება. მომზგრ-ი იყო მრეკლის შესაწირავების უშუალო შემწირველი და მათი სახელით მლოცველ-მავედრებელი. მათ ევალებოდათ სადღეობო სამზადისის გაწევა და მოლჩანიშისა და სტუმრის გამასპინძლება. მომზგრებად თითქმის თემის ყველა წევრს ირჩევდნენ, იგი მორიგეობით სრულდებოდა. ირკვევა, რომ მომზგრები ხალხისა და სალოცავის დროებითი მსახურები არიან. მომზირის უფლებებში შედის აგრეთვე დღესასწაულის შემოწირულების საჭიროებისდამიხედვით განაწილება. ლიჩენშის შემოწირულება სათემო საკუთრებაა და თემის საერთო საქმეს ხმარდება.

ორსავე რაიონში მასალა შეიკრიბა აგრეთვე ხალხური მეტროლოგიის საკითხებზე, საზომ-საწყაოებზე და ამ დანიშნულებით ხმარებული ჭურჭლის კეთების ხალხურ ხელოვნებაზე.

---

[11] ჯ. რ უ ხ ა ძ ე, 1977 წლის გვგუჭკორის რაიონის მიელინების დღ. 1.

[12] ვ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სვანეთი, თბ., 1977, გვ. 28.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ნანა ყანჩაველი

ერეკლე II-ის ორი წერილი ნურსალ-ბეგთან

1. პირველი წერილის დედანი ინახება დაღესტნის ასსრ-ში, ხუნძახში, ზაირბეგ ალიხანოვის* საოჯახო კოლექციაში[1]. მისი კოლექციიდან ნაწილი დოკუმენტებისა მიმოხილული აქვს პროფ. რ. მაჰომედოვს[2]. ერთ-ერთი დოკუმენტი აღნიშნული კოლექციიდან გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ[3].

წერილი დაწერილია თეთრ ქაღალდზე[4]. ზომა ქაღალდისა: 17×20; სტრიქონთა რაოდენობა—18, ცალ მხარეს აშიაზე კი 12 სტრიქონია, ირიბად დაწერილი. მელანი შავია. წერილს ხელრთვა არა აქვს, უთარიღოა. უფრო საეჭვებელია, რომ იგი დედანს უნდა წარმოადგენდეს[5]. ამას გვაფიქრებინებს ქაღალდი და დამახასიათებელი ერთგვარი ხელი (მონასხო), რომლითაც, ჩვენი დაკვირვებით, ერეკლეს ზოგი სხვა წერილია დაწერილი.

السلام عليكم ورحمة الله وبركاته من جناب والى الولاة العظام** ايركلى خان الى جناب امير الامراء العظام وعادل عدلاء الداغستان اعنى به حبيبنا واخى الاعز الاكرم محمد نوسل[1] احسن الله احواله و[ا]دام عزه ودولته امين ثمّ التحيات الزاكيات وعزر التسليمات الوافيات الى حضرة اخى الاعز وبعد[2] ان سئلت احوالنا قد ذهبنا ببلدة ايروان لتاديب مفسديهم واشرارهم فبقابل محمد خان الذى كان منهم مع جيوش الكثيرة مقاتلة فجدل لنا وهزمناهم نحول الله تعالى ونصرته وقتل واخذ من جيشه حيّا ومقتولا منهم خمسة مائة والفين رجلا واخذنا منهم غنيمة كثيرة[3] وبعده جئنا واصلحنا معه پناه خان وحاجى چلبى وجماعة شكى

---

* ზაირბეგ ალიხანოვი დამსახურებული მასწავლებელია, ხუნძახის საშუალო სკოლაში ასწავლის მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. იგი სიყვარეთია დიდი მოყვარულია და საკმაო რაოდენობითა აქვს ხელნაწერები და დოკუმენტები არაბულ ენაზე.

[1] ფოტოპირი ამ წერილისა 1969 წელს დაღესტნის სამეცნიერო მივლინებიდან ჩამოიტანა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. გამრეკელმა.

[2] Р. М. Магомедов, Дагестан, Исторические этюды, вып. II, Махачкала, 1975, გვ. 203.

[3] ნ. ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, ერეკლე II-ის წერილი ქუა ქალაქიელისადმი, «მრავალთავი», VI, თბ., 1977, გვ. 241—244.

[4] დაღესტანში ყოფნისას 1975 წელს ჩვენ ადგილზე ვნახეთ და გავეცანით ამ წერილს.

[5] ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია, ჩვენი აზრით, ამ წერილის პირი — Arld 184, შესრულებული პატარა ფორმატის მოცისფრო-მონაცრისფრო ჭვირნიშნიან ქაღალდზე მეტად გაკრული არაკალიგრაფიული ხელით. საეჭვოა ერეკლეს სამდივნოდან ასეთი ხელით დაწერილი საბუთი გამოსულიყო. ზუსტად ამავე ხელითაა ნაწერი იმავეხარ ქაღალდზე ერეკლეს სხვა წერილიც Arld 183.

** აქ წარმოდგენილ ორივე არაბულ დოკუმენტს, ჩვენი თვალსაზრისით დედნებს, აღენიშნავთ A ლიტერით, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მათს პირებს — Arld 183-ს და Arld 184-ს — B ლიტერით.

1 نوسل] نوصل B. 2 بعد] وبعده B. 3 غنيمتا كثيرتا A.

ეროვნული ბიბლიოთეკა

وشروان و قراباغ بالعهد والميثاق وكنا متحدا معهم وفى هذا البين وصل مكتوبك الشريف[4] بمصحوب رجلك[5] محمد وفهمت مضمونه كله فى خصوص رجالك الذين[6] اخذ ابيوا وحبس لاجل رجال المسروقة ولم اطّلعت كان واقعا ولكن كتبت فيه اقوال التى ليس[7] لائقا لنا ولك فى المواخات التى استحكمت[8] بيننا لاجل اخذ الرجلين م ـا فى بيننا ولم اظنّ انّه كان قولك ولكن كتبت فيه ما لا يليق فى المواخات والحال يا اخى الاعز الاكرم وسبب اخذ رجالكم انّه كان وجاء رجل منكم اوشهده انه كانوا رجال المأخوذين سارق رجل ابيوا ولاجل ذلك اخذهم والاّ رجالك رجالى لايفعل ابيوا اوسائر رجالى هذا الفعل ولما كان كذلك وكتبت لاجلهم مكتوبا فاطلقت رجلين احد من جماعة خونزاخ واحد من سائر الجماعات واخذ رجلا واحدا منك لتحقيق هذا المراتب اذا اصاب[9] هذا فارسل من معتمدينك عندى حتى اقسمه قسما[10] باليمين حتى فلا يكون فعله وبعده اطلقته ايضا وارسلته عندك باتفاقه ومواخاتنا ثبتت فى قلوبنا بمرتبة التى لا يزال نفقد و قتل الرجال و لا ينفك الى يوم القيام محبتنا ومواخاتنا ولم تكدر منا يا اخى ولا ينقطع مكتوبك بتحرير احوالك اشريف[11] وايضا سرق من جماعة انيسيل وكان السارق من قرية زاطانيل [ر]جلا مسلما فى ادناء قرية مرغوب عند الاغنا [ء]...[و] جدوا[12] لاسراء والسلام

მშვიდობა თქვენდა და წყალობა ღვთისა და კურთხევა მისი.
დიდებულ გამგებელთა გამგებლის ბატონის ერეკლე-ხანისაგან დიდებულ ემირთა ემირს, დაღესტნის სამართლიანთა სამართლიანს, მე ვგულისხმობ ამით ჩვენს საყვარელსა და გულწრფელ მეგობარს, ჩემს ძმას, უძლიერესს, უკეთილშობილეს ბატონს მუჰამმად ნუსალს, უფალმეც გაუმჯობესებს მის მდგომარეობასს და ხანგრძლივს ყოფს მის ძლიერებასა და ბატონობასს! ამინ! მერმე, საბობოური დიდი მოკითხვისა და საუკეთესო წრფელი სალამი ჩემი უძვირფასესი ძმის უდიდებულესობასს! და შემდეგ (აი, რა): თუ ჩვენს ამბავს იკითხავ, ჩვენ გავემართეთ ქალაქ ერეკანს, რათა დავვესაჯა მათი ბოროტმოქმედნი და ყაჩაღები. მუჰამმად-ხანი, რომელიც იმათგანია, მრაველრიცხოვანი ჯარით გამოვიდა პირისპირ შესახვედრად და შეგვება ჩვენ. ჩვენ უკუვაქციეთ ისინი, ღვთის, მაღალმეც არს, ძალითა და შეწევნით, მოკლული და დატყვევებულ იქნა მისი ლაშქრიდან ცოცხალი თუ მკვდარი ორი ათას ხუთასი კაცი. ჩვენ დიდძალი დავლა ვიგდეთ მათგან ხელთ. ამის შემდეგ წავედით და დავაზავეთ მასთან ფანაჰ-ხანი, ჰაჯი ჩალაბი, აგრეთვე ჯამაათი შაქისა,

---

4 الشريفك AB. 5 رجالك AB.

6 الذى AB. 7 ფრაზა — გამოტოვებულია B-ში. 8 استحكم AB. 9 اصاب] اصار B. 10 قسيما A. 11 الشريفك A, الرفيشك B. 12 جدوا الاسراء [و]وسائرهم B.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირვანისა და ყარაბაღისა, ვალდებულებით და პირობით. ჩვენც დავეთანხმეთ მათ. და (აი), ამ დროს შენი ღირსების წერილი მოვიდა შენი კაცის, მუჰამმადის ხელით და მე გავიგე მთლიანად მისი შინაარსი (კერძოდ) შენი კაცების შესახებ, რომლებიც დაატყვევა Iببو-მ და დააკავა (ისინი) იმ გატაცებული კაცების გულისთვის. როდესაც შევიტყვე, რაც (იქ) წერია ჩვენ მიერ იმ ორი კაცის ჩვენთან დაკავების თაობაზე —სიტყვები, რომლებიც შეუფერებელია ჩვენთვისაც და შენთვისაც, ჩვენ შორის განმტკიცებული ძმობის გამო—მე არ დავიჯერე, რომ ეს შენი სიტყვებია. რადგანაც შენ დაწერე მასში ის, რაც არ შეჰფერის (ამ) ძმობასა და (ამ) ვითარებას. ო, ჩემო უძვირფასესო, უპატივცემულესო ძმაო, ხოლო მიზეზი თქვენი კაცების დაკავებისა ის იყო, რომ მოვიდა ერთი კაცი თქვენგან და დაამოწმა ის, რომ ეს ტყვე კაცები ისინი არიან, რომლებმაც გაიტაცეს Iببو-ს კაცი და ამის გამო დაატყვევა მან ისინი. მაგრამ არა. შენი კაცები (ხომ) ჩემი კაცები არიან. არ ჩაიდენდა Iببو ან სხვა ვინმე ჩემგანი ამ საქმეს. და როდესაც ამგვარი (ვითარება) შეიქნა, ამიტომ ვწერ მათ გამო წერილს. მე (ის) ორი კაცი გავათავისუფლე, ერთი ხუნზახის ჯამაათიდანაა, ერთიც — სხვა ჯამაათიდან. ხოლო ერთი შენი კაცი დავაკავე, რათა გაიჭკვეს ეს მდგომარეობა. როცა მოგვარდება ეს, გამოგზავნე ჩვენთან (ვინმე) შენ საიმედო კაცთაგან, რათა მას დავუფიცო, რომ არ ყოფილა ეს მისი(=Iببو-ს) საქმე. იმის შემდეგ მე მასაც გამოვუშვებ და გამოვგზავნი შენთან ამაზე შეთანხმებისამებრ. ხოლო ჩვენი ძმობა ურყეცია ჩვენს გულებში, იმგვარია, რომელიც არ შეწყდება. ჩვენ განვამტკიცებთ (მას), იმის მიუხედავად, რომ მოკლულ იქნენ ეს კაცები, ჩვენი სიყვარული და ძმობა არ შესუსტდება განკითხვის დღემდე. არც ამიღვრეცა ჩვენი მხრიდან, ო, ჩემო ძმაო, და არც შენი წერილი შეწყდება შენი კარგი ამბების მოწერით.

ისევ გაიტაცეს ენისელის ჯამაათიდან, ხოლო გამტაცებელი სოფელ ზატანლიდან იყო,...* სასურველი(?) სოფლის მახლობლად...* და სალამი.

წერილის ავტორის ერეკლე II-ის შესახებ არაფერს ვიტყვით. ადრესატი კი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი დაღესტნელი ფეოდალი ნურსალ-ბეგია, იგივე ნუცალ-ხანი, იგივე მუჰამმად ნუსალ-ხანი, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საფეოდალოს — ავარიის მმართველი იყო. მართავდა სახანოს XVIII ს-ის შუა წლებამდე. 1773 წელს მუხანათურად მოკლა იგი ფათალი-ხან ყუბელმაᵃ. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მისი ძე ომარ-ხანი, იგივე უმა-ხანი (1776—1801), რომელმაც 1785 წელს დაარბია საქართველო და ხარკი შეაწერა ერეკლეს 5000 მან. ყოველწლიურად[7].

* ამ ადგილას წერილის კიდე ჩამოჭრილია და კონტექსტის გაგება ჭირს.

[6] История Дагестана, т. I, М., 1967, გვ. 376.

[7] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ცოტა რამ ნურსალ-ბეგის დამბრეე საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს სწორედ ის ხუნძახის ბატონია, რომელმაც განიზრახა ქართლ-კახეთის ერთიანად აოხრება და მისი ტერიტორიის მთლიანად ხელში ჩაგდება[8]. პაპუნა ორბელიანს და ომან ხერხეულიძეს ვრცლად და დაწვრილებით აქვთ აღწერილი ნურსალ-ბეგის შემოსევები ქართლ-კახეთში[9]. პირველი დიდი შემოსევა ნურსალ-ბეგისა 1754 წელს იყო.[10] შილდის თავს დადგა ხუნძახის ბატონი და ყოველდღიურად ემატებოდა ჯარი დაღესტნიდან. ერეკლემ აყარა კახეთი და მოსახლეობა ციხეებში დახიზნა, ჯარი კი თელავს შემოიყარა. კაკის სულთანს, აჯი-ჩალაბს, შირვანელ ფანა-ხანს, განჯის ხანს, ჭარელთ პირობა შეეკრთ: თუ ხუნძახის ბატონი ქართლსა და კახეთზე გაიმარჯვებდა, მაშინ ისინიც გამოილაშქრებდნენ ქართლ-კახეთზე.

თეიმურაზ-ერეკლემ დაიქირავეს ჯარი ჩრდილო კავკასიიდან. ამ დროს იხელთა ლეკის ჯარმა, თრიალეთის წალკას რომ ადგა, გადმოვიდა საციციანოზე და დაარბია ზემო ქართლი[11]. ამასობაში ხუნძახის ბატონმა გამოიარა კახეთი, გზადაგზა გადაწვა სოფლები და ქართლს შემოუტია. მოადგა დუშეთს, დაწვა სასახლე ერისთავისა, შებილწა მონასტერი. დუშეთიდან აიყარა და მოადგა მუხიანოს ციხეს, რომელიც აეშენებინა სახლთუხუცეს კოსტანტინე მუხრან-ბატონს[12]. აქ მოხდა გადამწყყვეტი ბრძოლა, რომელშიც გაიმარჯვეს ქართველებმა. განსაკუთრებით თავი ისახელა ერეკლემ. ერეკლესთან ერთად თავთავიანთი ჯარებით იბრძოდნენ კოსტანტინე მუხრან-ბატონი, სარდალი რევაზ ორბელიანი, ქსნის ერისთავი დავით, არაგვის ერისთავი ჯიმშერ და სხვანი. როგორც პაპუნა აღნიშნავს, „ადრევე მამაცად ვაჟკაცობისა თვისისა საკადრად კახნი შებიხეს, თაკადნი გლეხის კაცისაგან უმჯობეს და გლეხი კაცი თავადისაგან უკეთესად“[13]. ამ ბრძოლაში მოკლეს ნურსალ-ბეგის ბიძა და ბიძაშვილი. და დაბრუნდა ხუნძახის ბატონი „სირცხვილეული“ დაღესტანში[14].

ერთი წლის შემდეგ კვლავ შემოესია ნურსალ-ბეგი კახეთს დიდძალი ლაშქრით[15]. მასთან ერთად იყვნენ შამხალი და სურხაი-ხანი. ნურსალ-ბეგი დადგა ყვარლის მთაზე. იქიდან გაგზავნა შამხლის შვილი გაბაგ-ბეგი ჭარში და ჭარელნი დაიბარა. ამგვარადვე შეიკავშირა აჯი-ჩალაბის შვილი, კაკის სულთანი, განჯის ხანი. „ესენი ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი იყვნენ“[16]. ამასობაში თეიმურაზი დაიძრა ანანურიდან თელავისაკენ, სადაც ამ დროს ერეკლე იმყოფებოდა. „და შექმნეს ჭზადებად ლეკთა ომისა“. მტრის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად ერეკლემ სძლია ნურსალ-ბეგს[17].

---

[8] საქართველოს ისტორია, 1, 1958, გვ. 350; დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, მაცნე, № 6, 1967, გვ. 132.

[9] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, „საქართველოს ცხოვრება“, ზ. ჯიჯინაძის გამოც., თბ., 1913, გვ. 211—215, 222—223, ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, მეფობა ირაკლი მეორისა, «საქართველოს ცხოვრება», გვ. 259—260. აქვე შევნიშნავთ, რომ ომან ხერხეულიძე ნურსალ-ბეგის შემოსევებს თმარ-ხანს მიაწერს.

[10] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204—205.

[11] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

[12] იქვე, გვ. 212.

[13] იქვე, გვ. 214.

[14] იქვე, გვ. 215. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[15] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 222; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205—206.

[16] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[17] იქვე, გვ. 223; თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი თავდასხმა ნურსალ-ბეგისა საქართველოზე 1772—1773 წლებში იყო. ომან ხერხეულიძის გადმოცემით[18], მან კვლავ შეყარა ლეკთა დიდი მხედრობა, ჯერ ჩავიდა შაქი-შირვანში, შემდეგ იქიდან უეცრად გამობრუნდა და თავს დაესხა ბოდბეს. აქ მან იავარყო რამდენიმე უბანი. ამოვიდა სიღნაღიდან მოურავი რევაზ ენდრონიკაშვილი სოფელ მაღაროს, სადაც მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ქიზიყელებმა სძლიეს ლეკებს და კვლავ „წარვიდა ნურსალ სირცხვილეული“. ამის შემდეგ ნურსალ-ბეგი წავიდა შემახიაში, სადაც ღალატით მოკლა იგი ფათალი-ხან ყუბელმა. ეს მოხდა 1773 წელს, როგორც ზემოთაც აღენიშნეთ.

ახლა წერილში მოხსენიებულ სხვა პირთა შესახებ. ჰაჯი-ჩალაბი — შაქის სახანოს დამაარსებელი და მფლობელია. სახანოს ცენტრი იყო ნუხაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. XVIII ს-ის 50-იან წლებში ჰაჯი-ჩალაბმა ხელი იგდო არეშის სასულთნო. 1755 წელს მან დიდი ლაშქრობა მოაწყო შირვანში, მაგრამ შირვანის ხანს დაეხმარა ყუბის ხანი ჰუსეინ ალი და შეერთებული ძალებით დაამარცხეს ჰაჯი-ჩალაბი. მისი მმართველობის ბოლო წლებისათვის შაქის სახანო ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო იყო აზერბაიჯანში. ჰაჯი-ჩალაბი მოკვდა 1755 წელს[19].

ფანაჰ-ალი-ხანი ყარაბაღის სახანოს მმართველია XVIII ს-ის მეორე ნახევარში. იგი იყო ჯევანშირთა ტომის წარმომადგენელი. ახალგაზრდობაში ნადირშაჰის კარზე მსახურობდა, მაგრამ ვერ გაუძღო მის დესპოტიზმს და თავს უშველა ყარაბაღში გაქცევით. ნადირშაჰის სიკვდილის შემდეგ ხელთ იგდო ძალაუფლება ყარაბაღში. XVIII ს-ის 50-იან წლებში ყარაბაღის სახანოს უტევენ სამხრეთ აზერბაიჯანის სახანოები. 1751 წელს ყარაბაღში შეიჭრა მუჰამმად ჰასან-ხან ყაჯარი, მაგრამ იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო, რადგან ამ დროს ქერიმ-ხან ზენდი გამოვიდა მის წინააღმდეგ. შემდეგ ურჩიის მფლობელი ფათალი-ხან ავმარი შეიჭრა ყარაბაღში, აგრეთვე უშედეგოდ. ყარაბაღის სახანომ არათუ დაკარგა დამოუკიდებლობა, არამედ გაიფართოვა კიდეც თავისი სამფლობელო. 50-იანი წლების დასასრულს ქერიმ-ხან ზენდმა მოტყუებით იგდო ხელთ ფანაჰ-ალი-ხანი და სიკვდილამდე ტყვეობაში ჰყავდა. ფანაჰის სიკვდილის შემდეგ ყარაბაღს მართავდა მისი შვილი იბრაჰიმ ხალილ-ხანი (1759 წ. — 1806 წ.)[20].

ცოტა ძნელდება იმის დადგენა, თუ ქართველ მეფეთა მიმართ ერევნელ ხანთა რომელ ურჩობასა თუ განდგომაზეა სახელდობრ ლაპარაკი წერილში. ან რომელი მუჰამედ-ხანია. ცნობილია მოჰამედ-ხანი ერევნის მმართველად 1748 — 1805 წწ-ში[21], ძე ალი-ხანისა, რომელსაც, საფიქრებელია, არა აქვს კავშირი წერილში მოხსენიებულ მუჰამმად-ხანთან. ასეთ შემთხვევაში წერილის ადრესატთან — ნურსალ-ბეგთან—მიმართულით ანაკრონიზმთან გვექნებოდა საქმე. შესაძლებელია მუჰამმად-ხანი იყოს პაპუნა ორბელიანის თხზულებაში მო-

---

დან, 1968, თბ., გვ. 177—178. ნურსალბეგის შემოსევებს გაკვრით ადრეც შევეხეთ. იხ. ერეკლე II-ის წერილი დენგალ ჰაჯი ტინდიელისადმი, «ქრაველთაჟი», V, გვ. 236.

[18] ომ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

[19] История Азербайджана, Баку, 1958, I, გვ. 336—337.

[20] იქვე, გვ. 337—340.

[21] ვ ლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ერევნის ხანების წერილები ქართლ-კახეთის მეფეებისადმი (XVIII ს. II ნახევარი), თსუ შრომები, № 91, თბ., 1960, გვ. 331.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენებული მამად ხანი[22], ანდა — ომან ხერხეულიძის თხზულებაში მოხსენიებული მაჰმად-ხანი[23].

წერილის შინაარსი ცხადი რომ გახდეს, მოკლედ წარმოვადგინოთ სურათი ამ პერიოდის საქართველო-დაღესტნისა და სხვა მეზობელი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან.

1748—1750 წლებში ქართლ-კახეთს ფიცხელი ომები ჰქონდათ, როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი[24], მეზობელ ხანებთან, რომელთაც სურდათ გაბატონებულიყვნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამ ბრძოლების შედეგად ერევნის, განჯისა და ნახჭევნის სახანოები საქართველოს მოხარკეებად იქცნენ[25]. რაც შეეხებათ ლეკებს, მათ ასალგმავად აუცილებელი იყო მათი თავშესაფრის — ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენილის კვლავ შემოერთება კახეთისათვის (ადრე ისინი კახეთის კუთვნილებას შეადგენდნენ). ეს კი არ მოსწონდა შაქი-შირვანის სახლის მმართველს ჰაჯი-ჩალაბს. რადგან ამით კახეთი უშუალოდ უმეზობლდებოდა მას. აჯი-ჩალაბი, წერს ნ. ბერძენიშვილი, „სათვალთმჭვნედ ქართველ მეფეებს მეგობრობდა“[26]. სინამდვილეში კი 1751 წელს მან ლეკების ლაშქართან ერთად გამოილაშქრა და დაამარცხა ქართველთა ჯარი.

ახლა რა ვითარებაა სხვა მეზობლებთან. თავრიზელი ახატ-ხანი ცდილობს მთელი ირანის დაპყრობას და მეზობელ ქვეყნებსაც იმასვე უპირებს. 1751 წელს მან შემოუტია ერევნის სახანოს. ერეკლე სასწრაფოდ გაეშურა ერევნისაკენ. გადაწყვეტი ბრძოლა მოხდა ყორ-ბულახთან ერევნის ახლოს, რომელშიც ახატ-ხანი დამარცხდა. ამ უკანასკნელმა ახრბაიჯანს შეაფარა თავი. ამ დროისათვის ახრბაიჯანის ტერიტორიაზე დაახლოებით 15-მდე სახანო არსებობდა, რომელთაგან განსაკუთრებით გაძლიერდნენ და დაწინაურდნენ შაქი-შირვანის, ყარაბაღისა და ყუბის სახანოები. შაქი-შირვანის ხანის ჰაჯი-ჩალაბის ძლიერებით შეშფოთებულმა მეზობელი ყარაბაღის, განჯის, ყარადაღის, ნახჭევნისა და ერევნის ხანებმა კოალიცია შექმნეს მის წინააღმდეგ და გადაწყვიტეს ამავე მიზნით გაერთიანებულიყვნენ თეიმურაზ-ერეკლესთან. მაგრამ მოხდა პირიქით. ჰაჯი-ჩალაბმა ერეკლეს წინააღმდეგ გადმობირა განჯა-ყარაბაღისა და ერევნის ხანები, რომ აღარაფერი ვთქვათ დაღესტნელებზე. ამ ხანების ღალატის გამო ქართველებმა ომი წააგეს განჯასთან 1752 წელს. ჰაჯი-ჩალაბი შეტევაზე გადმოვიდა და ქართლში შემოიჭრა. არც ერეკლე იყო უმოქმედოდ. გადაწყვეტ ბრძოლაში ყაზახ-შამშადილეს საზღვარზე შეება იგი მტერს და სასტიკად დაამარცხა. ერევნის, განჯისა და სხვა ხანები ქართლ-კახეთის მიმართ ისევ მეგობრობა-მორჩილების გზას დაადგნენ[27].

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ წერილი უთარიღოა. წერილში მოხსენიებული ზოგიერთი ისტორიული პირის მიხედვით დოკუმენტის მიახლოებითი დათარიღება მაინც ხერხდება. წერილში მიმართვის ფორმულიდან ჩანს, რომ: 1) ნუსალ-ხანი დაღესტნის ემირთა ემირია (امير الامراء), უძლიერესია (الاعظم)

---

[22] ბ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[23] ო. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

[24] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

[25] იქვე.

[26] იქვე, გვ. 201.

[27] იქვე, გვ. 202—203; საქართველოს ისტორია, გვ. 349—350.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკეთილშობილესია (الاكرم). იგი მართავდა სახანოს XVIII ს-ის შუა ხანებამდე[28]. შემოესია საქართველოს 1754 და 1755 წლებში. 2) ჰაჯი-ჩალაბმა გამოილაშქრა საქართველოზე 1751 წელს, ხოლო მოკვდა 1755 წელს. ყოველივე ამის საფუძველზე, სავარაუდოა, რომ წერილი დაწერილია 1750—1755 წლებში.

2. მეორე წერილი დაცულია მახაჩყალის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი, 6, აღწ. 1, 68/2506. (წერილის პირი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში — Arld 183). შესრულებულია თეთრ ქაღალდზე. სტრიქონთა რაოდენობა — 11, აშიაზე — 6; მელანი—შავი; ქაღალდის ზედა მარჯვენა კიდე ჩამოჭრილი აქვს. თავისუფალ არეზე გვიანდელი მინაწერებია, რომელთაც კავშირი არა აქვთ ძირითად ტექსტთან. არ უზის თარიღი და არა აქვს ხელრთვა. წერილს ახლავს კ. მ. ბარკუევის მიერ 1958 წელს შესრულებული რუსული თარგმანი. ჩვენი თვალსაზრისით წერილი დედანს უნდა წარმოადგენდეს (იხ. ზემოთ გვ. 156, მე-5 სქოლიო). წერილი საგულისხმოა იმით, რომ მასში ასახულია საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ერთი მეტად მტკივნეული და საყურადღებო საკითხი ტყვეთა, თუ გატაცებულთა, გაცვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, აქ საუბარია მუჰამად ნუცალ-ხანთან მყოფი ქართველი გიორგისა და ერეკლესთან მყოფი დაღესტნელი ახალავის გაცვლის თაობაზე.

السلام التام والدعاء العام من امير المعتصم[1] الى[2] ملك العلام ايركلى خان الى خان جميل القدر والعنوان اخينا العزيز محمد نوسل[3] خان حفظه الله تعالى من آفات وبليات الدارين و شماتة الاعدا[ء] آمين و بعد[4] المراد الاقصى ومقصود الاكبر من زبر هذه الرسيلة[5] المودّة بانّه قد بلغا الينا شيخ امير اقا ومصطفى اقا مع رسالتك المودّة فهمنا مضمونه واطلعنا بما فيه اطلاعا حاصلا و رضينا رضاءً كاملا مقالات التى فهّمت وحوّلت اليهما فقد علّمان وفهمان الينا من اوّله الى اخره فلمّا اردت ارسال اخلو من قبل فانّه لم يكن فبعندنا انت لم توسل كوركى لعدم وصوله اليك الآن ارسلناه برفقة[6] شيخ امير اقا و مصطفى اقا و شاهو[7] اعلم بانه كلما كان فى بيننا و بينك عهد اخوة واناس المودّة من الابتداء الآن نحن كنّا راسخا وثابتا عليها و على ذلك كلما كان لازما من اعلام المقالات فانّ فهّمنا وعلمنا جميع ما فى الضمير و مكنون خاطرنا الى اخلو و شيخ امير ومصطفى ان شاء الله تعالى[8] فقد يفهّموا و يعلّموا اليك بلسان الفصيح والمليح بدون زياد فى حين وصول الى عندك والسلام والدعاء

---

[28] История Дагестана, I, М., 1967, зз. 326.

1 المعتصم] المعظم B. 2 الى — B. 3 نوسل] نوصل B. 4 بعد] بعده B. 5 الرسيلة] الرسالة B. 6 برفاقت A. 7 و شاهو — ჩამატებული A-ში. 8 გადატანილია სიტყვა تعا - لى A-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითადი სალამი და მრავალი კურთხევა მბრძანებლისაგან, ყოველისმცოდნე მეუფის მსასოებელ ერეკლი ხანისაგან სვებედნიერ და სახელოვან ჩვენს ძვირფას ძმას მუჰამმად ნუსალ-ხანს, ღმერთიმც, მაღალ არს, დაიფარავს მას საჟაოს და საიქიოს უბედურებათა და განსაცდელთაგან და მტრების ღვარძლიანობისაგან. ამინ! და შემდეგ (აი, რა):

უსაზღვრო სურვილი და უდიდესი მიზანი ამ სასიყვარულო პატარა წერილის დაწერისა ის არის, რომ მოვიდნენ ჩვენთან შიხ ამრრ 'აკა და მუსტაფა 'აკა შენი მეგობრული წერილით. ჩვენ გავეცანით მის შინაარსს და გავიგეთ ის, რაც იყო მასში სრულად და გავიხარეთ დიდად იმ სიტყვების გამო, რომლებიც მათ შენ გადაეცი და აუსხენი. მათ კი ჩვენ გადმოგვცეს და აგვიხსნეს (ყველაფერი) თავიდან ბოლომდე. როდესაც შენ ადრე გსურდა, გამოგვეგზავნა ახალავი, ჭეშმარიტად, იგი არ იყო (მაშინ ჩვენთან). შენ არ გამოგზავნე გიორგი ჩვენთან, იმის გამო, რომ ახალავი არ გამოიგზავნა შენთან. ახლა ვგზავნით ახალავს შიხ ამრრ 'აკას, მუსტაფა აკასა და შაჰავის თანხლებით. იცოდე, რომ ყოველთვის ჩვენსა და შენს შორის არსებობდა ძმური ალთქმა და მეგობრული სიყვარული დასაბამიდან. დღესაც ჩვენ მტკიცედ და მყარად ვადგავართ მას და ასეც იქნება (მუდამ), როცა საჭირო იქნება ამბების შეტყობინება. ჭეშმარიტად, ჩვენ გადავეცით და ვუთხარით ყველაფერი, რასაც ვფიქრობთ, ახალავს, შიხ ამრრს და მუსტაფას, ხოლო (ისინი), თუ ისურვებს ღმერთი, მაღალიმც არს, მოვლენ შენთან, გაცნობებენ და გადმოგცემენ (ყველაფერს) ნათლად და გარკვევით, წამატების გარეშე.

მშვიდობა და ლოცვა.

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

ДВА ПИСЬМА ИРАКЛИЯ II МАГОМЕДУ НУЦАЛ-ХАНУ

Резюме

Публикуются два арабских письма Ираклия II (Эрекли-хана), адресованные дагестанскому владетелю Магомеду Нуцал-хану (Нурсал-бегу). В одном из писем (из личной коллекции З. Алиханова в Хунзахе) Ираклий II сообщает о своем походе против выступивших ереванцев во главе с Мухаммед-ханом, который завершился победой Ираклия. Кроме этого, Ираклий II старается в письме разъяснить ситуацию в связи с задержкой некоторых лиц, уличенных в похищении людей, что вызвало, как явствует из письма, негодование Нуцал-хана. Другое письмо хранится в рукописном отделе ИИЯЛ Даг. ФАН СССР (ф. 6, оп. 1, 68/2506); в нем говорится об обмене Георгия на Ахалава и о возвращении последнего домой.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲗᲐᲠᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ“

„მაცნე“-ს 1979 წლის № 1-ში „დისკუსიისა და განხილვის“ რუბრიკით გამოქვეყნდა ედიშერ ხოშტარიას წერილი „ქართული საისტორიო წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ“, რომელშიც ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი მოსაზრებებია წამოყენებული. რიგ ზოგად მოსაზრებებთან ერთად, საერთოდ ამ ხასიათის სამუშაოთა პრინციპების შესახებ, სტატიის ნაწილი ეთმობა XI ს-ის ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისა“-ს რუსულ თარგმანს.

ე. ხოშტარიას შენიშვნათა ნაწილი მართებული და გასაზიარებელია და მათზე სიტყვას არ გავაგრძელებ. სასურველად მიმაჩნია ჩემი აზრი გამოვთქვა ზოგ სადავო საკითხზე და იმ შენიშვნებზე. რომელთაც ვერ გავიზიარებ.

პირველ რიგში შევეხები ზოგადი ხასიათის მოსაზრებებს.

პირველი და ერთ-ერთი მთავარი შენიშვნა საისტორიო თხზულების სათაურის რუსულად გადმოცემას ეხება. თხზულებას ქართულად ეწოდება «მატიანე ქართლისა» და თარგმანში მე დავტოვე «Матиане Картлиса», რომლის ნაცვლად რეცენზენტი გვთავაზობს «Летопись Грузии». ცნება «ქართლის» მნიშვნელობა თარგმანის შესაფერ წერილში განმარტებულია და ამდენად არ არსებობს იმის საშიშროება, რომ არაქართველი მკითხველები ვერ გაიგებს რას ნიშნავს «ქართლი». «Летопись Грузии», ჩემი აზრით, ზოგადი და არაფრისმთქმელია, ასეთი «Летопись» მრავალი შეიძლება იყოს. ამ საისტორიო თხზულების ავტორი რომ ცნობილი იყოს მაშინ კიდევ შეიძლებოდა ასეთი ზოგადი სათაურის მიცემა, მაგრამ თხზულება ანონიმურია. «Летопись Грузии» ისეთივე ზოგადია, როგორც «История Грузии», როგორც ვთარგმნით ჩვენ „ქართლის ცხოვრებას“, და რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს თუ რომელი «История Грузии» გვაქვს მხედველობაში, იქვე ფრჩხილებში ვწერთ რუსულად «Картлис цховреба». ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა რუსულად «Картлис цховреба», სპეციალისტი მედიევისტები უკვე ასე მიუთითებენ და ეს ალბათ იმიტომ, რომ «Картлис цховреба» კონკრეტული ნაწარმოების სახელწოდებაა, «История Грузии»—კი ზოგადი. ვფიქრობ, ასევე სასურველი უნდა იყოს დავამკვიდროთ რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში რუსულად «Матиане Картлиса». ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზოგი არაქართველი ავტორი უთითებს კიდეც ასე. როგორც ცნობილია, საისტორიო თხზულებათა სათაურების დედნისეულ ენაზე ამეტყველების მაგალითები არაერთი იცის რუსულმა ორიენტალისტიკამ. საყოველთაოდ გავრცელებულია და იხმარება «ჰუდუდ ალ-ალემ», „ჯამი ათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავარიხ“, «Ѩисаисоу ѩамаі» და სხვ. ეს მაშინაც, კი როდესაც „ѯамаі ѧат-тавариѫіхъ“ და «Ѩисаисоу ѩамаі»-ს ავტორები კარგად არიან ცნობილი (რაშიდ ად-დინი და ნიზამ ალ-მულქი). ამასთანავე რეცენზენტი გვსაყვედურობს, რომ «Матиане Картлиса»-ს პარალელურად შესავალ ნაწილში რუსულად ნახმარია «Летопись Картли» და «Летопись Грузии»-ც. შესავალ წერილში მე საგანგებოდ განვმარტავ არაქართველი მკითხველისათვის თუ რას ნიშნავს ეს «Матиане Картлиса» და ამიტომ ვხმარობ პარალელურ ფორმებს.

როგორც სამართლიანად შენიშნავს რეცენზენტი, ყოველ თარგმანში აუცილებელია ცნებებისა და ტერმინების უნიფიკაცია, და როდესაც „მატიანე ქართლისა“-ს თარგმანში ეს პრინციპი დარღვეულია, შენიშვნა სამართლიანი და მისაღებია. თუმცა, როგორც თვით რეცენზენტი შეგვნიშნავს, თარგმანის დასაწყისში ერთად არის მოცემული პარალელური ფორმები (რათა მკითხველი საქმის კურსში შევიდეს.) მაგრამ, ალბათ ეს მაინც ქმნის სიჭრელეს. ამასთანავე სადავოა ცნებებისა და ტერმინების რუსულად გადატანის პრინციპი. თანამედროვე საბჭოურ მთარგმნელობით პრაქტიკაში ძირითადად ორი პრინციპი მოქმედებს. ზოგი მთარგმნელი თარგმანში იცავს საგეოგრაფიო და სოციალურ ტერმინთა დედნისეულ ფორმას და „შენიშვნებში“ იძლევა თანამედროვე ფორმას და ტერმინის განმარტებას. ზოგი, პირიქით, თარგმანის ტექსტში იცავს თარგმანის ენის ნორმებს და „შენიშვნებში“ გააქვს დედნისეული ფორმა, სათანადო განმარტებით. მე პირადად უფრო სასურველად პირველი პრინციპი მიმაჩნია. აღსანიშნავია, რომ ორივე პრინციპს ახლავს თავისი სირთულეები. თარგმანში დედნისეული ფორმების დაცვის შემთხვევაში დგება რიგი დადგენილი და საყოველთაოდ გავრცელებული გეოგრაფიული თუ საკუთარი სახელების პრობლემა. მაგ.: როგორო ვწერით არაბულიდან ქართულად თარგმნილ ტექსტებში „თაფლისი“ (როგორც წერენ ჩვენი მთარგმნელები), თუ ქართულად მიღებული „თბილისი“, „კაკკოპი“ თუ „კაკკასიონი“, „ჯურზანი“ თუ „ქართლი“? და რა გავიტანოთ „შენიშვნებში“, ქართული თუ არაბული ფორმა?

მეორე პრინციპის დაცვის შემთხვევაში სხვა რიგის სირთულეები იჩენს თავს. რა ვუყოთ ცნებებს რომელთაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ, ჩვენი თვალსაზრისით ვთარგმნოთ? მაგ.: რეცენზენტი თვლის, რომ «Матиане Картлиса»-ში ხმარებული «Ѩатаѵаріх» უნდა ვთარგმნოთ რუსულად „князь“ იმ გაგებით, როგორც ეს ტერმინი იხმარება ძველ რუსეთში: «князь Игорь» და სხვ. (გვ. 152). მაგრამ რეცენზენტს კარგად მოეხსენება, რომ „მთავარი“ ყოველთვის ამას არ ნიშნავს, მისივე მოტანილი მაგალითებიდან ჩანს „მთავარის“ სხვადასხვა მნიშვნელობა. აქ საქმე ტექსტის გაგებას ეხება. ამიტომ, ვფიქრობთ, ჯობია დავტოვოთ ტექსტში დედნისეული ფორმა და „შენიშვნებში“ განვმარტოთ რა მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეს ამ ტერმინს, ისევე როგორც სომხურიდან რუსულად თარგმნილ ტექსტებში როგორც წესი რუსულად დატოვებულია სომხური ფორმა «нахарар», „ишхан“. ასეთი რიგის სირთულეები არაერი იჩენს თავს.

რადგან თანამედროვე საბჭოურ მთარგმნელობით პრაქტიკაში არ არსებობს საისტორიო თხზულებათა თარგმნისას ტერმინთა გადატანის დადგენილი პრინციპი, ამიტომ ყველა მთარგმნელი საკუთარი თვალსაზრისით მოქმედებს. 1978 წელს (მატიანე ქართლისა“-ს თარგმანის გამოსვლის შემდეგ) გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საისტორიო წყაროების გამოცემის კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ შემუშავებული წესები ქართულიდან რუსულად თარგმნისათვის. ეს „წესები“ რეცენზენტის მიერ შემოთავაზებული პრინციპის დაცვას მოითხოვენ (ე. ხოშტარია ამ „წესების“ ერთ-ერთი დამდგენია). ამიერიდან ვინც ამ „კომისიის“ ხაზით გამოსცემს თარგმანს, ვალდებული იქნება დაიცვას მისი პირობები. მაგრამ მაინც დგება საკითხთა წყება. მაგ.: რეცენზენტი თვლის, რომ «ბატანუ ქართლისა»-ს „საბერძენთა“ და „ბერძენი“ რუსულად უნდა ვთარგმნოთ „Греция“, «грек». ქართული შუასაუკუნოვანი წყაროების «საბერძენთა“ და „ბერძენი“ ნიშნავს როგორც კლასიკური ხანის ბერძენს (ელინს), საბერძნეთს, ასევე შუასაუკუნოვან ბიზანტიას და ამ იმპერიის მცხოვრებს. „ბატანუ ქართლისა“-ში „საბერძნეთი“ და „ბერძენი“ შუასაუკუნოვანი ბიზანტიის იმპერიის და იმპერიის მცხოვრების მნიშვნელობით იხმარება. თანამედროვე რუსულში ამ სახელმწიფოს «Византия» ეწოდება, «Греция»-ს მას რუსული შუასაუკუნოვანი წყაროები უწოდებენ., ასე რომ, თუ რეცენზენტის მიერ შემოთავაზებულ პრინციპს დავიცავთ, მაშინ «Греция»... მიუღებელია. რაც შეეხება «армяне»-ს «сомех»-ს, როგორც რეცენზენტი შენიშავს «მთარგმნელი ცდილობს გამიჯნოს „სომხითი“ და „სომხეთი“ (გვ. 152). ასეთი გამიჯვნა მას არასასურველად არ მიაჩნია, მაგრამ გვსაყვედურობს, რომ გვ. 50 არის «Давид царь сомехов», და ცოტა ქვემოთ კი არის «призвал кахов и армян». მართალია, ორივე შემთხვევაში ლიპარტ ბაღვაშის მოკაშკრიებზეა ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ პირველ შემთხვევაში „იგულისხმება“ დავით ტაშრ-ძორაყერტის მეფე, ხოლო მეორეში — საკუთრივ სომხეთის სამეფო.

რეცენზენტს შესაძლებლად მიაჩნია საკუთრივ ქართული საკუთარი სახელების დედნისეული ფორმით დატოვება (მაგ.: Мариам, Гиорги და სხვ.), მაგრამ სადაურობის აღმნიშვნელი ტერმინების რუსულად გადატანა (მაგ. Иоане Болнели) არ მიაჩნია სწორად. მართალია, ეს ბოლნელი და ამ ტიპის სხვა სახელები ქართულში (ქუთათელი, ტბელი და სხვ). სადაურობის (ამ შემთხვევაში საეპისკოპოსო კათედრის) აღმნიშვნელია, მაგრამ რადგან ამ ტიპის სახელებმა ჩვენში გვარსახელის მნიშვნელობა დაიმკვიდრეს, შესაძლებლად ვცანით მათი ამ ფორმით დატოვება, ამასთანავე «შენიშვნებში» განვმარტავთ მათ მნიშვნელობას. რაც შეეხება თეოდოსი მეფის ზედწერდებას «ჩალა-მეფე» რუსულში „ჩალა“ უცვლელად დავტოვეთ, რადგან, როგორც თვითონ ე. ხოშტარია აღნიშნავს, „ესეც საკუთარ სახელად იყო შერქმეული“ (გვ. 153), ხოლო ტექსტისეული „მწუხარე“ იმიტომ ვთარგმნეთ «Печальный» რომ მისი მდგომარეობა სწორედ ამის შესაბამისი იყო. თეოდოსის უსინათლობა კი ტექსტში სათანადოდ აღნიშნული აქვს ავტორს და ამჯერად რომ მხოლოდ მისი უსინათლობა ჰქონდოდა მხედველობაში, ალბათ ამის თქმასაც მოახერხებდა.

რეცენზენტი გვსაყვედურობს, რომ „თარგმანში რიგ შემთხვევებში არ არის გადმოცემული დედნის ნიუანსი, ან საქმე გვაქვს არაზუსტ თარგმანთან“ (გვ. 150) მაგ.: „და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი“ თარგმნილია «Избрали хорепископом Дачи» «избрали»-ს მაგივრ ის გვთავაზობს «поставили» ან «определили» ვფიქრობ, რომ «განაჩინეს“ თარგმნა «избрали» სწორად გადმოსცემს დედნის ნიუანსს. აქ საქმე გვაქვს გარკვეული წრის მიერ დაჩის არჩევასთან ქორეპისკოპოსად, ისევე როგორც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ცნობა გუარამის „განაჩინეს“ შესახებ ნიშნავს გურამის არჩევას, აქაც დაჩის «არჩევა» იგულისხმება (როგორც ცნობილია, ასე ესმის „ქართლის მოქცევის ქრონიკის“ ეს „განაჩინეს“ ს. ჯანაშიას, და ასეა ეს მიღებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში). „რეცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესატყვევნელად ქუეყანისა კაცთათვის“ თარგმნილია «для воздействия на местных жителей» რეცენზენტი თვლის რომ უნდა იყოს «как будто бы для полонения ან «якобы для полонения» (გვ. 154). მაგრამ აქ კონკრეტული «დატყვევება» — «полонение» კი არ არის, არამედ სწორედ მოტყუება, შეცდენა. ბიზანტიელებმა ადგილობრივ (იგულისხმება კლარჯთის) მკვიდრთა მოტყუების მიზნით საქართველოს მეფეს ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი დაუპირისპირეს (დემეტრე კლარჯი) და ამით შეცდენილი მოსახლეობის ნაწილი მათ მხარეზე გადავიდა.

„მოეყარა აფხაზთა მეფე ქალაქსა და ემტერა კახთა“—თარგმნილია: «заключил мир царь абхазов с городом (Тбилиси)» უნდა იყოს «покинул» (ან «оставил») царь абхазов город Тбилиси» (“მოეყარა-დატევებას, მიშვებას, განშორებას—ი. აბულაძე,“ გვ. 154-155). „მოეყარა“ კი ნიშნავს „დატევებას“ მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ეს ადგილი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი და ზოგ ხელნაწერში არის „და ემოყუარა“ (ქ. ცხ. 1. 298). აქ ბაგრატ მეფის თბილისის ამირასთან დაზავებაზეა ლაპარაკი და ვფიქრობ, რომ უფრო სწორი უნდა იყოს „და ემოყუარა“, რაც დამეგობრებას ნიშნავს (ი. აბულაძე, მით. ლექსიკონი), „თბილისი“ კი ტექსტში არ არის და ამიტომ შეეტანეთ ის მრგვალ ფრჩხილებში როგორც ტექსტისეული „ქალაქის“ განმარტება.

რაც შეეხება „ძელზე გასმას“ შეიძლება რეცენზენტი მართალია, და „ეს არ იყო სასჯელის ისეთი სახე, რომელიც იწვევდა ადამიანის სწრაფად სიკვდილს“ და ამიტომ არ შეესატყვისება რუსულ «посажение на кол»-ს (გვ. 155). მაგრამ თუ „ძელზე გასმა“ „ხეზე ჩამოკიდებას“ ნიშნავს, როგორც ფიქრობს რეცენზენტი, მაშინ ტექსტში უფრო მოსალოდნელია, რომ ყოფილიყო „ხეზე ჩამოკიდება“, როგორც გვაქვს სხვა შემთხვევებში. ასე რომ ამ ადგილის გაგება შეიძლება სადავო იყოს.

რეცენზენტი თვლის, რომ წყაროს სიტყვები „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღუს პირსა ხუფათს“ უცილობლად ნიშნავს, რომ აქ აფხაზეთის მთელი ლაშქარი გამოვიდა ხუფათს სანაპიროზე და არა ლაშქარი გამოვიდა აფხაზეთის სანაპიროზე ხუფათს (გვ. 156). მეფე ბრუნდება ბიზანტიიდან და მას თავისი სამფლობელოს საზღვარზე ხუფათს ხვდებიან, ასე რომ „აფხაზეთისა“ ლაშქრის მსაზღვრელიც შეიძლება იყოს და სანაპიროსიც.

რეცენზენტი გვსაყვედურობს საეკლესიო ტერმინოლოგიის არასწორად გადმოცემას და აღნიშნავს, რომ ქუთაისის ეკლესიის კურთხევისას ნახმარი „განგება“ ნიშნავს «чин, устав, распорядок, типик» (გვ. 156). თუ აქ „განგება“ «распорядок»-ს ნიშნავს ამ შემთხვევაში მხოლოდ ბაგრატის ტაძრის კურთხევაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, რომელიც მეფემ აკურთხა „განგებითა დიდითა და მიუწდომელითა“ და არა საერთოდ საეკლესიო „განგებაზე“. რომ ამ ტერმინის მნიშვნელობა ჩვენ საერთოდ გვესმის, ამას თვით რეცენზენტიც აღნიშნავს და ამდენად აქ საეკლესიო ტერმინოლოგიის არასწორად გადმოცემა არაფერ შუაშია. რაც შეეხება სიტყვა «провидение»-ს დაწერილობას, თანამედროვე რუსულში ის «ъ»-ით არ იწერება, იწერება «и»-თი (იხ. Орфографический словарь русского языка, М., 1958), ხოლო სიტყვის შუაში კორექტურულ შეცდომას («и»-ს მაგიერ „е“) აგრერიგად არ უნდა გაეოცებინა (sic !) რეცენზენტი ასეთი ხასიათის შეცდომისგან არც მისი სადისკუსიო წერილია დაზღვეული («честной, «честное»-ს მაგიერ, გვ. 254.)

არასწორად მიაჩნია რეცენზენტს „ლამპრობის დღის“ თარგმანი. მართალია, კ. კეკელიძეს განმარტებით, «ლამპრობად» ძველ ქართულ ტექსტებში იწოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

«праздник Сретения», მაგრამ „ლამპრობა“ ძველი ქართული წარმართული რიტუალია, მთავრის დღესასწაულთან დაკავშირებული, რომელიც ქრისტიანობის ხანაშიც შემორჩა და წმინდა გიორგის დღესასწაულს დაუკავშირდა. მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს და განსხვავებული სახით აღნიშნავდნენ როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „მატიანე ქართლისა“-ში დამოწმებული „ლამპრობა“ „დაახლოვებით ისეთ დროს სეოდნიათ, როგორც ეხლა სვანეთში დღესასწაულობენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 57). ამიტომ გავაკეთე შინაარსობრივი თარგმანი და „შენიშვნაში“ მივუთითე ივ. ჯავახიშვილის დასახ. შრომა. ჩანს, შემდეგ ამან თანდათან დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა და „მირქმის“ («Сретение») დღესასწაულის სახით დამკვიდრდა.

რეცენზენტს არასწორად მიაჩნია თარგმანში მოცემული გაგება „ჯვრის ბუდისა“ და თვლის, რომ აქ „ამოჭრილი ქვა უნდა იგულისხმებოდეს, რომელშიც ჯდებოდა აღსამართავი ჯვარი“ (გვ. 157) „ჯვრის ბუდის“ ასეთი მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტი არ უნდა უშერდეს მხარს ასეთ გაგებას. წყაროს თანახმად სარკინოზებმა „წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანნი დაჭრილი და შეედვათ სნეგა მუცლისა, და გულისხმა ყვეს, რომელ ჯუარისაგან ეენოთ. შეკრიბნეს ნაწილნი და წარმოსცნეს ჯუარსა. ჩაკრიბნეს ბუდესა შინა“ (ქ.ᲪᲮ. 1,265). რადგან აქ თან წაღებული დაჭრილი ჯვრის ნაწილების შეკრებაზე და ბუდეში ჩაკრებაზეა ლაპარაკი, ვფიქრობთ თარგმანში მოცემული გაგება სწორი უნდა იყოს.

რეცენზენტს ეჭვი ეპარება ტექსტისებური „გებულ იყო წინა“-ს თარგმანის სისწორეში და თვლის, რომ ეს გამოთქმა „ნიშნავს არა გიორგი კურაპალატის ადრე მოსვლას („опередил“), როგორც არის თავმაწში, არამედ მის გამზადებას მეფეფ საკურთხად, რაც მოხდა კიდეც“ (გვ. 158). როგორც მართებულად შენიშნავს რეცენზენტი, ეს გამოთქმა ბაგრატ IV-ის ძე გიორგი კურაპალატთან დაკავშირებით ტექსტში ორჯერ გვხვდება, მაგრამ არა იმ თანმიმდევრობით, როგორც სადისკუსიო წერილშია აღნიშნული. პირველად: ოსთ მეფე დორღოლელ და გიორგი კურაპალატი ერთად ლაშქრობენ განძას, მაგრამ ამ ლაშქრობის შემდეგ ქუთაისს მოსულ დორღოლელს გიორგი კურაპალატი იქ დახვდა და ისტორიკოსი ამბობს, „რამეთუ გიორგი კურაპალატი გებული იყო უწინა“ (ქ.ᲪᲮ. 1,313). ამის შემდეგ: სულტანსა და ბაგრატს შორის არის მოციქულთა მიმოსვლა ხარაჯის გამო და „შემდგომად მცირეთა წელიწადთა სამშჯლდისა ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცვა სალმობა მუცლისა და ჩადგა მარაბდათა“. ავადმყოფი მეფე წამოიყვანეს და „თანა ჰყვა გიორგი კურაპალატსა“. მაგრამ გიორგი კურაპალატი „გაგებულ იყო წინა „და მეფე მოიყვანეს ქართლს“, სადაც მოვიდნენ მისი დიდებულნი, დედოფალი და სხვანი (ქ.ᲪᲮ. 314.) ორივე კონტექსტიდან ჩანს, რომ გიორგი რომელიც ჯერ ბიძასთან (დორღოლელთან) ერთად იყო, ხოლო შემდეგ მამას ახლდა სამშვილდეს, მათზე ადრე მიდის, წინაურდება. რატომ ხდება ასე, ეს სხვა საკითხია. რეცენზენტი წერს, რომ ამ „გებულ იყო წინა“-ს „შემდგომად მცირედთა დღეთა მიათუალა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ“, რაც თითქოს იმას უნდა უშერდეს მხარს, რომ ის სამეფოდ იყო გამზადებული. მაგრამ პირველ და მეორე „გებას“ შორის რამდენიმე წელია ხარავეი და მეფე ბაგრატმა მაშინ „მიათუალა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ“, როდესაც სიკვდილის მოახლოვება იგრძნო. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუროპალატის მეფედ გამზადება არ არის ისეთი ფაქტი, რომლის საგანგებოდ, და ისიც ორჯერ აღნიშვნაა საჭირო. მას მეფობა კანონით ეკუთვნოდა ისევე როგორც მის მამას და მის შვილსაც, და არსად ეს ასე აღნიშნული არ არის.

ასევე ვერ გავიზიარებთ რეცენზენტის შენიშვნას «სულთა“-ს შესახებ. სულა ალმახელმა შეიპყრო ლიპარიტ ბაღვაში და მისი ძე ივანე და წაიყვანა კალმახს „და მსწრაფლ გაგზავნა სულა მეფისა წინაშე სულთა ზედა მხმობელნი. ხოლო გურანდფუტ და გიორგი, ძე ბაგრატისი, დგეს ღრტილას, და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქალაქსა მუნ მოილოდინეს ბაგრატ სულთა ზედა. მოვიდა ბაგრატ...“ (ქ.ცხ. 1,304-305). რეცენზენტი თვლის, რომ «სულთა» უნდა გავიგოთ არა გეოგრაფიულ პუნქტად „სულთა“ (როგორც არის თარგმანში), არამედ როგორც „სული“. წინააღმდეგ შემთხვევაში დარღვეულია ქართული ენის ნორმები, ს. ყაუხჩიშვილსაც „სულთა“ გატანილი აქვს არა გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში, არამედ ლექსიკონში, როგორც ტერმინი „სული“. ი. აბულაძე კი სულს განმარტავს — „კაცი“, „გუამი“, „თავი“ და მოაქვს შესადარებელი მასალა ბიბლიური ტექსტიდან (გვ. 159). აღნიშნულის საფუძველზე რეცენზენტი თვლის, რომ ტექსტი უნდა თარგმნოს: «немедля призвал: Сула царя прибыть за их (пленных) душами». მეორე შემთხვევისთვის კი «...ждали Баграта. За душами пришел Баграт...» (159). მიუხედავად ქართული ენის ნორმებისა (თუ ასეთი დარღვევა არის აქ), «ქართლის ცხოვრების» ლექსიკონისა და ი. აბულაძის განმარტებისა, აქ სწორედ გეოგრაფიული პუნქტი სულთა არის (რომელიც ახლაც არის ჯავახეთში — სულდა ეწოდება, იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, 22) სადაც იდგა მეფე ბაგრატი.

რეცენზენტის შენიშვნების ნაწილი თარგმანში დედნისეული ნორმების დაუცველობას, ან რუსული ენის ნორმებიდან გადახვევას ეხება. შენიშვნათა ასეთი ნაწილი მისაღებია მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ცოტაოდენი გადახვევის გარეშე არ ხერხდება ტექსტის ნიუანსის შენარჩუნება. მაგ.: «ხოლო მათ გაწირნეს მძევალნი მათნი“ — თარგმნილია: «И они принесли в жертву своих заложников» (გვ. 30). გამოდის, რომ მათ მძევლები მსხვერპლად შეწირეს უნდა იყოს: «И они обрекли на гибель своих заложников» (რეც. გვ. 156). მაგრამ აქ ისეთი ნიუანსია, რომ მთიელებმა თავისი 300 მძევალი საშშობლოს თავისუფლებას შეწირეს და ამიტომ ვთარგმნეთ «принесли в жертву».

როგორც სამართლიანად შენიშნავს რეცენზენტი საისტორიო წყაროს თარგმნა ტექსტის გაგებასთანაც არის დაკავშირებული, „ქართლის ცხოვრების“ დადგენილი ტექსტი კი არ გვაქვს. ალბათ საეჭვოა ყველასათვის ერთნაირად მისაღები ტექსტის დადგენა რომ მოხერხდეს, მაგრამ ნამდვილად ფრიად სასურველია საეჭვო და სადავო „ადგილების განხილვა და დაზუსტება ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა და ტექსტოლოგთა ერთობლივი ძალებით“ (რეც. გვ. 163). ამ მიზანს ისახავს წყაროთა გამოცემის ის კომისია, რომლის წევრიც არის ე. ხოშტარია და მას თავისი შენიშვნები თარგმნის გამოსვლამდე რომ მოეცა, ზოგიერთი შეცდომა გასწორდებოდა, ზოგ საკითხზე შეიძლება ვერ შეეთანხმებულიყავით, მაგრამ, ვფიქრობ, სადავოდ აღარ გავიხდიდით, მაგ.: საისტორიო წყაროს სახელწოდების საკითხს («ზოგადი «Летопись Грузии» თუ კონკრეტული “Матиане Картлиса“), და არც იმაზე ვიდავებდით, ბაგრატ მეფე ტყვეთა სულებს ელოდებოდა, თუ სულთას იდგა.

მარიამ ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხოვრება მეფეთა“

რეცენზენტის პატივცემული ეხოშტარიას შენიშვნები ს. ჩხეიძის თხზულების რუსული თარგმანის მიმართ სამ ჯგუფად შეიძლება დაყოფა:

1. ამ ჯგუფში შედის ჩემი შეცდომები, გამოწვეული უყურადღებობით (მაგ. ახლაც არ მესმის, როგორ გადაიქცა ქართული ტექსტის ათი თვე რუსულ ცხრა თვედ), კორექტურის შედეგად («осветил» ნაცვლად «освятил») და სხვ. მათ მე უყოყმანოდ ვიღებ.

2. მეორე ჯგუფის შენიშვნები იმ რიგისაა, როცა მთარგმნელსა და რეცენზენტს განსხვავებული აზრი აქვთ და, ყოველ შემთხვევაში, მთარგმნელი არ აპირებს დათმობას. რამდენიმე მაგალითი:

მთარგმნელი:	რეცენზენტი:
«многоликий в управлении»	«многостаронний в управлении»
«распологающей печалью»	«желанный в печали»
«клянусь вашим благополучием».	«клянусь вами»
«обесчестили»	«осквернили»
«правил суд»	«учинил расправу»
«растаяла (пуля)»	«растопилась»
«устроил пир» („უყო მეჯლისი“)	«устроил торжественный прием» (? მეჯლისი სპარსთა ენაა, ქართულად ნადიმი ჰქვიან“ — საბა).

„ქართველნი“ ს. ჩხეიძისათვის (როგორც ყველა ძველი ისტორიკოსისათვის) ხან ქართლელნი არიან ხან ქართველნი. შესაბამისად თარგმნილია «картлийцы грузины». იგივე ხდება ტერმინის «ქართლის» მიმართაც.

რეცენზენტისათვის ალბათ ცნობილია, რომ მის მიერ განხილული თარგმანი გამოცემულია 1976 წ., ე. ი. წყაროთა კომისიის დადგენილების გამოქვეყნებამდე (1977 წ.). დაახლოებით იმავე დროს (1976 წ.) გამოქვეყნდა ვახუშტის თხზულების ერთი ნაწილის რუსული თარგმანი, რომლის შესავალში მე შევეცადე ჩამომეყალიბებინა პრინციპები, რომლითაც ვხელმძღვანელობდი თარგმნის დროს. სასურველი იყო რეცენზენტი გაცნობოდა ამ შესავალს. მაშინ მისთვის გასაგები გახდებოდა ზოგი რამ (თუნდაც господарь-ის ან осы-ს ხმარების ახსნა).

რეცენზენტი მიგვითითებს, რომ ქართული „ქორონიკონი“ არ შეესაბამება რუსულ лето-ს ან год-ს. მე კი ვთვლი, რომ ამ ტექსტში „ქორონიკონი“ ხან ნიშნავს ქართული წელთაღრიცხვის ციკლს, ხან კი წელს. როდესაც ისტორიკოსი ამბობს „იმავ ქორონიკონსა“. აზრობრივად იგულისხმება „в том же году». ეს საკამათო არ უნდა იყოს. „ქ-სა 1707, ქართულსა 395“ მე ვთარგმნი: лета Христова (л. Х.) 1707, грузинского 395, და მიმაჩნია, რომ ზუსტად გადმოვცემ თარიღსაც და აზრსაც. მით უმეტეს, რომ შესავალში, როგორც რეცენზენტიც აღნიშნავს, საკმაოდ გასაგებად მაქვს ახსნილი ქართული წელთაღრიცხვის სისტემა, და მისი თარგმნის პრინციპი.

მე ვთვლი, რომ ამ ტიპის თხზულების თარგმანი არა მარტო ტექსტუალურად, არამედ და უფრო მეტად აზრობრივად უნდა იყოს ქართული ტექსტის ადეკვატური. მით უმეტეს, რომ ეს არის ისტორიული და არა ფილოლოგიური წყარო, განკუთვნილია ისტორიკოსისათვის და არა ფილოლოგოსისათვის. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიტან კიდევ ერთ მაგალითს. რეცენზენტი წერს:

„დედნის ტექსტიდან არსებითი ხასიათის დაშორების მაგალითად მოვიტანთ შემდეგ ადგილებს: „მეფემ არჩილ აღარ ინება კახეთის ბატონობა, აღარც რჯული მათი, გაუშვა კახეთი“ — თარგმნილია: «Царь Арчил не пожелал быть господарем Кахети, ни порядки их, оставил Кахети» (ვვ. 9)». რეცენზენტი განმარტავს, რომ «вера» არის რჯული, სარწმუნოება და არა порядки და მიუთითებს სხვა ადგილს, სადაც მე სწორად მაქვს თარგმნილი ეს სიტყვა. მაგრამ რა აზრია ტექსტში არჩილი და კახელები სხვადასხვა რჯულისანი არიან? რუსი მკითხველი ხომ ზუსტად ასე გიგებს ამ ადგილს? ... ამიტომ აქ ბრმა თარგმანი დაუშვებელია.

„არსებითი ხასიათის დაშორებად“ თვლის რეცენზენტი ასეთ ადგილსაც: „ესმინა ხვანთქარს მოხსენება ყაენისა და მიცემა მეფის გიორგისა“ თარგმნილია—«Султан выполнил просьбу шаха и велел выдать царя Гиорги». ამის ნაცვლად უნდა იყოს: «Султан внял просьбе шаха о выдачи царя Гиорги»... და სხვ. და სხვ.

რეცენზენტის შენიშვნათა უმრავლესობა ამ ხასიათისაა.

3. მესამე კატეგორიის შენიშვნები განსაკუთრებულ ახსნას მოითხოვს. როცა მთარგმნელი ამ მეტად ძნელ საქმეს კიდებდა ხელს, მას ისიც სურდა, რომ ისტორიულ წყაროს გარკვეულად შეენარჩუნებინა ეპოქის სული. უდავოა, რომ ჩხეიძის თხზულება განკუთვნილია პირველ რიგში რუსულენოვანი სპეციალისტებისათვის, რომელიც ჩახედულია შესაბამისი პერიოდის წყაროებში და მათი ენა მის თვის ჩვეული და გასაგებია. მისთვის ნათელია, რომ власти ნიშნავს მაღალ სამ ღვდელოებას; რომ ненормалъ ფორმებია пошел на него войною, жалованье премногое, придал ему войско, милость безчисленная; რომ ქართული „წყალობა“ ტექსტის მიხედვით არის ხან жалованье, ხან милость, ხან честь; რომ жалованье ნიშნავს ხან ჯამაგირს, ხან ულუფას, ხან წყალობის სიტყვას, ხან შეწყალებას; რომ корм-ს საზრდელს, ულუფას, სარჩოს, ჯამაგირის მნიშვნელობა აქვს იმ პერიოდის ოფიციალურ საბუთებში (იხ. რომელიც გნებავთ ელჩობის მასალები, ან ქართველი მოღვაწეების რუსეთში წასვლისა თუ დაბინავების ამსახველი საბუთები); და ა. შ. ასე, რომ დალის ლექსიკონსა და XVII-XVIII სს. რუსული ისტორიოგრაფიისა და ოფიციოზური ენის ურთიერთდაშორებას თავისი ახსნა აქვს და ამ პერიოდს ისტორიკოსისათვის ასეთი პრობლემა არ შეიძლება დადგეს.

პატივცემული რეცენზენტი სავსებით სამართლიანად წერს: „სასურველია თარგმანების განხილვა სპეციალისტთა შეძლებისდაგვარად ფართო წრეში ხელნაწერშივე, მის გამოცემამდე“. ასეთი აზრი მე რეცენზიის მიმართაც გამიჩნდა. ასეთ შემთხვევაში რეცენზიაც და, შესაბამისად, საქმეც მოიგებდა. მით უმეტეს, რომ მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ რეცენზენტის კეთილგანწყობაში და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

ნოდარ ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჯაფაროვა

ბატონყმობის საკითხისათვის

ბატონყმობა სპეციალისტების მიერ ფეოდალიზმის ერთ ეტაპადაა მიჩნეული, იმ ეტაპად, როცა ყველაზე სრულადაა განხორციელებული ფეოდალის არასრული საკუთრება მწარმოებელზე.

ბატონყმობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. გლეხის მიწაზე მიმაგრება; 2. ფეოდალის უფლება გლეხის მიწიანად, ზოგან უმიწოდ, გაყიდვისა; 3. გლეხის მოქალაქეობრივი უფლებების უკიდურესად შეზღუდვა (ბეთალმანის უფლება, ფიზიკური დასჯა, უძრავი ქონების გასხვისების უფლების უქონლობა, ზოგან პირველი ღამის უფლება და სხვ.). ეს მომენტები სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ძალით ვლინდებოდა[1].

შუა საუკუნეების იურისტების აზრით, „ყმა-გლეხად ითვლებოდა ადამიანი, რომელიც ერთსა და იმავე სენიორზე იყო დამოკიდებული სამი მომენტით. ეს იყო პირადი, საადგილმამულო და სასამართლო დაქვემდებარება“[2]. აკად. ს. სკაზკინის აზრით, ადრეულ შუა საუკუნეებში შეიძლება ეს სამი მომენტი ყოველთვის ერთად არ იყოს, მაგრამ ბატონყმობის გვიანდელ ფორმებში, მაგალითად, „ბატონყმობის მეორე გამოცემისას“, იგი, თითქმის ყველგან, საყოველთაო მოვლენა იყო[3].

კ. მარქსის აზრით, ფეოდალური ურთიერთობის დროს მწარმოებელი, რომელსაც ფეოდალის მიწა უჭირავს და ამისათვის გარკვეულ გადასახადს იხდის, ამა თუ იმ ხარისხით მაინც პირადად არათავისუფალ დამიანად ითვლება[4]. ბატონყმობა კი ამ პირადი არათავისუფლების უფრო სრული გამოხატულებაა. კ. მარქსისა და ვ. ლენინის განსაზღვრით, ბატონყმობა წარმოიშვა შრომითი ბეგარისაგან. სბატონო მეურნეობის არსებობამ აუცილებელი გახადა გლეხის მიწაზე მიმაგრება, რათა მას დაემუშავებინა ბატონის მიწა[5]. სადაც არ განვითარდა სბატონო მეურნეობა და არ იყო შრომითი ბეგარა, არც ბატონყმობა წარმოშობილა. ბატონყმობის გავრცელებას ადრე და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში განსაზღვრავდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობა და მეურნეობის ნატურალური ხასიათი[6].

ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ ევროპაში ბატონყმობის ორი მთავარი

---

* წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების სხდომაზე (ბეჭდება შემოკლებით).

[1] СИЭ, ტ. 8, გვ. 68.

[2] С. Д. Сказкин, Очерки по истории западноевропейского крестьянства в средние века, М., 1968, გვ. 105.

[3] იქვე.

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, თბ., 1958, გვ. 410—411.

[5] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 300—301; ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. III, გამოც. IV, გვ. 204—208.

[6] ვ. ი. ლენინი, დასახ. ნაშრომი; СИЭ, ტ. 8, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო იყო: 1. სრული საკუთრების შეზღუდვა მონაზე, რომელიც მიწაზე იქნა დასმული და 2. თავისუფალი მეთემის არათავისუფალი მიწისმჭერლად გადაქცევა. ეს პროცესი მიმდინარეობდა მსხვილ ფეოდალურ მეურნეობაში ანუ სენიორიაში („ვოტჩინა", „მანორი"), სადაც გაბატონებული იყო შრომითი რენტა.

დასავლეთ ევროპაში ბატონყმობა ყველაზე ადრე ესპანეთში გავრცელდა. იქ ეს პროცესი მიმდინარეობდა VI—VIII სს. VIII ს-თვის უკვე ყმა-გლეხთა კატეგორიას შეადგენდა წარმოშობით და მდგომარეობით სხვადასხვა კატეგორიის მწარმოებლები (სერვები, ლიბერტინები, კოლონები). მათ ყიდდნენ მიწიანად და უმიწოდ, შეიძლებოდა გასაჩუქება, მზითვში გაცემა და სხვ. ანალოგიური პროცესი საფრანგეთში მიმდინარეობდა VIII—X სს. X—XI სს. მიჯნაზე გლეხობის დიდი ნაწილი—სერვები—მიწაზეა მიბაგრებული. ინგლისში ბატონყმობა დამკვიდრდა X—XI სს. გერმანიაში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა VIII—XI სს. და სხვ[7].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, ერთი მხრივ, ღრმავდება ბატონყმური ურთიერთობანი, მეორე მხრივ კი, ქალაქებისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, იწყება ბატონყმობის შესუსტება და ზოგან კი გლეხობის განთავისუფლებაც (ემოსაყიდვის გზით). XIII ს-დან საფრანგეთში, ინგლისში, აგრეთვე ესპანეთში, იტალიაში და სხვ. მიმდინარეობს გლეხობის პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება. XV ს-ში დას. ევროპის ძირითად ქვეყნებში ბატონყმობა ფაქტიურად აღარ არსებობს (თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად საფრანგეთში, კვლავ არის ცდები გლეხობის ხელახლა, ან ახალი ფენების დაყმეევებისა. იქ ბატონყმობა, შეზღუდული მასშტაბით, თვით დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციამდე გაგრძელდა).

იმ პერიოდისთვის, როცა დასავლეთ ევროპაში ძირითადად დასრულდა გლეხობის პირადი განთავისუფლება, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ახალი ძალით იფეთქა ბატონყმურმა ურთიერთობამ. ამ მოვლენას ფრ. ენგელსმა „ბატონყმობის მეორე გამოცემა" უწოდა ბატონყმობის „პირველი გამოცემისაგან" განსასხვავებლად, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში „აღრე და ნაწილობრივ განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში"[8]. დას. ევროპაში სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ, ქალაქების ზრდამ, კაპიტალიზმის ჩასახვამ და განვითარებამ წარმოშვა მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, განსაკუთრებით მარცვეულზე. ამ ვითარებამ ხელი შეუწყო აღმ. ევროპაში დიდ საბატონო მეურნეობათა განვითარებას, სადაც მზადდებოდა სასაქონლო პური დას. ევროპაში გასატანად. იმავე ვითარებამ ხელი შეუწყო შრომითი ბეგრის გავრცელებასა და გლეხობის მიწაზე მიმაგრებას. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა აღ. გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხიაში და სხვ. (ზოგიერთი მეცნიერის აზრით რუსეთშიც). ევროპის ზოგ ქვეყანაში (ნორვეგია, შვეცია) ბატონყმობა საერთოდ არ განვითარებულა.

საქართველოში ბატონყმობა, როგორც ფეოდალისა და გლეხის (არათავისუფალი, მიწაზე მიმაგრებული მწარმოებელი) დამოკიდებულების აღმნიშნელი ცნება XIX ს-ის ისტორიკოსთა შრომებში შემუშავდა. მანამდე კი, წყაროებში ფეოდალიზმის სინონიმად იხმარებოდა და მოიცავდა ფეოდალური საზოგადოების ყველა წოდებისა და ფენის ურთიერთობას მეფიდან გლეხამდე.

---

[7] С. М. Каштанов, Крепостное право, СИЭ, т. 8, зд. 69—70.
[8] С. Д. Сказкин, Второе издание крепостничества, СИЭ, т. 3, зд. 882.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინები „პატრონყმობა“ და „ბატონყმობა“ იდენტური ცნებებია[9].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონყმობის გამარჯვების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. უფრო გავრცელებულია ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით ბატონყმობამ საქართველოში XI—XII სს-ში გაიმარჯვა. სხვა მოსაზრებებით, ეს ფაქტი XIII—XIV, XIV—XV, ან კიდევ X—XI და IX—X სს. მოხდა.

ბატონყმობა ორი სიტყვისაგან შედგება: ბატონი (პატრონი) და ყმა. „პატრონი“ წყაროებში IX ს-დან გვხვდება[10] და ნიშნავს უფალს, ბატონს, სენიორს. მანამდე კი და ზოგჯერ შემდეგაც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმანი „უფალი“. სას. ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, უფალი, პატრონი და ბატონი სინონიმებია (იხ მათი ლექსიკონები). ივ. ჯავახიშვილის აზრით, „პატრონი რომლისაგანაც შემდეგში თანდათანობით ქართული სამწერლო ენის „ბატონი“ და მეგრული „პატონი“, „პატენი“... წარმოდგა“, რომაული „პატრონუს“-იდან უნდა იყოს წარმოშობილი. მაგრამ შინაარსით კი არ ემთხვევა ერთმანეთს[11]. ქართული წყაროები პატრონსა და ბატონს არ ასხვავებენ ერთმანეთისაგან. მხოლოდ, ადრე პატრონი იხმარებოდა, რომელიც შემდეგ სასაუბრო ენაში „ბატონად“ გადაკეთდა (გვაქვს შუალედური ფორმაც — „ბატრონი“), სასაუბრო ენიდან კი კვლავ შევიდა ლიტერატურაში. ტერმინი ბატონი გვხვდება XV ს-დან, გახშირდა XVII ს-ში და გაბატონდა XVIII ს-ში, მაგრამ XVIII და თვით XIX ს. პირველ ნახევარშიც ბატონის პარალელურად პატრონიც იხმარებოდა იმავე მნიშვნელობით. პატრონად იწოდებოდა მეფე და ფეოდალები.

ტერმინი „ყმა“ („ყრმა“) უფრო ძველი, ვიდრე პატრონი. თავდაპირველად ყრმა ბავშვისა და ახალგაზრდის მნიშვნელობით იხმარებოდა, მაგრამ ადრიდანვე მიუღია მას მეორე, სოციალური მნიშვნელობა.

სახარების ტექსტებში ყრმას შემდეგი მნიშვნელობანი აქვს: 1) ბავშვი, ჩჩვილი, 2) ახალგაზრდა, 3) ვაჟი, 4) სოციალური (მონა, მოსამსახურე [მსახური])[12]. შუშანიკის წამებაშიც ორივე მნიშვნელობით არის ნახმარი „ყრმა“[13]. რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება ყმა ვეფხის ტყაოსანშიც: 1) ახალგაზრდა, 2) ვაჟი, 3) მოყმე (რაინდი), 4) სოციალური (მოყმე ავთანდილი არის დიდებული, ჰყავს თავისი ყმები, ამავე დროს არის როსტევან მეფის ყმა)[14]. სახარებაში თუ ყმა უმეტეს შემთხვევაში ბავშვისა და ახალგაზრდის მნიშვნელობით იხმარებოდა. ვეფხისტყაოსანში მისი უმთავრესი მნიშვნელობა სოციალურია,

---

[9] ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, პატრონყმობისა და ბატონყმობის რაობის გარკვევისათვის, ისტორიის ინსტიტუტის სსპრინანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1971.

[10] დაწერილი ფავნელისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლაძის რედ., 1965, გვ. 3—4; სამართალი ბაგრატ კურაპალატისა, ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 466—469; ვ. მ ე რ ჩ უ ლ ი, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედ., გვ. 118; მატიანე ქართლისა, ქ-ნეს., I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 258 და სხვ.

[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, თბ., 1928, გვ. 102, 105.

[12] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1948—1949, გვ. 652.

[13] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 18, 21.

[14] ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., 1956, გვ. 336—337; შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951 წ. გამოც., გვ. 202, სტრ. 992.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაზე დაქვემდებარებულ პიროვნებას აღნიშნავს. გვიან შუა საუკუნეებშიც არ დაუკარგავს სიტყვა „ყმას“ თავისი ორი მნიშვნელობა. მაშინ ყმა ახალგაზრდასაც ნიშნავდა და დაქვემდებარებულ ადამიანსაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, საქართველოში არსებობდა თავისუფალ მწარმოებელთა ფენა, რომლის მოვალეობა პატრონის წინაშე იყო მოლაშქრეობა და რომელსაც მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ ყმა მოლაშქრეთა ფენას უწოდებენ.

ჩვენი აზრით, ყმათა ცალკე სოციალური ფენი არ არსებობდა. ყმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოების რომელიმე ფენს ან წოდებას აღნიშნავდა. მათეს სახარების შატბერდული რედაქციის ყრმას XI ს-ის რედაქციაში მონა (რუსულის слуга) ენაცვლება (მათე, 8.9). სეროპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც ყმა მონას ენაცვლება: გ. ჩორჩანელმა უბრძანა „ერთსა ვისმე მ ო ნ ა თ ა გ ა ნ ს ა: წარვედ მსწრაფლ... ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ... ხოლო წარვიდა მყის ყ რ მ ა იგი“[15]. აქ მოხსენებული მონა, რომელსაც ყრმა ენაცვლება, ცხადია, არაა ანტიკური ხანის მონა. იგი ფეოდალური ურთიერთობისათვის კარგად ცნობილი მსახურია, რომელიც ფეოდალს „ბეგარას“ პირადი სამსახურით უხდის.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში (IX ს., სხვა შეხედულებით XI ს.) „ყმა“ ორჯერ იხსენიება და ორსავე შემთხვევაში ფეოდალს გულისხმობს: „148 (თუ უსამართლოდ პატრონმან ყმაჲ გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს. 149) თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაჲ წაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს“[16]. ვფიქრობთ, ისეთი ყმა, რომელსაც შეიძლება ჯარიმად 12 გლეხი გადაადგევინონ, ან 12 გლეხი გადაუხადონ, შეიძლება მხოლოდ დიდებული ან აზნაური იყოს.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში (XI ს.) რამდენჯერმეა მოხსენიებული „ყმა“ („ყრმა“). ამ ტერმინის ქვეშ იქაც სხვადასხვა შემთხვევაში საზოგადოების სხვადასხვა წოდება თუ ფენი იგულისხმება[17].

XIII ს-ის საჩივრის წიგნში მოჰიბენის მხლებლები ერთ შემთხვევაში ყმებად, მეორე შემთხვევაში კი მსახურებად არიან დასახელებული[18]. იმავე წიგნში მოხსენიებული ატენელი ყმები („ატენითაკა ყმები წამოგუისხა“) და მომჩივნის, რომელიც თავად დიდებულია, „აზნაურისა ყმები“, ჩვენი აზრით, გლეხები არიან[19]. გლეხებად მიგვაჩნია ჩვენ ის „ა ზ ნ ა უ რ ი ს ყ მ ა ნ ი [რომელნიც] მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“ თამარის ეპოქაში[20]. აქ შესადარებლად აღებულია აზნაურის ყმა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას, მის ქვეშაა არავინ არაა, ყველაზე ღარიბია და ამიტომაა საკვირველი მათი კარგად შემოსვა. ასეთი, ცხადია, იმ დროს მხოლოდ გლეხი შეიძლებოდა ყოფილიყო. 1344 წ. ერთ დოკუმენტში დასახელებულია „ღ ე ვ ი ს ი მ ი ს ყ მ ა ნ ი: მზარეული იაი, გორისძე დიაკონი ბექენი, გოროველი ბაშაი, წეროველი ცეცხლაისძე იაი“[21] — ყველანი გლეხები.

---

[15] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 325, 327.

[16] ქართული სამართლის ძეგლები I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963, გვ. 67.

[17] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 70—71, 109 და სხვ.

[18] ს. კ ა ბ ა ძ ე, XIII საუკუნის საჩივრის წიგნი, საისტორიო კრებული, წ. III, თბ., 1928, გვ. 99.

[19] იქვე, გვ. 98.

[20] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

[21] ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, თ. ჟორდანიას გამოცემა, გვ. 71—72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმა რომ ფეოდალური საზოგადოების ცალკე ფენი ყოფილიყო, სამართლის ძეგლებში მისი სისხლის ფასიც იქნებოდა განსაზღვრული დიდებულის, აზნაურის, მსახურის, გლეხის, ჰეროვნის, სამღვდელოს, ვაჭრის და სხვათა გვერდით

წარმოდგენილი მასალიდან, ეფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ყმა ვასალის აღმნიშვნელია და ყველა დაქვემდებარებული ფენის თუ წოდების წარმომადგენლის აღსანიშნავად იხმარებოდა ქართულ ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში. როგორც „პატრონი“ არ აღნიშნავს საზოგადოების ერთ ფენს, ისევე „ყმა“ არ აღნიშნავს საზოგადოების ერთ კონკრეტულ ფენს. მაგალითად, მეფის ყმა არის მთავარი (ანუ დიდებული აზნაური), დიდებულის ყმა არის აზნაური და ყველა ამათი კი — გლეხი (მსახურითურთ). მხოლოდ გლეხი არ არის პატრონი, რადგან არ ჰყავს ყმა და მხოლოდ მეფე არ არის ყმა, რადგან არ ჰყავს პატრონი. თუ ყმა ფეოდალია (დიდებული, აზნაური) იგი თავის პატრონთან ვასალურადაა დამოკიდებული; თუ ყმა მწარმოებელია, მაშინ იგი გლეხურადაა დამოკიდებული. სამღვდელო და ვაჭარი ზოგი ფეოდალთა წოდებას ეკუთვნოდა, ზოგი—გლეხურს, ამიტომ მათი პატრონზე დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარი იყო. ამდენად, ყმათა ცალკე ფენი — თავისუფალი მოლაშქრეებისა არ არსებობდა.

ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის და სხვათა გამოკვლევებიდან ჩანს, რომ საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობანი უკვე წყობის სახითაა ჩამოყალიბებული და აღრემონათმფლობელურ ურთიერთობებთან შეღარებით ზრდის ცხოველუნარიანობით გამოირჩევა. ძველი ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით, სეფეწულთა, ქურუმთა და სხვ. განსხვავებით, ახალი, სამხედრო არისტოკრატიის სახელი აზნაური უნდა ყოფილიყო. აზნაურებად მიიჩნია ივ. ჯავახიშვილს II ს. I ნახევარში რომში ჩასული ქართველი მეფის, ფარსმანის მხლებელნი, რომელთაც დიონ კასიოსი „პროტოის“ სახელით მოიხსენიებს (მარკოზის სახარების ქართულ თარგმანში ბერძნული „პროტოი“ თარგმნილია აზნაურად)[22].

თუ ადრე აზნაურობა გაბატონებული საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო, V საუკუნეში (შესაძლოა ქრისტიანობის მიღების დროიდანაც), V ს-ის ორიგინალური ძეგლის „შუშანიკის წამების“ მიხედვით, მთელი გაბატონებული კლასის სახელი არის აზნაური. აზნაურობა უკვე კაყოფილია ორ ფენად 1) დიდ-დიდნი აზნაურნი (ანუ მთავარნი — მხსე. ფეოდალები) და 2) აზნაურნი (წვრილი ფეოდალები)[23]. V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი IV ს-ის ქართლის გაბატონებულ საზოგადოებაში, გარდა ფარნავაზიანებისა, ასახელებს ნახარარებს (მთავრებს) და აზატებს (აზნაურებს)[24].

ანალოგიური სურათია სომხეთშიც, სადაც წყაროთა შედარებით სიმრავლის პირობებში უფრო ნათლადაა ეს საკითხი გარკვეული. IV ს-ის სომხეთში მთელ ფეოდალთა კლასს ეწოდება აზატი, რომლის ზედა ფენაა ნახარარები

---

[22] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ., 1938, გვ. 195. ... ქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 139 (ა. ბოგვერაძის ტექსტი).

[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 27.

[24] История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, გვ. 162—163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მსხვილი ფეოდალები) და ქვედა ფენა — აზატები (წვრილი ფეოდალები, რომლებიც მეფისა და ნახარარების ვასალებად ითვლებიან)[25].

IV ს-ის დასასრულისათვის სახელმწიფო საკუთრებისა (ტერიტორიები, რომლებსაც ერისთავები მართავენ და რომელშიც შედის სასოფლო-თემური და წვრილი კერძო საკუთრებაც) და სასეფოს (მეფის დომენის) გვერდით უკვე გვხვდება საეკლესიო და დიდი თუ მცირე აზნაურთა მიწათმფლობელობა. წყაროების უქონლობა არ იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ პროცესს. შედარებით ნათელი და რეალური ვითარების ამსახველი ცნობები IV ს-ის შესახებ მოგვეპოვება. მირიან მეფეს ნინოს საფლავსა ზედა აუშენებია „ეკლესია ფრიად დიდი“ ბოდს და შეუმკია „იგი ყოვლითა სამკაულითა“ და შეუწირავს „მრავალნი სოფელნი და აგარაკნი“[26]. IV ს-ის დასასრულს „აღაშენეს აზნაურთა წმინდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლსა შინა“[27]. მოქცევაი ქართლისაის ამ ცნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ს. ჯანაშია. მართლაც, ჯერ ერთი, აქ ჩანს გზა, როგორ იქმნებოდა საეკლესიო მიწათმფლობელობა (ერთი გზა, არის სხვაც), და მეორეც, აზნაურობა არის მფლობელი და განმარგაულებელი სოფლებისა და აგარაკებისა, რომელთა ნაწილს ეკლესიას უწყალობებს[28]. აქედან მოკიდებული ხშირდება ცნობები „სოფლებისა და აგარაკების“, დაბების, ცალკე აგარაკების შეწირვის, სყიდვის, წყალობის, გაანდერძების, გამოწირვის, ხელახლა შეწირვის და სხვ. შესახებ. ფეოდალებისა და ეკლესიების მფლობელობაში მყოფი სოფლები და აგარაკები ზოგი მამულობითია, ზოგი დროებით მფლობელობაში და ზოგი კიდევ ნასყიდი.

კიდევ უფრო მკაფიო სურათი მსხვილი მიწათმფლობელობისა გვაქვს V ს-ის ცნობებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იაკობ ხუცესის თხზულება, რომელშიც საინტერესო ცნობებია ადრეფეოდალური ხანის მსხვილი სენორიის — „პიტიახშის სახლის“ შესახებ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, პიტიახშის სახლი, ან კიდევ „მეფის სახლი“ (სომხური ცნობა VI ს-სა) არის ის მიწა-წყალი, რომელიც პიტიახშის ან მეფის სამფლობელოს (სეფეს) შეადგენდა. ს. ჯანაშია ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის მიერ „სახლის“ განმარტებას და უმატებს: „მხოლოდ ჩვენი აზრით, ეს „სამფლობელო“ ფეოდალური ხასიათისაა. სახლი აქ სენიორიას აღნიშნავს, ადრინდელ ფეოდალურ მნიშვნელობით“[29].

ვარსქენ პიტიახში წოდებრივად აზნაურობას ეკუთვნის, მხოლოდ მის ზედდეფეულს — მთავრებს. იგი არის პიტიახშის სახლის „უფალი“ — სენიორი, ჰყავს „საკუთარნი“ (ანუ ვასალები) აზნაურების სახით. უფლის მეუღლე დედოფალია, ჰყავს სახლის ეპისკოპოსი, ტაძრის (სასახლის) მღვდელი. უფლის ტაძარში ტრიალებს მრავალი მსახური, მონა, მონა-მხევალი და სხვ. ვარსქენის მსლეგლები არიან აზნაურები და მსახურები. დიდია ვარსქენის უფლება მისი ოჯახის წევრებზე, ცოლზე, ძმაზე, მსახურებზე და სხვ. ვარსქენის სამფლობელოში მრავალი დაბა-სოფელია, აგრეთვე აგარაკი. დაბა-სოფლების მცხოვ-

---

[25] История армянского народа, ч. I, Ереван, 1951, გვ. 63—65 (ს. ერემიანის ტექსტი); იხ. ლ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 84—85.

[26] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 161—162.

[27] იქვე, გვ. 92.

[28] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, 1949, გვ. 286.

[29] იქვე, გვ. 20, სქ. 3.

12. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1979, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებნი ვარსქენს ემორჩილებიან და, ალბათ, გადასახადს უხდიან.) წინააღმდეგ შემთხვევაში ვინ შეინახავდა ვარსქენის დიდ ოჯახს, მისი ტაძრის მრავალ მოსამსახურესა და მხეველს, ვინ უზრუნველყოფდა მის ლაშქრობას ჩორს თუ სხვა ადგილებში და სხვ. და სხვ.

ვინ არის პიტიახშის სენიორიის მცხოვრებნი სოციალურად? უპირველეს ყოვლისა ისინი „უაზნონი“ არიან. ვინ იგულისხმება უაზნონში? ის ვინც აზნაური არ არის — მსახური, მონა, მხეველი, მიწისმოქმედი. მიწისმოქმედთა ერთი ნაწილი უთუოდ გლეხია, ე. ი. თავისუფალი არაა. სულ თავისუფალნი არც სხვენი უნდა იყვნენ. ვარსქენის სენიორიაში მოხვედრილი მიწისმოქმედი უკვე ნახევრად არათავისუფალია, რადგან გადასახადი უნდა გადაიხადოს, სამხედრო და ადმინისტარციულ—სასამართლოს ხაზით კი მის მოხელეებს უნდა დაემორჩილოს. ასეთი ადამიანისათვის ორი-სამი თაობა სრულიად საკმარისია, რომ იგი ყმა-გლეხად გადაიქცეს. სასოფლო თემიც კი, თუ ის ფეოდალის სამფლობელოში აღმოჩნდა, გადაიქცევა დაქვემდებარებულ თემად და პატრონყმურ თემადაც კი[30].

ფრიად დამახასიათებელია ფეოდალური ეტიკეტის დაცვა ვარსქენ პიტიახშის მიერ. როცა ირანიდან მომავალი იგი თავის სამფლობელოს საზღვარს მოადგა სპეციალური შიკრიკი დააწინაურა და ამცნო თავის „სახლს“ თავისი ჩამოსვლა და მოითხოვა „რაჲთა წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს“[31]. „ერთგულება“ სენიორ-ვასალის ურთიერთობის ერთ-ერთი კომპონენტი და მის სამეკვფოდ წყალობის საფუძველია.

დაახლოებით ასეთივე სენიორები უნდა ყოფილიყვნენ და ასეთივე სამფლობელოები უნდა ჰქონოდათ ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენებულ მთავრებს: სამოელ კათალიკოსს („მცხეთის სახლი“), გრიგოლ მამასახლისს, არშუშა პიტიახშს და სხვა მთავრებს, რომელთა მსგავსნი მრავლად იყვნენ V—VI სს-ის ქართლში. სენიორებად მიიჩნია ს. ჯანაშიამ საეპისკოპოსოს ცენტრი-ეკლესია მათდამი შეწირული სოფლებითა და აგარაკებით, რომელთა რიცხვმა VI ს-ის დასასრულს 30-მდე მიაღწია.

როგორც აღვნიშნავდით, ფეოდალის სამფლობელო შედგებოდა სოფელ-დაბებისა და აგარაკებისაგან. სოფელი და დაბა თავიანთი ტყე-საძოვრებით არის სამფლობელოს ის ნაწილი, რომელიც უფალის მიერ მწარმოებელზეა გადაცემული საბეგროდ (მიუხედავად იმისა, ეს მიწები მართლა თავად გადასცა უფალმა წარმოებლებს, თუ მწარმოებლები თავიანთი სათემო მიწებით მოხვდნენ სენიორიაში). აგარაკები კი, რომლებიც კერძო მფლობელობაში მყოფი დაუსახლებელი, საყანე ადგილებია[32], სენიორიის პირობებში, საპატრონო მეურნეობას უნდა წარმოადგენდეს, რომელთაც იმავე სენიორიის სოფლის მცხოვრებნი ამუშავებენ შრომითი ბეგრის საფუძველზე. შრომითი ბეგარა კი, როგორც კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი აღნიშნავენ, წარმოშობს ბატონყმობას. უფალი, რომელსაც საპატრონო მეურნეობა აქვს, იძულებულია იზრუნოს მუშახელით მისი უზრუნველყოფისათვის და დაამაგროს მწარმოებელი მიწაზე.

დიდი წარმატება მოიპოვა ფეოდალთა კლასის ზედაფენამ VI ს-ში მეფობის დაუქმებასთან დაკავშირებით, როცა ჯერ სპარსეთის მთავრობის წარმომა-

---

[30] С. Д. Сказкин, Избранные труды по истории, М., 1973, გვ. 78.

[31] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 12.

[32] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 594—595 (გ. მელიქიშვილის ტექსტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენელმა „დაუწერა საერისთავოთა მათთა მამულობა შვილითიშვილამდე“, შემდეგ კი ამის დადასტურება ბერძენთა მეფისგანაც მიიღეს[33]. ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების დაწესებაც ფეოდალური არისტოკრატიის წარმატებადაა მიჩნეული მკვლევართა მიერ, რადგან ახალმა ხელისუფალმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოსაგან მათთა“[34]. აღნიშნულმა ვითარებამ, ცხადია, ხელი შეუწყო სენიორალური სისტემის განვითარებას, შეუვალობის მოპოვებას თუ მითვისებას. გამრავლებულ სამთავრო-სენიორიებში მწარმოებლის ერთადერთი გამკითხველი მისივე უფალი იყო.

განსაკუთრებულ გავრცელებას სამთავრო-სენიორალურმა სისტემამ VIII—IX სს-ში მიიღწია. ამ ხანის ტიპიურ სენიორიად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი ჩორჩანელის „საბრძანებელი“, რომელიც აღწერილია ბასილ ზარზმელის თხზულებაში — „ცხოვრება სერაპონ ზარზმელისა“[35]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს საბრძანებელი პოლიტიკური საჭარო უფლება კი არ არის, არამედ მამული და მონაგები[36].

უფალი გიორგი ჩორჩანელი იყო „მთავარი დიდი და წარჩინებული“, რომელიც გამოირჩეოდა „სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომლისა სივრცე საზღვართ ვრცელი და მრავალი იყო“. სასახლეები ჰქონდა ჩორჩანსა და ზანავში. ჩორჩანელის სამფლობელოს დაბა-სოფლებში არსებული ტყეებიც ჩორჩანელის საკუთრება ყოფილა. გ. ჩორჩანელმა თავის მამულში საკმაოდ დიდი ტერიტორია გამოუყო ბერებს მონასტრის შენებლობისთვის, მატერიალური შემწეობაც მისცა. შემდეგ კი „მისცნა ყოველნი საკმარნი, ჯორები და კარაულები და რაოდენი რაჲ უკმდა სიმრავლესა ძმათასა... სოფლებნიცა მისცა კაცმან ღმერთისამან გიორგი“, მის მაგალითს თურმე სხვებმაც მიბაძეს და გამრავლდა „ძალისაებრ... შესაწირავი“ (ძეგლები, I, გვ. 335).

ჩორჩანელის სამთავრო-სენიორია გამოირჩეოდა „სიმრავლითა ერთა“. ვინ იყო ჩორჩანელის ერი? — ის, ვინც ჩორჩანელის სამფლობელოში ცხოვრობდა და ემორჩილებოდა მას, როგორც უფალს. ჩორჩანელის ერთადგან პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ვასალები, მცირე მთავრები (ანუ აზნაურები), რომლებიც „მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავარისანი“ (ძეგლები, I, გვ. 325). ჩორჩანელის ერთგან, ანუ „საკუთართაგან“, ანუ „წინაშემდგომელთაგან“ თხზულებაში მოხსენიებულია აგრეთვე „ყრმაჲ იგი“ „მონათაგანი“ და „მკერცხლმავალნი“ (გვ. 326), რომელნიც გამოსული არიან მოსახლეობის დაბალი ფენებიდან, კერძოდ „ქვეყნისმოქმედთაგან“. ისინი ცხოვრობდნენ სოფლებსა და დაბებში, ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა უფალ ჩორჩანელის მიწაზე, რომელიც სარგებლობაში ჰქონდა მას გადაცემული და რისთვისაც იხდიდა ბეგარას. იგივე ამუშავებდა უფლის მრავალრიცხოვან აგარაკებს (სასატონო მეურნეობა) შრომითი ბეგრის საფუძველზე. იგივე ქვეყნისმოქმედნი აძლევდნენ ჩორჩანელს მონა-მსახურსა თუ „მკვირცხლმავლებს“ და სხვ. უფლებრივადაც საკმაოდ შეზღუდულნი ყოფილან ეს „ქვეყნისმოქმედნი“, რადგან შესაძლებელი ყოფილა მათი მონასტერზე შეწირვა (თხზულებაში მხო-

---

[33] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ეიტანგ გორგასლისა, ქ.-ცხ., I, გვ. 217—221.

[34] იქვე, გვ. 221.

[35] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 319—347; ნ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე, სერაპონ ზარზმელის ცხოვრება როგორც სისტორიო წყარო, 1975.

[36] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, გვ. 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ სოფლების შეწირვაზეა საუბარი, მაგრამ იმ სოფლებში ქვეყნისმოქმედნი ცხოვრობდნენ, რომლებიც მონასტრის განკარგულებაში გადადიოდნენ). ჩორჩანელის სამფლობელოებში მცხოვრები მწარმოებლები, ალბათ, ჩორჩანელის ადმინისტრაციასა და სასამართლოს უნდა დამორჩილებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის დროს პოლიტიკური უფლებები მიწის საკუთრებასთანაა დაკავშირებული. თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ საერთოდ სენიორიაა ის ადგილი, სადაც თავისუფალი მწარმოებელი ყმა-გლეხად იქცევა და არა მარტო ერთეული მწარმოებლები, არამედ მთელი სოფლობთ, მაშინ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩორჩანელის ერის ის ნაწილი, რომელიც „ქვეყნისმოქმედია" — წოდებრივად ყმა-გლეხია — ე. ი. თავისუფლებადაკარგული მწარმოებელია. ჩორჩანელის სამთავარო-სენიორიის ანალოგიური სამფლობელო იყო გბერიელ დადანჩულის მამული, რომლის შესახებ საინტერესო ცნობებია გიორგი მერჩულეს თხზულებაში — „ცხოვრება გრიგოლ ხანთველისა". ანალოგიურ სამფლობელოებად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე სამცხის მთავრის მირიანის, ბაღვაშთა კაცხის მამული, ფავანელთა, ტბელთა სამფლობელოები და სხვ.

გლეხის, თავისუფლებადაკარგული მწარმოებლის, არსებობას მკვლევარნი ადრიდანვე ვარაუდობენ. სტრაბონის IV გენე, ლაო, რომელნიც სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ, სწორედ „გლეხები" უნდა ყოფილიყვნენ[37]. ასეთი გლეხები, სავარაუდოა, „სეფეწულებსა" და გაბატონებული კლასის სხვა წევრებსაც უნდა გასჩენოდათ და თანდათან გამრავლებოდათ კიდეც. მწარმოებელთა ყმა-გლეხად ქცევის პროცესი სწრაფად ძლიერდება ადრეფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო სენიორებში, რომლებიც V—VI სს-ში წარმოიშვნენ, ხოლო გამრავლდნენ და თითქმის მთელი ბარის საქართველო მოიცვეს VIII—IX საუკუნეებში[38]. იმ ხანის სენიორიებში საკმაოდ განვითარებული ჩანს სპატონო მეურნეობანი აგარაკებისა და ზვრების სახით. აგრეთვე სპატონო მესაქონლეობა დიდი ჯოგების სახით. სპატონო მეურნეობა, ვიმეორებთ, ემყარება შრომით ბეგარას, ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ბატონყმობის საფუძველია.

ჩვენში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, ყმა-გლეხობის ჩამოყალიბება ძირითადად ორი გზით უნდა მომხდარიყო — მოწვების განთავისუფლებითა და უფლის მიწებზე დასმით (განსაკუთრებით სეფე სახლის მიწები) და, უფრო მეტად, თავისუფალ მეთემეთა ცალკე წარმომადგენლების თუ მთელი თემის დაყმევებით, როგორც სეფე-ქვეყანაში, ისე „პიტიახშის სახლში" თუ ჩორჩანელის, დაფანჩულის, ბაღვაშთა და სხვ. დიდებულთა სამფლობელოებში.

დასავლეთ ევროპაში ბატონყმობის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა მევენახეობამ. მევენახეობისა და მებაღეობის როლი მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც. ზვრებისა და ბაღების გაშენებას დიდი დრო და დიდი შრომა სჭირდებოდა. სპატონო მეურნეობაში, ცხადია, ამ სამუშაოს გლეხები ასრულებდნენ შრომითი ბეგრის საფუძველზე. იგივე

---

[37] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 161. 167; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 597-601 (გ. მელიქიშვილის ტექსტი).

[38] გ. მელიქიშვილი განვითარებული სენიორალური სისტემის არსებობას აღნიშნავს ქართლის და ტაოკლარჯთის მიმართ (იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხები, 1973, გვ. 56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარება — გლეხის მეურნეობაში ვენახისა და ბაღის გაშენება, ხელს უწყობდა გლეხის მიწაზე დამაგრებას და შემდეგ მიმაგრებასაც.

აბრიგად, გლეხობა, რომელიც პირველ საუკუნეებში მწარმოებელთა ერთი მცირე ნაწილი უნდა ყოფილიყო, თანდათან გამრავლდა, ჯერ მწარმოებელთა დიდი ნაწილი შეიქნა, შემდეგ კი ბარის მთელ მწარმოებელ საზოგადოებას ეწოდა. როდის მოხდა ეს? — სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ საჭიროა გაირკვეს: რატომ არის, რომ გლეხი არ იხსენიება V—XV სს. ორიგინალურ აგიოგრაფიულ და მხატვრულ ლიტერატურაში, აგრეთვე მრავალ საისტორიო თხზულებაში. (გლეხი მოხსენიებულია ხმოლოდ ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ერთხელ), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან (ორჯერ) და ქამთა�მწერელთან (ერთხელ). გლეხი არ იხსენიება ლეონტი მროველთან, მატიანე ქართლისაში, სუმბატ დავითის ძის თხზულებაში, თამარის ისტორიკოსებთან და ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან. თამარის პირველმა ისტორიკოსმა იქაც კი არ ახსენა გლეხი, სადაც მისი ხსენება, თითქოს, აუცილებელიც კი იყო: „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი და გაკეთდეს წოდებანი“[39]. XIII ს-ში მწარმოებელი საზოგადოების ზოგადი სახელი რომ გლეხია, ეს სადავო არაა, თანაც აქ წოდებანია ჩამოთვლილი: დიდებული, აზნაური და მოსალოდნელი იყო გლეხი (არის კი ქვეყნისმოქმედი, რომელიც იმ დროს გლეხია). თუ გავითვალისწინებთ, რომ გლეხი ბიბლიის ადრეულ თარგმანებში, მიწის მუშის ვეერდით ზოგჯერ ნიშნავს უქონელს, ღატაკს, გლახას[40], მაშინ ცხადი იქნება ფეოდალური წრეების ქედაღლური დამოკიდებულების „საფუძველი“.

ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა ევროპის ფეოდალურ საზოგადოებაშიც, კერძოდ საფრანგეთში. ფ. ენგელსი ამ ვითარებას შემდეგნაირად ხსნის: «Все, что не входит в феодальную иерархию, так сказать, не существует; вся масса крестьян, народа, даже не упоминается в феодальном праве»[41].

ანდენად, გლეხის მოუხსენებლობა საისტორიო თუ სხვა ხასიათის თხზულებებში არ ნიშნავს იმას, რომ გლეხი არ არსებობდა, ან მცირერიცხოვანი იყო. ტერმინ გლეხს ხმარობენ მხოლოდ მაშინ, როცა მისი შეცვლა სხვა სიტყვით შეუძლებელია: როცა გლეხს ყიდულობენ და ყიდიან, ან საზღაურში გასცემენ, ან ბეგარას ადებენ და სხვ. ასეთი ძეგლებია სიგელ-გუჯრები და სამართლის წიგნები. საისტორიო თხზულებებში კი, სადაც იშვიათად ახსენებენ გლეხს, ჩვეულებრივ, დამცირებულის ეპითეტად იყენებენ. ასე მაგალითად: ჯუანშერი V ს-ის მოვლენების გადმოცემისას აღნიშნავს, რომ სპარსელებმა დაიპყრეს ჯორჯანნი ომით და „მერეთგან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან ებეგჩენი სპარსთანნ“[42]. დავითის ისტორიკოსთან: 1) „გლეხთა იხილემცა ოდეს არაბთა მეფენი მოპყეანდეს ტყვედ“, 2) დავითმა „მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“[43] (ერთადერთი გამონაკლისია ამ მხრივ ყამთა აღწერელის ცნობა, რომელიც ეხება XIII ს-ის შუა ხანებს: „ცხრასა გლეხსა, სრულსა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან“[44]).

---

39 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., II, გვ. 34.

40 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, შრომები, 1975, II, გვ. 29.

41 Архив Маркса и Энгельса, т. X, 1948, გვ. 280.

42 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 187.

43 იქვე, გვ. 432, 351.

44 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ვითარებაა თარგმნილ ძეგლებში: ი. აბულაძის ნაშრომში, „ძველი ქართული ლექსიკოდან“, რომელშიც გლეხის ეტიმოლოგიაა განხილული, მოტანილია ციტატი გამოუქვეყნებელი თარგმანიდან — „რიფსიმეანთა წამების წიგნიდან“, რომელიც „მერვე ს-ზე უადრესი და მეცხრე ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს“[45]. იქ ნათქვამია: რიფსიმეს სანახავად შეიკრიბნენ: „მთავარნი მათნი, ივიცა ერთი-ერთსა ჰკდებოდა და სრბით მივიდოდეს ხილვად სიკეთესა მისსა, და აზნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტენებოდეს“... (იქვე, გვ. 25). ამ შემთხვევაში გლეხს სომხურში „ამბოხ“ (დაბალი ხალხი) შეესატყვისება და „ქალაქ ვალარშაპატის დაბალ მასას ეწოდება“ (იქვე). X ს-ის სვანურ ნრავალთაგში ნათქვამია: „და გამოსწერედ კაცთა და პირუტყუთა და ხეთა, მ ე ფ ე თ ა და გ ლ ე ხ თ ა“... (იქვე). აქ გლეხს სომხურში შეესატყვისება „რამიკ“ (მოსახლეობის დაბალი ფენა, გადასახადის გადამხდელი). ი. აბულაძეს გამორკვეული აქვს, რომ გრიგოლ ოშველს (X ს.) სომხურის შ ი ნ ა კ ა ნ ი“ (სოფლის დაბალი მოსახლეობა) უთარგმნია გ ლ ე ხ ად (გვ. 28—29). და ბოლოს ი. აბულაძე ასკვნის: „გლეხი ძველად ჩვენში ხმარებულა ფართო შინაარსით, მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენის აღმნიშვნელად, და ეიწროთი — ამ დაბალ ფენაში შემავალი ქალაქელი (რიფსიმიანთა წამების მიხედვით) თუ სოფელი უბრალო ხალხის ანუ „გლეხის“ ამსახველად (გრიგოლი ოშველის თარგმანის მიხედვით“)[46] ე. ი. VIII—X სს. ქართველი მთარგმნელების მიხედვით, რომელთა მიერ სომხური ტერმინები „რამიკი“, „ამბოხი“ და „შინაკანი“ გადმოღებულია ერთი ქართული ტერმინით, „გლეხით“, საქართველოს მთელი მწყაროებელი მოსახლეობა გლეხია (არათავისუფალია), რომელიც დაპირისპირებულია აზნაურებთან ანუ ფეოდალებთან.

ადრეფეოდალური ხანის თარგმნილი ლიტერატურის ცნობებს ადასტურებს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის (IX ს. შუა ხანები) მონაცემები, რომელიც ტაო-კლარჯეთის სამთავროს შეეხება[47]. სამართლის წიგნის მიხედვით სახეზეა ფეოდალთა და გლეხთა კლასი. ფეოდალთა კლასში შედის მაღალი სამღვდელოება, დიდებულები და აზნაურები.

მაღალი სამღვდელოება უპირატესობით სარგებლობს საერთო ფეოდალებთან შედარებით. მეფის შემდეგ ყველაზე დიდი პატივით სარგებლობს ეპისკოპოსი, რომელიც, კოდექსის მიხედვით, „მეორე მეფეა“. (ძეგლში კათალიკოსი არ იხსენება, რადგან იგი მხოლოდ ტაო-კლარჯეთს ეხება). ასევე დიდი უპირატესობით სარგებლობს. სამართლის მიხედვით მოძღვარი, მღვდელი, მონაზონი, ხუცესი და სხვ. ამ მხრივ საოცრად ემთხვევა ერთმანეთს გ. მერჩულეს თხზულებისა და სამართლის წიგნის მონაცემები სამღვდელოების დიდი უპირატესობის შესახებ.

დიდებული დიდი მფლობელია აზნაურისაგან განსხვავებით. დიდებულის სასლის გაყრისას საუხუცესოდ ერთი სოფელია, აზნაურის გაყრისას კი, თუ იგი ყმინია, მხოლოდ ერთი კომლი გლეხი. დიდებულს არ ხელეწიფების მონაზონის ან მღვდლის შეპყრობა (წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმა გადახ-

---

45 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, შრომები, II, 1976, გვ. 25.

46 იქვე, გვ. 29.

47 ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომლის მიხედვით სამართლის წიგნი ეკუთვნის ბაგრატ I კურაპალატს (IX ს.). სამართლის თარიღისა და მისი ცნობების მნიშვნელობის შესახებ ჩვენ მოხსენება წავიკითხეთ ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების განყოფილებაში 1975 წ., რომლის გამოქვეყნებას უახლოეს მომავალში ვაპირებთ. ამიტომ ძეგლის დათარიღებას აქ არ შევეხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება). დიდებული მეფის ვასალია (პატრონი და ყმა). პატრონს უფლება არა აქვს ყმა გაძარცვოს (ასეთ შემთხვევაში პატრონმა ყმას 12 გლეხი უნდა დაუტოვოს). დიდებულს „უსამართლოდ“ პატრონისაგან წასვლა არ შეუძლია (თუ მაინც წავიდა ყმან პატრონს 12 გლეხი უნდა „შეუკაზმოს“)[48]. ამ ორი მუხლიდან ისე ჩანს, თითქოს, პატრონსა და ყმას შორის ხელშეკრულება იდებოდა, რომლის დარღვევა „უსამართლოდ“ არც ერთს არ შეეძლო. დიდებულის მოკვლის შემთხვევაში „საპირო“ (შესარიგებელი) 30 000 თეთრია (მუხ. 160). ცხადია, მთელი სისხლის ფასი რამდენჯერმე მეტი იქნებოდა, მაგრამ ის მუხლი აკლია სამართალს.

ახნაურები სამართლის წიგნში ორი კატეგორიაა: ტაძრობილი და უტაძრო. ორივეს ცალ-ცალკე აქვს სისხლი და „საპირო“ გაჩენილი („საპირო“ ტაძრობილოსათვის — 17 000, ხოლო უტაძროსათვის — 12 000, მუხ. 160).

ბაგრატის სამართლის მიხედვით, მწარმოებელთა საზოგადოებას გლეხი ეწოდება. მას თავისუფლება დაკარგული აქვს. ეს ჩანს იქედან, რომ გლეხებს ასხვისებენ, „სისხლში“ აძლევენ, ჯარიმის საზღაურად იხდიან და სხვა. ასე მაგალითად: „სადაცა მაცხოვრისა ხატი ესეუნოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატოდ ოცდაათი გლეხი მართებს, თორმეტი — ყოველად წმიდისა, თორმეტი — მთავარანგელოზთა, თორმეტი — სხუათა წმიდათა მოდელთ—მოძღუართა, მოციქულთა, წმინდის გიორგისა, ნათლისმცემელისა და სხუათა წმინდათა“ (მუხ. 121). შემდეგ: „თუ (საპატიო) დიაცსა აგინოს, თორმეტი გლეხი დაუტოვოს მარტივითა საკსრითა“ (მუხ. 130). გლეხი ჯარიმის საზღაურად დასახელებულია აგრეთვე 148—149 მუხლებში, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიტანეთ. გლეხი დასახელებულია აგრეთვე 153 მუხლში (ახნაურის გაყრისას საუხუცესო ერთი გლეხი). და ბოლოს, გლეხი დასახელებულია 160-ე მუხლში: გლეხის სისხლის „საპირო“ 7 000 თეთრია. თუ ამ უკანასკნელ მუხლს არ მივიღებთ მხედველობაში, გლეხის პიროვნებისა თუ მისი საკომლოს და სხვ. დაცვის შესახებ სამართალში არაფერია ნათქვამი. სამართლის წიგნი თავგამოდებით იცავს ეპისკოპოსებსა და ეკლესიის სხვა მსახურთა, დიდებულებს, ახნაურებს, გლეხი კი იმდენად არსებობს ამ სამართალში, რამდენადაც იგი საჭიროა გაბატონებული ფენების ინტერესების დაცვისა თუ მათი ქონებრივი მეგმპარეობის განსაზღვრისათვის.

სოციალური ფენებიდან სამართლის წიგნში დასახელებულია აგრეთვე დიდებაური. იგი დასახელებულია იმათ რიგში, ვინც მოსამართლედ შეიძლებოდა ყოფილიყო. მოსამართლედ მოიდგრისა და „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცნ“ გვერდით დასახელებულია აგრეთვე „კარგი სოფლისა მამასახლისი“ (მ. 100).

სამართლის წიგნში მოხსენიებული არ არის ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენა — მსახური. მსახურთა ფენის არსებობა წყაროებით დადასტურებულია V ს-დან. ამდენად, სამართლის წიგნში მსახურთა მოუხსენებლობა არ შეიძლება აიხსნას მათი არ არსებობით. ხომ არ აკლია სამართლის წიგნს ის მუხლები, რომლებშიც შეიძლება მსახური ყოფილიყო მოხსენებული? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამართლის წიგნს უნდა აკლდეს ზოგიერთი მუხლი. მაგრამ სამართალში მსახური რომ ხსენებული ყოფილიყო, სადმე მაინც გამოჩნდებოდა, რადგან სამი წოდება — დიდებული, ახნაური და

48 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., II, გვ. 468, გვ. 148, 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი ხშირადაა მოხსენიებული სხვადასხვა მუხლში და სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, სამართალში დიდებული ნახსენებია შვიდჯერ, აზნაური თერთმეტჯერ და გლეხი ცხრაჯერ. 160-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია „საპირო“ დიდებული, ორი კატეგორიის აზნაურის და გლეხის, ცხადია, უნდა ყოფილიყო „მსახური“ თუ ის ცალკე წოდება იყო და ცალკე სისხლი ჰქონდა. შენდეგ: ერთმანეთზე მიყოლებულ სამ მუხლში მოცემულია დიდებულის, აზნაურის და გლეხის გაყრის წესი (მ.მ. 153, 154, 155), მსახური არ ჩანს. ხომ არ შეიძლება, რომ მსახურნი არ იყრებოდნენ? ჩვენი აზრით, ამის ერთადერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ის გლეხთა წოდებაში იგულისხმება. ბაგრატის სამართლის შედგენის დროისათვის ის ჯერ კიდევ არ არის ისე დაწინაურებული, რომ მებეგრე გლეხისაგან ცალკე გამოყონ და ცალკე სისხლი გაუჩინონ. ჩვენი აზრით, მსახურთა დაწინაურებასა და ერთგვარ აღზევებას ადგილი აქვს ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში, XI—XII საუკუნეებიდან, როცა დიდი სახელმწიფოს ბრწყინვალე სამეფო კარს მრავალრიცხოვანი მოხელე მსახურები სჭირდებოდა. ასევე, წარმატებით წარმოებულმა ომებმა, რომლებშიც მსახურებიც მონაწილეობდნენ, საშუალება მისცა მსახურებს ქონებრივი თუ სოციალური აღზევებისა. რაც ისახა კიდეც მისი სისხლის ფასის გადიდებაში მებეგრე გლეხთან შედარებით (ბექა-აღბუღის სამართალი, ძეგლის დადება, ვახტანგის სამართალი და სხვ., თუმცა, წოდებრივად მაინც გლეხთა კლასში დარჩნენ). აღნიშნული ვითარება შესაძლოა მიეთითებდეს ძეგლის შედგენის დროზეც — ერთიანი მონარქიის წინარე ხანაზე.

ბაგრატის სამართლის წიგნზე მსჯელობის დასკვნად შეიძლება ითქვას, რომ სამართალში წარმოდგენილია ფეოდალური საზოგადოების ორი ძირითადი კლასი — ფეოდალები (დიდებული, აზნაური) და გლეხობა; აგრეთვე განვითარებული ვასალიტეტი (მეფე—დიდებული-აზნაური), რომელიც სენიორალურ სისტემასაც გულისხმობს. ამდენად, სამართალში წარმოდგენილია ბატონყმური ურთიერთობის საზოგადოება, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპზე იმყოფება[49].

აქ განხილულ სხვადასხვა ხასიათის წყაროთა მონაცემებს ემოწმება და ადასტურებს ქართული დოკუმენტური წყაროებიც. ჩვენს დრომდე მოღწეული პირველივე საუბთით, ფავნელის დაწერილით (IX ს.), დოკუმენტურად დასტურდება ბაგრატის სამართალში წარმოდგენილი სამივე წოდება: დიდებული, აზნაური და გლეხი[50]. დიდმა ფეოდალმა ფავნელმა შიომღვიმეს მიჰყიდა ოთხი სოფელი იქ მცხოვრები მოსახლეობით და ორი გლეხი. ეს სოფლებია: ცხეევერეთი, გველდესი, გავაზელნი და კოტმანი; ქვემო გველდეს კი მიჰყიდა

---

[49] მ. ლორთქიფანიძის აზრით, ბაგრატის სამართალი განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებას ასახავს, მხოლოდ მას მიაჩნია, რომ სამართალის წიგნი XI ს-ის ძეგლია და არა IX ს-ისა, იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში (ბატონყმობის გაპარკვევის საკითხისათვის), კრებული: საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 32—50.

[50] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., II, გვ. 3—5, სამ. № 1, № 2. ამ გამოცემაში წარმოდგენილი № 2 საბუთი არ არის დამოუკიდებელი საბუთი. იგი № 1 საბუთის მინაწერია (შემონახულ პირშიც ერთადაა წარმოდგენილი). ამ ნასყიდობის წიგნის ნამდვილობა დასტურდება გიორგი II-ის 1072 წ. შიომღვიმისადმი მიცემული სიგელით, გიორგი III-ის 1170 წ. შიომღვიმისადმი მიცემული შეეწყალობის განახლების სიგელით და ქართლის ერისთავის გრიგოლის დაწერილით (1245—1250 წწ.), იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, № 6, 9, 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ორი გლეხი: შულიასძე და ტარიკასძე“. საფასურში მიღო „ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტა ვერცხლი წმინდისა შიოს კუბოსა შემონაყარი“... და სხვ. (გვ. 3). შემდეგ მემღვიმემ აფხაზთა და კახთა მეფეთაგან (როგორც ჩანს, ქართლი მაშინ მათ ხელში იყო) „თავისუფლებისა ბრძანება“ მოიპოვა და ფავნელთაგან ნასყიდი სოფლები და გლეხები შეუვალი გ ა ხ დ ა აქ დასახელებული სოფლების მცხოვრებნი, როგორც ჩანს, გლეხებია (არათავისუფალი მწარმოებლები), რადგან შესაძლებელი ყოფილა მათი გაყიდვა. მათვე ადევთ შრომითი და ნატურალური ბეგარა (ღალა) შიომღვიმის მონასტრისადმი. რადგან მონასტერს შეუვალობა აქვს, ახლად ნასყიდი სოფლის გლეხები მონაბერის სასამართლოსა და ადმინისტრაციას ემორჩილებიან. ზემოდასახელებული სოფლებისა და აგრეთვე მღვიმის სხვა სოფლების მცხოვრებნი რომ მართლაც გლეხებია, ეს პირდაპირია ნათქვამი გიორგი II-ის 1072 წლის შეუვალობის განახლების სიგელში. გიორგი II-მ განუახლა მღვიმეს შეუვალობა და გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან „სოფელნი და ავარანი მათნი“: „ავარაჲ ციხედიდს, გლეხნი და მიწაი — ნიჩიბის, გლეხნი და მიწაი — კოდალს, და წინარეკს, და შუარეკს, ადლეთს, შედარს, და ძველ ღრდელთს, და ცხირეთს ც ხ ე ვ ე რ ი და გ ა ვ ა ზ ე ლ ნ ი, გ უ ე ლ დ ე ს ი და კ ო ტ მ ა ნ ი, კლდეკართა ქუეშე ბორცეის ჯუარი და ბჭითი, ზეგანთა მოუგონელნი სვინეთს და ფურკოდს“ (ძეგლები, II, გვ. 10). ასეთსავე ვითარებას ვეარაუდობთ ჩვენ ქართლის სხვა სოფლებშიც.

მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილიდან ჩანს, რომ მას სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის შეუმატებია თავისი „მოგებული“ (შეწირული და ნასყიდი) 135 სოფელი თავიანთი მცხოვრებლებით და ორი მონასტერი. ამას გარდა „კაკს ვაჭარნი იბ“ (12), „თეძს გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა“, „ოტათლოანს გლეხი ა, ციხედიდს გლეხი ს, ორნივე ფუძითა სრულითა“ და სხვ[52].

XI ს-ის ნიკორწმიდის იადგარიდან ჩანს, რომ ნიკორწმიდელს თავისი ეკლესიისათვის შეუძენია (შეწირული და ნასყიდი) 33 გლეხი სხვადასხვა სოფელში ((რაჭაში, ოკრიბასა და სხვ. ადგილებში), რომელთაც ადევთ ბეგარა[53].

1123 წ. დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი ნათქვამია: „ანდერძი არ შეცვალოს არავინ „ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა ჴელისუფალმან ვინ, თ უ ნ დ ა გ ლ ე ხ ნ ი ს ა თ უ ნ დ ა ა ზ ნ ა უ რ ნ ი“[54]. აქ ორ მოპირდაპირე წოდებად, თანაც მთელი საქართველოს მასშტაბით, დასახელებულია გლეხი და აზნაური.

თუ დავით აღმაშენებლის ზემომოტანილ ანდერძში ფეოდალური საზოგადოების ორ მთავარ დაპირისპირებულ წოდებად დასახელებულია აზნაური და გლეხი, იმავე ეპოქის მეორე ძეგლში, რუის-ურბნისის ძეგლის წერაში (1103 წ.), ასეთ ორ წოდებად დასახელებულია „აზნაური და მდაბიური“[55]. ეს

---

[51] „მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, და დიოფალთაგან და დიდებულთაგან აზნაურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველთავე ხელოსანთაგან“... (სამართლის ძეგლები, II, გვ. 4).

[52] ქართული სამართლის ძეგლები, III, ვ. 18—26.

[53] იქვე, გვ. 27—34; მ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ნიკორწმინდელის „დაწერილი“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. 34, 1962.

[54] იქვე, II, გვ. 17.

[59] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება უნდა წაეკითხათ ხალხისათვის, რომლის დიდი ნაწილი გლეხი იყო, გლეხი კი მოხსენებული არ არის (არც სხვა მწარმოებელი). ვფიქრობთ, რომ ამ ფრაზაში „მდაბიორი“ არ გულისხმობს საზოგადოების რომელიმე კონკრეტულ წოდებას თუ ფენს. მდაბიორში იგულისხმება სოფლისა თუ ქალაქის დაბალი, მშრომელი მოსახლეობა (გლეხი, მსახური, ხელოსანი, შესაძლოა წვრილი ვაჭარიც, მთიელები — ეროვნანი თუ მსოფლიონი და სხვ.). ასევე შეიძლება ითქვას „წვრილი ერისა“ თუ „ქვეყნისმოქმედის“ შესახებაც (ეს უკანასკნელი ტერმინი უფრო კონკრეტული შინაარსისაა და უმთავრესად გლეხს უნდა მიემართებოდეს).

როგორც აქ განხილული მასალებიდან და მასთან დაკავშირებული მსჯელობიდან ჩანს, უკვე IX ს-ში საქართველოს ბარის მწარმოებლები გლეხებად იწოდებიან. IX ს-დან მოყოლებული, როცა პირველად გვხვდება გლეხი იურიდიული ხასიათის დოკუმენტში, იგი ყოველთვის ბეგარა ვალდებული და არათავისუფალ კაცს ეწოდება, რომლის ყიდვა-გაყიდვა კანონით ნებადართულია. გლეხები იყიდება სოფლობით და ცალკე კომლებად, ზოგჯერ უმიწოდაც, ხდება მისი შეწირვა ცალკეულად და მთელი სოფლობით, გაიცემა წყალობად, ანდერძით, გასცემენ ჯარიმაში, სისხლის საზღაურად, ექვემდებარება უფალ-პატრონის ადმინისტრაციას და სამართალს და სხვ. რაც შეეხება საქართველოს მთის მოსახლეობას, მათი უმეტესი ნაწილი თავისუფალი მწარმოებელია — ეროვანი, მსოფლიონი — და გადადგილების თავისუფლებით სარგებლობენ. მაგრამ მთლად თავისუფალნი მაინც არ არის. ისინი სახელმწიფო ყმებად განიხილებიან და გარკვეული ვალდებულებანი აკისრიათ მის წინაშე (მოლაშქრობა, მეციხოვნეობა, ზოგიერთი სხვა სამსახურიც...). მთაში ერთიანობის ხანაში გლეხებიც გვხვდებიან, რომლებიც უმთავრესად ეკლესია — მონასტრებისა და დიდი მოხელეების (ერისთავები და სხვ.) ყმობაში იმყოფებიან. მთის გარდა თავისუფალი მწარმოებლები ბარის საქართველოშიც, განსაკუთრებით ქალაქებში, უნდა ვიგულისხმოთ. თვით გლეხობაშიც არის გარკვეული ჯგუფები გლეხებისა, რომლებიც განსხვავდებიან გლეხობის ძირითადი ფენებისაგან და გარკვეული შეღავათები თუ ნახევრად თავისუფლება გააჩნიათ. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ნებიერი, გარეთმოსული გლეხი, „მომართებული ყმა“ და სხვ.

იყო თუ არა აღიარებული კანონმდებლობით ფაქტიური ბატონყმური ურთიერთობა. ე. ი. არსებობდა თუ არა ერთიანი კანონი, რომელიც კრძალავდა გლეხის წასვლას, ან წასული გლეხის დაბრუნება საკალდებულო იყო თუ არა?

წყაროთა სიმწირის პირობებში პირდაპირი პასუხი ძნელია, ისე კი ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ასეთი კანონის თუ ცალკეული დადგენილებების არსებობა ადრდანვე (წინაადმდეგ შემთხვევაში რა ფასი ექნებოდა გლეხების ნასყიდობის, წყალობის თუ შეწირვის აქტებს).

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან ვიცით, რომ 30 წლიანი ხანდაზმულობა (წასული გლეხის 30 წ. განმავლობაში ძებნის უფლება) „პირველადვე დაწესებული“ ყოფილა (ტუხ. 77), ე. ი. გაცილებით უფრო ადრინდელი, ვიდრე ეს ძეგლია შედგენილი (XIV ს.).

მხითარ გოშის „სომხურ სამართალში“ (XII ს.) მწარმოებელი მიწაზე მიმაგრებული ჩანს. სომეხი მკვლევრები ამ საკითხზე დავობენ — მთელ სომ-

ხეთს ეხება გოშის ცნობა, თუ მხოლოდ ჩრდილოეთ სომხეთს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა. ..ბევრი მკვლევრის აზრით, ეს ჩრდილოეთ სომხეთს ეხება და საქართველოს სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობას ასახავს[56]

30 წლიანი ხანდაზმულობის ინსტიტუტი, რომელიც ებრაელთა სამართალში ყოფილა და იქიდან კი ქრისტიანული ქვეყნების სამართალსაც შეუთვისებია[57], ქართული სინამდვილისათვისაც ადრიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. 30 წლიანი ხანდაზმულობის შესახებ კანონი ბიზანტიაში 491 წლიდან არსებობს (ლოლონები, რომელთაც 30 წ. განმავლობაში ეჭირათ მიწა საღალოდ, კარგავდნენ სხვა ბატონთან წასვლის უფლებას). ბიზანტიის გავლენით ეს კანონი, შესაძლოა, საქართველოშიც ყოფილიყო ცნობილი. 692 წ. ტრულის საეკლესიო კრების კანონებში არის მუხლი საეკლესიო მიწების 30 წლიანი ხანდაზმულობის შესახებ (თუ ეკლესია სოფელს ან აგარაკს 30 წ. განმავლობაში ფლობს, შემდეგ მისი წაღება „არავის ეკლესიფების"). ეს დადგენილება შემდეგ შევიდა სჯულის კანონში, არის იგი ე. მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „მცირე სჯულის კანონში" (XI ს. დასაწყისი)[58]. მართალია, აქ მიწის ჭერის ხანდაზმულობაზეა ლაპარაკი მაგრამ, იგი ერთი მხარეა ხანდაზმულობის იმ ინსტიტუტისა, რომელიც ყოველგვარი ქონების (მათ შორის ყმა-გლეხის) ხანდაზმულობას გულისხმობს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხანდაზმულობის კანონი IX—XII სს-ის საქართველოშიც უნდა ყოფილიყო მიღებული[59].

XI ს. ჩვენი აზრით, ბატონყმობის გამარჯვების საუკუნეა. აქედან მოყოლებული იგი არსებობდა საქართველოში, ზოგიერთი სახეცვლილებით, თვით XIX ს-ის 60-იან წლებამდე.

ფეოდალიზმის ბატონყმური ეტაპი საქართველოში ორ პერიოდად შეიძლება გაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს IX—XIV სს. — საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი მონარქიის ხანას როცა, ბატონყმობა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, არ იყო ყოვლის მომცველი და თავისუფალი თუ ნახევრად თავისუფალი მწარმოებლები ჯერ კიდევ არსებობდნენ, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში და აგრეთვე ქალაქებში. მეორე პერიოდი მოიცავს XV—XIX ს-ის პირველ ნახევარს, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობისა და სენიორალური სისტემის გაღრმავების ხანას, როცა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, ბატონყმობა ხდება ყოვლის მომცველი და თავისუფალი მწარმოებელი უკვე აღარ არსებობს (ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონის გამოკლებით), ბატონყმური ექსპლუატაცია უაღრესად მკაცრია და მაზრნ ფორმებს იღებს. იგი მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს საწარმოო ძალების განვითარებას (XVIII ს. იწყება ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლების პროცესი, თავდახსნის გზით, მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განვითარებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს).

---

[56] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—48.

[57] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 404.

[58] მცირე სჯულის კანონი, ე. გიუნაშვილის რედ., 1972, გვ. 44.

[59] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. II, გვ. 404.

Г. Д. ДЖАМБУРИЯ

К ВОПРОСУ О КРЕПОСТНОМ ПРАВЕ

Резюме

В грузинской историографии распространено мнение, датирующее установление крепостного права в нашей стране XI—XII веками. Некоторые же специалисты этим временем считают XIII в., а иные — XIV—XV или X—XI и IX—X столетия.

Термин «батонкмоба» (крепостное право) в современном понимании впервые встречается в трудах историков XIX века. До этого же «батонкмоба» (или «птронкмоба») в источниках употреблялся синонимом феодализма и охватывал взаимоотношения всех слоев общества, начиная от царя и кончая крестьянином. До распространения термина «патронкмоба» (IX—X вв.) эти отношения обозначались термином «упали» (господин) и «мона» (здесь слуга).

Процесс феодализации протекал еще в первые века нового летоисчисления в условиях общинного и рабовладельческого укладов. В этом процессе переломным моментом явилось объявление христианства государственной религией.

Уже в V в. налицо феодальный класс азнауров, состоявший из двух слоев: 1. сеце-цули, мтавари или диди-азнаури, впоследствии дидебули (арм. нахарар) и 2. азнаури, являвшийся вассалом («цинашемдгомели») вышеупомянутых мтаваров.

Класс непосредственных производителей состоял из свободных или полусвободных общинников, крестьян, потерявших личную свободу, а также выходцев из вышеупомянутых двух сословий «мсахури» и «монамхевали».

В V веке в Грузии возникают раннефеодальные сеньории («сахли») Жители селений, находившиеся на территории данной сеньории, постепенно попадали в административную, военную и судебную зависимости от «упали», а под конец теряли личную свободу и переходили в ряды крестьян. Процесс закрепощения трудового населения интенсивнее протекал в VII—VIII вв., когда сеньоральная система достигла значительного развития.

В IX в. производители низменных районов Грузии в основном уже стали глехами. Тут же следует отметить, что горная зона страны постоянно давала определенный контингент свободных производителей («гаретмосули глехи»). Упомянутый в того же времени в грузинских источниках «мдабио» в основном является синонимом «глехи».

IX в., по нашему мнению знаменуется становлением крепостного права в Грузии. Начиная с того времени, оно господствовало с некоторыми изменениями вплоть до 60-х годов XIX в.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანული მაისურაძე

ფრანგი მკვლევარი ქართული ხალხური მუსიკის შესახებ

საკმაო ხანია, რაც ქართული ხალხური მუსიკის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ქართველი მკითხველი გაეცნო ფრანგი მუსიკათმცოდნის ივეტ გრიმოს შრომებს, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Bedi kartlissa",[1] პარიზი. მკვლევრის მიზანს შეადგენდა უშუალო დაკვირვების გზით გაცნობოდა ქართულ ხალხურ სამუსიკო შემოქმედებას, შეესწავლა იგი საყოფაცხოვრებო ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში. უნდა აღინიშნოს, რომ ივეტ გრიმო არა მხოლოდ ქართული ხალხური მუსიკით დაინტერესებული მკვლევარია, არამედ მას აინტერესებს ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის სხვა მხარეებიც. როგორც თვითონ შენიშნავს, მან თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება გააცნო ქართულ სამეცნიერო წრეებს, მათ შორის ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორებს შ. ასლანიშვილს და გრ. ჩხიკვაძეს, რომელთა დახმარებით შეძლო თავისი მიზნის განხორციელება. ივეტ გრიმოს საშუალება მიეცა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში არსებული ქართული მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტის არქივში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში გაცნობოდა ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშებს, ქართველი ერის ისტორიის მრავლისმეტყველ ძეგლებს, მათ შორის ძველ ქართულ სამუსიკო საკრავებს, უნიკალურ ქართულ ხელნაწერებს, X ს-ის ჰიმნოგრაფიულ კრებულებს; ეწარმოებინა მრავალმხრივი ფოტოგადაღებები, მაგნიტური ფირებზე ჩაეწერა დიდი რაოდენობით როგორც ხმიერი, ისე საკრავიერი მუსიკის ნიმუშები. გარდა ზემოთქმულისა, შ. ასლანიშვილთან ივეტ გრიმომ საგანგე-

---

[1] მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: Trois chants de Géorgie occidentale, vol. XVII—XVIII, 1964; Musique de tradition orale, vol. XXV, 1968; Indices de pérennité musiques transmises oralement (peuples du monde méditerranéen). La tradition de Géorgie orientale (resumé), vol. XXVII, 1970; Anthologie de la musique vocale géorgienne, vol. XXXV, 1976—77. გარდა ზემოხსენებულისა, ივეტ გრიმომ გამოაქვეყნა: Sur un chant svane de Géorgie occidentale, Paris, extrait d'un volume en hommage à M. le Pr. Dr. Marius Schneider, Musikwissenschaftliches Institut der Universität Köln, 1968 (sous presse); Musique vocale géorgienne, Chants de Travail, Preliminaire Rapport de Mission d'études et de recherches en R. S. S. de Géorgie Rédigé à l'attentionde la Direction Générale de Relations Culturelles, Ministère des Affaires Etrangères par Ivette G r i m a u d, Paris, 1967. ივეტ გრიმოს შრომები, რომლებიც ავტორმა სარეკომენდაციოდ გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, ინახება მუზეუმის ფონდებში. წინამდებარე რეცენზიის დაწერისას, ივეტ გრიმოს შრომებით სარგებლობისათვის მადლობას მოვახსენებთ ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდ იმუშავა ქართული ხალხური მუსიკის ცალკეულ საკითხებზე. გრ. ჩხიკვაძის მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის ცალკეულ რეგიონებში ჩატარებულ ფოლკლორულ ექსპედიციებში მონაწილეობისას, ივეტ გრიმოს საშუალება მიეცა უშუალოდ თვითონ მოესმინა ქართული ხალხური სიმღერები, გაცნობოდა მათ საშემსრულებლო ტრადიციებს, ყოფაში შემონახულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალას, აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლებს.

ივეტ გრიმოს კვლევის ძირითად საგანს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედება წარმოადგენს. მის მიერ დასმულ საკითხთაგან წინამდებარე წერილში მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით. საკუთარი დაკვირვებებისა და, რაც მთავარია, დღემდე არსებული სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე, ივეტ გრიმო თავის მსჯელობას აგებს ქართული ხალხური მუსიკის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შორის გარკვეული ადგილი ეთმობა ქართული მრავალხმიანობის წარმოშობას და მისი განვითარების გზებს. ეყრდნობა რა შ. ასლანიშვილის მოსაზრებას, ფრანგი მკვლევარი მსჯელობს მრავალხმიანობის ორი სახეობის შესახებ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ამავე დროს საერთო საფუძველი გააჩნიათ. პირველი მთგანი, კომპლექსური მრავალხმიანობა, დამახასიათებელია ძირითადად დასავლეთ საქართველოს სიმღერებისათვის, ხოლო მეორე, ბურდონული — აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებისათვის. თითოეულ მათგანს, როგორც შენიშნავს იგი, შესაბამისი მუსიკალური დიალექტები გააჩნია, რომლებიც დროთა ვითარებაში გამოუმუშავდათ ცალკეულ რეგიონებს[2].

მრავალხმიანობის ზემოაღნიშნული ორი ტიპის დადგენა ქართულ ხალხურ სიმღერებში დიდი მნიშვნელობის ფაქტია. მათი შემდგომი განვითარება ნაწილდროდ არის დაკავშირებული კილოებრივი აზროვნების განვითარებასთან. კომპლექსური მრავალხმიანობა, რომელიც ძირითადად სვანურმა სასიმღერო შემოქმედებამ შემოგვინახა, ხასიათდება ხმების კომპლექსური მოძრაობით (ორ ან სამ ხმაში), რომელიც უმეტესად პარალელურია. ხმები თავისი ფუნქ-



ციის მიხედვით ნაკლებად ან სრულიად არ არის დიფერენცირებული. სამხმიან წყობაში ოდნავ გამოიყოფა შუა ხმა მელოდიის სახით. ბურდონული მრავალხმიანობის საფუძველია მელოდიის წამყვანი ხმა და გაბმული ანუ ბურდონული ბანი[4]. აღნიშნული სახის მრავალხმიანობის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა ხევსურული ერთხმიანი სიმღერები, რომლებსაც მარტივი მელო-

---

[2] Ivette Grimaud, Trois chants de Géorgie occidentale, გვ. 69—70; მისივე, Indices de pèrennité musiques transmises orallement, La tradition de Géorgie orientale (resumé), გვ. 121.

[3] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ I, თბ., 1954, გვ. 25; იხ. ზ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1909, გვ. 37, № 21, „შერშანა“.

[4] შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიური სტრუქტურა გააჩნიათ. ასეთ სიმღერებში ყოველი ფრაზის ბოლოს მოცემული რიტმულად მყარი ტონიკური ბგერა მომდევნო ფრაზისათვის ჰარმონიულ საყრდენს წარმოადგენს და მიუხედავად ერთხმიანობისა, ქმნის ორხმია-

ნობის შეგრძნებას, ფარულ ორხმიანობას[6]. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სიმღერის რეალურად მოსმენისას. ამ უკანასკნელის განვითარების შემდგომი საფეხური შემორჩენილია ხევსურულ ორხმიან სიმღერაში „ხუთშაბათ გათენდება“ (ჩაწერილია კომპოზიტორ შ. მშველიძის მიერ), სადაც ბანი ჩაერთვის ფრაზების ბოლოს ტონიკურ ბგერაზე და აძლიერებს ტონიკური ბგერის, რო-



გორც მელოდიის ჰარმონიული საყრდენის მნიშვნელობას. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ბანი გრძელდება მომდევნო ფრაზების დასაწყისში. (ორი მეოთხედის მანძილზე)[8].

ქართული მრავალხმიანობის განვითარების შემდგომი საფეხურები ემყარება მრავალხმიანობის ზემოთ აღნიშნულ ორ ტიპს. კერძოდ, დადგენილია, რომ კომპლექსურ მრავალხმიანობაში სამხმიანობა წარმოიქმნა ორხმიანი სიმღერის ქვედა ხმის ანუ ბანის თითოეულ ბგერაზე წმინდა კვინტის დაშენების შედეგად. ასეთ ვითარებაში, ორხმიან წყობაში მოცემული ძირითადი მელო-



დია, სამხმიან წყობაში შუა ხმად ანუ მეორე ხმად იქცა და წმინდა კვინტების (ბანი და ზედა, პირველი ხმა) ჩარჩოში მოექცა. ზედა, პირველი ხმა (ანუ ბანის ბგერებზე დაშენებული კვინტები) თანდათან ძირითადი მელოდიის ფუნქციას იძენს. ფართოვდება მისი დიაპაზონი, უჩნდება ზედა დამხმარე ბგერები. უფ-

---

[5] შ. ასლანიშვილი, ნაკვლევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, თბ., 1956, გვ. 62, № 10, „თასზე მღერა“.

[6] ნ. მაისურაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბ., 1971, გვ. 39.

[7] ქართული ხალხური სიმღერა, I, რედაქტორი გრ. ჩხიკვაძე, თბ., 1960, გვ. 12.

[8] შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი. I, გვ. 68; გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალ ხური სიმღერა; იხ. ქართული ხალხური სიმღერა, I, გვ. XV; ნ. მაისურაძე, დასახ. ნაშ-რომი, გვ. 39.

[9] ნ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 35, 36; მისივე, Гармония в народных хоровых песнях Картли и Кахети, М., 1978, გვ. 87, 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო გვიან, კომპლექსური მრავალხმიანობის განვითარების შემდეგ საფეხურზე, ბანი მდიდრდება ნახტომებით. კომპლექსურ წყობაში ყოველი ხმა დამოუკიდებლობას იძენს, წინ არის წამოწეული არა ხმათა ვერტიკალი, არამედ თითოეული ხმის მელოდიური ხაზი, რის შედეგად კომპლექსური მრავალხმიანობა გადაიზრდება პოლიფონიურ წყობაში[11], რომელიც შეინიშნება დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის, კერძოდ გურულ სასიმღერო შემოქმედებაში[12]. ამგვარად კომპლექსურ მრავალხმიანობაში სამხმიანობის წარმოშობის გზის მიკვლევის შედეგად, საერთოდ ქართულ ხალხურ სიმღერებში სახხმიანობის განვითარების ერთ-ერთი უძველესი ფორმა დადგინდა. აქვე გვსურს ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ არატერციული წყობის აკორდზე — კვარტკვინტაკორდზე (მაგ., დო-ფა-სოლ), რომელმაც იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება, როგორც ქართული ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელმა აკორდმა[13]. შ. ასლანიშვილმა მიაკვლია რა კომპლექსურ მრავალხმიანობაში ორხმიანობიდან სამხმიანობაში გადასვლის გზას, ამავე დროს კვარტკვინტაკორდის გენეზისი დაადგინა[14]. კერძოდ, კომპლექსური მრავალხმიანობის ორხმიან ფრაგმენტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წმინდა კვარტას, რომელიც წარმოდგენილია ტერციასთან, კვინტასთან და. ოზიათ შემთხვევაში, პრიმასთან თანხმიერებაში. ორხმიანობიდან სამხმიანობაში გადასვლისას, ბანის ბგერებზე წმინდა კვინტების დაშენების დროს,





---

10 შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომ, I, გვ. 181; იხ. ზ. ფალიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების კრებული, გვ. 6, № 4, „შეზავრული“.

11 მუსიკათმცოდნეობაში ტერმინები „მრავალხმიანობა“ და „პოლიფონია“ შინაარსობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პოლიფონია გულისხმობს მრავალხმიანობის ერთ-ერთ სახეობას, სადაც თითოეული ხმა (შესაბამისი სიტყვიერი ტექსტით) ვითარდება დამოუკიდებელი მელოდიის სახით.

12 შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—37, 45—46.

13 დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 20—21.

14 შ. ასლანიშვილი, დასახ ნაშრომი, I, გვ. 34—44.

15 ვ. ახობაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50, № 8, „მგრზაბეგი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორხმიანი წყობის ინტერვალები სამხმიანი აკორდის ნაწილად იქცევიან. ასეთ შემთხვევაში კვარტაზე წმინდა კვინტის (ბანის ბგერიდან) დაშენების პროცესში წარმოიქმნება კვარტკვინტაკორდი. იგი ხმათა პარალელურ მოძრაობაში შევიდა როგორც თანასწორუფლებიანი თანაბგერადობა[16]. დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებში არატერციული აკორდები, მათ შორის კვარტკვინტაკორდი, გვხვდება ყველა საფეხურზე, რამდენადაც ცვალებადი კილოს პირობებში, სადაც დროებითი ტონიკის ფუნქციის შესრულება ყველა საფეხურს შეუძლია, კვარტკვინტაკორდი თავს იჩენს სხვა საფეხურებზეც, მაგრამ იმ სიმღერებში, რომლებშიც ჰარმონიული კანონზომიერებანი მაღალ დონეს აღწევენ, კილო ჩამობერწყლია, კვარტკვინტაკორდს მიჩნეული აქვს თავისი ადგილი. კერძოდ, ბურდონულ მრავალხმიანობაში კვარტკვინტაკორდი გვხვდება მაჟორულ კილოებში I საფეხურზე, ხოლო მინორულ კილოებში — I და VII საფეხურებზე[17]. გარდა ამისა, ბურდონული მრავალხმიანობის შემდგომ განვითარებაში ჩნდება არატერციული აკორდების სხვა სახეობანიც (კვარტსეპტაკორდი, სეპტოქტავაკორდი).

ბურდონულ მრავალხმიანობაში სამხმიანობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა მელოდიის მოძრაობა შუა ხმაში (მეორე ხმა) ბურდონული ბანის ფონზე, რომელიც გაორმაგებულია ოქტავით ზევით (პირველი ხმა). სამხმიან სიმღერაში აღნიშნული უნისონური ყოერადობა კიდევი ხმებისა, რომელთა მიმართ შუა ხმა დისონირებულია, პირველმა დ. არაყიშვილმა შენიშნა, ხოლო ივ. ჯავახიშვილმა იგი განიხილა როგორც ორხმიანობიდან სამხმიანობაში გადასვლის პირველადი ფორმა და მაგალითად დაასახელა ზ. ნადელის მიერ მიკვლეული სამხმიანობის ერთ-ერთი ძველი ნიმუში „თებრონე მიდის წყალზედა“[18]. გრ. ჩხიკვაძე ზემოთ აღნიშნული სამხმიანობის უძველეს ნიმუშთა შორის ასახელებს სიმღერას „მეფე ერეკლეს დატირება“[19].



ბურდონული მრავალხმიანობის განვითარების შემდეგ საფეხურებად მიჩნეული ზემოთ აღნიშნული სამხმიანობის ფორმა, სადაც ზედა, პირველი ხმა მელოდიზირებულია ბანისაგან განსხვავებული მელოდიური წანაზარდებით; ჰარმონიული წყობის სამხმიანობა, სადაც პირველი და მეორე ხმები მოძრაობენ ერთგვაროვანი ან მსგავსი რიტმული ნახაზით ბანის ფონზე; პოლიფონიურ-ჰარმონიული წყობის სამხმიანობა, სადაც გაბმული ბანის ფონზე პირველი

16 შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

17 იქვე, გვ. 38.

18 Д. А р а к и ш в и л и, Краткий очерк развития грузинской карталино-кахетинской народной песни, «Труды МЭК» I, М., 1909, გვ. 279—280; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 31—32, 335—336; შ. ა ს ლ ა ნ ი. შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 7—8; გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XII

19 გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XIII.

20 ქართული ხალხური სიმღერა, I, რედაქტორი გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, გვ. 182., „მეფე ერეკლეს დატირება“, ჩაწერილია ი. კ ა რ გ ა ნ ე თ ლ ე ი ს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეორე ხმები წარმოქმნიან დიალოგს, ან შეერწყმიან ერთმანეთს ერთგვაროვან რიტმულ ნახაზში[21].

ივეტ გრიმის აზრით, ქართული მრავალხმიანობის ორიგინალურ ფორმას წარმოადგენს სიმღერის ანტიფონური შესრულება[22]. დ. არაყიშვილმა მრავალხმიანობის ეს სახეობა ერთ-ერთ უძველეს ფორმად მიიჩნია. იგი ორი მომღერლის ან ორი გუნდის მიერ მელოდიის მონაცვლეობით შესრულებას ემყარება, სადაც მეორე მომღერალი თუ გუნდი იმეორებს პირველის მიერ წარმოთქმულ ჰანგს, რომლის ვარიირებული განმეორებისას იქმნებოდა ხელშემწყობი პირობა პოლიფონიური ფორმის წარმოქმნისათვის[23]. არანაკლებ საყურადღებოა ანტიფონური შესრულების ის ფორმა, როდესაც ორი მომღერალი ასრულებს ერთ და იმავე მელოდიის სხვადასხვა ნაწილს, რომელთაგან ერთ-ერთი ბანის ფუნქციასაც ატარებს[24].



საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულმა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ცალკეული კუთხეების სიმღერებისათვის დამახასიათებელმა სტილისტურმა თავისებურებებმა იმთავითვე განაპირობეს მუსიკალური დიალექტების წარმოქმნა. მრავალხმიანობის ზემოთ აღნიშნულმა ორმა სახეობამ (კომპლექსური და ბურდონული) ასახვა პოვეს მუსიკალურ დიალექტებში.

მრავალხმიანობის თვალსაზრისით უთუოდ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქართული (აჭარული) შრომის ოთხხმიანი სიმღერები, რომლებიც „ნადურის“ სახელწოდებით არის ცნობილი[26]. ივეტ გრიმი ახასიათებს რა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ შრომის სიმღერებს,[27] საგანგებოდ ჩერდება აჭარულ ოთხხმიან ნადურებზე. იძლევა სიმღერის თა-

---

[21] შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[22] Ivette Grimaud, La tradition de Géorgie orientale, გვ. 121.

[23] Д. Аракишвили, Обзор народной песни Восточной Грузии, Тб., 1948 გვ. 26; შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 75.

[24] ნ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

[25] იქვე, გვ. 71; იხ. Д. Аракишвили, Грузинское народное музыкальное творчество, Оттически из V т. «Трудов МЭК», М., გვ. 93, № 1, „ჰერო“.

[26] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 81; ივ. ახობაძე, ოთხხმიანობა ქართულ ხალხურ სიმღერებში, 1958/1959 წწ. ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში; მისივე, ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961; მისივე, Грузинские народные трудовые песни «Надури», VII международный конгресс антропологических и этнографических наук, М., 1964; ვრ. ჩხეიძე, ჯ. ნოღაიდელი, ა. ინანიშვილი, აჭარული ნადური სიმღერების ოთხხმიანობის თავისებურებანი შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1960, № 1; Гр. Чхиквадзе, Основные типы грузинского народного многоголосья, VII международный конгресс антропологических и этнографических наук, М., გვ. 8—10; მისივე, ქართული ხალხური მუსიკა, თბ., 1965, გვ. 29—32; მისივე, ქართული ხალხური ოთხხმიანობა, 1967/1968 წწ., ინახება თბილისის სახ. კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში.

[27] Ivette Grimaud, Musique vocale georgienne, chants de Travail.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოეული ხმის დახასიათებას, მის ადგილს და ფუნქციას ოთხხმიან სიმღერაში. გარდა ამისა, „ნადურის“ შესრულების წესს განიხილავს შესაბამის შრომის პროცესთან უშუალო კავშირში[28]. „ნადური“ სრულდება ორი გუნდის მიერ. ყოველ გუნდში მონაწილეობენ მომძახსელი — დამწყები ანუ მთქმელი, გამყივანი, შემხმობარი და ბანი[29]. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ივეტ გრიმოი, რომ დამწყები მეორე ხმაა, იგი ძირითადი მელოდიისა და სიტყვიერი ტექსტის შემსრულებელია; პირველი, მაღალი ხმა გამყივანი და კრიმანჭულია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თითოეული მათგანის მელოდიას გააჩნია ინდივიდუალური თვისებები და სრულდება განსხვავებული ხასიათის სიმღერებში[30]. არის შემთხვევები, როდესაც კრიმანჭულის და გამყივანის მელოდიე-



ბი ერწყმიან ერთმანეთს. ნადურ სიმღერებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ კრიმანჭულში სამი ბგერიდან, ორი მათგანი ბანისა და შემხმობარის (მაღალი ბანის) საყრდენ ბგერებს — ტონიკურ პრიმას და კვინტას იმეორებს. გარკვეულია აგრეთვე, რომ კრიმანჭული მაშინ უერთდება სიმღერას, როდესაც ყველაზე დაბალი ხმა, ბანი განვითარებული მელოდიის შემსრულებლად იქცევა და კარგავს ძირითადი საყრდენი ბგერების ფუნქციას[32]. სწორედ შენიშნავს ივეტ გრიმი, რომ შემხმობარი, რომელიც რიგით მესამე ხმაა, გაბმულ ბგერაზე სრულდება და დამაკავშირებლის ფუნქციას ასრულებს[33]. შემხმობარის ანუ მაღალი ბანის ჰარმონიული დანიშნულება მრავალმხრივია. იგი ჰარმონიული ფუნქციის მატარებელი ბგერაა; აკავშირებს ერთმანეთთან არა მარტო ფრაზებსა და წინადადებებს, არამედ ორ გუნდს; მას ეკისრება სიმღერისა და შესაბამისი შრომის პროცესის უწყვეტი განვითარება. შემხმობარი უმთავრესად ჩნდება მაშინ, როდესაც მთქმელი და გამყივანი გამოეთიშებიან. ზოგჯერ კი, მისი დანიშნულება მთქმელისა და გამყივანის მელოდიური მოძრაობის დაბოლოებაა. ასეთ შემთხვევაში შემხმობარი წარმოგვიდგება დასკვნითი ბგერის სახით და ამგვარად მელოდიის საყრდენ წერტილს წარმოადგენს[34]. ბანი ანუ დაბალი ბანი, როგორც ფრანგი მკვლევარი მიუთითებს, აქტიურ როლს ასრულებს პოლიფონიის განვითარებაში[35]. ბანი საკმაოდ ფართო სუნთქვის მელოდიაა. იგი ჩაერთვის „ნადურის“ პირველი ნაწილის მეორე ნახევარში. პირველი ნახევარი სამ ხმაში სრულდება (გამყივანი, მთქმელი, შემხმობარი)[36].

---

[28] Jvette Grimaud, Musique vocale georgienne, chants de Travail., გვ. 24.

[29] В. В. Ахобадзе, Грузинские народные трудовые песни «Надури», გვ. 2; Гр. Чхиквадзе, Основные типы грузинского народного многоголосья, გვ. 8—9; მ ი ს ი ვ ე, ქართული ხალხური მუსიკა, გვ. 29.

[30] Ivette Grimaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[31] ვ. ა ხ ო ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, მაგალითი № 2,3.

[32] იქვე, გვ. 2,4.

[33] Ivette Grimaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[34] В. В. Ахобадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 3; გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, ქართული ხალხური მუსიკა, გვ. 30—31.

[35] Ivette Grimaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[36] В. Ахобадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 3; გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალხმიანობის ფორმებმა, თავის მხრივ, განაპირობეს ჰარმონიულ ელემენტთა დიდი მრავალფეროვნება და სირთულე. მათ შორის საყურადღებოა კადანსები, რომლებიც გამოირჩევიან ჰარმონიული შინაარსის სიმდიდრით და გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ სიმღერის ფორმის წარმოქმნაში[38]. განირ-



ჩევა კადანსთა ორი ჯგუფი, რომელთაგან პირველი წარმოდგენილია ერთი კილოს ფარგლებში, ხოლო მეორე — შეიცავს მოდულაციას ერთი კილოდან მეორეში[39]. აღსანიშნავია აგრეთვე ორმაგი კადანსები, რომლებიც ორი კადანსის შეერთების საფუძველზეა წარმოქმნილი. არის შემთხვევები, როდესაც ორმაგი კადანსი კოდის სახითაა წარმოდგენილი[40].

ფრანგი მკვლევარი სიგანგებოდ ჩერდება ქართული ხალხური სამუსიკო ტერმინოლოგიის საკითხებზე, კერძოდ, იგი განიხილავს მრავალხმიან სიმღერებში ხმათა სახელწოდებებს, მსჯელობს თითოეული მათგანის ფუნქციის შესახებ. სავსებით სწორად შენიშნავს იგი, რომ ესა თუ ის სახელწოდება განსაზღვრავს შესაბამისი ხმის ხასიათს[41]. ხმათა სახელწოდებების ფუნქციათა გამოკვლევამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მრავალხმიანობის თანდათანობითი განვითარების პროცესის გამოკვლევაში. იმოგაოვე მიიქცია ივ. ჯავახიშვილის ყურადღება იმ გარემოებამ, რომ ქართულმა სამუსიკო ტერმინოლოგიამ ხმათა სახელწოდებებს შორის შემოგვინახა „მაღალი ბანი". მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ტერმინის გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს გამული ბანის მქონე საბხმიანობის იმ უძველესი სახეობის ჩამოყალიბებასთან, რომელშიც ბანი გაორმაგებულია პირველ ხმაში ოქტავით ზევით, ხოლო მეორე, შუა ხმა ძირითადი მელოდიის შემსრულებელია[42]. ხალხურ ყოფაში შემონახულია აგრეთვე ძირითადი ჰანგის შემსრულებელი ხმის სახელწოდებები: „თქმა" და „მოძახილი" („მომძახნელი"), რომლებიც ორხმიან სიმღერებში ზედა, მელოდიის წამყვან ხმას ეწოდება, ხოლო სამხმიანში შემორჩენილია როგორც მეორე (შუა) ხმის, ისე პირველი ხმის სახელად. გარკვეულია, რომ აღნიშნული ტერმინები პირველი ხმის სახელად იქცნენ იმ დროიდან, როდესაც

---

[37] В. Ахобадзе, დასახ. ნაშრომი, მაგალითი № 4, 5.

[38] შ. ასლანიშვილი, ქართულ-ჯახური ხალხური საკუნდო სიმღერების ჰარმონია, თბ., 1970, გვ. 93; დასახ. ნაშრომში გარდა კადანსებისა, შესწავლილია ქართული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი კილოები, მელოდიის ძირითადი თვისებები, ბანი, არაკორდული ბგერები, აკორდიკა, მოდულაცია, მოდულაციური ბგემები.

[39] შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93—119.

[40] ნ. მაისურაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, გვ. 102—103, 124—125.

[41] Ivette Grimaud, Trois chants de Géorgie occidentale, გვ. 71—72; მისივე., Anthologie de la musique vocale géorgienne, გვ. 5.

[42] იხ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 333—336; იხ. აგრეთვე, გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XII—XIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხმიან წყობაში ზედა, პირველი ხმა ანუ „მაღალი ბანი“, მრავალხმიანობის განვითარების კარკვეულ საფეხურზე გაფართოვდა, განვითარდა და მეორე ხმის მსგავსად მელოდიისა და სიტყვიერი ტექსტის შემსრულებლად იქცა[43]. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილმა ხმების სახელწოდებები ისტორიულ განვითარებაში განიხილა. აქვე დავძენთ, რომ ხმათა თანდათანობითი გაჩენის პროცესი, ხმიერი მუსიკის პარალელურად შესწავლილია საკრავიერ მუსიკაშიც. საკრავის სმთა რაოდენობა და წყობები განხილულია მრავალხმიან სიმღერებში ხმათა რაოდენობის შესაბამისად. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია არა მარტო ორსიმიანი საკრავი[44], არამედ მისთვის დამახასიათებელი კვარტული წყობა. დ. არაყიშვილმა თავის დროს მიაკვლია სამსიმიანი ფანდურის ორ ხმაზე, კვარტაში აწყობის წესს (ორი სიმი უნისონში ყღერდა, ხოლო მესამე კვარტით იყო მთგან დაშორებული)[45]. ამგვარი წყობის მქონე ფანდურზე შესასრულებელ ჰანგებში მან შენიშნა როგორც ორხმიანობის, ისე სამხმიანობის ელემენტები, რომელთა შორის უპირატესობა პირველ მთგანს ენიჭებოდა[46]. შენიშნულია, რომ დ. არაყიშვილის მიერ მიკვლეული ეს წყობა შეესაბამება ორხმიანობიდან სამხმიანობაში გადასვლის საფეხურს[47]. გარდა ზემოთქმულისა, დადგენილია ფანდურის სეკუნდურ-ტერციული წყობა[48]. ფანდუ-

რის წყობაში ტერციის გამოჩენა მიჩნეულია მოგვიანო ხანის მოვლენად და დაკავშირებულია სამხმიანობის განვითარებასთან[49]. არანაკლებ საინტერესოა ვ. ახობაძის მოსაზრება სვანური ჭუნირის წყობაზე. მისი დაკვირვებით. სამსიმიანი ჭუნირის (ხემიანი საკრავი) განაპირა სიმთა ყღერადობა (სოლ-ლა-დო) ზუსტად ემთხვევა აფხაზური ორსიმიანი ხემიანი საკრავის აფხარცას სიმთა ყღერადობას (სოლ-დო), რის საფუძველზეც იგი ვარაუდობს, რომ ჭუნირი ადრე კვარტული წყობის მქონე ორსიმიანი საკრავი უნდა ყოფილიყო და რომ აფხაზურ ორსიმიან აფხარცაზე აისახა აფხაზური სიმღერებისათვის დამახასიათებელი ორხმიანობა, ხოლო სვანურ ჭუნირზე — სვანური სიმღერებისათვის

---

[43] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331—332; იხ. ა გ რ ე თ ვ ე შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 9—10.

[44] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156; შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 12; ორსიმიანი საკრავები დღესაც ცნობილია ჩრდილო კავკასიის ხალხებში: აფხაზებში, ოსებში, ადიღეელებში, ჩეჩენებში და სხვ. (იხ. K. B. K o b a r, 101 абхазская народная песня, Сухуми, 1929, გვ. 11; И. Х а ш б а, Абхазские народные музыкальные инструменты, Сухуми, 1967, გვ. 34; В. И. А б а е в, Осетинский язык, и фольклор, М.-Л, 1949, გვ. 322; Народы Кавказа, т. I, М., 1960, გვ. 216, 294, 372).

[45] Д. А р а к и ш в и л и, Обзор народной песни Восточной Грузии, გვ. 32.

[46] იქვე.

[47] მ. შ ი ლ ა კ ა ძ ე, ქართული ხალხური საკრავიერი ჰანგების მრავალხმიანობა, 1. ორხმიანობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1975, გვ. 191.

[48] Д. А р а к и ш в и л и, Грузинское народное музыкальное творчество, Оттиски из V т. «Трудов МЭК», გვ. 143; В. М. Б е л я е в, К вопросу изучения грузинских народных музыкальных инструментов, Тб., 1936, გვ. 39.

[49] В. М. Б е л я е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამახასიათებელი სამხმიანობა[50]. ასევე, ოთხსიმიან ჩონგურზე მეოთხე სიმის „გილის“ გაჩენა დაკავშირებულია ხმიერ მუსიკაში ოთხხმიანობასთან[51].

რაც შეეხება მრავალხმიანობის სადაურობის საკითხს, ივ. ჯავახიშვილმა, ნაწილობრივ მუსიკალური მასალისა და უმთავრესად კი ძველ ქართულ მწერლობაში და ხალხურ ყოფაში შემონახული მუსიკალური ტერმინების განხილვის საფუძველზე დადგინა, რომ ქართული მრავალხმიანობა ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოშობილი[52]. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ქართული წარმართული სიმღერები „ლილე“, „იავნანა“, „მზე შინა და მზე გარეთა“ და სხვ., რომლებიც დღენილი იყო ქრისტიანული ეკლესიის მიერ და მაინც ინარჩუნებდნენ თავის საკუთარ სახეს, ორი და სამხმიანია. აქედან გამომდინარე იგი ვარაუდობდა, რომ ქართული მრავალხმიანობა წარმართული ხანიდან მომდინარეობდა[53].

ივეტ გრიმი ქართულ ხალხურ სიმღერებს განიხილავს წეს-ჩვეულებებთან კავშირში, რომლებიც გენეტურად დაკავშირებულია უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. მუსიკალური აზროვნების განვითარების აღრეულ საფეხურებს (მარტივ ფორმებს) იგი წინაქრისტიანულ ხანას უკავშირებს და სვანეთ საკითხს ქართული მრავალხმიანობის ძალზე ძველი წარმოშობის შესახებ. გარდა ამისა, სავსებით სამართლინად შენიშნავს, რომ მუსიკალური აზროვნების განვითარების მარტივი ფორმები საქართველოს მთამ შემოგვინახა[54]. ამაზე მიუთითებს არაერთი მასალა მთის მუსიკალური შემოქმედებიდან. მაგალითად, თუშური საფერხულოს „ლაშარის სიმღერის“ მელოდია მიჩნეულია უმარტივეს სახეობად ბარში გავრცელებული „იავნანას“ მელოდიისა[55], რომლის წარმოშობა დაკავშირებულია ქართველთა რელიგიის ისტორიაში მცენარეულისა და მზის თაყვანისცემის საფუძველზე აღმოცენებული დიდი დედის, ღვთაება ნანას კულტთან[56]. ქართველ მთიელთა მუსიკალურ კულტურას დღემდე არაერთი მკვლევარი შეხებია: დ. არაყიშვილი, შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ვ. ახობაძე და სხვ. ზემოთ დასახელებულ მკვლევართა შრომებში[57], ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ეტაპების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სვანეთს (დასავლეთ

---

[50] В. В. Ахобадзе, Предисловие. См. Абхазские песни, составители В. В. Ахобадзе, и И. Кортуа, М., 1957, გვ. 9.

[51] В. В. Ахобадзе, Грузинские народные трудовые песни «Надури», გვ. 5.

[52] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 24—37, 293—295, 325—341.

[53] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326—327.

[54] Ivette Grimaud, Sur un chant svane de Géorgie occidentale; მისივე, La tradition, de Géorgie orientale, გვ. 120—121.

[55] შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 110—117.

[56] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, დიდი დედა ნანა, III, გვ. 33, ხელნაწერი.

[57] Д. Аракишвили, Народные песни горцев Восточной Грузии, I, Хевсуры журн. «Советская музыка», 1939, № 7; მისივე, Обзор народной песни Восточной Грузии; მისივე, სვანური ხალხური სიმღერები, თბ., 1950 და სხვ. შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II; გვ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, იხ. „ქართული ხალხური სიმღერა,“, I, გვ. XIV—XIX; ვ. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1957, და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში) და ხევსურეთს (აღმოსავლეთ საქართველოში). მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონების სამუსიკო შემოქმედება საერთო ქართულ მუსიკალურ კულტურაში განვითარების ადრეული ეტაპების ამსახველია, იგი მუდმივ განვითარებაშია მოცემული[58]. მაგალითისთვის მოვიტანთ ნიმუშებს როგორც ხევსურული, ისე სვანური საწესო სიმღერებიდან.



სავსებით ნათელია, რომ ამ ორი ხევსურული სიმღერიდან პირველი მათგანი მელოდიური მიმოქცევაა, სადაც არ არის დიფერენცირებული კილოს შემადგენელი ელემენტები, ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულება კილოს ბგერებს შორის და ჰარმონიული საფუძველი, აღნიშნულ მელოდიურ მიმოქცევას პენტატონიკური ხასიათი აქვს[60]. მეორე მათგანის ფაქტურა შედარებით რთულია. მელოდია გაფართოებულია. ფორმა წარმოდგენილია ორი ფრაზისაგან შემდგარი წინადადებით. ფრაზები ქმნიან მუსიკალურ დიალოგს. კილო შედარებით რთულ ფორმებშია წარმოდგენილი (ბაწში სოლ კილოს VII საფეხური (ფა) გაფართოებულია) წინადადებები თავდება მარტივი კადანსით[61].

ასევე სვანური სიმღერების ნიმუშებიდან ნათელია, რომ „კვირიოლა", რომელიც გვალვისა და ავდრის შემთხვევაში სრულდებოდა. უძველესი ორხმიანობის გადმონაშთია, რაზეც მიუთითებს ინტონაციის შელოცვითი ხასიათი,



[58] ნ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, გვ. 12—39

[59] შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 59, № 1; გვ. 65, № 3.

[60] იქვე, გვ. 26—27.

[61] ნ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

[62] შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 30; ვ. ა ხ ო ბ ა ძ ე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, გვ. 109, № 58. ჩაწერილია შ. ასლანიშვილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპატონებული კვარტის ხმოვანება და სიმღერის სოციალური ფუნქცია,[63] ხოლო ორსართულიან ფერხულში „მირმიქელა“ წარმოდგენილია ხმათა პარალელურ მოძრაობაზე დამყარებული კომპლექსური მრავალხმიანობა.

ივეტ გრიმო თავის შრომებში უყურადღებოდ არ ტოვებს არც ქართულ საკრავიერ მუსიკას. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ საკრავები ძველთაგანვე იყო გავრცელებული საქართველოში[64].

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ივეტ გრიმოს შრომებში ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა მრავალმხრივაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ დასმულ საკითხთაგან წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს შევეხეთ, ნათელია, თუ რაოდენ დიდი და სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია ფრანგ მკვლევარს ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის მეცნიერული შესწავლის მიზნით. იგი დასავლეთ ევროპის მკვლევართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ესოდენ დიდი დაინტერესება და სიყვარული გამოავლინა ქართული კულტურისადმი და გააცნო იგი ფართო საზოგადოებას.

---

[63] შ. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 29—30.

[64] Ivette Grimaud, La tradition de Géorgie orientale, გვ. 121.

ЭЛИСТВЕРИ
ЗНАЧИТЕЛЬНОЕ

ДЖАНДИЕРИ М. И., ЛЕЖАВА Г. И. **Народная башенная архитектура. М., Стройиздат, 1976.**

В 1938 и в 1940 гг. вышли в свет две книги М. И. Джандиери и Г. И. Лежава, посвященные архитектуре горных районов Грузии[1]. В этих книгах авторы знакомили читателей с народным жилым зодчеством и, прежде всего, с укрепленными жилищами: домами-крепостями и башнями. В дальнейшем, продолжая изучать народное башенное зодчество, авторы пришли к выводу, что очень близкие по типам сооружения можно найти не только в горных районах Кавказа, но на гораздо более широкой территории. Оказалось, что укрепленные народные жилища имели в свое время распространение почти во всех странах мира, а в качестве реликтового явления сохранились до наших дней во многих замкнутых, главным образом, горных областях. Этому своеобразному типу народного жилого зодчества и посвящена рецензируемая книга.

Сопоставление этнографического материала о жилищах различных народов с данными археологии и древними письменными источниками позволило авторам убедительно показать, что на определенном этапе исторического развития «на различных стадиях общинно-родовых отношений» (с. 77) во многих районах земного шара господствующим типом жилища были укрепленные дома-крепости и башни. Неравномерность общественного развития создавала условия для появления подобного типа жилищ в одних районах значительно раньше, чем в других. Так, оказалось, что на территории древнего Востока укрепленные жилища существовали уже в VII—III тыс. до н. э., в то время, как в Америке — в VII—XIII вв. н. э. В некоторых же районах мира, где сохранялись родоплеменные отношения, укрепленные жилища существовали еще в XIX, а местами и в XX в. Таким образом, наличие укрепленных народных жилищ и удивительная близость их типов определяются не культурными связями и не хронологической близостью, а наличием сходных социальных условий, близостью степени социально-экономического развития.

Авторы выделяют два основных типа укрепленных жилищ: дома-крепости и боевые башни, а также различные сочетания этих типов. В домах-крепостях жили, как правило, одной большой неразделенной семьей, боевые же башни служили жилищем лишь эпизодически, в период военных столкновений. Рассматривают авторы также и плановую структуру укрепленных поселений, пытаясь и здесь выявить некоторые общие закономерности развития.

Установлением факта широкого распространения башенных форм жилища в эпоху позднего этапа первобытно-общинного строя, авторы предопределяют решение вопроса о происхождении форм феодальных замков. До сих пор очень часто наличие башенной архитектуры в горных районах, в частности, на Кавказе, объясняли влиянием средневекового замкового зодчества, рассматривая жилые башни Кавказа как упрощенное повторение донжонов. Выясняется, что в действительности имела место обратная картина: не башни народного жилища повторяют формы донжонов, а сами донжоны являются развитием форм более раннего народного зодчества. С укреплением классового общества — рабовладельческого или феодального—государственная власть обычно лишала крестьян права строить укрепленные жилища, считая их «социально-опасными» (с. 78). Действительно, подобные жилища, особенно расположенные в труднодоступных районах, позволяли населению сохранять независимость и патриархально-родовые отношения. Именно поэто-

[1] Лежава Г. И., Джандиери М. И. 1) Архитектура Сванетии. М., 1938; 2) Архитектура горной Грузии. М., 1940.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 му такие жилища часто насильственно уничтожали.

Авторы, приведя многочисленные примеры укрепленных народных жилищ в самых различных уголках земного шара, не ставят перед собой задачу дать о них исчерпывающую сводку. Несомненно, что теперь, когда на это явление обращено внимание, количество примеров можно будет значительно увеличить. Так, авторы не отмечают примеров укрепленных народных жилищ на территории Северной Европы. А между тем очень вероятно, что в ряд рассматриваемых памятников следовало бы ввести и таинственные круглые башни «braochs», распространенные в Северной Шотландии и на прилегающих островах. Вначале их рассматривали как феодальные укрепления, замки викингов, но археологические раскопки показали, что эти сооружения относятся к значительно более раннему времени[2]. В книге имеются указания на наличие укрепленных жилищ в древней Греции. Сейчас это положение можно расширить: в последнее время выяснилось, что башенные жилища в Греции имели гораздо более широкое распространение, чем казалось ранее[3]. Несомненно, что народные укрепленные жилища, как древние, так и сохранившиеся до наших дней, будут со временем выявляться во все большем количестве.

Не со всеми положениями, изложенными в книге, можно согласиться. Так, кроме домов-крепостей и боевых башен авторы приводят еще третий вид народного жилища, который они также относят к укрепленным — как они называют, «пассивно-оборонительный тип» — одноэтажное однозальное замкнутое жилище. Однако, во многих случаях отнесение подобных жилищ к оборонительным мало убедительно. Замкнутость жилища и отсутствие световых проемов могут объясняться не только оборонительными задачами, но и другими требованиями, в частности, желанием сделать жилище более теплым. Кстати, сами же авторы отмечают, что такой тип жилища сохранился и существовал при развитых классовых формациях на значительно большей территории, чем дома-крепости или боевые башни. Очевидно, он не был «социально-опысным» типом.

Но если отдельные утверждения авторов книги можно оспаривать, то главный их вывод — о повсеместном распространении народного укрепленного жилища на определенной стадии социально-экономического развития — подтверждается таким большим фактическим материалом, что не может вызывать сомнений. Следует отметить, что текст книги широко иллюстрирован обмерами, выразительными рисунками и таблицами, выполненными авторами, а также многочисленными фотографиями.

С сожалением следует отметить, что книга недостаточно тщательно отредактирована. Это сказывается и в тексте, где имеются многочисленные повторения и, особенно, в опечатках и неточностях аппарата. Впрочем, эти недостатки не настолько существенны, чтобы заметно повлиять на ценность интересного и оригинального труда.

---

[2] См. например, статьи B. H. O'Neil, A. Graham и др. в кн.: The Viking Congress. Aberdeen, 1954, а также статью J. R. Hamilton в журнале «The Illustrated London News», 1957, с. 810—813.

[3] Nowicka M. Les maisons a tour dans le Monde Grec. Wroclaw, 1975.

ПАВЕЛ РАППОПОРТ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა და ინფორმაცია

ქართველ და სომეხ ხელოვნების ისტორიკოსთა გაერთიანებული კონფერენცია

მიმდინარე წლის 24—27 აპრილს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით თბილისში ჩატარდა ქართველ და სომეხ ხელოვნების ისტორიკოსთა გაერთიანებული კონფერენცია, რომლის მუშაობაში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან ერთად, მონაწილეობდნენ სომხთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტი, თბილისის სამხატვრო აკადემია, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

სიმპოზიუმზე ორი სექცია მუშაობდა. სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სექცია განიხილავდა როგორც ძველ, ისე XIX საუკუნისა და საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას.

24 აპრილს ორი სხდომა ახალ და საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას მიეძღვნა (დილის სხდომას ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე თავმჯდომარეობდა, საღამოს სხდომას სომხთის დელეგაციის ხელმძღვანელი მარიამ კაზარიანი) ამ დღეს არქიტექტურა წარმოდგენილი იყო ორი მოხსენებით: ლევონ ბაბაიანი „1960—1970 წლების სომხური ხუროთმოძღვრების განვითარების ძირითადი ტენდენციები“ და გიორგი ბერიძის „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მშენებლობის ისტორია“ სახვითი ხელოვნების ზოგად საკითხს ეხილავდნენ: ნინო ზაალიშვილი „70-იანი წლების ქართული დაზგური ფერწერა“; მარიამ აივაზიანი „ეროვნული თავისებურება ქართულ და სომხურ ნატურმორტში“, ქეთევან კინწურაშვილი „ქართული თეატრალური დეკორატიული ხელოვნების განვითარება“. ხუთი მომხსენებელი რომელიმე შემოქმედის მოღვაწეობას ეხებოდა: სოფიო იოსელიანი „მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი“, სამსონ ლეკვაკა „მხატვარ ალექსანდრე ბანძეკაძის ხელოვნება“, მარინე მემძარიაშვილი „დავით კაკაბაძის ქალაქური პეიზაჟი“, მარინე სტეპანიანი „ძველი თბილისის თემა მხატვარ შაევრდიანის შემოქმედებაში“ და მარიამ კაზარიანის „გრიგოლ ტატიშვილი და სომხური ხელოვნება“.

25 აპრილის სხდომა ძველ სახვით ხელოვნებას მიეძღვნა (თავმჯდომარე სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე თინათინ ვირსალაძე). ორი მოხსენება წიგნის მხატვრულ გაფორმებას ეხებოდა: ლევონ აზარიანის „სომხური და ბიზანტიური მინიატურების ურთიერთობის საკითხისათვის“ და ფლორი დეედარიანის „ანჩიხსტის გულანის ილუსტრაციების კავშირი XVII საუკუნის მეორე ნახევრის მინიატურებთან და მონუმენტურ ფერწერასთან“. ფრესკული ფერწერის საკითხებს იხილავდნენ: სერიანუშ მანუკიანი „ყმის განბანვის სცენის შესახებ“ (ბერტე პავლუს ეკლესია თათვეის მონასტერში). ირინე მამიაშვილი „ისტორიულ პირთა პორტრეტები გეგინი ხანის ქართულ მონუმენტურ ფერწერაში“ (სოფ. ტაბაკინის ეკლესიის მოხატულობა), ირაკლი ყიფშიძე „აღგილობრივი ფერმწერი ოსტატების მეთოდების საკითხისათვის შუა საუკუნეების სვანურ ფერწერაში“ და მარიამ დიდებულიძე „სახის წერის მანერა შუა საუკუნეების მონუმენტურ ფერწერაში“.

კონფერენციის მუშაობის ბოლო დღე 27 აპრილი ძველი ხუროთმოძღვრებისა და ქვაზე კვეთის პრობლემების შესწავლას მიეძღვნა (სექცია: თავმჯდომარე ვახტანგ ბერიძე). ძველი ხუროთმოძღვრების საკითხებს ეხებოდა არმენ ზარიანის, დიმიტრი თუმანიშვილისა და გიორგი მარსაგიშვილის მოხსენებები: „აღრექრისტიანული ხანის სომხური ბაბტისტერიუმები“, „ქართული ძამის გარეგნული სახის ერთ-ერთი თავისებურება“ და „ავარის მონასტრის მთავარი ეკლესია“. ქვაზე კვეთის დეკორატიული პრინციპები და მცირე არქიტექტურული ფორმები შესწავლილი იყო სურენ მნაცაკანიანის და ზეპიერ ტარაიანის მოხსენებებში: „შუა საუკუნეების სომხური და ქართული მცირე ხუროთმოძღვრული ფორმების შესწავლისათვის“ და „ორნამენტის ჩაწერის სისტემა“.

24 აპრილს თეატრისა და მუსიკის სექციამ რვა მოხსენება მოისმინა: სამი მოხსენება ქართული და სომხური დრამატურგიის საკითხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხებოდა (თეატრის სექციის თავმჯდომარე თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე). იდა ბაბაიანის „გ. სუნდუკიანის „პეპო“ და ქართული თეატრი“, მარინე მაჩაიძის „მეფე ლირის“ ა. ჩხარტიშვილისა და დ. ალექსიძის დადგმები“, პოლა ურუშაძე „ლადო მესხიშვილი ჰამლეტის როლში“. ინგლისელი დრამატურგის პინგერის შემოქმედების ერთ ასპექტს ეხებოდა მაია კობახიძის მოხსენება „პიროვნების დაშლის თემა გეროლდ პინგერის პიესაში „არავინ მიწა“. შემდეგ აუდიტორია მუსიკის სექციას დაეთმო (თავმჯდომარე მუსიკათმცოდნე მიხეილ ყანჩელი). წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება: ნანა ლორიას „ქართული საბავშვო მუსიკის სახეითი შესაძლებლობის თავისებურებისათვის“, მარგარიტა რუკხიანის „სიახლე 70-იანი წლების ქართულ და სომხურ სიმფონიზმში (გია ყანჩელი და ავეტ ტერტერიანი)“, გულნარა გვარჯალაძის „სიტყვისა და მისამღერის თავისებურება ქართულ ხალხურ სიმღერებში“ და ნატალია ქღენტის „ფიროსმანის სახე ქართულ სიმფონიურ მუსიკაში“.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანული ნაწილი იყო უშუალოდ კონტაქტი ქართულ ხელოვნებასთან. სტუმრები ქართული ხუროთმოძღვრული და ფრესკული ფერწერის ძეგლებს გაეცნენ მცხეთასა და ბოლნისში. დიდი ინტერესი გამოიწვია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ხალხური ყოფის მუზეუმის გაცნობამ. კონფერენციის მონაწილეთათვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ქართული კამერული და საგუნდო მუსიკის კონცერტი, საინტერესო შეხვედრა მოეწყო კინოს სახლში. მონაწილეები რუსთაველის თეატრში დესპრნენ სპექტაკლს.

გია მარსაგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

გრიგოლ ნათაძე — ეკონომიკური ისტორიის მკვლევარი

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

პროფესორმა გრიგოლ იასონის ძე ნათაძემ დიდი და მრავალფეროვანი საამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას როგორც საზოგადო მოღვაწემ, პატრიოტმა, პედაგოგმა, მეცნიერული კადრების აღმზრდელმა და ღვაწლმოსილმა მეცნიერმა.

გრიგოლ ნათაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის სრულყოფილი დახასიათება აღემატება ჩვენს შესაძლებლობას. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ გრ. ნათაძის მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარეზე და დიდი მოკრძალებით ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ მასზე როგორც ეკონომიკური ისტორიის მკვლევარზე.

ცნობილია, რომ საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელ საბაზისად ითვლება ეკონომიკური ურთიერთობები, წესი, რომლითაც ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალებებს აწარმოებენ და ცვლიან. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ეკონომიკის ისტორიას.

საკითხი ეკონომიკის ისტორიის, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის ისტორიის შესწავლის აუცილებლობისა მთელი თავისი მნიშვნელობით დაიყენა ქართულ ლიტერატურაში 1880 წელს დიდმა ქართველმა მწერალმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ. იგი წერდა: „...ჩვენ ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისი ცხოვრებითა და თვითმოქმედებით. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად". „ეთქვათ, მცლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა". „საკვირველი ეს არის, რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჭკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგელიყო, — და საზრდოობას ვინ აძლევდა და რა აძლევდაო"[1].

1894 წლის 25 ივნვარს ფრ. ენგელსი ვ. ბორგიუსს სწერდა: „გერმანიაში სწორ გაგებას ის უდიდესი დაბრკოლება ეღობება წინ, რომ ლიტერატურაში ადგილი აქვს ეკონომიკური ისტორიის შეუწყნარებელ უგულველყოფას"[2].

ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ ისტორიას ფრ. ენგელსი, ასეთი კატეგორიულობით მოითხოვდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საჭიროებას ი. ჭავჭავაძე. მართალია, ჩვენ მოგვეპოვება გა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. კრებული,თბ., 1955, ტ. IV, გვ. 175—176, 202.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 540.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენილ ისტორიკოსთა და ეკონომისტთა ფუძემდებლური შრომები, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური ისტორია ჯერჯერობით მაინც მცირედად არის შესწავლილი. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საქართველოს ეკონომიკური ისტორია, რომელიც მოიცავდეს საქართველოს მიერ განვლილ ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ძირითად საკითხებს. ცხადია, ამ მხრივ კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა XIX და XX საუკუნეების დასაწყისში, როდესაც თავისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო გრ. ნათაძემ. მან განაგრძო სახელოვანი გზა, რასაც საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა. გრ. ნათაძემ თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების დღიდანვე წინ წამოსწია ეკონომიკური ისტორიის საკითხების კვლევა მსოფლიო ისტორიის და საქართველოს ისტორიის დარგში. მისი შრომების მრავალფეროვანი თემატიკის თვალის გადაკვლებაც კი საკმარისია იმის დასანახავად თუ რა ყურადღებით ეპყრობოდა იგი ეკონომიკასა და ეკონომიკის ისტორიის საკითხებს. გრ. ნათაძის მიერ 1924 წელს დაცული სადოქტორო დისერტაციის თემა იყო: „უძველესი საბერძნეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, როგორც კოლონის აჯანყების საფუძველი“. საკითხის ამგვარად დაყენება თავისთავად მეტყველებს იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც მკვლევარი ანიჭებდა ეკონომიკის ისტორიას ან ეკონომიკის ცოდნას ისტორიის მეცნიერებისათვის. ამასვე ადასტურებენ გრ. ნათაძის სხვა შრომებიც: „სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანიაში“, „სალიკური კანონი როგორც წყარო ევროპის ეკონომიური ისტორიის შესასწავლად“, „გლეხების გადასახადები“, „ვალი და გირაო ძველ საბერძნეთში“, „გვარობრივი წყობილება და მისი გავლენა საბერძნეთის ისტორიის პირველ ნახევარზე“. დასახელებულ შრომებში სათაურებიდანვე ჩანს კვლევის ობიექტი და ნაშრომის მიზანდასახულობა. ეკონომიკური კვლევა გრ. ნათაძეს მოცემული აქვს სხვა შრომებშიც: „ინგლისის მოკლე ისტორია“, „რამდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელ საგლეხო კანონმდებლობიდან“, „ნაპოლეონ პირველის დაწინაურების მიზეზი“, „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“, „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები“ და სხვ.

საარქივო მასალების კლასიფიკაციისას გრ. ნათაძე მოითხოვს, რომ მასალები ცალეული მხარეების მიხედვით დალაგდეს სამეურნეო თავისებურებათა გათვალისწინებით, წარმოებრივ ურთიერთობათა, მწარმოებლურ ძალთა განვითარების მიხედვით და სხვ. აქაც მისი აზრით წინა პლანზე უნდა იყოს დაყენებული ეკონომიკური მდგომარეობა როგორიც არის მიწის მობილიზაცია, ინტენსიფიკაცია, ვალის წიგნები, მამულების აღწერა, გადასახადების ნუსხები, ვაჭრობა-მრეწველობა, შრომის ფორმები და სხვ. შემდეგ კი მასალები სოციალური, პოლიტიკური და სხვ. მომენტების მიხედვით.

შრომაში „ინგლისის მოკლე ისტორია“ გრ. ნათაძე გადმოგვცემს ინგლისის ისტორიას სახელმწიფოს დაარსებიდან XIX საუკუნის ჩათვლით. აქ ინგლისის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები ახსნილია ეკონომიკასთან და მის განვითარებასთან დაკავშირებით იმდენად ფართოდ, რომ ეს შრომა არსებითად არის ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორია, რომელშიც ფართოდ არის განხილული სპეციფიურ წარმოებრივ ურთიერთობათა, ფინანსურ ურთიერთობათა განვითარება. შესწავლილია ფეოდალიზმის წინა პერიოდი და ფეოდალიზმის განვითარება ინგლისში. შრომაში გადმოცემულია გლეხობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური ვითარება, სახელმწიფო საგადასახადო სისტემა, ხაზინის მდგომარეობა, გამდიდრებული ქალაქების როლი ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი გბატონება სოფელზე, მუშათა მოძრაობა, სამეშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა და ხელფასის საკითხი. შრომაში ნაჩვენებია ვაჭრობის განვითარება, ცვლილებები ვლეხთა ეკონომიკურ განვითარებასა და მიწათმფლობელობაში ფეოდალიზმის რღვევის პროცესში, შესწავლილია ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის წარმოშობის საკითხი. დაწვრილებით არის განხილული ინგლისში მატყლის წარმოება და აღებ-მიცემობა, მატყლის გაზიდვა და საბაჟო შემოსავალი ინგლისში. ცალკე შესწავლილია მატყლის საშინაო დამუშავება, დასახლებულია ქოველების წარმოების ცენტრები, ფლანდრიის ქოველების კონკურენცია ინგლისის ქოველებთან, დასასრულ ინგლისშიც ქარხნული ქოველების გავრცელება. წიგნში შესწავლილია ინგლისში ქალაქების ზრდა და ახალი სამრეწველო ცენტრების შექმნა. დასახელებულია დაწინაურებული ქალაქები, ცნობილი ბაზრები ვანჩესტერის და სტოუბრიჯისის, ნავთსადგურები, საქონელთა საწყობები შინ და გარეთ, მეფეების პირდაპირი კავშირი ვაჭრობის ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სესხის როლი კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში, მიწათმფლობელობა და მეურნეობა XIII—XV საუკუნეებში. ასევე განხილულია უტოპიური სოციალიზმი, რეფორმაცია, სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში და რევოლუციისათვის ნიადგის მომზადება, მასობრივი სიღატაკე, ახალი ქვეყნების აღმოჩენა, საზღვარგარეთული ვაჭრობის განვითარება და სხვ.

წიგნში წარმოდგენილია ინგლისის კოლონიური პოლიტიკა, მერკანტილისტური ეკონომიკური სისტემა, პროტექციონისტული ბაჟები. ინგლისის პიჯუტის დეფიციტი, სახელმწიფო სესხები, ფასიანი ქაღალდები. ბაზრის გაფართოებისათვის ინგლისის მრეწველობის ზრდა-განვითარება და სოფლის პროლეტარიზაცია. ამასთანავე გადმოცემული სოციალური დაზღვევა, პურის კანონები და მასთან ბრძოლა, თავისუფალი ვაჭრობის თეორიის შემუშავება (ადამ სმიტი, დავით რიკარდო, მალთუსი) და სხვ.

გრ. ნათაძე მსოფლიო ისტორიასთან ერთად გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს ისტორიასაც, ეკონომიკური განვითარების ასპექტში. ამ მხრივ საყურადღებოა მისი შრომები: „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“ ორ ნაწილად (1925); „დადიანთა არქივი და სამეგრელოს ავტონომიის პრობლემა XIX საუკუნის დასაწყისში“ (1926); „შავშეთ-ალარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა IX—X საუკუნეებში გიორგი მერჩულე ცნობების და სუმბათის ქრონიკის მიხედვით“ (1929); „სახელდახელო ცნობები რსფსრ-ის არქივების მდგომარეობის შესახებ“ (1929); „ძველი თბილისი თანამედროვეების მიხედვით“ (1929); „К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия“ (1930); „საქართველოს ცენტრარქივის XVIII საუკუნის მასალების კლასიფიკაციისათვის შინაარსის მიხედვით“ (1930); „საარქივო მასალები მხარეთმცოდნეობის შესწავლისათვის“ (1932) „Султан Баратов как историк Грузии“(1934); «Крестьяне Сахасо» в Восточной Грузии в конце XVIII столетия» (1937).

შრომაში — საქართველოს ისტორიის მოკლე სოციალოგიური მიმოხილვა—ახალია არა მარტო ის, რომ შესწავლილია ძირითადად საქართველოს ეკონომიკური ვითარება, არამედ ისიც, რომ იგი განხილულია მსოფლიო ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების ჭრილში, მისი ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. შრომაში არის ცდა საქართველოს ისტორიის შესწავლისა საქართველოს ტერიტორიის რელიეფისა და ქვეყნის მწარმოებლური ძალების მიხედვით. ნაჩვენებია ქვეყნის ცალეული კუთხეების ურთიერთობა ცენტრთან და დასაბუთებულია ის აზრი, რომ საქონლური წარმოების განვითარება, ალებ-მიცემობა ქმნდა მეჯიდრო კავშირს ცენტრსა და პერიფერიებს შორის და პირიქით, საქონლური წარმოების შესუსტება ამ კავშირს ადუნებდა. ნაჩვენებია, ამასთანავე, საქართველოს ურთიერთობა მსოფლიო ბაზრთან. ეს ურთიერთობა წარმოებდა ორგვარად — ან წმინდა გაცვლა-გამოცვლის გზით ან გარეშე ეკონომიკური საშუალებებით, ე. ი. ქვეყნის პროდუქციის არა საქონლის სახით გაზიდვით, არამედ ხარკის სახით. დამპყრობელი ხალხს ანდევნებდა ხარკს და მას გაზიდავდა მეორე ქვეყანაში საბომხმარებლო დანიშნულებით ან აქცევდა საქონლად — გაქონდა ბაზარზე გასაყიდად ან კიდევ ხარკად წაუღებულ სიმდიდრეს გამოიყენებდა ერთი და მეორე დანიშნულებითაც. შრომაში დახასიათებულია საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელობა ევროპისა და აზიის ურთიერთობაში. გრ. ნათაძე წერს: „ყოველ შემთხვევაში მტკვრისა და რიონის ხეობას დიდი მსოფლიო ნნიშვნელობა ჰქონდა თავიდანვე ეხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსოფლიო ვაჭრობა და მსოფლიოს კულტურული დაახლოება მოხდებოდა ხოლმე"[3]. ამასთანავე ავტორი ყურადღებას აქცევს მას თუ ვის ხელი იყო ექსპორტის ინიციატივა — ქართველების თუ უცხოელების. ადილობდნენ ექსპორტი, — წერს გ. ნათაძე, — „ქართველობას ჰქონოდა ხელში, ამ საქმის ორგანიზატორი თვით ქართველები ყოფილიყენენ და უცხო ვაჭრებისათვის ან ბრძანებლებისათვის არ დაენებებინათ ეს როლი და ამასთან დაკავშრებული ქვეყნის შემოსავალი. ამ ნიადაგზე საქართველოს ყოველი კუთხე ცენტრისაკენ მიმზიდველობას, გაერთიანების საჭიროებას გრძნობდა და მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ეროვნული ერთიანობა აჩინ მტკიცდებოდა. პირიქით, როგორც კი ევროპა აზიის დაშორდებოდა და თავის ზედმეტი სიმდიდრის გამოყენება საქართველოს აღარ შეეძლო, მაშინვე საქართველოში საერთო საგებმიცემო პირობები იპპობოდა და კარჩაკეტილობა-გათიშვის ტენდენციები ძლიერდებოდა. მაშინ სახელმწიფოებრიობაც ირღვეოდა და ეროვნული ერთიანობაც"[4]. ავტორი დაასკვნის, რომ ტექნიკის, ინდუსტრიის განვითარებას შეეძლო მთელი ტერიტორია შინაგანი ძალებით გაეერთიანებინა. მაგრამ, ვინაიდან მაშინ ასეთი რამ არ იყო, საქართველოს გაერთიანების საკითხი დამოკიდებული იყო უცხოელთა შორის ვაჭრობაზე. ამასთანავე ავტორს გამოთქმული აქვს ის სწორი მოსაზრებაც, რომ საკუთარი საქონლით მსოფლიო ბაზრებზე გასვლა დაკავშირებული შინაური ბაზრის მოწყობის აუცილებლობასთანაც. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ნათაძე თავის შრომაში ცდილობს სოციალური, კლასობრივი, პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და საერთოდ იდეოლოგიური ფორმების შექმნა-განვითარება ახსნას ეკონომიკურ ბაზისთან დაკავშირებით, ეკონომიკის განსაზღვრელი როლის საფუძველზე.

ამასთანავე გრ. ნათაძე ისტორიულ მოვლენებს შეისწავლის არა მარტო პოლიტიკური ეკონომიის, არამედ ფინანსური მეცნიერების თვალსაზრისითაც.

---

[3] გ. ნ ა თ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, ქუთაისი, 1925, გვ. 31.

[4] იქვე, გვ. 31—32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი თავის შრომებში სათანადო ყურადღებას უთმობს ფინანსურ საკითხებს, განსაკუთრებით გადასახადებს და ხარკებს, როგორც ეროვნული ჩაგვრის საშუალებას. საქართველოდან დამპყრობელთა მიერ სამდიდრის უეკვივალენტოდ გაზიდვას, როგორც ეროვნული ჩაგვრის საშუალებას, გარდა ამისა გრ. ნათაძე ყურადღებას აქცევს ცვლილებებს, რომლებიც ხდება გადასახადების ობიექტისა და ერთეულის შეცვლაში გადამხდეველებლის სასარგებლოდ.

ხარჯების გაწერისა და აკრეფის ფორმა იცვლებოდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებასთან ერთად. არაბებმა საქართველოში ხარკის აკრეფას კომლობრივი საფუძველი დაუდვეს. ამის თაობაზე გრ. ნათაძე წერს: „არაბების ხელშეკრულებიდან ქართველებთან კიდევ ერთი გარემოება ხდება თვალსაჩინოდ: გვაროვნული წესწყობილება. რომელიც მიწის საკუთრების დაარსებამ სრულიად ბუნებრივად დაარღვია, ეხლა თითქმის ხელოვნურად აღდგენის გზაზე დგება, ვინაიდან არაბები კომლობით აწერენ გადასახადს — ეს არაბებს ესმით და ამიტომ ხელშეკრულებაში ისინი ქართველებს პირობას უდებდნენ, რომ ცალ-ცალკე მონათესავე ოჯახები არ შეერთებულიყვნენ ხარჯის შემსუბუქების მიზნით"[5].

გრ. ნათაძის მეცნიერული შემოქმედების დასახასიათებლად საკმარისი არ არის იმის აღნიშვნა, რომ იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკის ისტორიას და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირითადად ეკონომიკის ისტორიის მკვლევარია. აქ არსებითი ის არის, რომ გრ. ნათაძეს სწორად ესმის ეკონომიკური ბაზისის განმსაზღვრელი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების საფუძვლად იგი მიიჩნევს ეკონომიკას. მისი სადოქტორო დისერტაციის თვით სათაური არის თეზისი, რომელიც სწორად აყენებს ეკონომიკური ბაზისის განმსაზღვრელ როლს სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის შესწავლაში, რაც, ვიმეორებთ, არა მარტო იმას ადასტურებს, რომ მოვლენების შესწავლა მკვლევარის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, არამედ იმასაც, რომ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების განხილვა ხდება წარმოებრივ ურთიერთობათა შესწავლის საფუძველზე და მასთან ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ მხრივ დიდია გრ. ნათაძის დამსახურება საერთოდ ეკონომიკური ისტორიის, კერძოდ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის წინაშე.

ვასილ ჩანტლაძე

[5] გ. ნ ა თ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე წერეთელი

(დაბადების 90 წლისთავის გამო)

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1889 წლის 1 (14) ნოემბერს ზემო იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ცხრუკვეთში (ციათურის რაიონი) განათლებული რნტელიგენტის იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთლის ოჯახში. აქვე გაატარა მან ბავშვობა.

საშუალო განათლება ალექსანდრე წერეთელმა მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1909 წელს. უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდა ალ. წერეთელი ხარკოვს გაემგზავრა. 1910—1915 წწ. იგი სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ხარკოვის უნივერსიტეტი იზიდავდა რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ნიჭიერ ახალგაზრდობას, ვინაიდან ამ დროს აქ მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი მეცნიერი. ალ. წერეთელი ისმენდა ლექციებს და მუშაობდა ისეთი გამოჩენილი მეცნიერების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ პროფესორები: ივ. ნეტუშილი, ვ. პალიენკო, პ. ბაგალეი, ვ. ბუზესკული და სხვები.

უნივერსიტეტში სწავლის დროს ალ. წერეთელმა გამოამჟღავნა ბრწყინვალე ნიჭი და მეცნიერული კვლევის უნარი. პირველი კურსიდანვე უნივერსიტეტის პროფესორებზე და სტუდენტებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ალ. წერეთლის მიერ სემინარებზე წაკითხულ მოხსენებებს. მაგალითად, პროფ. სუმცოვი უკითხავდა ალ. წერეთელს რუსეთის ისტორიას. სუმცოვის სემინარზე მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია“. ამ მოხსენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით ახლოს იყო ალ. წერეთელი ანტიკური ისტორიის გამოჩენილ მკვლევართან— პროფ. ვ. ბუზესკულთან. ბრწყინვალე შეფასება მიიღო მისმა მოხსენებამ „ეგეოსის კულტურა“, რომელიც მან მოამზადა და წაიკითხა ვ. ბუზესკულის ხელმძღვანელობით.

როგორც ცნობილია, ამ დროს მეცნიერები ჯერ კიდევ გაუბედავად ცდილობდნენ გაეფანტათ იდუმალების ბურუსი, რომლითაც მოცული იყო ძვ. წ. III—II ათ. საბერძნეთი. შემდგომში ალ. წერეთელი კვლავ რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ საკითხს. 1923 წ. მან გამოაქვეყნა შრომა „კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა“, ხოლო მის უკანასკნელ ნაშრომში „ძვ. საბერძნეთი“, 1966 წ. იგი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და განიხილავს მას თანამედროვე მეცნიერების უახლესი აღმოჩენების დონეზე.

ვ. ბუზესკულის მიერ გაწეულ დიდ მზრუნველობას ალ. წერეთელი იგონებდა განსაკუთრებული მადლობის გრძნობით. „ჩემთვის დაუვიწყარია ის იშვიათი ამაგი და ყურადღება, რომელიც გამოიჩინა ჩემდამი განსვენებულმა აკადემიკოსმა“ — წერდა თავის მოგონებებში ალ. წერეთელი 1961 წელს.

ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლების დროს დაიწყო ალ. წერეთელის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სწავლა-განათლებასთან ერთად მან აქ მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რევოლუციური ნათლობაც და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო დემონსტრაციებში. ასეთები იყო: დიდი დემონსტრაცია ლევ ტოლსტოის დაკრძალვის დღეს 1910 წლის 10 ნოემბერს, ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავზე გამართული დემონსტრაცია 1911 წ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა ხარკოვში 1914 წლის 25 თებერვალს ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 100 წლისთავზე. ამ საპროტესტო გამოსვლას სათავეში ჩაუდგნენ ქართველი სტუდენტები ალ. წერეთლის ხელმძღვანელობით.

ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროს ალ. წერეთელმა გამოიქვეყნა პატრიოტული გრძნობით აღსავსე წერილები ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ტარას შევჩენკოზე და სხვა ქართველი და რუსი მწერლების შემოქმედების შესახებ. უკვე ამ დროს ალ. წერეთლისათვის უცხო იყო ეროვნული კერჩაეტლობა. იგი ყველა ერს, დიდსა თუ პატარას სიყვარულით ეკიდებოდა. ამას ადასტურებს ახალგაზრდა ქართველი სტუდენტის მთელი საზოგადოებრივი საქმიანობა ხარკოვში და მისი ჟურნალისტიკური მოღვაწეობა.

ალ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა ხარკოველ სტუდენტთა ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, რომელსაც 1912 წ. ჩაუდგა სათავეში. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხარკოვის პოლიციისათვის, რომელიც თვალყურს ადევნებდა ხარკოველი სტუდენტების, და კერძოდ ალ. წერეთელის საქმიანობას. 1912 წ. ხარკოვში დააპატიმრეს ქართველი სტუდენტების ერთი ჯგუფი და მათ შორის ალ. წერეთელიც.

1915 წლის იანვრის შუა რიცხვებში ცნობამ დიდი აკაკის გარდაცვალების შესახებ. შეძრა ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით და ალ. წერეთლის უშუალო თაოსნობით გაიმართა დიდი ქართველი მგოსნის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოს დაესწრნენ უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ნეტუშილი, პროორექტორი პალეინკო, პროფესორები ბაგალეი, სავა სუმცოვი, ბუზესკული, შულკი, ვორობიოვი და სხვები.

1915 წ. ალ. წერეთელმა დაამთავრა უნივერსიტეტი პირველი ხარისხის დიპლომით. მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ვერ ისარგებლა ვ. ბუზესკულის წინადადებით მასთან ასპირანტად დარჩენის შესახებ. იმავე 1915 წ. ალ. წერეთელი სამშობლოში დაბრუნდა.

1915—1918 წწ. ალ. წერეთელი მუშაობს მასწავლებლად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას იგი შესანიშნავად უთავსებს ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი კითხულობს საჯარო ლექციებს და აქტიურად მონაწილეობს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობაში.

1917 წლიდან ალ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ მუშაობაში, რომელიც წინ უძღოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად იგი ესწრებოდა 1917 წ. 17 მაისს ქუთაისის კულტურულ და საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრებას, რომელიც გაიმართა ქართული გიმნაზიის შენობაში. ამ კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენელთა წინაშე კიდევ ერთხელ დაასაბუთა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წ. აღ. წერეთელი ქუთაისიდან გადმოვიდა თბილისში ახლად გახსნილ უნივერსიტეტში „1918 წ. 15 მარტს პროფესორთა საბჭოს დადგენილებით აღ. წერეთელი პირველი დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად ისტორიის ფაკულტეტზე“[1].

განათლების ეროვნულ ნიადაგზე დაყენებისათვის აუცილებელი იყო სკოლების რეორგანიზაცია, ტერმინოლოგიის შემუშავება და სახელმძღვანელოების შექმნა. ამ საქმეს სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილი, როგორც ყოველთვის, აღ. წერეთელი აქტიურად ჩაება აღნიშნული საკითხის პრაქტიკულ განხორციელებაში. მან დაუჭირა მხარი ივანე ჯავახიშვილის წამოწყებას მასწავლებელთა კურსების დაარსების შესახებ და გ. ახვლედიანთან, ს. გორგაძესთან, დ. უზნაძესთან, ი. ყიფშიძესთან, მ. შალამბერიძესთან ერთად კითხულობდა ლექციებს ამ კურსებზე. როგორც ცნობილია, ქართველ პატრიოტ-მეცნიერთა ამ ლექციებმა და მეთოდურმა მიითითებებმა საგრძნობლად აამაღლეს მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული დონე. აქ ჩაეყარა საფუძველი იდეას სასკოლო ამოცანების გადასაჭრელად მუდმივმქმედი სასწავლო კომიტეტის დაარსების შესახებ. აღ. წერეთელი აგრეთვე მონაწილეობდა სახელმძღვანელოთა შერჩევის კომისიის მუშაობაში.

1918 წ. 11 ივლისი გაზეთ „სახალხო საქმე“ № 278 წერდა: „უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო ივ. ჯავახიშვილის ქართული ერის მოკლე ისტორია და აღ. წერეთლის მსოფლიო ისტორიის პირველდაწყებითი კურსი“.

იმავე 1918 წ. აღ. წერეთელი ინიშნება წმინდა ნინოს ქალთა მეშვიდე გიმნაზიის დირექტორად, რომელიც შემდგომში გადაკეთდა თბილისის მეცამეტე ტექნიკუმად. აღნიშნულ სასწავლებელს იგი ხელმძღვანელობდა 1923 წლამდე. მისი ხელმძღვანელობით აღნიშნული სასწავლებელი გადაიქცა ქართველ ქალთა სწავლა-განათლების და აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო კერად.

1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით აღ. წერეთელი დაინიშნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად და გარკვეული დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა სახალხო განათლების საქმეს საქართველოში.

მიუხედავად ამ მჩქეფარე სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობისა აღ. წერეთელი არც ერთი წუთით არ წყვეტს კავშირს თბილისის უნივერსიტეტთან და განაგრძობს მეცნიერულ მოღვაწეობას ძველი ისტორიის დარგში, როგორც სახელმწიფო მოღვაწე იგი დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა უნივერსიტეტის კოლექტივს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტს ძალიან გაუჭირდა, რადგან ზოგი ორგანიზაციიდან მოითხოვეს მისი ინვენტარის და ბიბლიოთეკის განაწილება. აღ. წერეთელმა სასწრაფოდ მოიწვია განათლების კომისარიატის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდა მამია ორახელაშვილი. აღ. წერეთელმა თავის გამოსვლაში დაასაბუთა უნივერსიტეტისადმი წაყენებული პრეტენზიების უსაფუძვლობა. მას მხარი დაუჭირეს სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა: შალვა ნუცუბიძემ, ივანე ჯავახიშვილმა და მამია ორახელაშვილმა[2].

[1] იხ. თბილისის უნივერსიტეტი 1918—1968 წწ., თბ., 1968, გვ. 47.

[2] იხ. საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის სოც. მშენებლობის არქივი, ფონდი 300, აღ. I, საქმე 30, ფურცელი 43, ოქმი № 2, განათლების კომისარიატის სასწავლო კოლეგიის სხდომა, 1921 წ. 3 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წ. დამლევს ალ. წერეთელმა დაასრულა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურა და სადოქტორანტო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიწვეულ იქნა უნივერსიტეტის ძველი ისტორიის ლექტორად.

1923 წლის 27 მარტს ალ. წერეთელი აირჩიეს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. 1927 წ. მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლუკიანე სამოსატელი", რომელზედაც რეცენზიები დაწერეს ისეთმა სახელოვანმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ აკად. ვ. ბუზესკული, პროფ. გრ. წერეთელი და პროფ. გ. ნათაძე. 1927 წ. ალ. წერეთელი დაინიშნა ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგედ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1935 წლამდე. ამ წლების მანძილზე მან მაღალ დონეზე აიყვანა კათედრის მუშაობა და მიაღწია იმას, რომ აღნიშნული კათედრის წევრთა მიერ წაკითხული ლექციები დიდი მოწონებით სარგებლობდა სტუდენტებს შორის. პარალელურად კათედრაზე იწერებოდა დიდი მეცნიერული ღირებულების გამოკვლევები.

„თავდაპირველად საგანგებო ყურადღება სტუდენტთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას მიაქცია. გამოქვეყნდა ალ. წერეთლის რამდენიმე სახელმძღვანელო საბერძნეთის და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. ამასთან ერთად დაიწყო ძველი ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევაც.....30-ანი წლებიდან ძველი ისტორიის კათედრა უფრო გეგმაზომიერად იწყებს მუშაობას იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომელთაც საბჭოური ისტორიოგრაფია აყენებს სპეციალისტთა წინაშე. ძველი მსოფლიოს ისტორიის სოციალურ-ეკონომიური განვითარების, ამ საზოგადოების კლასობრივი ბუნების, ძველ სამყაროში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის პრობლემები ამიერიდან ხდება ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად წამყვან პრობლემად"[3].

ამ პერიოდში ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრაზე ალ. წერეთლის ხელმძღვანელობით მუშაობენ: მაქსიმე ბერძნიშვილი, გიორგი ნორაძე, გიორგი გოსალიშვილი და ახალგაზრდა ასისტენტი ევგენია კალანდაძე.

ალ. წერეთელი თავისი ცხოვრების დიდ დროს ანდომებდა უნივერსიტეტში მოღვაწეობას, თუმცა იგი არ სჯერდებოდა მარტო სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას და პარალელურად განაგრძობდა მუშაობას სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. სულ ორი წელი 1926—1927 წწ. დაჰყო მან ცენტრალური არქივის დირექტორის თანამდებობაზე და ამ მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაწესებულების მუშაობა. აქ მან დააარსა ჟურნალი „საქართველოს არქივი", შექმნა სამეცნიერო საბჭო და გახსნა სამეცადინო დარბაზი[4].

1955 წ. დაიწყო ალ. წერეთლის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი. ისე არ გავიდოდა წელი, რომ მას არ გამოეცა წიგნი, ძვირფასი საჩუქარი ჩვენი მეცნიერებისათვის და ახალგაზრდობისათვის. ამ პერიოდში დაწერილი მისი მრავალრიცხოვანი შრომები სტუდენტი ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელო წიგნებს წარმოადგენენ და მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევენ ალ. წერეთლის შრომები: „ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობას",

---

[3] იხ. თბილისის უნივერსიტეტი 1918—1968 წწ., თბ., 1968, გვ. 386—387.

[4] იხ. გ. გოზალიშვილი, ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზი, „საქართველოს არქივი", წიგნი I, თბ., 1926.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველი საბერძნეთი“, „ძველი რომის“ პირველი და მეორე ნაწილი, „მარკუს ტულიუს ციცერონი“ და სხვა, ყოველთვის იზიდავდა მრავალრიცხოვან მკითხველს. ამ წიგნების გამოცემით ჩვენს სტუდენტებს ალ. წერეთელმა მშობლიურ ენაზე მიაწოდა სახელმძღვანელოები და გაუადვილა მათ ანტიკური ქვეყნების ისტორიის შესწავლა და ბევრ მათგანს ჩაუნერგა მეცნიერების სიყვარული.

1964 წ. ალ. წერეთელი მიიწვია კონსულტანტად კინორეჟისორმა გ. ასათიანმა მის მიერ გადაღებული სურათის „ძველი კლუტურის ქვეყანა“ (ქართაგო) მეცნიერულად სწორად გაშუქების მიზნით. როგორც ცნობილია, ამ სურათმა ნაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1964 წ. 8 აპრილს ალ. წერეთელმა საქართველოს აკადემიის სხდომაზე წარუდგინა ამ სურათზე ანოტაცია, რის შედეგადაც სურათს მიენიჭა ლომონოსოვის პრემია. ალ. წერეთელი იყო აგრეთვე რუსთაველის თეატრის სპექტაკლ „ოიდიპოს მეფის“ მეცნიერული კონსულტანტი.

ალ. წერეთელი იყო დიდი ენერგიის ადამიანი. მრავალი თაობა აღიზარდა მის სახელმძღვანელოებზე და გამოკვლევებზე.

ბოლომდე იგი რჩებოდა ქართული უნივერსიტეტის და ქართველი საზოგადოების ღვიძლ შვილად. არ იყო არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენი უნივერსიტეტის თუ ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში, რომ იგი გულით და სულით არ გამოხმაურებოდა. ალ. წერეთელს ერის ტკივილით ტკიოდა გული და მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა და თანამემამულეებმა მისი ხსოვნის არ დავიწყებით უპასუხეს მას.

ალ. წერეთლისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვის მანიშნებელია მის მშობლიურ სოფელ ცხრუკვეთში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სახლ-მუზეუმი, რომელიც მიმდინარე წლის პირველ ივლისს გაიხსნა.

ლამარა იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა როდონაია

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა ნათელა სამსონის ასული როდონაია. იგი დაიბადა 1932 წელს, ხობის რაიონში სოფელ ხეთაში. ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ქალთა მე-13 სკოლა და შეედია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1955 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ, ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში საქართველოს ახალი ისტორიის სპეციალობით. 1958 წლიდან ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო, სოლო 1964 წლიდან—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1962 წელს წარჩინებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქალაქ თბილისის მრეწველობა XIX ს-ის მეორე ნახევარში“.

საქართველოს ახალი ისტორიის ნიჭიერი და ღრმადგანსწავლული მკვლევარი, ნათელა როდონაია, ფართო მეცნიერული ინტერესით გამოირჩეოდა. იგი წლების მანძილზე იკვლევდა კაპიტალიზმის განვითარებას. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, აგრარული ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი მასის, — გლეხობის ისტორიას და ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს, მათ შორის XIX ს-ის და XX ს-ის დამდეგის საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიას.

უაღრესად ფასეულია ნ. როდონაიას მონოგრაფია — „თბილისის მრეწველობა XIX ს-ის მეორე ნახევარში“ (1961), რომელიც ხსენებულ პაგალითზე ცხადად წარმოგვიდგენს კაპიტალიზმის გენეზისსა და განვითარებას საქართველოს მრეწველობაში. სამამისოდ ავტორმა საქართველოსა და ლენინგრადის საისტორიო არქივებში ვამოვლენილი ახალი წყაროების მონაცემების მოშველიებით გამოიკვლია თბილისის მრეწველობის დარგები, დადგინა მათი სტადიალური განვითარება (ხელოსნობა, მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა, მანქანური წარმოება). ნაშრომში მკაფიოდაა ნაჩვენები ხელოსნობის ბურჟუაზიული ევოლუცია, წარმოების დარგებში თავისუფალი დაქირაველული მუშახელის გამოყენების მასშტაბის ზრდა, მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მრეწველობის სხვადასხვა ფორმების უწყვეტი თანაარსებობა.

ნ. როდონაია ასევე წარმატებით იკვლევდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში. ამის ნიმუშია მისი ნაშრომი „თბილისის და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში“

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 3). აქ პირველადი, უპირატესად ადრე უცნობი წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ქალაქის განაშენიანების შედეგად მისი სოფლის მეურნეობის განდევნა გარემოუნნებისაკენ, მეორე მხრივ, საქალაქო მოსახლეობის ზრდის შედეგად სოფლის მეურნეობის ნაწარმზე, პირველ რიგში არატრანსპორტაბელურ პროდუქტზე, მოთხოვნილების გადიდება, რაც გაფართოების სტიმულს აძლევდა კაკასიის ცენტრის გარეუბნების სოფლის მეურნეობას XIX ს-ის მეორე ნახევარში.

XIX ს-ისა და XX ს-ის რევოლუციამდელ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესწავლას ნ. როდონაიამ მრავალი მაღალკვალიფიციური გამოკვლევა მიუძღვნა. ამანვე განაპირობა მისი დაინტერესება გლეხობის ისტორიითა და გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიით. ნ. როდონაიამ ხანგრძლივი კვლევის შედეგად შექმნა მნიშვნელოვანი მონოგრაფია „საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფია“, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერების“ 1980 წლის გეგმით გამოქვეყნდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს გლეხობის ისტორია 1900—1921 წლებში მხოლოდ მისი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისითაა შესწავლილი. ნ. როდონაიამ ბევრი დრო და ენერგია შეალია ნაშრომს „საქართველოს გლეხობის ისტორია იმპერიალიზმის ხანაში“, რაც მან თითქმის დაასრულა. აქ მაღალ აკადემიურ დონეზეა გაშუქებული ქართველი გლეხობის ცხოვრება და მდგომარეობა საკვლევ ხანაში. აეტორი მასში აბათილებს ჯერ კიდევ 20—30-იანი წლებიდან მომდინარე ვულგარულ-სოციოლოგიურ თვალსაზრისს, რომ თითქოსდა ჩვენში კაპიტალიზმის გამარჯვება გლეხობის, როგორც კლასის, დაშლის დამთავრებასაც მოასწავებდა, ამ შეხედულების საპირისპიროდ მიუთითებს, რომ 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოშიც გლეხური რევოლუცია იყო.

მეცნიერულ მოღვაწეობას ნ. როდონაია კარგად უხამებდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო ალკ XIII ყრილობის დელეგატი.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ნ. როდონაიამ დიდი ამაგი დასდო ინსტიტუტის მეცნიერული ისტორიის შექმნის საქმეს — ნაშრომი, რომლის, ერთ-ერთი ძირითადი აეტორი იგი არის, უახლოეს წლებში გამოქვეყნდება.

ნათელა სამსონის ასული როდონაია, ამ შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის გულისხმიერი და კეთმამოსილი მეგობრის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა — ქართველ ისტორიკოსთა ფართო წრეში.

გრიგოლ მარგიანი, ჯუმბერ ოდიშელი

6112/32

ფასი 1 მან.

Индекс 76197